



მისი
საკვიძე

ბაბაის
მოჭეუნი
სეძე - ღმრისეძე



ავტორი აღწერს აქაკი წერეთლის მოვლას რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს. ნაწარმი შეიცავს მდიდარ უცნობ ფაქტობრივ მასალას, აღგილებზე აქაკისა და რაჭველ-ლეჩხუმელთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებსა და აგრეთვე ფილოლოგიურ გამოკვლევებს სხვადასხვა კონკრეტული საკითხის შესახებ. შესწავლილი და დაფასებულია აქაკის თანამგზავრთა (კრესისა და ხელოვნების მუშაკთა) ნაშრომები.

ნაწარმი განსუთვნილია საკითხავ წიგნად ფართო მანისათვის.

კირველი-მეორე გამოცემა

A $\frac{4603020000-052}{M 601 (08) 90}$ 211 - 90

ISBN 5-529-01045-8

© გამომცემლობა „საქართველო“
ქუთაისი ფილიალი, 1990

მოგზაურობის აღწერა

შესავალი. ქართველმა ხალხმა 1908 წელს უდიდესი ზეიმიით აღნიშნა აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. იუბილეს შემდეგ პოეტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიიწვიეს და შეხვედრები მოუწყვეს. აკაკიმ შემოიარა კახეთი, სამეგრელო და იმერეთი.

1912 წლის ზაფხულში აკაკი რაჭა-ლეჩხუმს ესტუმრა.

მოგზაურობა, რომელიც დაიწყო ქუთაისიდან 21 ივლისს და გაგრძელდა 1 აგვისტომდე (ძველი სტილით), არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა თავისი გრანდიოზულობითა და საზოგადოებრივი რეზონანსით.

ეს იყო სახალხო მგოსნის ტრიუმფალური მსვლელობა, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საბედნიეროდ, დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს ნათლად წარმოვადგინოთ ეს მოგზაურობა. მის გასაცნობად სკმაო წყაროები არსებობს. მოგზაურობის გეგმა ჩინებულად იყო შემუშავებული და სამაგალითო წესრიგით განხორციელდა.

აკაკის ახლდნენ ყურნალისტები — რედაქტორ-კორესპონდენტები. სარედაქციო საბჭოში შედიოდნენ: ს. მერკვალიძე, გ. დიასამიძე, მ. ჭაფარიძე, ლ. ბზვანელი და ს. დათეშიძე. მათ შეკრიბეს ადგილებზე აკაკისა და რაჭველ-ლეჩხუმელთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, აღწერეს ყველა შეხვედრა და მთელი ეს ფაქტობრივი მასალა 1912 წელსვე „თემის“, „კოლხიდისა“ და „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნეს. 1912 წელს ლ. ბზვანელმა ქუთაისში დაბეჭდა „სახალხო გაზეთიდან“ ცნობილი მასალების კრებულს. შემონახულია სარედაქციო საბჭოს წევრთა ფოტოსტრათი: საწერ მაგიდასთან ზის და მუშაობს ხუთივე ავტორი.

შგოსნის თანამგზავრები იყვნენ ხელოვნების მუშაკებიც. ოპერატორმა ვ. ამაშუკელმა და მხატვარმა კ. ქავთარაძემ მოგზაურობა გადაიღეს — დოკუმენტური კინოფილმი და ფოტოსურათები დაამზადეს.

მოგზაურობის მომწყობმა კომიტეტმა, რომელსაც მუშაობა ისაკაძე ხელმძღვანელობდა, კარგად იცოდა ამ სახალხო ზეიმის ისტორიული მნიშვნელობა, რისთვისაც მან გაითვალისწინა და გააკეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. კომიტეტმა სანიმუშო ორგანიზაციული მუშაობა აწარმოვა, თეატრალური ამაგი დასდო შთამომავლობას.

პრესის მუშაკებს მოგზაურობაში მონაწილეობა რომ არ მიეღოთ, ადგილებზე წარმოთქმული სიტყვები ვერ შეიკრიბებოდა, კომისიას ოპერატორი და მხატვარი რომ არ წაეყვანა, ასეთი ძვირფასი კინოფილმი და ფოტოალბომი აღარ გვექნებოდა. მაშინ მოგზაურობას სრულყოფილად ვერავინ აღწერდა და ცალკეულ შეხვედრებს მხოლოდ დამსწრენი მოგონებებით თუ აღადგენდნენ.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში მე მიფიქრია ამ თემაზეც. არაერთი კონკრეტული საკითხი, ფაქტი და მოვლენა შევისწავლე. მოვიპოვე მრავალი ახალი ცნობა ისტორიულ ადგილთა და პირთა შესახებ. ქართულ პრესაში 1938 წლიდან უბეჭდავ ნარკვევებს; „საბჭოთა მწერალმა“ 1947 წელს გამოსცა ჩემი წიგნი. 1947 წელსვე აღძარი საკითხი კინოფილმის აღსადგენად. მისი დედანი მოიძებნა 1953 წელს (1.200 მეტრი ფირიდან შემორჩა 600 მეტრი ფირი). ამ ისტორიულ-დოკუმენტური ნაწარმოების გადამუშავებას (განახლებული ხმოვანი კინოფილმის შექმნას) დიდხანია მოვიტხოვ; „პირველი ქართველი კინოოპერატორი“ ვასილ ამაშუკელს 1947 წელს პირველად მე ვუწოდე; ჩავიწერე დერჩელი სწავლული აგრონომის მელქისედექ ასათიანის მდიდარი მოგონება, რაც გამორჩენილ და ნაკლებდამუშავებულ საკითხს (აკაკისთან ქვემო ლეჩხუმში შეხვედრას) აშუქებს. სოფელ დერჩეში ვივარდნიე აკაკის სახელობის სავარძელს და გამოვავლინე ქართული კულინარიის იშვიათი მიღწევა (უძველეს შემწვარი ქათმის კერძის დამზადება); პედაგოგ ლონგინოზ კიკვიძის ჩამბობის მიხედვით აღვადგინე აკაკის მიერ ჭრებალლოში წაღობული ლექციის შინაარსი და რუს ტურისტებთან ამბრო-

ლაურის მახლობლად წარმოთქმული სიტყვა; 1952 წელს ქუთაისში აღმოვაჩინე მხატვარ კოტე ქავთარაძის ნაშრომი — უნიკალური ფოტოალბომი, რაც 84 სურათს შეიცავს; ვასილ ამაშუკელმა, კარლო გოგოძემ და მე 1955 წელს ვიმოგზაურეთ აკაკის ნაკვალევზე. თერთმეტი საღამო ჩავატარეთ იმ დაბა-სოფლებში, სადაც არაჩვეულებრივი შეხვედრები მოუწყვეს აკაკის. ამ პერიოდშიც შევაგროვე რამდენიმე ხალხური თქმულება და გადმომცეს მოგზაურობის დროს წარმოთქმული უცნობი სიტყვებიც (ხელნაწერები).

„მოგზაურობის აღწერილობის“ ძირითადს ნაწილს შეიძლება ეწოდოს „ქებანი“ ანუ სიტყვები, რომელნიც სულმნათ აკაკის სადადებლად ოფიციალურ შეხვედრებზე და აგრეთვე ნადიმებზე სადღეგრძელოებად წარმოითქვა. „ქებანში“ ძალუმად იგრძნობა ქართველთა გულისთქმა — მათი პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთება. სოციერთი სიტყვა ქუჭმარიტ შემოქმედს შეუთხზავს და ქართული მკვევრმეტყველების შედეგად ჩაითვლება.

ამ კრებულში არ შევიტანე ყველა სიტყვა, რომლებიც ღებეჭდილი წყაროებით დღემდე ცნობილია. ბევრი მათგანი მსგავსი შინაარსისაა, თუმცა სხვადასხვა დროსა და ადგილზე წარმოთქვეს ისინი. ამ თვალსაზრისით, ერთფეროვნება როცა არ გვექონოდა და მკითხველის ყურადღება არ დადლილიყო, მე რამდენიმე სიტყვა შევამოკლე და ნაწილიც არ გამოვიყენე.

ამ წიგნში მოთავსდა უცნობი მემუარული მასალა — აკაკის მომსწრეთა მოგონებები.

რაკველ-ლუჩხუმელთაგან ჩემი მუდმივი ინფორმატორებორეყვნენ: ვლადამერ ფოფხაძე, ლონგინოზ კიკვიძე, იაკობ ვარაზაშვილი, მელქისედექ ასათიანი, სტრატონ მინდელი, ზინა ჯაფარიძე, სამსონ ფრუიძე, გიორგი გელოვანი, ალექსანდრე ასლანიკაშვილი, პანტელეიმონ ბოკორიშვილი, ბიძინა გელოვანი, მელქო კატკაჭაშვილი, ვლასი ცხვედიანი, სოვრატ ასათიანი, დავით ხეცურიანი, სოლომონ წიხლაძე, გიორგი ჩაჩხიანი... ეს ინფორმატორები კარგახანია გარდაიცვალნენ.

აქ ყველგან პირველწყაროები დამოწმებულია, სათანადოდ შეფასებულია ყველა ავტორისა და ინფორმატორის შრომა.

აკაკიმ რაქა-ლეჩხუმში სხვადასხვა ადგილზე წაიკითხა სასაჯარო ლექცია და წარმოთქვა სიტყვები. ეს მასალა და პოეტის საუბრებიც ამ კრებულში მოთავსდა.

მსვლელობის განრიგი. ზეიმი გაიმართა მდინარეთა რიონის, შორისა და ლაჯანურის ხეობებში — შეხვედრები ჩატარდა ქუთაისსა და ლეჩხუმ-ოკრიბის „საზღვარას“ შორის (იმერეთი), ზემლის მთის კალთაზე — „საზღვარას“ და „ნიკორიძის“ შორის (ქვემო ლეჩხუმი), ტვიშის კლდეკარსა და შდ. ასკს შორის და დაბა ლაილაშამდის (ზემო ლეჩხუმი), მდ. ასკსა და „ხიდიკარს“ შორის და „საწალიკის“ მთის შიდა-ძობებში (ქვემო რაჭა). „ხიდიკარსა“ და დაბა ონს შორის (ზემო რაჭა).

შესწავლილ იქნა ძირითადი დასახლებული პუნქტები (რაქა-ლეჩხუმის სამხედრო გზაზე მდებარე დაბა-სოფლები და სადგურები): კომა, გუმათი, ოფურჩხეთი, ნამახვანი, მექვე-ნა, ტვიში, ნიკორიძი, ალპანა, საირმის „უდაბნო“, ჭრება-ლო, ტოლა, ხვანჭკარა, ჩორჯო, ბუგეული, ბოსტანა, სადმელი, ძირაგეული, ხიდიკარი, კვაცხეთი, წესი (ბარაკონი), ამბრო-ლაური, ხოტევი, ჭელიაღელე, ნიკორწმინდა, სორი, ნიგვზ-ნარა, ონი, ქილეში, ლაილაში.

მოგზაურობა მიმდინარეობდა თორმეტ დღეს ამ განრი-გით:

შ ა ბ ა თ ს, 21 ივლისს (ძვ. სტ.), წასვლა ქუთაისიდან დი-ლის 7 საათზე და საღამოს ჭრებალოში მისვლა;

კ ვ ი რ ა ს, 22 ივლისს, ლექცია და ნადიმი ჭრებალოში, საღამოს წესში (ბარაკონში) მისვლა;

ო რ შ ა ბ ა თ ს, 23 ივლისს, ბარაკონის ეკლესიისა და სა-სახლის დათვალიერება და ნადიმი;

ს ა მ შ ა ბ ა თ ს, 24 ივლისს, ნიკორწმინდისაკენ გამგზავ-რება დილის 10 საათზე, 3 საათზე ნადიმი ნიკორწმინდაში;

ო თ ს შ ა ბ ა თ ს, 25 ივლისს, ნიკორწმინდის ტაძრის და-თვალიერება;

ხ ე თ შ ა ბ ა თ ს, 26 ივლისს, დილით წასვლა ნიკორწმინ-დიდან (ხოტევისა და ამბროლაურის გავლა), ღამის გათევა სოფელ სორში;

პ ა რ ა ს კ ე ვ ს, 27 ივლისს, 11 საათზე გამგზავრება სო-

ჩიდან და დაბა ონში შესვლა. სალიტერატურო სადამო ონში;
შ ა ბ ა თ ს, 28 ივლისს, ნაშუადღევს 4 საათზე ნადიმი
ონში;

კ ვ ი რ ა ს, 29 ივლისს, ნაშუადღევს 4 საათზე წამოსვლა
ონიდან; ღამის გათევა ბარაკონში;

ო რ შ ა ბ ა თ ს, 30 ივლისს, დილით გამგზავრება ბარაკონ-
ნიდან, ღამის გათევა სოფელ ხვანჭკარაში;

ს ა მ შ ა ბ ა თ ს, 31 ივლისს, დილით წასვლა დაბა ლაილა-
შისაკენ; ორპირის (ლაჩანურის ხეობის) გავლა, ღამის გათე-
ვა ლაილაშში;

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს, 1 აგვისტოს, დილით წამოსვლა ლაილა-
შიდან და სადამოს ჩამოსვლა ქალაქ ქუთაისში.

მოგზაურობის მომწყობმა კომიტეტმა მიიწვია გრიგოლ
რობაქიძე ზეიმში მონაწილეობისათვის და სთხოვეს — აკაკის
საპატივეცემულად მას ორივე სამაზრო ცენტრში ჩაეტარებინა
საჯარო ლექციები. ამ ღონისძიების გატარება ორატორის
ნება-სურვილიც იყო, მაგრამ ვერ მოხერხდა მისი პირადი
(ოჯახური) მდგომარეობის მიზეზით (იხ. „სახალხო გაზეთი“.
1912. 6 ივლისი. № 642).

მგოსანს თანამგზავრებად ახლდნენ ნათესავეები და ქარ-
თული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები: თბი-
ლისიდან — გაზეთ „თემის“ რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ
დიასამიძე. მწიგნობარი სოსიკო მერკვილაძე, მოგზაურობის
მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარე მუშა იობა ისაკაძე,
მომვლელი კოტე აბდუშელიშვილი, ძმისწული ვასილ წერე-
თელი, მხატვარი კოტე ქავთარაძე; ქუთაისიდან — მასწავლე-
ბლები ვასილ პეტრიაშვილი და სამსონ დათეშიძე, იაკობ ვა-
რაზაშვილი. გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორი მიხეილ ჭაფარი-
ძე, კორესპონდენტი ლადო ბზვანელი და კინოოპერატორი
ვასილ ამაშუკელი.

შეხვედრა უდიდეს ეროვნულ დემონსტრაციად გადაიქცა.
ეს ზეიმი ფართოდ გვაცნობს აკაკის შემოქმედების სიდიადეს
და, რაც საგულისხმოა, იგი ნათლად ადასტურებს ამ კუთხის
ზალხის უებრო სტუმართმოყვარეობასა და კულტურის მაღალ
ღონეს.

ყველანი — ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ერთ-

ნაირად აღტაცებულიყვნენ და ცდილობდნენ მოზღვავებული გრძნობა ყოველმხრივ გამოეხატათ.

აკაკისადმი მიძღვნილი სიტყვები (პროზად და ლექსად) გარეშე მაყურებელზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ეს მხარე დასახლებულია მხოლოდ პოეტებით, მხატვრული სიტყვის ოსტატებით და შეჯიბრება არის გამართული.

ეს აზრი კერძო საუბარში კიდევაც გამოთქვა დიდმა მგოსანმა. მან მოიგონა კახეთში მოგზაურობა, ხალხის მიერ გულწრფელი შიღება, მაგრამ აღნიშნა, რომ ასეთი ორატორობის მსგავსი რამ მას იქ არ უხილავს.

აქ წარმოთქმულ სიტყვათა უმრავლესობა ნაციონალ-რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, გამოსატავდა პროტესტს მეფის მთავრობის პოლიტიკისადმი მცირე ერების მიმართ, აწმყოსაგან შექმნილ უკმაყოფილებასა და ნეტარი მომავლისაკენ მისწრაფებას.

ქუთაისსა და რაჭა-ლეჩხუმის ძირითადს დაბებში შექმნილი იყო კომისიები, რომლებმაც იცოდნენ აკაკისთან შეხვედრის დრო და იმ დღეებისათვის ემზადებოდნენ.

წამოსვლა თბილისიდან — შეკრება ვერის „ედემის ბაღში“. მოგზაურობა მოეწყო დედაქალაქში მცხოვრები რაჭველი მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციის თაოსნობით. თბილისის კომიტეტში შედიოდნენ იობა ისაკაძე, სერგო მუსხრიაძე, ნეოფიტე აგლაძე, ნოე გოშაძე... ვერის „ედემის“ ბაღში დიდი ბანკეტი გაუმართეს მგოსანს. აქ მათ შეიმუშავეს მოგზაურობის ჩატარების გეგმა.

კომიტეტის თავმჯდომარემ მუშა იობა ისაკაძემ აკაკის მიმართა სიტყვით და საჩუქრად გადასცა ოქროს კალამი.

„მთელი თბილისის რაჭველები, — თქვა მან, — საერთოდ აღტაცებით მოგიძღვნით უგულითადეს სალამს და ღმერთსაც ვსთხოვთ დიდხანს გაგრძელებულიყოს თქვენი ბედნიერი სიცოცხლე და ბასრი კალმის მუშაობა საქართველოს კეთილდღეობისა და ზნეობის ასამაღლებლად. პატივისცემის ნიშნად მოგართმევთ ოქროს კალამს. დღეს უადრეს ბედნიერად ვრაცხთ ჩვენს თავს, რომ აასრულეთ ჩვენი სურვილი და ინებეთ ჩვენი მოძმეების ნახვა.

გარწმუნებთ, რომ, როგორც ჩვენ — იქაურები — გაცო-

ლებს დროს აღტაცებული ვართ, ისე ქუთაისში მყოფი ჩვენი თანამოძმენი, რაჭა-ლეჩხუმის ყოველი მცხოვრები მიგეულიან და შეჭნატრიან თქვენთან შეხვედრის უამს, რათა თქვენს გაბადრულ და მადლიან სახეს ერთი წამით მაინც გადაავლონ თვალი თავიანთ სიცოცხლეში.

ღმერთსა ვსთხოვეთ კეთილად გემგზავროთ და კმაყოფილად დაბრუნებულყოთ თქვენი საყვარელი სამშობლოს ამ კუთხიდან!..“

პოეტმა მადლობა შესწირა და თქვა: „ჩემი სიმბათია მუდამ მიპყრობილი იყო იმ კუთხისაკენ, რომლის წარმომადგენლებსაც დღეს აქ ვხედავ. იგი თავისი საარაკო შრომიით და გარჯით საუცხოო მაგალითს აძლევს საქართველოს დანაჩენ კუთხეებს. ეს ძვირფასი კალამი, რომელიც ძღვნად მომიტანეთ, ამტკიცებს ჩემდამი თქვენს სიყვარულს, მაგრამ ეს მარტო მე არ შეეუთვნის. ეს იმისიკაა, ვინაც ჩემ შექვევ განაგრძობს ქვეყნის სამსახურს...“

აკაკის თურმე გული აუჩუყდა, აცრემლდა, შემდეგ განაგრძო: „ეს ნიშანია იმისა, რომ კვლავ ავიღო და ვიხმარო, მაგრამ მე ველარ დავწერ მს, რისი შექმნაც მსურდა... დაერსხვებმა შეასრულონ ეს...“

რაკველმა მოქალაქემ ვასილ კერესელიძემ თქვა: „შოთა გვასწავლის: „ხაობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ეს ანდერძი აღასრულა სულმნათმა მგოსანმა აკაკიმ, რომლის წინაშე შევკრებილვართ საქართველოს ერთი კუთხის შვილები, დიდი კანაბერის სამშობლოს წარმომადგენლები. თქვენმა ღვთაურმა ნიჭმა მოიხადა საკაცობრიო მოვალეობა. ამისათვის თაყვანს გცემენ თქვენი ერის შვილები და თქვენს სიყვარულს საშვილიშვილოდ გადასცემენ შთამომავლობას.“

ნება მიბოძეთ. თქვენ მიერ შექმნილი ლექსი, რომლითაც აღიდეთ ჩვენი სათაყვანებელი მგოსანი შოთა რუსთაველი, თქვენვე მოგიძღვნათ:

სულმნათო მადლი შენს გამჩენს,
ღიდება ერსა, შენს მშობელს
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარხსენება ამ ს...-ის...

სახალბო მეჭლისზე ისაუბრეს პრესის მუშაკებმა გიგო დიასამიძემ, რუბენ ყიფიანმა, არისტო ჭუმბაძემ, პართენ გოთუამ, სოსიკო მერკვილაძემ.

„აქ სხვათა შორის, — ბრძანა მგოსანმა, — გაიხსენეს ჩემი სტრიქონები: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს“. ეს მე ორმოცი წლის წინათ ვთქვი, როცა ასეთი რამ საფრთხილოც იყო და საეჭვოც. ჩემი წინასწარი ნააზრევი დღეს უკვე გამართლებულია, ახლა რომ დავეწერა იგი, ვიტყვოდი — აღარ სძინავს, გაიღვიძა-მეთქი. ეს გაღვიძება სიამითა და სიხარულით ავსებს ჩემს მოღალულ არსებას. დიახ, ქართველმა უკვე გაიღვიძა!..“

ლხინის ბოლოს ფერხული შეასრულეს. მგოსანი თამაშში ჩააბეს. წრის შუაგულში დააყენეს და ორპირი შედახლით ირკვილევ უვლიდნენ. სიმღერითვე გააცილეს იგი და გზა დაულოცეს.

გამგზავრება ქუთაისიდან. თანმხლებლებმა წაიღეს სპეციალურად გამოცემული აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული და სურათი, რომლებიც ხალხს უფასოდ დაურიგეს.

19 ივლისს აკაკი ქუთაისშია. მას რკინიგზის სადგურზე შეიგებნენ. აქ მოისმინეს ქუთაისის კომისიის თავმჯდომარის ვასილ პეტრიაშვილის სიტყვა.

21 ივლისს დღლით სასტუმრო „გრანდ-ოტელთან“ დიდძალი ზალხი შეიკრიბა პოეტის გასაცილებლად. აკაკი და მისი თანამგზავრნი ეტლებით გაემართნენ რაჭა-ლეჩხუმისაკენ. გზაზე მათ საჩუქრებით ხვდებოდნენ. ცხენოსანი ახალგაზრდობა სიმღერითა და თოფის სროლით რაზმებად მიჰყვებოდა უკვდავ მგოსანს.

ქალაქის განაპირას, ჭომაში, სპირდონ წერეთლის ეზოში საუზნე მიიღეს.

ოფურჩხეთში, ულამაზეს ჩანჩქერთან, პოეტს მგზავრობა დაულოცა მღვდელმა აღ. გერსამიამ და ლექსი მიუძღვნა რკინიგზის მუშამ მ. ხომასურიძემ.

განვლეს სადგური ნამახვანი, სადაც სამი კილომეტრის შემდეგ, მთა „საზღვარაზე“, რომელიც იმერეთისა და ლეჩხუმის გამყოფი უღელტეხილია, ამოიკითხეს სუროს ფოთლების ჩარჩოში ჩასმული წარწერა „ლეჩხუმი“.

შეხვედრა ქვემო ლეჩხუმში (მექვენაში). დერჩელი სწავლული აგრონომის მელქისედექ ასათიანის (1893—1977) მოგონება დიდი პოეტის ქვემო ლეჩხუმში მიღების ამბავს გადმოგვცემს. ეს მასალა თვალსაჩინოდ ასახავს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს, რაც აკაკის თანამგზავრ ჟურნალისტებს მკრთალად ჰქონდათ გაშუქებული.

1912 წლის ზაფხულზე დერჩის საზოგადოებამ მიიღო სასიხარულო ცნობა, რომ ივლისის თვეში განზრახული იყო აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

დერჩი ქვემო ლეჩხუმის — ე. წ. „კლდედაღმართის“ ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა. იგი თორმეტ სოფელს აერთიანებდა.

საზოგადოების მოწინავე ნაწილი — სტუდენტობა და სოფლის ინტელიგენტური ძალები — პრესის ფურცლებზე თვალყურს ადევნებდა თბილისის კომისიის მიერ შემუშავებულ მარშრუტს — მოგზაურობის ჩატარების გეგმას. ატყობინებდა ყველას და სურდა მგოსანთან შეხვედრა სადგურ შექვეხაში სახალხო დღესასწაულად გადაექცია.

ამ ჭგუფს ქუთაისის კომისიასთან კავშირი ჰქონდა და დანიშნული დროისათვის ემზადებოდა.

საერთო ხელმძღვანელებად გამოყოფილი იყვნენ სტუდენტები — ვალერიან სარიდანის ძე ახვლედიანი და ნიკო ლევანის ძე ასათიანი. შესავალი კარი — კამარა უნდა გაეფორმებინა მასწავლებელ ვალერიან ასათიანს. შეარჩიეს კაცები, რომელნიც კარ-კამარიდან სკოლამდის, მთელ ხედზე (300 მეტრის მანძილზე), ხალიჩებსა და ვარდ-ყვავილებს მოფენდნენ, საზოგადოებას მწყობრად დაალაგებდნენ და სრულ წესრიგს დაიცავდნენ.

მომზადებული იყო მომღერალ ქალიშვილთა გუნდი, რომელსაც საშა ფარსადანის ასული ახვლედიანი ლობთარობდა. შეადგინეს აგრეთვე ცხენოსანთა ჭგუფიც. იგი ეროვნულ ტანსაცმელში გამოეწყობოდა.

პასუხისმგებელ დიასახლისებად აირჩიეს გამოცდილი მეოჯახე ქალები — ნინო ბერიძის ასული ასათიანისა და კონია ერისთავის ასული ასათიანისა. მათ სამასი კაცისათვის გათვა-

ლისწინებული სუფრის მოწყობა და სამსახური ჰქონდათ და-
ვალელები.

წინა დღით, სადამოს, ცნობა ზოვიდა: აკაკი ხვალ, დღით
ადრე გამოემგზავრებაო. ჰოეტს ჰყავსო თანმცლებნი.

21 ივლისი იყო, შაბათი. მშვენიერი ამინდი იდგა. „სწამ-
ლულა“ საამოდ ქროდა.

ყველა — ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა — მექ-
ვენის სადგურისაკენ მიეშურებოდა. ხალხი სწრაფად შეიკრი-
ბა.

ცხენოსნები საჩქაროდ გაემართნენ „საზღვარასაკენ“, სა-
დაც მგოსანს პურ-ღვინო შეაგებეს. აქ იასონ ახვლედიანი
სიტყვით მიესალმა მგოსანს: „ერთი თვეა, რაც შევიტყვო,
აკაკი მობრძანდებო. თქვენი სახელის ხსენებაზე გულიდან
რალაც მძიმე რამ მოგვეწყდა, თითქოს ბორკლები დავამსხვ-
რიეთ და გავთავისუფლდით. აი, ჩვენო ღიდებავ. ხალხის გუ-
ლისტქმა და სიხარული. თქვენი მჭუხარე სიტყვა ამ კლდე-
ღრესაც გამოაღვიძებს. ვაშა, ჩვენო ჰირისუფალო, რომ
თქვენი ენა გახდა სათაყვანებელი. ბედნიერი ხართ, რომ
თქვენმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო!..“

ლეჩხუმელები სტუმარს მწყობრი სვლით შოაცილებდნენ.
მექვენის შესავალში, მთის დიდ წყაროსთან (სადაც ახლა
ელსადგურია აგებული). გაკეთებული იყო სურათი და დაფ-
ნით მორთული კამარა წარწერით: „ფანდახად გაგეგებით“.

ადგილს თაღის გვერდით მომღერალ ქალიშვილთა გუნდი
დაიქერდა. შარავხას ხალიჩებითა და ვარდ-ყვავილებით ავ-
სებდნენ.

სამი კილომეტრის მანძილიდან — „საკაპწიის“ შემოღმარ-
თიდან — წინდაწინ მოჭირითე მახარობელმა ცხენოსანმა
ვალერიან ასათიანმა თოფის გასროლით ნიშანი მისცა მექვე-
ნას და მით აკაკის მოახლოება აუწყა. სტუმრები მაშინ „მო-
ლეკურაზე“ სოფ. ონჭეიშთან იქნებოდნენ.

მალე მგოსნის ეტლიც გამოჩნდა. მას ცხენოსნები სიძლე-
რითა და ჭირითით მიჰყვებოდნენ.

საზოგადოება კარ-კამარიდან სკოლაჰლის პირისპირ რაგ-
ზე დაეწყო. მთლად გათეთრებული მოხუცი თაიგულებით
მორთულ ეტლში იჯდა. ეტლი წყაროსთან გაჩერდა. იქვე მახ-

ლობლად, კლდოვან ბორცვზე, გადმომდგარიყო პატარა ვოგონა კუქუშა ასათიანი. მან აკაკის ლექსი „განთიადი“ წააკითხა. მგოსანმა ბავშვი ხელში აიყვანა და მიუღალერსა.

ქალთა გუნდმა მისაგებებელი ტკბილი ჰანგი შეასრულა. მგოსანს სავარძელი მიართვეს, შიგ ჩასვეს, მალლა ასწიეს და წაიყვანეს. გუნდი პოეტს გალობით მიუძღოდა.

აკაკი გულთბილად ესალმებოდა მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულ ქალსა და კაცს. მთელ მანძილზე გაისმოდა შეძახილი: „სიცოცხლე საყვარელ მგოსანს — ძვირფას სტუმარს!..“ აკაკი თავისი სავარძლით სკოლის წინა მოედანზე ვაშლილ სუფრასთან ჩამოსვეს.

პირველ საათზე ნადიმი გაიმართა. სუფრას სამასზე მეტი კაცი უსხდა. თამადად აირჩიეს მოხუცი უშანგი ასათიანი. თახაშემწედ — ამბაკო ახვლედიანი. მასპინძლები მგრძნობიარე სიტყვებით მიმართავდნენ იშვიათ სტუმარს, ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებდნენ მას და მისი ხილვით გამოწვეულ უსაზღვრო აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ.

მოხუცმა პეტრე (სიკო) ასათიანმა აკაკის შემდეგი სიტყვა უთხრა:

„სასიქადულო მამულიშვილო! ძველთაგან გამიგონია: სანამდის ვარ ცოცხალი, ნათელი ვარ სოფლისაო. ეს თქმულა საერთოდ საზოგადო მოღვაწეზე. თქვენზე ეს ცოტაა. თქვენ მანამდის იქნებით ნათელი, სანამ თქვენი მშობელი ქვეყანა ქვეყნად იარსებებს, არ მოკვდება, ხოლო საქართველო უკვდავია. ჩვენ, მრავალ ჭირ-ვარამის მომსწრეთ, ადგიტაცებს ეს სიხარული, რომ ამ მივარდნილი კუთხის მკვიდრნი თავიანთი ნება-სურვილით შემოკრბნენ თქვენს გარშემო, პირისპირ გნახეს, გაგეცნენ და ეს დღე გაიხადეს არნახულ ზეიმად, რომელიც შვილსა და მომავალს თქვენს სამარადისო ნეტარხსენებად გადაეცემა“.

აკაკის მიართვეს დიდი ხონჩა, რომელზედაც დალაგებული იყო საგანგებოდ გამზადებული უძელოდ შემწვარი ქათმები — გახვეული სპირტით ანთებული ცეცხლის ალში. ცოტა ხნის შემდეგ ალი გაქრა და ორიგინალური შეჭამაჲდა გამოჩნდა.

მისალმებათა შემდეგ მგოსანმა სამადლობელი სიტყვა

წარმოთქვა: „ღირსი არა ვარ ამდენი ქება-დიდებასა. მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შემისრულებია. აწ იმედი მაქვს, რომ უკეთესად მომზადებული ჩვენი შვილები განაგრძობენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას“.

რაკველ-ლეჩხუმელებს უკვირდათ, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ დიდმა აკაკიმ საქართველოს ყველა კუთხე მოვლო და რაქა-ლეჩხუმი ბოლოს დაიტოვა. ეს თვით აკაკისაც ხშირად სმენია.

აკაკიმ ამ შეკითხვის პასუხი მექვენაში ასე განმარტა: „ბატონებო! მადლობას გიძღვნით ასეთი გულწრფელი თანაგრძნობისათვის. ჩემდამი მომართული ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, გადაქარბებულად მიმაჩნია. ქართველებს ჩვეულებად გვაქვს და გვიყვარს გადაქარბება. ამდენი ქება-დიდებას ღირსი მე არ ვარ. რაც შეეხება იმას, რომ საქართველო ყველა კუთხე მოვიარე და თქვენი ქვეყანა, რაქა-ლეჩხუმი, სადაც ქართული ენა და ზნე-ჩვეულება დაცულია უფრო წმინდად. ვიდრე სხვაგან, ვერ ვინახულე, მე ამაზე ბოლო ვიხდი, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი ნახვა გადავდე ბოლოს. როგორც სადილის დამთავრებისას სტუმარს მიართმევენ რაიმე ტკბილეულობას ყელის ჩასაგემრიელებლად; მეც ასე ვიფიქრე, საბოლოოდ შემენახა ამ კუთხის დათვალიერება, რათა მოხუცებულობის ქაშს დავმტკბარიყავა და ეს კიდევ აღმისრულდა“.

ეს სიტყვა აკაკიმ კრებალოშიც განიმეორა.

ნადიმი ორ საათს გაგრძელდა. შემდეგ საერთო სურათი უნდა გადაეღოთ.

ზეიმის ხელმძღვანელებს არ სურდათ სურათში გამოხატულიყო იქვე მარცხნივ მდგომი სასოფლო სამმართველოს შენობის წინ აღმართული იმდროინდელი სამეფოს ორთავიანი არწივის ღერბი.

ისინი გაუთამამდნენ მამასახლისს თევდორე კიბორძაღიძეს და სთხოვეს: თევდორე, იმ აბრას რამე ჩამოაფარეო!

თევდორე მათს დავალებას ასრულებდა, მაგრამ აბრა, რომელზეც ღერბი იყო დამაგრებული, ძირს ჩამოუვარდა.

აკაკიმ გაიციხა და თქვა: „დიდ ერთგულებას იჩინს ეს ჩვენი მამასახლისიო“. მხატვარმა კოტე ქავთარაძემ აგრეთვე

გადაიღო აკაკისა და აქაური დერჩელი წერეთლის ვოკონას ცალკე სურათი.

აკაკი ისევ სავარძელში ჩასვეს და ერთხანს ხელით ატარეს. მთელი ხალხი თან მიჰყვებოდა. შარაგზის ჩრდილოეთით მდებარე კლდოვანი მთები შორი-შორ დანადმული იყო. ნაღმები ხანგამოშვებით ფეთქდებოდა. მთიდან მთაში უცნაური გრიალი ისმოდა. შეხვედრის მთელ პროცესს კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი იღებდა.

აკაკის მოეწონა ხვამლის მთის ძირში და მის მახლობლად გაშენებული სოფლები: ქორენიში, ტვიში და ორბვი. ამ სოფლებს წარმოუტაც სილამაზეს აძლევს რიონის ხეობის ორივე მხარეზე ცად აწვდილი სალი კლდეები, სადაც რამდენიმე გამოქვაბული და ხელოვნური კედელი ნათლად მოჩანს.

აკაკის ყურადღება გაამახვილა ხვამლის მთავარმა ქვაბულმა, რომელიც წინათ სახელმწიფო განძსაცავი იყო.

პოეტი „ვერძისთავამდის“ მიაცილეს და რაჭისაკენ გაამგზავრეს.

ტვიშსა და კრებალოს შორის. ალპანაში, სადაც გზა იყოფა და ერთ-ერთი ჩრდილოეთ ლეჩხუმს უკავშირდება, აკაკის სთხოვეს რაჭიდან დაბრუნების შემდეგ შებრძანებულიყო ლაილაში, ორბელსა და ცაგერში. პოეტმა მათ ლაილაში მისვლის თანხმობა აღუთქვა. ცაგერში გადასვლას კი ვერ შევძლებ, რადგან ეტლი ვერ მიდის და ცხენოსნობა არ ძალმიძს.

ალპანაში მგოსანს მიესალმნენ თავადები — ერმალო ველოვანი, ლევან დადეშქელიანი და ერაჯი ჩიქოვანი. ხუთოწლის გოგონამ გოგუცა ნიკოს ასულმა კუპრაშვილმა მიმზიდველად წაიკითხა აკაკის „განთიადი“.

მიუახლოვდნენ სოფელ საირმის „უდაბნოს“. ხალხური გადმოცემით, აქ ყოფილა ქალაქი, რომელიც უხსოვარ დროს მიწისძვრის გამო ჩაქცეულა ორასი მეტრის სიმაღლეზე. დარჩენილია მაღალი კლდოვანი სვეტები. ერთგან კლდის ნაპრალიდან, ამოდის კვამლი, რაც განსაკუთრებით ზამთარშია შესამჩნევი. იქვე სახნავი მიწაა. მას „კლდეშუას“ უწოდებენ, წყაროს კი — „ქალაქისკოდს“.

წინათ იქ იყო მონასტერი, სადაც ბერები ცხოვრობდნენ. მათს ტყეს „საბეროს“ ეძახიან.

„უდაბნოს“ ჩრდილოეთით, მთის კალთებში, მდებარეობს მდიდარი სოფელი საირმე, სადაც ორისი გლეხი ცხოვრობს. საირმის „უდაბნოს“ უღელტეხილთან, სადაც ძნელ აღმართსა და დაღმართში გზა საოცრად დაკეცილია, აღმოსავლეთით თვალწარმტაცი სანახაობა მოჩანს. მნახველის მზერას ქვემო რაჭის ხედი იპყრობს. საირმის „უდაბნოს“ ხილვამ აკაკი ალტაყებაში მოიყვანა, წარუშლელი შთაბეჭდილებით აღავსო მისი არსება.

რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე — აკაკის ლექცია ჭრე-ბალოში. უდიდესი აღფრთოვანებით მიეგებნენ დიდებულ მოხუცს სოფელ ჭრებალოში. ჭრებალო ეთნიკურად შედის ლეჩხუმში და რაქასთან ლეჩხუმის საზღვრად ითვლება.

აქ დეკანოზმა ნესტორ ფრუიძემ პოეტს მიმართა სიტყვით:

„მოგეგებებით რა სამღვდლოება და ერი ლოცვა-კურთხევით, ვმადლობთ ღმერთს, რომ ჩვენი პატარა მხარეც გახდა ღირსი თქვენი მობრძანებისა. ჩვენ უზომო სიხარულს ვგრძნობთ თქვენი ხილვით. ჩვენთვის ეს დღე შესანიშნავი და ღირსსახსოვარია. თქვენ მამა ბრძანდებით უკვდავი და სასულიეროვანი ჩვენი ერისა, ლამპარი მანათობელი და ჩაუქრობელი. თქვენ ყველასათვის გულმსურვალედ იღვწით და შრომობთ, ყველას ჰშველით და თანაუგრძნობთ. ბევრი საუკუნე გაივლის, რომ თქვენი სახელი არ გაქრება ხალხის ცხოვრებაში. გიხაროდეთ, რომ თქვენებრ თავდადებულ მოღვაწეს მოელის ჯილდო — ზეციური გვირგვინი და ნეტარება. ვმადლობთ, უკვდავო მგოსანო, რომ ჩვენც არ დაგვტოვებთ უნახავად და გაგვაბედნიერებთ მობრძანებით. ვევედრებით უფალს თქვენს დღეგრძელობას, რათა კიდევ გვღირსებოდეს თქვენი ნახვა და სალაშქრო...“

სიტყვით გამოვიდა ჭყვიშელი გლეხი იასონ ლუხუტაშვილი.

ხალხის წინ აღიმართა მაღალი, პირხმელი და ენამახვილი ქართველი ქაიხოსრო გელოვანი. ქ. გელოვანმა, რომელიც

ქართული პრესის მუდმივი თანამშრომელი იყო, წაიკათხა შემდეგი ლექსი:

მსოვანი მწირი დიდებულ მგოსანს
კრძალვით მოგიძღვნი თაყვანისცემას,
ვილოცავ გვირგვინს უკვდავებისას —
ნაყოფს ზეციურ შენი ნიკისას.

შენ გააღვიძე შინარე ხალხი.
შენ შთაბერე მას ფხიზელი სული,
მისთვის პატივს გცემს მშობელი ერი,
შენით ფენიქსებრ განახლებული.

გამოიფხიზლა შენმა სამშობლომ,
შეიგნო შენი დიადი ღვაწლი,
იხარე სულით, დიდო მგოსანო,
რომ აღასრულე შენ შენი ვალი..

მგოსანს დიდებულად გაუმასპინძლდნენ და მოსვენეს.

მეორე დღეს „მ-9“ საათიდანვე, — წერს ლალო ბზვანელი, — დიდმა და პატარამ იწყეს მოსვლა ყოველი კუთხიდან. მგოსანი ამ დროს ჩანჩქერთან იჯდა და მუსაიფობდა. 12 საათზე აკაკი ჩასვეს მორთულ სავარძელში და ხელით ჩამოატარეს ქუჩებში. იქეთ-აქეთ იღვა საზოგადოება. დაახლოებით იქნებოდა ხუთათასამდე ადამიანი. აკაკი მიიყვანეს ქუჩის ბოლოს აღმართულ კათედრასთან. გარშემო შემოესია ხალხი. მგოსანმა დაიწყო თავისი ლექცია“ (გვ. 30).

აკაკის თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართულ ფოლკლორისტიკაში. იგი ხალხურ ნაწარმოებთა შეკრება-გამოცემისათვის დაუღალავად ზრუნავდა.

მგოსნის ლექციაც ამავე მიზანს ისახავდა. მას მსმენელებში ხალხური შემოქმედების შესწავლისადმი ცხოველი ინტერესი უნდოდა აღეძრა.

კრებულოში ლექცია ჩატარდა კვირას, 22 ივლისს (ძვ. სტილით), დღისით და თითქმის ერთი საათი გაგრძელდა.

უხსოვარი დროიდანვე, — უთქვამს აკაკის, — როცა დამწერლობაც არ იყო, ხალხი თავის ჭირსა და ღზანს, მისწრაფება-სურვილებს, შეხედულებებს საგნებსა და მოვლენებზე

გამოთქვამდა ზეპირი მეტყველების საშუალებით, რაც ზეპირადვე გადმოეცემოდა თაობიდან თაობას.

ზეპირსიტყვაობაც და მწერლობაც ერის ცხოვრების საჩუქეა. ხშირად ზეპირგადმოცემა ასახავს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდს, ან რაიმე ფაქტს, რომელზეც წერილობითი ძეგლი არ გაგვაჩნია. ამ მხრივაც დღია მისი მნიშვნელობა.

ბევრი ნაწარმოები უკვე ჩაწერილია, მაგრამ ხალხური შემოქმედება ამოუწურავია. უძირო და დაუშრეტელი ზღვაა ყოველი შეგნებული ადამიანი მოვალეა შეაგროვოს ზეპირსიტყვაობის ნიმუშები. მზის სინათლეზე გამოიტანოს ისინი.

თქვენი კუთხის ხალხური შემოქმედება კი ჯერჯერობით უცნობია. ხალხური ნაწარმოებები სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს და გამოიცეს. მოხუცების ცოდნა დროზე უნდა გამოვიყენოთ, თორემ ძვირფასი მარგალიტები დაიღუპება.

ამ კუთხის ხალხის ყოფა-ფხოვრება და ზნე-ჩვეულებანი მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება ახლაც და, მით უმეტეს, ეს ითქმის წარსულზეც. სპეციალურ შესწავლას საჭიროებს სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობა-ხელოსანობისა და საოჯახო საქმიანობის ყველა დარგი. ხალხური სანახაობანი და ხატობა-დღესასწაულები დიდ ინტერესს იწვევს. აღნიშნულ დარგებთან უხვად არის დაკავშირებული სათანადო ტექნიკური თუ სხვა ხასიათის ტერმინები, რაც ერის ლექსიკის სიმდიდრეზე მეტყველებს.

ჩვენს წინაპრებს ურიცხვი ბრძოლები გადაუხდიათ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მათი გმირული თავგადასავალი ხალხს ახსოვს და, უეჭველია, შესანიშნავ თქმულებებს ვიპოვით. ეს მასალა ჩვენს ისტორიულ წარსულს კიდევ მეტ ნათელს მოჰფენს.

თქვენს კუთხეში საკმაო რაოდენობით არსებობს ისტორიული ადგილები: ტაძრები, ციხე-კოშკები, ხელოვნური და ბუნებრივი გამოქვაბულები. ჩვენ ვალდებული ვართ ავამეტიყველოთ ისინი. ზეპირგადმოცემები მათზეც მდიდარ ცნობებს შეიცავენ.

რაკველ და ლეჩხუმელ ნაცნობ-მეგობრებს ხშირად ვხვდები და ვესაუბრები. ამ დღეებში ხომ გავიცნა ყველა: აქაური გლეხი, მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი.

უზომო სიხარულს განვიცდი, როცა თქვენს გულისთქმას — მსნე და იმედიან სიტყვებს ვისმენ. ქართველის სახელს ღირსეულად ატარებთ. დედაენა წმინდად შეგინახავთ.

ხალხურ ენაში და, კერძოდ, თქვენს მეტყველებაში უცნობი სიტყვები და გამოთქმები ცოცხლობენ. ბევრი ხალხურა, სიტყვა გამოადგება სამწერლო ენას, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. ამგვარი ნიმუშების შეკრება საჩქაროა. მათ უფრო, რომ ძველი ყოფის შეცვლასთან ერთად იცვლება და ივსება ენის ლექსიკონიც — ზოგიერთი სიტყვა მნიშვნელობას იცვლის, ან ძველდება, ხმარებიდან გადის და ადგილს უთმობს ახალს. საინტერესო სიტყვები დაიკარგება თუ არ ჩავიწერთ.

სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ხალხური ლექსიკისა და ზეპირსიტყვაობის შეკრებასა და დამუშავებას. ეს დიდი საშვილიშვილო საქმე უნდა წამოიწყოს და ნაყოფიერად აწარმოოს სახალხო მასწავლებლობამ, საერთოდ, სოფლის ინტელიგენციამ (პედაგოგ ლონგინოზ კიკვიძის ზეპირნაამუშობი. 1952 წ.).

აკაკის ნათქვამს მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ამ თვალსაზრისითა და პრინციპებით ახლაც შეგვიძლია ვიხელომდევანულოთ.

სამახსოვროა აკაკი წერეთლის დაკვირვება და თვალსაზრისი რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრთა მეტყველების შესახებ.

გალაკტიონ ტაბიძე თავის მემუარში 1947 წელს კურორტ შოვისა და სოფელ ნიკორწმინდაში ყოფნასთან დაკავშირებით მოგვითხრობს:

„1912 წელს, როდესაც დიდი აკაკი წერეთელი რაჭიდან ქუთაისში დაბრუნდა და მონაწილეობა მიიღო ჩვენი ახალგაზრდების სალიტერატურო საღამოში. მახსოვს, მე წავიკითხე ლექსი „შემოდგომა“. მე ვკითხულობდი ლექსს ცოტათი ამღერებით. როდესაც ფარდა დაეშვა, აკაკიმ მითხრა: თქვენ რაჭაში ხომ არ გიცხოვრიათ? — არა-მეთქი, ბატონო აკაკი-იმიტომო, — მიბრძანა, — სცენაზე ლექსს ისე ვკითხულობდი, თითქოს მღეროდითო. რაჭაში სწორედ ასე ვაბმით, დინჯად ლაპარაკობენ, თითქოს მღერიანო. და ამგვარად წაკითხული ლექსი ძირითადად ქართულიაო. ასე გადაჭრა დიდმა აკაკი-

ქ-მ ქართული წაკითხვის (დეკლამაციის) საკითხი. მართლაც, საუბრის გულდასმით, მეცნიერულად შესწავლა, მისი ლიტერატურული მიზნებისათვის გამოსაყენებლად, გადაუდებელ ღაქმედ მიმამჩნია“... (იხ. თხზულებანი, XII. 1975. გვ. 194).

ლექციის შემდეგ მინდორში, ძველი ციხის ნანგრევებთან, ვაკხვის ხისქვეშ, პოეტს გადაუხადეს დიდი ნადიმი. ილაპარაკეს ქ. გელოვანმა (თამადამ), გ. დიასამიძემ, ვ. ბოჭორიშვილმა, რ. ყიფიანმა, ირ. ცხვედიანმა და ზ. მუსელიანმა.

აკაკიმ თავის სადღეგრძელოში გლახებს უთხრა: „ქვეყნის ხსნა შრომისმოყვარეობაზე არის დამყარებული, იგი თვით შრომელმა ხალხმა უნდა დააგვირგვინოს“. ქალებს პოეტმა ძველებური ქართული დედობა უსურვა.

სადილის დამთავრებისას აკაკის აჩუქეს ვერცხლიან სურათს. მან სურათი გულთან მიიკრა და თქვა: „თუმცა ყოველივე ნათელი საჩუქარი სუსტი და წარმავალია, მაგრამ ეს, თქვენ შავრ მოძღვნილი საჩუქარი, ჩაინერგება ჩემს გულში თქვენდამი ამოუშლელი სიყვარულითა და თანაგრძნობით“.

იშვიათ საზეიმო მომენტს წარმოადგენდა ლეჩხუმელების შირე აკაკის მიცილება რაჭის საზღვრამდე და რაჭველების მიერ მისი მიღება, რომელიც ძლიერი სიმღერით, თოფების ხშირი სროლითა და საერთო მხიარული ყიყინით გამოიხატა.

მდ. ასქსა და მდ. რიცეულს შორის. კრებალოში, მდ. აკაკის ხიდან, აღმართული იყო სატრიუმფო თალი, სადაც ბურის თავთავებით ეწერა: „რაჭა ფიანდახად გეშლება“. აქ მხურვალე სიტყვა წარმოთქმა მღვდელმა (შემდგომ დამსახურებულმა პედაგოგმა) ლონგინოზ კიკვიძემ:

„მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო! ბუნებით მდიდარო, შავრამ ბედის ანაბარად დატოვებული რაჭა სულითა და გულით გეგებება ეროვნული ლიტერატურის გამაცისკროვნებელ მგოსანს და თქვენი მობრძანების დღეს თელის უბედნიერეს დღეთა რიცხვში.“

ღარწმუნდით, ჩვენო სასიქაღულო მამულიშვილო, რომ ასეთივე ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული თქვენდამი რაჭის მკვიდრნი, როგორითაც ყველა — ცოტად და თუ მეტად შეგნებულნი და გადაგვარებისაგან შორსმყოფი დანარჩენი

ჩვენი მოძმეები. ამიტომაცაა, რომ, გაისმა თუ არა ხმა თქვენი მობრძანების შესახებ, გულწრფელი მხიარულება გამეფდა ჩვენს არემარეში და გულისფანცქალით მოელოდნენ კაცი და ქალი, დიდი და პატარა ამ სანეტარო წამს, ოდეს ისინი გახდებოდნენ ღირსი თქვენი ხილვისა.

განა ეს გასაკვირველია? დღევანდელ დღეს რაჟა პირველად ეღირსა, პირისპირ იხილოს ის მწერალი, ვისაც მამულად სამსახური გაუხდია სათაყვანო საქმედ და, დღიდან საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისა, ერთგულ დარაჯად უდგას თავის ეროვნებას და წმინდა სანთელივით დნება სამშობლოს სამსხვერპლოზე; იხილოს ის, რომლის ჩანგის ქლერას, სივდის ჰანგებთან ერთად, იმედის სხივებით აღუფრთოვანებია უსამართლობით დათუთქული ჩვენი გული და დამატკობელი ნექტარივით ჩასწვეთებია ჩვენს სმენას.

უთუოდ წინასწარმეტყველურია სიტყვები, რომ ზამთრისაგან დაჩაგრულნი მოვესწრებით გაზაფხულსა, ოღონდ გამოვერკვიოთ საღათას ძილისაგან, ვიცნოთ მომაკვდინებელი ძალა შარბათისა და შევისისხლსორცოთ სულმნათი რუსთაფელის ანდერძი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ნება მიბოძეთ, ჩვენო ერის სიაშაყვე, მოგმართოთ ერთოკალმოსნის სიტყვებით და გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მადლობით აღსავსე გული სახატედ, რომელშიც გქენება სამარადისო და ხელუხლებელი ბინა ჩვენი თანაგრძობიანა და სიყვარულისაგან აგებული, ჩვენი თაყვანისცემისა და დიდებისაგან შეტურული. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!..“

სოფელ ტოლაში პოეტს პურ-ღვინით დახვდა საზოგადოება. ხვანჭკარელმა თავადმა დიმიტრი ყიფიანმა აკაკის უძიარა შემდეგი სიტყვა:

„ავვისრულდა დიღიხნის ნატერა. გიხილეთ დღემდია ჩვენთვის უხილავი. მოდიოთ, ხალხო, ნახეთ და გულში ჩაიხატეთ დიდებული სახე საქართველოს უკვდავი მგონსიანა. პირველად: რომ „ვეფხისტყაოსანი“ წავიკითხე, ყველაზე უფრო ადამიანის მზესა და მთვარესთან შედარებამ გამოაცა, ახლა კონსრულიადაც არ მიკვირს და, აი, რატომ: დაძველებული მთვარე იღევა. თქვენ კი, თუმცა ცხოვრების თავდაღმართისაყენ

ხართ გადახრილი, მაგრამ ისევ სავესე თხუთმეტი დღის ბაღრა მთვარესავით გაქვთ თეთრი ჭალარით შემოსილი დიადი სახე. მაშ. თქვენ მეტი ხართ მთვარეზე. თქვენ მზე ხართ საქართველოსი და თქვენი ტკბილი და მკვირცხლი ლექსები ისე გვიტკბობენ და გვიღობენ გულს, როგორც მაისის მოწმენდილ ცაზე აღმოცურებული მზის სხივები. თქვენ ღვიძლი შვილი ხართ საქართველოსი. და სანამ ეს ქვეყანა თავისი ბუმბერაზი მთებით და თვალწუვდენელი გაუღნობელი მყინვარებით, რომლებსაც „ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან“, მოახდენს წარმტაც შთაბეჭდილებას მნახველზე, მანამ თქვენც არ მოგეშლებათ ასეთი თვისება და დიდება. იშვიათო ბედნიერო იდამიანო, ჩვენო დამპყრობო, არა ცეცხლითა და მახვილითა, არამედ სიყვარულითა და გრძნობით, ნება მიბოძე. მოწიწებით თაყვანი გცეთ და სიხარულის ცრემლით დაგისველოთ ძვირფასი ჭალარა!..“

ამ სიტყვამ თვით დიმიტრი ყიფიანიც აატირა და აქაიკ. ჰევრს თვალეზე სიხარულის ცრემლი მოადგა.

აკაიკის მიესალმა ტოლელი გლეხი ამირან ლომთაძე: „საქართველოს დაბეჩავებული, მიყრუებულ-მივიწყებული კუთხე რაქა დღეს განუსაზღვრელ სიხარულსა და სიამოვნებას ეძლევა პირისპირ თქვენი ნახვით. აქაურ მკვიდრთ შეგნებულა აქვთ თქვენი ვინაობა, იციან, რომ თქვენი დიდებული ნამოქმედარი ფასდაუღებელი საუნჯეა ეცობრიობისათვის და განსაკუთრებით კი ჯერ კიდევ მიძინებული ჩვენი ერისათვის, რომელიც იღვიძებს და მოდის თვითცნობიერებაში თქვენი ჩახვის ზეგავლენით. იღვიძებს იმ იმედით, რომ თქვენი ნაშრომი კარგად შეიგნოს და დატკბეს თავის მშობლიურ ენაზე თქვენი უკვდავი სიმთა ჟღერით“. ამირან ლომთაძემ სიტყვა ლექსით დაასრულა.

ბუგეულის ხიდის გასწვრივ, სოფელ ჩორჯოს დუქნებთან, შეკრებილიყვენ ახლო სოფლების მკვიდრნი. მღვდელმა გიორგი სოხაძემ სიტყვა ასე დაამთავრა: „დღეს მთელი რაქა თავს იხრის თქვენ წინაშე, დაფნის გვირგვინით ამკობს თქვენს სპეტაკ ჭალარას და გუნდრუქს უკმევს სიმართლის მსახურს თქვენს უკვდავ ჩანგურს. ვისურვებთ თქვენს ღლეგრძელობასა და სიცოცხლეს, ვისურვებთ, რომ ქართველ

ერს თავის საკეთილდღეოდ მრავლად წარმოეშვას თქვენებრ ნაყოფიერი მოღვაწე“.

ერთ-ერთი მოსწავლე შედგა ეტლის საფეხურზე და პოეტს ზეპირად წაუკითხა „სიმღერა მკის დროს“.

მღ. რიცეულთან სადმეულის საზოგადოების სახელით აკაკის მიეგება გიგო ლორთქიფანიძე. მან თქვა:

„სახელოვანო მამულიშვილო! თქვენი ხილვა ჩვენს ერთ-ფერ ცხოვრებას ასხივცისკროვნებს და ამრავალფეროვანებს. თქვენ აქაოწყლებთ გარსშემორტყმულ მტერთა იმ მოქმედებას, რომლითაც ისინი ცდილობენ ჩვენს დაქვეითებას ზნეობრივად და ქონებრივად. ამიტომ ვეღარ გვახრვეინებს ქედს ის დუხჭირი ცხოვრება და გაჭირვება, რომელიც თავზე წაწოგვწოლია. ქართველი ხალხის ქირისა და ლხინის გულით მატარებელი, მრავლად არიან ორგულნი, რომლებიც გადაშენებასა და გადაგვარებას უქადიან ქართველ ხალხს. მაგრამ როდესაც თქვენ გხედავთ, გული კლდესავით მაგრდება და იმედი გვეძლევა, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალში წარმატება მოუვლის.“

თქვენ ხართ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის გამაძლიერებელი, თქვენით გვიცნობენ უცხოელები და სხვა ხალხის თვალში ადგილი გვიპირავს. თქვენ ხართ ჩვენი დიდება, გულის ძალამო, მწუხარების გამაქარვებელი და ამისათვის გვიყვარს თქვენი სახე, ლაპარაკი და ის გზაც. რომელზედაც თქვენ გაივლით. თქვენი ნახვა ბუნების რომელიმე დიად მოვლენას უდრის. დღევანდელი დღე ჩაითვლება ისტორიულ დღედ, რომლის მსგავსსაც ადამიანი ძვირად ეღირსება. რადგან თქვენისთანა დიდებული მგოსანი საუკუნეთა განმავლობაში იშვიათად გამოჩნდება“.

შეხვედრა რუს ტურისტებთან. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მგოსანზე ეტლებით მომავალი რუსი ტურისტების შეხვედრამ ძირაგეულის ქალაზე (ამბროლაურთან).

აკაკის ამ დროს თანამგზავრებით სავსე რამდენიმე ეტლი და ასამდე ცხენოსანი ახლდა. ტურისტები გაომოსულიყვნენ ვაძისონის უღელტეხილით. მათი ხელმძღვანელი ს. ანისიმოვი აკაკის მიესალმა: ჩვენ ვუერთდებით ამ იშვიათ ზეიმს, მაგრამ

საქიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ აკაკი ბრა მარტო ქართველი ერისა, არამედ მთელი კლუტურული კაცობრიობის კუთვნილებათ.

სიტყვა იმდენად მშვენიერი იყო, რომ მსლებლები ძალზე შეაფიქრა- მგზავრობით დაღლილმა პოეტმა, ვაი, თუ შესაფერი პასუხი ვერ გასცესო.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. აკაკიმ მსურვალე სიტყვა წარმოთქვა და ყველა აღაფრთოვანა.

მგოსანმა ანაი დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: მართალია, მე ქართველი პოეტი ვარ, მაგრამ ეს სრულად არ ნიშნავს იმას, რომ ჩემს გულში არ ღვივოდეს სიყვარულის გრძნობა სხვა ერებისადმი, კეთილგანწყობილების სურვილები მათ მიმართ.

მითქვამს და კვლავ ვიმეორებ: სხვა ხალხის უბედურებით რომ ქართველი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს არ მინდა, მაგრამ არც ჩემს ხალხს შევწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა ხალხი ცხოვრობდეს ბედნიერად, ერთმანეთზე გადაუყიდებლად. კაცობრიობის ბედნიერებას ერთა შორის მეგობრული ურთიერთობა წარმოშობს.

მე ყოველთვის მოვუწოდებდი და მოვუწოდებ მშობლიურ ერს, რათა მან შეინარჩუნოს საკუთარი, ეროვნული სახე, იბრძოლოს თავისი სახელისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საპატიო ადგილი დაიკიროს კაცობრიობის საერთო ოჯახში.

თუკი მთელი ჩემი შესაძლებლობით ვზრუნავ მშობლიური ქვეყნისათვის და მას მივმართავ — „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები“... ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სწართველო დღეს განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. იგი გმინავს კოლონიური პოლიტიკის ხუნდებში. პოლიტიკისა, რომელიც ახშობს ჩვენში ნაციონალური კულტურის, ნაციონალურ თავისებურებათა ყოველგვარ გამოვლინებას. ამგვარი ზემოქმედება ქართველ ხალხს ეროვნული გადაგვარების საფრთხეს უქმნის.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ სამშობლოს ერთგული შვილი, ნამდვილი პატრიოტი ეროვნულ ინტერესებს იცავს.

თავის ძალ-ღონეს არ ზოგავს და ხალხს სამოქმედოდ მოუწოდებს... (პედაგოგ ილ. ყიციანიის ზეპირნაამბობი. 1952 წ.).

კოტა ხნის შემდეგ ხარკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთ „უტროში“ გამოქვეყნდა პროფესორ სერგი ანისიმოვის წერილი „შეხვედრა საქართველოს უდიდეს პოეტ აკაკი წერეთელთან“, სადაც ავტორი ზოტბით იხსენიებს მგოსანს და აღწერს მოგზაურობას. ს. ანისიმოვის წერილის ქართული-თარგმანი დაიბეჭდა 1912 წლის 23 ნოემბერს „სახალხო გაზეთში“ (№ 754).

აი, რას მოგვითხრობს რუსი პროფესორი ამ ფაქტის შესახებ:

„ეს მოხდა ამ წლის 22 მკათათვეს. სამხედრო გზით ჩვენ რაქაში ვმოგზაურობდით.

სოფელ წესს რომ გავცდით, ორი ვერსის დაშორებაზე იქვე, მდინარის ახლოს, მწვანეზე შევნიშნეთ ძველი ეკლესია მეთვრამეტე საუკუნისა.

ეკლესიის ახლოს რომ გავიარეთ, დავინახეთ მწვანე მოლზე გაშლილი ხალხი ყვავილებით თაღს კრავდა, მეორე ჯგუფი ხალხისა ეკლესიიდან შარავნაზე ჩასასვლელ ბილიკს აკეთებდა.

აქ გავიგეთ, რომ ეს მხიარული ხალხი დიდის ყოფილ უპირებს დახვედრას თავის საყვარელ და პატივცემულ პოეტს — სამოცდაათი წლის მოხუცს აკაკი წერეთელს. მთელ დამეს იღვესასწაულებს აკაკის მოსვლას. სიტყვები, სიმღერა, ტყევა-თამაში განთიადამდე გასტანს.

შარავნაზე აუარებელი ხალხი ირეოდა, თითქოს რომელიმე დიდ ქალაქში მოვჭვდით. ხალხი თანდათან ემატებოდა: ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი, ბავშვები და ქალები, საღვესასწაულოდ გამოწყობილნი, მშვენიერის კავკასიური ტანის რხევით ეკლესიისაკენ მიდიოდნენ. დედაკაცებს ხელში ძუძუმწოვარა ბავშვები ეჭირათ. მთელი რაჭველობა, განურჩევლად მდგომარეობისა, გამოშლილიყო თავის საყვარელი პოეტის სანახავად. მუშა და ინტელიგენტი, გლეხი და ვაჭარი, წვრალი ხელოსანი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი — ყველა ერთი გრძნობით იყო გამსჭვალული, ყველა მონარული იყო აკაკის ნახვით, ყველა ერთნაირად ამყობდა მი-

ში ნიჭით, ყველამ იცოდა, ის იყო ბრწყინავი გენიოსი საქართველოსი.

ყველას პირზე „აკაკი“ ეკერა, ყველას ხელში აკაკის ლექსთა კრებული ეჭირა. ბევრს მეტი სიხარულისაგან თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. სოფლის შესასვლელშივე ჩინებულად იყო გამართული თაღი, მორთული ვარდ-ყვავილებით. ზედ თაღზე პურის თავთავეებით იყო დაწერილი: „გაუმარჯოს აკაკის!“ აქაურობა მორთული და მოკაზმული იყო ყვავილებით. აქ უფრო დიდძალი ხალხი ირეოდა, თითო წუთობით ხალხი ემატებოდა. ურმით მოიტანეს ორი უშველებელი რუმბი ღვინოთი.

აკაკი ჯერ არსად ჩანს, ხალხს მაინც მოთმინება არ ეკარგება. ახალი და ახალი ჯგუფი ეკლესიისაკენ მიდის. ჩვენ, რადგანაც აკაკიმ დაიგვიანა, ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ. გავიარეთ ერთი უმშვენიერესი, ულამაზესი ხევი რიონისა. აქაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ახალგაზრდა მოსწავლენი არიგებდნენ აკაკის წიგნაკებს. ჩვენ ეტლში მივიწვიეთ ერთი ფრიალ სათნო და მიმზიდველი სახის მოსწავლე; რომელიც ქუთაისის საშუალო სკოლაში სწავლობდა. მან გადაწავა აკაკის წიგნი და გადმოგვითარგმნა ერთი ლექსი...

უეცრივე შორს, დასავლეთით, გამოჩნდა მხედართა ჯგუფი. ასიოდე მხედარი რკალივით გარს შემოორტყმოდა აკაკის ეტლს. ჩანდა-ახალუხში გამოწყობილნი ამაყად ისხდნენ ცხენებზე და გულზედად გამოიყურებოდნენ.

ჩვენ ფეხზე წამოვდექით და სალამი მივეციით პოეტს, პოეტმა ეტლი შეაჩერა, გადმოვიდა და მოგვიახლოვდა ჩვენ. ეს იყო ლამაზი, მთლად გათეთრებული წვერ-ულვაშით შემკული მოხუცი. სახე დაღლილი, მანგრამ დინჯი და მშვიდი ჰქონდა. თვლებში სიამოვნებისა და სიხარულის სხივი უკრთოდა.

მე მივესალმე: დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით. განუსაზღვრელი სიამოვნებით ივსება გული, როცა ვხედავ, თუ როგორ აფასებს და სიყვარულით ეგებება ხალხი თავის მგოსანს. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ამ დღესასწაულმა და დაგვანახა, თუ რამდენად პატრვისაცემი და ძვირფასი ხართ ხალხისათვის.

ადღელებულმა აკაკი წერეთელმა რუსულად გვიპასუხა: „...თუმცა თქვენ რუსები ხართ და ჩვენ ქართველები, თუმცა სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ სიყვარულის გრძნობა უნდა აერთიანებდეს ყველას. სიყვარულის გრძნობა ყველას ერთი ენით უნდა ამეტყველებდესო“. გამოვემშვიდობეთ. წერეთელი ჩაჯდა ეტლში. ხალხმა დაიგრიალა: „გაუმარჯოს აკაკისო“. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მშვენიერი სანახაობა თვალს მიეფარა“.

.. თუმცა ამ სტატიაში არ ვხვდებით, მაგრამ, როგორც შეხვედრის მონაწილე ვლადიმერ ფოფხაძემ (გარდაიცვალა 1942 წელს სოფელ კვაცხუთში) მიაბო: ს. ანისიმოვს უთქვამს: „ილია ქართველების აზრია, აკაკი — ქართველების გრძნობა“.

პროფესორმა სერგი ანისიმოვმა ახალი მემუარი აკაკი წერეთლის შესახებ გამოაქვეყნა 1940 წელსაც მოსკოვის ჟურნალში „Красная новь“.

ქვემო და ზემო რაჭის საზღვარზე ადგილს „ხიდიკარი“ ეწოდება. მდ. რიონის ამ კლდეკარში რაჭის მთავარს (ერისთავს) გაკეთებლი ჰქონდა კიშკარი მტრის შემოსევის დროს. ხეობის ორივე მხარეს აღმართული იყო ციხეები, რაც დღემდის მოღწეულია ნანგრევების სახით.

ხიდიკარში ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად იმყოფებოდა და სამუშაოს აწარმოებდა ფრანგი ინჟინერი ბურდონი.

აკაკი შეხვდა მას და შეკითხვაზე მისი პასუხი (მიღებული შთაბეჭდილება) მოისმინა.

სტუმარმა კმაყოფილება გამოხატა, დადებითი აზრი გამოთქვა რაჭის წარმტაცი ბუნებისა და მისი მოსახლეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ უკვე გავეცანი აქუარობას და მომწონს ქართველი ადამიანის ხასიათი, ამ კუთხის მკვიდრთა შრომისმოყვარეობა, ერთგულება და მასპინძლობა.

აკაკიმ თქვა უცხოელის შესახებ: ტიპიური ფრანგი ინტელიგენტი, კეთილი და თავაზიანი. დიდსულოვნად საუბრობს, თორემ, რა საკთხავია, პარიზთან შედარებით რაჭა როგორ გააკვირვებდაო (პელაგოვ ლონგინოზ კიკვიძის ნაამბობი).

ზეიმი ბარაკონში. განსაკუთრებული სიყარულით დახვდნენ აკაკის წესში.

წესი ისტორიული სოფელია. აქ ჰქონდათ რეზიდენცია რაჭის ერისთავებს. წესის ახლოს, ბარაკონში, ჩრდს დიდი ციხე-სიმაგრე და შესანიშნავი ტაძარი.

ეს ტაძარი ააგო 1745 წელს როსტომ ერისთავმა.

ხალხური გადმოცემით (გვიამბო ვლ. ფოფხაძემ), რომტომ ერისთავმა თავად იაშვილს ცოლი მოსტაცა. იაშვილმა იჩივლა კათალიკოსთან, რომელმაც დასაჯა როსტომი. დანაშაულის ჩადენისათვის მას ტაძარი უნდა აეგო. როსტომმა კათალიკოსის გადაწყვეტილება აღასრულა.

დაუდგარი და ძალუმი მდინარე ლუხუნი, რომელიც ურავის მთებიდან გადმოქუხს, ბარაკონის ტაძართან უერთდება რიონს. ტაძარი ორივე მდინარის მარჯვნივ მდებარეობს. მისი ეზო მოზრდილი დაბლობია, რიონის სიღრმეში არის შეჭრილი და ნახევარკუნძულს მოგვაგონებს. ირგვლივ დგანან ტყით შემოსილი თვალუწვდენელი მთები. ჩრდილო-აღმოსავლეთით, რიონსა და ლუხუნს შორის, კლდოვანი მწვერვალიდან იჭაურობას ამაყად გადასცქერის უძლეველი სიმაგრე „მინდაციხე“.

მეთორმეტე საუკუნეში რაქვას განაგებდა თამარ მეფის აღმზრდელი განთქმული კახაბერი.

ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა უმანი ჰუაფდა მეტად ბევრი,
შე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა წღერი,
გემორჩილო? ნუ გგონივარ ქაჩაია, შენი გერი..

ასეთი წიგნი გაუგზავნა როსტომ ერისთავმა იმერთა მეფე სოლომონ პირველს.

ბარაკონის ტაძრის ეზოში ერისთავთა სასახლე იყო. იმჟამად აქ ცხოვრობდა როსტომ ერისთავის შვილთაშვილი ნამადავლე.

თავმომწონე და გონებამახვილი მთავარი როსტომი სოლომონ დიდის დაუძინებელი მტერი იყო. ვიბტუოზული ოსტატობით არის შესრულებული როსტომის მიერ სოლომონისადმი მიწერილი ზმა: „შენსა მოველ და შევამკობ შენსა ტა-

ნადობასა, შენი უდასტურობა კი არღევს ბატონყმობასა“.
(შენ სამოველ, შენ სატანა, შენ იუდა).

სოლომონ პირველმა სამშობლოს ღალატისათვის თვალები დასთხარა როსტომსა და მის შვილებს გეგუთში.

მთავარი ბარაკონის ეკლესიაში არის დაკრძალული.

ბარაკონში თავმოყრილი უთვალავი ხალხი აღტაცებით გლოდა დიდებული მგოსნის მობრძანებას.

აკაკის შეეგება რაჭის მახრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ნ. ჩერნოვი და უთხრა მოკლე სიტყვა.

ნ. ჩერნოვი აქტიურად მონაწილეობდა ამ ზეიმში. აკაკი გაკვირვებული იყო, რომ მეფის რუსეთის ხელისუფლებას, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლე დაუღალავად ებრძოდა, მისი ნიჭის ასეთი თაყვანისმცემელი ჰყავდა.

სტუმრები შეიყვანეს ტაძარში, სადაც მღვდელმა ფ. გოცირიძემ სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა და პოეტს მიესალმა:

„განუსაზღვრელ მადლობას გიძღვნით, დაუღალავო მოღვაწევ, იმ აღფრთოვანებისათვის, რომელიც დღეს მზის შუქივით მოეფინა თქვენი მობრძანებით რაჭველთა გულს. აღსრულდა ჩვენი დიდიხნის ნატვრა. ველირსეთ და ვიხილეთ ჩვენი ჭირისა და ლხინის მღალადებელი აკაკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა დაბეჩავებული და გაღატაკებული ხალხის მოსარჩლეობაში. უფლისაგან ნაკურთხი თქვენი კალამი მტერს მახვილს სცემდა და მოყვარეს თვალს უხელდა. მოვესწრებით იმ დროსაც, ჩვენო სინათლის მომფენო, როდესაც თქვენი შრომა გაძლიერებულ ნაყოფს მოიხზამს. უკვე ემჩნევა ქართველ ერს გამოღვიძება. სრულდება თქვენი წინასწარი ნააზრევი და სიტყვები“.

აკაკი მიიწვიეს ხალიჩებითა და ყვავილებით მორთულ ფანჯატურში, სადაც სიტყვები და ლექსები წარმოთქვეს.

პირველად ილაპარაკა შემდგომ დამსახურებულმა პედაგოგმა გ. კვიციანი.

„თუმცა ციური მნათობი უკვე ჩაესვენა და თავის განმაცხოველებელ სხივებს ვეღარ უგზავნის ჩვენს სხეულს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს სულს ატკობს პოეზიის სხივები, რომელნიც თქვენი მაღალი შუბლიდან ანათებენ, შუქს უხვად

გვფენენ და ათასნაირ გრძნობებს გულში გვიღვიძებენ. თქვენნი პოეზია აღგვიძრავს მამულისა და სამშობლო ენის სიყვარულის უტკბილეს გრძნობებს. თქვენ ღალატებით დიად აზრებს, რომელნიც ჯერ განათლებულ ქვეყნებში არ არის განხორციელებული სრულად. ძმობა, ერთობა და სიყვარული, — აი ეს აწერია თქვენს დროშას და მას ჩვენც ვეტრფით... არ დაგიტოვებიათ უყურადღებოდ არც ერთი მოვლენა, რასაც კი საზოგადო ხასიათი ჰქონდა და ერი მიჰყავდა კეთილდღეობისაკენ...

შეისწავლეთ ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული, ჩვენი სიამაყე — აყვავების ხანა. იქ გვყავს ისეთი დიდებული პირები, როგორიც არიან დავით აღმაშენებელი, თამარ დედოფალი, ერეკლე მეფე და სხვანი. ესენი გვაძინებენ და გვაძლევენ იმედს, რომ საქართველოს კიდევ მოელის ბრწყინვალე დრო. ბევრს ასეთ აზრს გვიქადაგებთ თქვენ და ამით გვაძალებთ სულით. თქვენ მუდამ იყავით დამცველი ქართველთა ინტერესებისა და არავის დაუთმობდით რასმე, თუ ის დააპირებდა ცილისწამებას რომელიმე ისტორიული პირის მიმართ, ყოველთვის თავგამოდებით იბრძოდით და ამიტომ გეწოდებათ თქვენ „თავდადებული მამულიშვილი“. ქართველი ერი ყოველთვის იამაყებს იმით, რომ ჰყავს სამშობლოს თქვენებრი დამცველი“.

მინა ჯაფარიძემ სიტყვა ასე დაამთავრა: „ასრულდა თქვენი სურვილი, მიძინებულმა გაიღვიძა და აწ მას ველარ დააძინებენ. ამიტომ თქვენი ნაპირნახულევი ოჯახი და მონაგარი სიყვარულით გეგებება და ფეხქვეშ ფიანდაზად გეფინება, სულსა გწირავს და თავზე გევლება. იგი მტკიცედ გპირდება განახორციელოს ყველაფერი, რაც თქვენმა კურთხეულმა კალამმა ჩვენდა საკეთილდღეოდ დაწერა. თქვენი შრომის სამაგიეროდ აღთქმასა ვსდებთ, საქმით აღვასრულოთ თქვენი მოძღვრება, შევიყვაროთ ერთმანეთი და ძმურად ვემსახუროთ საყვარელ სამშობლოს.“

დასასრულ ვსთხოვთ თამარის, რუსთაველის და ქართველ მოღვაწეთა სულთ გვიშუამდგომლონ, რათა დაგვანებონ თქვენი თავი დიდხანს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ“.

ვანო ჭიჭინაძემ, სერგო ქელბაქიანმა და აბელ კიკოშვილმა წარმოთქვეს ლექსები.

თუ აკაკის ფანტაზია ერისთავის ხავსმოდებულ სასახლეს და ლავარდ სივრცეში თეთრად ატყორცნილ როსტომ ერისთავის ტაძარს წარსულის დათალხულ მოგონებებში გადაჰყავდა, სამაგიეროდ მოზღვავებული ხალხის ომბახიანი ყიჟინა პოეტს სანატრელი მომავლის იმედსაც უღვიძებდა. ეროვნული გრძნობით აღფრთოვანებულმა მგოსანმა ხმამალა განაცხადა: „აი, მოვესწარი ნაყოფს, აღმისრულდა ნატვრა, აწ შემიძლია ვთქვა, რომ „აღარ სძინავს, გამოუღვიძნია და არასოდეს არ მოკვდება“.

ღამე სტუმრები მოასვენეს შამადავლე ერისთავის ბინაში. აკაკისათვის ცალკე ოთახი ჰქონდათ მზად.

გაიმართა საუბარი პოეტთან სხვადასხვა საკითხის ირგვლივ. აკაკი ყველას გულდასმით უსმენდა და შესაფერ პასუხს აძლევდა.

კითხვა მისცეს. — მოგვითხრობს ლონგინოზ კიკვიძე. — ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის შესახებ. მან თქვა შემდეგში:

გაზეთ „დროების“ რედაქციაში ვიყავით. დიდი საქმე გვქონდა სანდროსთან. გავგზავნეთ კაცი შინ. ის დაბრუნდა და გვითხრა: აბანოში წასულაო. ვაფრინეთ აბანოსაკენ კაცი. მან მოიტანა ამბავი, რომ სანდრო ნომერში ჩაიკეტა და აღარ გამოდისო.

მაშინ თვით აკაკი წავიდა მასთან. ჩატეხეს კარი და ნახეს ასეთი სურათი: სანდრო აბაზანაში გაკიმულა გულაღმა და ფიქრს წაეღო.

როდესაც გამოაფხიზლეს, სანდრომ საყვედურით მიმართა მათ: თქვეულმერთოებო, რად შემისაღეთ ხელი, „ხევისბერ გოჩაზე“ ვფიქრობდიო.

აკაკიმ სხვა ფაქტებიც გაიხსენა. აღნიშნა, რომ სანდრო ჩემ თვალწინ ჰქმნიდაო თავის შედეგებს. მას სანდროსაგან ხშირად მოუსმენია მისი ცნობილი მოთხრობების შინაარსი. სანდროს მრავალჯერ მიუმართავს აკაკისათვის და რჩევა მიუღია. აკაკი მისი მესაიდუმლე იყო.

მგოსანმა დაასკვნა: არსებული უარყოფითი აზრი საბოლოოდ უნდა მოისპოს, რადგან არა გვაქვს არავითარი საბუთი, რომლის ძალით სანდროზე ეკვის მიტანა შეიძლებოდესო.

ივანე მაჩაბლის დაკარგვის შესახებ ბუნდოვანმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა მოსაუბრენი, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ აკაკი ფაქტის მხილველი იყო და საიდუმლო არ გაამჟღავნა.

მეორე დღეს ორასი კაცის შემადგენლობით შეასრულეს ფერხული. მან აკაკიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, როდესაც იმდერეს „ყელეს ჩამოდგა...“ მაშინ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 90 წლის მოხუცმა ქალმა მელანო ბერიშვილმა, რომლის ხმა ზარივით რეკდა ფერხულის მრავალრიცხოვან მონაწილეებში.

აკაკიც, რომელიც აივნიდან გაპყურებდა ეზოში გამართულ თამაშს, ჩააბეს ფერხულში.

ამავე დღეს დაათვალიერეს ბარაკონის ტაძარი. შიგნახეს როსტომ ერისთავის საფლავი, რომლის ჩუქურთმოვან ქვაზედაც აწერია ზმა: „წელსა ჩღვ-სა ლოდსა ამას ქვეშე მდებარე არს ეკლესიისა ამისა აღმშენებელი რაჭის ერისთავი ჭხვათა უფროს ტომი ნეტარად განსასვენებლად. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი. ამინ“.

აკაკიმ წაიკითხა ეს ეპიტაფია და თქვა: როსტომს ზვიადობა საფლავშიაც ჩაუტანიაო. !

დაათვალიერეს აგრეთვე ბარაკონის ძველი ტაძრის ნანგრევები, რომელიც თამარის ეპოქას ეკუთვნის.

სხვაველმა გლეხმა ასლან არჩვაძემ შინიდან მოიტანა და აკაკის უჩვენა დიდი ქართული ხელნაწერი წიგნი, რომელიც ლექსიკონი იყო და 600 გვერდს შეიცავდა. მას ავტორი და დაწერის დრო არ ჰქონდა აღნიშნული; ივანე ბაქრაძემ მგოსანს გადასცა ამბროლაურში ნახული ექვსი დიდი და ოთხი პატარა ძველი სპარსული ფული. აკაკი დაჰპირდა მათ, რომ ლექსიკონსა და ფულებს მათი სახელით შევწირავო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

ნაშუადღევს გაიმართა ნადიმი. მღვდელმა სიმონ ჰელიძემ, რომელიც თამადად იყო, წარმოთქვა ეს სადღეგრძელო: „თქვენნი ცხოვრების წარსული და აწმყო ნებას მაძლევს გო-

ნების თვალთ გადავხედო იმ დროს, როდესაც მაცხოვარი წაესწრო გალილიის ტბაზე მებაღურ ებრაელებს და მათგან აირჩია მოციქულები. მაღალი სწავლა ქრისტიანობისა მოციქულებად მოითხოვდა ისეთ პირებს, რომელთაც უნდა უარეყოთ ყოველივე სოფლიური და მთელი არსებით შესდგომოდნენ ქრისტეს სახარების გავრცელებისა და განმტკიცების საქმეს.

მოციქულებმა ზედმიწევნით შეასრულეს წინადადება ღვთაებრივი მასწავლებლისა. როდესაც თქვენ, ჩვენო ძვირფასო მოპირნახულევ, წამოიზარდეთ და შესძელით საღი გონებით გემზირათ ქვეყნისათვის, ქვეყნის მაცხოვარმა — ძვირფასმა სამშობლომ — თითქოს მოგმართა მაცხოვრის აღნიშნული სიტყვებით, რომ მისი სიყვარულისათვის ყოველივე ამქვეყნიური დაგეტოვებინათ. თქვენ, როგორც ზეგარდმო მაღლით განგრძობილმა მოციქულმა საქართველოს დიდებისამ, კიდევ შესარულეთ დიდმნიშვნელოვანი მოწოდება სათაყვანებელი სამშობლოსი: დაუტოვეთ მამა, დედა, ცოლი, ძე და ასული, აღიღეთ ჯვარი სამშობლოს მსახურებისა და ნახევარ საუკუნეზე მეტი დაულაღვად ატარებთ მას თქვენდა სასახელოდ და ჩვენდა სასიქადულოდ. დღეს პირნათლად და მოციქულებრივი ბრწყინვალეებით დგახართ ქართველი ერის წინაშე, შემკობილი უკვდავების გვირგვინითა, რომლის გვერგვს და ფოთლებს შეადგენს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა მამულისა თავისი უსაყვარლესი შვილისადმი“.

ს. ჭელიძემ სიტყვა ლექსით დაასრულა. სადღეგრძელო მქუხარე ტაშმა დაფარა. საგანგებოდ გაგზავნილმა გლეხებმა ტაძრის მახლობლად ჯაზირები დასცალეს, „მინდაციხიდან“ ლალუმი ააფეთქეს. შეიქმნა თოფ-დამბაჩების გაბმული სროლა.

ნადიმზე გულთბილად ილაპარაკეს გ. დიასამიძემ, ნ. ჩერნოვმა, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ვალერიან ჯაფარიძემ.

ვალერიან ჯაფარიძის სიტყვის ბოლო ნაწილი ასეთი იყო: „ჩვენ — ქართველებს — გასული საუკუნის მესამოცე წლებში გამოგვიჩნდა ერთი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომე-
3. მ. ალაგიძე

ლიც საქართველოს სულისჩამდგმელი შეიქნა. ამ მოწინავე რაზმს ეკუთვნოდა ჩვენი ძვირფასი მგოსანი აკაკი.

რაში მღვდმარეობდა ამ ახალგაზრდათა (თერგდალეულთა) მიზანი და მისწრაფებანი? იმაში, რომ მათ სურდათ როგორმე იმ გმირთა გმირს, რომელიც კავკასიის ქედზე არის მიჯაჭვული და ამირანი ეწოდება, გაეწყვიტა ჯაჭვი და სიხარულით შესცვლოდა ამდენი ხნის გასაჭირი.

მაგრამ მგოსანი მოგვიხუცდა. ფიქრობს თავის სიცოცხლეში ვერ მიაღწევს ნატვრას აღსრულებას და ახალგაზრდათ გვიტოვებს ანდერძს, რომ უნდა ჩავსძახოთ მას სამარეში მისი სატრფიალო მიზნის განხორციელების შესახებ.

მაგრამ გასაღდი, მგოსანო, არ შეგაშინოს ასაკმა. იცოცხლე მანამ, სანამ შენმა მახვილმა სმენამ არ გაიგონოს ამირან გმირთა გმირის ჯაჭვისა და ბორკილების მტკრევისა და გლეჯის ხმა და მით ერთხელ კიდევ მოგემართოთ თქვენი ბუკი და ნალარა და სასიხარულო ჰანგზედ გეჟღერებინოთ თქვენი წმინდა უმწიკვლო ჩანგურის სიმები“.

წარმოითქვა ილია ჭავჭავაძის შესანდობარი. ყველა ფეხზე ადგა და ერთხმად შესძახეს — „საუკუნო განსვენება!“

ქალებმა იმღერეს — „ტყემ მოისხა ფოთოლი...“ ნადიმი ფერხულით დამთავრდა.

„საწალიკის“ მთაზე — ნიკორწმინდის მიდამოებში. ბარაკონიდან უნდა გამგზავრებულყვენენ დაბა ონში. ონიდან დაბრუნების შემდეგ კი — ნიკორწმინდისაკენ, მაგრამ ონში იცოდნენ „პარასკეობა“. ამ დღეს აქ ბაზრობა იყო და დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. ონის კომისიამ გადაწყვიტა პოეტი პარასკევს მიეღო. ამიტომ მოხდა, რომ აკაკი და მისი თანამგზავრები ოთხშაბათს გავიდნენ ბარაკონიდან და ესტუმრნენ ნიკორწმინდას, ხოლო პარასკევს კი — რაჭის სამაზრო ცენტრს — ონს. უმოკლესი გზით აკაკის ბარაკონიდან ნიკორწმინდაში აიყვანდნენ ონის ნახვის შემდეგ.

გაიარეს ხიდიკარი, ამბროლაური, ხოტევი, ჰელიაღელე და ავიდნენ ისტორიულ სოფელში.

დავით კანდელაკის ეზოში ცაცხვისქვეშ გაიშალა სუფრა. თამადად აირჩიეს მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე, რომელ-

მაც. ყანწით ხელში. მგოსანი აღდგერძელა შემდეგი სიტყვით:

„ჩვენი სამშობლოს დიდებაჲ და სიამაყეჲ, მგოსანო აკაკი! ნება მიბოძეთ ორიოდ სიტყვით გამცნოთ ის გრძნობა, რომელიც თქვენმა მობრძანებამ ჩვენში აღძრა: თავისი ვაჩენის დღიდან რაჲ არ ღირსებია თქვენისთანა სტუმარს. დაფასება თქვენი მნიშვნელობისა და ღვაწლისა მე არ ძალმიძს და აქ არც დრო და ადგილი არის. ვისაც ქართული ანბანი დაუძღვეია, ყველამ იცის, როგორი სამსახური მიგიძღვით ქართველი ერისადმი.“

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მთელმა საქართველომ დიდებულად იღვესასწაულა თქვენი 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, რითაც მან ცხადად დაამტკიცა, რომ თქვენს შრომასა და ღვაწლს ნახევარი საუკუნის მანძილზე სასურველი ნაყოფი მოუტანია. დაგიმტკიცათ, რომ იგი კიდევ გამოფხიზლებულია და ერთი აზრითა და გრძნობით არის გამსჭვალული.

იუბილეს შემდეგ ჩვენი სამშობლოს კუთხეებმა მიგიწვიათ და შესაფერი პატივი გცათ. რაჲს ყველაზე ბოლოს ხვდა წილად ბედნიერება თქვენი მოწვევისა. მართალია, ჩვენი დახვედრა და ღვესასწაული გარეგნულად ბრწყინვალე და დიდებული არ არის, მაგრამ სამაგიეროდ გულწრფელია და, რაც შეძლება გვაქვს, ვცდილობთ გამოვხატოთ თქვენდამი უზომო სიყვარულსა და დაფასებაში.

ვუსურვებთ რაჲს თქვენისთანა საყვარელი სტუმრების ხშირად წვევას, რათა ასეთი გმირების შრომისა და ღვაწლის ნაყოფით იგი მალე მოსწრებოდეს თავისი სატრფო ნესტანდარეჯანის ქაჯთაგან განთავისუფლებას და ამასთან ერთად ზნეობით, გონებითა და ქონებით წინსვლას. თქვენ კი, ძვირფასო მგოსანო, გისურვებთ მრავალყვამიერ სიცოცხლეს, რათა თქვენი სიმთაჟღერით კიდევ დიდხანს დამტკბარიყოს ქართველი ერი!..“

ითქვა სიტყვები, შეასრულეს ფერხული და სიმღერები. ლხინი მხიარულად დამთავრდა.

აკაკის მეტად მოეწონა ეს სოფელი. მისი ძვირფასი ეკლესია მეთერთმეტე საუკუნისა, შაორის ჭალა და ტბები „ხარისთვალა“ და „ძროხისთვალა“.

ნიკორწმინდის ტაძარი ქართული არქიტექტურული ხე-

ლოენების უბადლო ძეგლად ითვლება. იგი თლილი ქვითაა ნაშენი და მდიდარია მხატვრობით. მისი გუმბათი მთლიანად მოჩუქურთმებულია. დასავლეთის კარიბჭეზე შემდეგი წარწერაა: „ქრისტე, ძეო ღვთისაო, ალაღე სიმართლით და ღლეგრძელობით ბაგრატ, აფხაზთა რანთა მეფე, ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მისი გიორგი“. ტაძარი აიგო ბაგრატის სიცოცხლეში (გარდაიცვალა 1.014 წ.).

შაორი კალმახით სავსე მოზრდილი მდინარეა. შაორი იკარგება უფსკრულში „ხერგასთან“ და სამი კილომეტრის შემდეგ გადმოქუხს ქელიშის „უდაბნოში“, სადაც მას „შარგულას“ უწოდებენ და რიონს ერთვის.

მგოსანმა დაათვალიერა შაორის ქალა და ტბები „ხარისთვალა“ და „ძროხისთვალა“. ხარისთვალა ვეებერთელა წყაროა. ძროხისთვალა კი დამდგარი ტბაა და სასმელად არ იყენებენ.

ლადო ბზვანელი წერს: „ხარისთვალაზე ვიგრილეთ გული ცივი წყლით და ხისქვეშ მწვანეზე გაშლილ სუფრას მივუსხედით. ამასობაში მებადურებმა მგოსანს მოართვეს იქვე დაქერილი კალმახები, რითაც ძალზე ისიამოვნა“ (გვ. 89). საუზმეზე მგრძნობიარე სიტყვებით გამოვიდნენ—მღვდელი ლონგინოზ კიკვიძე და ექიმი შამშე ლეჟავა.

ოფიცერმა სიმონ ენუქიძემ, ვინც რუსეთის არმიაში მსახურობდა და შინ დასასვენებლად ჩამოსულიყო, აკაკის ასე მიმართა:

„...ბედმა გაუღიმა საქართველოს და მოველინეთ თქვენ, უზენაესი ნიჭით შემკული ადამიანი, რომელმაც ჩვენი ეროვნული განძი — ქართული ენა ააღორძინეთ და დაიცავით მით, რომ სულ სიმართლეს მსახურობდით. თქვენი გული არ შებორკილა, მარჯვენა ხელში გეჭირათ ხვარასნის რკინია ხანჯალი, რომელიც კალმად აქციეთ და მტრის სისხლით შედგენილ მელანში აწეთ. ის ერი, რომელმაც წარმოშობა აკაკი, არ აღიგვება დედამიწის პირიდან. ვიმედოვნებთ, მომავალი ჩვენია და თქვენ, მგოსანო, ღლეგრძელი სიცოცხლე მოგანიჭოთ ღმერთმა!“

სტუმრები ნასიამოვნევი დაბრუნდნენ მასპინძელთა დავით კანღელაყისა და ალექსანდრე სამოკვასოვის ბინებში.

მგოსნის ყურადღება მიიპყრო აქაურმა გლეხმა ალექსანდრე სამოკვასოვმა, რომლის წინაპარი ოდესღაც რუსეთიდან ლტოლვილი ყოფილა. მან რუსული ენა არ იცოდა. აქაკიმ ამაზე, თურმე, ასე იხუმრა:

გარუსებულ ქართველებს, რომლებმაც მშობლიური ენა სრულიად დაივიწყეს, მრავალს შევხვედრივარ, ხოლო გაქართველებული რუსი კი იშვიათად მინახავსო.

სტუმრები დაბრუნდნენ ძველი გზით და ონისაკენ გასწიეს. უნდა შესულიყვნენ სოფელ ხოტევში, სადაც მიწვეული იყვნენ სადილზე მისიელ ჭიჭინაძის ოჯახში ქვრივ დიასახლის ტერეზიასთან, უნდა გაევლოთ დაბა ამბროლაურში სამხარზე მემამულე შინა გიორგობიანის სახლში და იმ ღამეს მისულიყვნენ სოფელ სორს პიჭია გოცირიძის ოჯახში ღამის გასათევად.

ლადო ბზვანელი მოგვითხრობს: „დილიდანვე ამინდი შეიცვალა, დაჰბერა დასავლეთის ცივმა ქარმა, მოიღრუბლა და კიდევაც წამოწვიმა. მასპინძლის სახლის დერეფანში აქაკი გარშემო თეთრად მოკაზმული „ანგელოზებით“ (ქალიწვილებით) გადაიღო კოტე ქავთარაძემ. ამასობაში ეტლებიც მოგვიყვანეს. გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და გავუდექით გზას. ხოტევამდის, ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე, სულ დაღმართი გვექონდა ჩასასვლელი და, რადგან გზა მოსველდა და ცხენებმა ფეხები ვერ მოიზაგრეს, ეტლებში ჯდომა სახიფათო შეიქნა. მგოსანი გადმოვიყვანეთ ეტლიდან და შევსვით ჯორზე. ჩვენც გავყევით გარშემო ნელ-ნელა. ასე ჩავედით მშვიდობიანად ხოტევის დუქნებამდის. შექდეგ ჭიჭინაძის ოჯახამდის, ნახევარ ვერსზე, აღმართი უნდა აგვევლო. შემოგვეგებნენ მასპინძლის შვილი ივანე ჭიჭინაძე და სიძე რუბენ გოცირიძე. დიდებული მასპინძლობა გაიმართა. თამადობა მიულოცეს მსაჯულს ვლადიმერ აბულაძეს, რომელმაც აღდეგრძელა აქაკი, მისი მხლებლები, სამღვდლოება და სხვა სტუმრები. თან ამინდიც გამოკეთდა, მზემ გამოანათა. მგოსანი თავს კარგად გრძნობდა“ (გვ. 94).

დიასახლისის მანძმა მოხუცმა ნიკოლოზ ჭიჭინაძემ ყანწით ხელში მიმართა აქაკას: „ძვირფასო მგოსანო! ყველა ქართველი და მათ რიცხვში პატარა რაჟის მცხოვრებნიც. გა-

ნურჩველად წოდებისა, გიცნობენ, ვინც ბრძანდებით. თქვენისთანა მამულიშვილს საუკუნე იშვიათად შობს და თქვენი სახელიც საუკუნეთა შემდეგ უფრო მეტი სადიდებელი იქნება“.

გამგზავრების წინ იქვე, მეორე ეზოში, სტუმრებს ჩაუძღვა ნიკოლოზ ჭიჭინაძე, მგოსანი მსლებლებითურთ შეიყვანა სახლში. ოჯახი დალოცეს შამპანურით.

გზაზე ამბროლაურსა და ონს შორის. ამბროლაურში. მინა გიორგობიანის დარბაზში, სამჯარი მიიღეს. აქ მღვდელმა ვლადიმერ მესხმა სადღეგრძელოში ასხენა სიტყვა „მცოვანი“, რაზედაც აკაკიმ სიცილით უპასუხა: „შენი საიტყვები ყველა მართალია. ხოლო ერთი ტყუილი გამოურიგო. სახელდობრ, ის რომ, მე მიწოდე „მცოვანი“ ანუ ძლიერ მოხუცი. მართალია. მე მცოვანი კი ვიყავი, მაგრამ ახლა, რაჟა რომ დავათვალიერე, სრულიად გამოვიცვალე და გავყმაწვილდი იმის გამო, რომ აქ ვხედავ გამოღვიძებულ ხალხს“; ინახულეს მაჩაბელთა ნამოსახლი, ეკლესია და კოშკი. ნასამზრევს გაემართნენ სოფელ სორისაკენ.

დაბინდებისას, სკოდორის ხიდთან, აკაკის ფანრებითა და ჟინჯილებითა შეეგება მუხლის, ბარისა და სამთისის საზოგადოება.

სოფელ მუხლის მასწავლებელმა სერგო ვარაზაშვილმა თქვა: „თქვენგან თელილ და გაკაფულ ეკლიან გზას არ ავშორდებით. გარწმუნებთ, რომ ღრმად აქვს გადგმული ფესვი თქვენი მადლიანი ხელით ნათესს, რომელიც დროზე ნაყოფსაც მოგვცემს. კერას, თქვენი წყალობით არგაციებულს, ღრმად უღვივის გულში ნაკვერცხალი, რომელსაც შეუძლიან ძლიერი ცეცხლის გაჩენაც“.

ღამით მიაღწიეს ფანრებითა და მაშხალებით განათებულ სოფელ სორს. მდინარე „სანატრულას“ ხიდთან შეკრებილიყო საზოგადოება. მგოსანი მიიწვიეს ხალხებით მოფენილ დარბაზში ბიჭია გოცირიძისას, სადაც ვახშამი გაიმართა. თამადამ ონისე მინდელმა მგრძნობიარე სიტყვით შეამკო მგოსანი, ქართველი ერი, აკაკის მწლებლები, მასპინძლები და მოზარდი თაობა.

ყმაწვილმა ქრისტეფორე ჯაფარიძემ თქვა: „თუ საქართველოს რომელიმე კუთხეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქვენს დღესასწაულს, როგორც ღონისძიებას ხალხის შეერთებისას და მიფერფლილი ნაციონალური გრძნობის გაღვივებისას, მით უმეტეს, ეს დღე დიდმნიშვნელოვანია რაჭველებისათვის. რაჭის ასე გაერთიანება და მისი ერთი მიზნით აღჭურვა რას შეეძლო, თუ არა თქვენისათანა მოღვაწის მოკლას!“

მეორე დღეს დაათვალიერეს სორის ე. წ. „ჯვარცმის ეკლესია“, რომელიც მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის.

ზეიმი დაბა ონში. უდიდესი პატივისცემით მიიღეს აკაკი დაბა ონში. დღის თორმეტ საათზე, გასცილდნენ თუ არა სოფელ სორს, გზაზე დახვდათ ჩამწკრივებული სამასამდე ცხენოსანი. მათ შორის იყვნენ ეროვნულ ტანსაცმლით შემოსილა ყოველი წოდებრს წარმომადგენელი. ონში მკვლევრებმა, ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა მალაქია ჯაფარიძემ აკაკის მიმართა სიტყვით:

„დიდად პატივცემულო, ბატონო აკაკი! ზემო რაჭა გიძღვნის გულითადს სალამს და გილოცავს მშვიდობით მობრძანებას. დაგვიდგა სამხიარულო დღე და მთებში მდებარე ჩვენმა მხარემაც იხილა დიდებული მგოსანი. მართალია, ჩვენი კუთხე დაშორებულია საქართველოს სხვა კუთხეებს, ზოგჯერაც მოწყვეტილი უგზოობით, მაგრამ აქაც დიდი ხანია გიცნობენ. ძვირფასო აკაკი! შენდამი სიყვარული ღრმად აქვს ყველას გულში ჩანერგილი. შენი სურათი შეადგენს აუცალებელ და ძვირფას სამკაულს აქაური ოჯახისას. დიდი ხანია ამ ქვეყნის პაწაწინა შვილები იზებობენ შენს ლექსებს, მოზრდილნიც და მოხუცნიც სტკბებიან შენი შემოქმედებით. ელვასავით მოედვა მთელ რაჭას ხმა — აკაკი გვესტუმრებაო. დიდი და პატარა ფეხზე დადგნენ, სმენალ გადაიქცნენ, სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოუთმენლად მოელოდა ყველა დღევანდელ ბედნიერ დღეს. დაგვიდგა სანატრელი ჟამიც: გიხილეთ პირისპირ, ჩვენო დიდო მასწავლებლო, და მოგვეცა შემთხვევა გესაუბროთ კიდევ. შენს წმინდა სახეზე ვხედავთ ჭაღარას, რაც გულს არ გვიტეხს და

ვიმედოვნებთ, რომ კიდევ დიდხანს არ შეწყდება უღერა შენი ჩონგურის სიმებისა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

ლადო ბზვანელი მოგვითხრობს: „საზოგადოებამ“ ვაშა დასძახა, მგოსანმა მადლობა უძღვნა. შეხვედრა გადაღებულ იქნა და გავსწიეთ. ჩვენი ეტლები აღარ ჩანდა, რადგან გარწიმო ცხენოსნები შემოგვერტყნენ. მივდიოდით დიდი ამბით. გეგონებოდათ, რომ ომიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ მთავარსარდალს მიუძღვებიან სამშობლოში აღტაცებათაო. ჩვენ წინ ოთხი მხედარი მიაჭენებდა ცხენებს, რათა მალე შესულიყვნენ ონში და ეხარებინათ შეკრებილი საზოგადოებისათვის მგოსნის მიახლოება. მალე რიონზე მდებარე ხიდის გაღმა დიდ მინდორში დავინახეთ აუარებელი ხალხი. გავედით ხიდზე და მივადექით სადღესასწაულოდ მორთული ჭიშკრის კამარას, სადაც შეაჩერეს მგოსნის ეტლი. კამარაზე წავიკითხეთ წარწერა ნაძვისა და სუროს ფოთლების ასობით: „საკეთილდღეოდ თქვენი მობრძანება ჩვენში, სამშობლოს დამამშვენებლო მგოსანო!“ იქვე ეკიდა პოეტის სურათიც. კამარის ბოძებთან თაიგულებით იდგა თეთრად ჩაცმული სამი ქალიშვილი, რომლებიც გამოხატავდნენ სარწმუნოებას, სასოებასა და სიყვარულს. მათ წინ ჩამწკრივებული იყვნენ პატარა ვაჟები თეთრი ქულაჯებით. შემდეგ, ნახევარი ვერსის მანძილზე, კი — საზოგადოება, ადმინისტრაცია და ინტელიგენცია“ (გვ. 108).

ონის დეპუტატი დავით კერესელიძე გამოვიდა სიტყვით: „სალამს გიძღვნი მე, როგორც წარმომადგენელი დაბა ონისა, დიდებულო მგოსანო, დამამშვენებლო ჩვენი ერისა და ქვეყნისა. ჩვენ აღტაცებული ვართ, რადგან ვიგრძენით სულიერი ამალღება. ყველას გვიძგერს გული იმ დიდი სიხარულისაგან, რომელიც თქვენმა მოსვლამ გამოიწვია. გავითენდა ბედნიერი დღე, დაჰკრა საათმა და გვამცნო დიადი სხივის შემოშუქება ჩვენს მიბნელებულ მხარეში. ონმა გაიღვიძა და გაიხარა. ეს ზეიმი აღიბეჭდება შთამომავალთა სამარადისო ხსოვნაში. ახლა კი ერთხმად შემოგძახებთ: „დიდება თქვენს სახელს, ვაშა თქვენს მობრძანებას, ჩვენო სიამაყევ, მგოსანო აკაკი!“

აკაკის მიესალმა რაჰის მაზრის უფროსი ნ. ჩერნოვი და

საკუთარი ლექსი მიუძღვნა სტუდენტმა ალექსანდრე ჯაფარიძემ.

პოეტს წარუძღვნენ ეკლესიისაკენ. გაღვივანთან მას ქალთა სახელით შეხვდა პელაგია ყიფიანი (თავად დემოკრი ყიფიანის მეუღლე). ის შეეხო აკაკის შემოქმედებაში ასახულ ქალთა ტიპებს: „...თქვენს მაღლიან კალაშს, რომელიც ყოველთვის ხატავდა ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს ბედის ჩარხის ტრიალს, არ შეეძლო არ შეხებოდა ქართველი ქალის დღევანდელ ვითარებას. თუ ერთი მხრივ, თქვენ მიერ აღბეჭდილ თანამედროვე ქართველი ქალის ტიპურ სურათს ჩვენში გამოუწვევია მწარე გრძნობები, მეორე მხრივ, იმავე სურათს ჩაუსახავს მტკიცე სიყვარული და მისწრაფება ჩვენ შორის მისი წაბაძვისა...“

ეკლესიაში პოეტს ჯვრით მიეგება დეკანოზი მათე ვორდუზიანი და მიმართა მას შემდეგი სიტყვით:

„...თქვენ მოვლეთ ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხე და ყველგან შეიტანეთ სიცოცხლე და სიხარული. ახლა დგახართ ჩვენ წინაშე. ჩვენ ვტყებებით, რომ ვხედავთ თქვენს გადაშლილ, ნათლითმოსილ და კუთვარეობით გაბრწყინებულ შუბლს, რომელიც მუდამ სამშობლოს ბედნიერების ზრუნაშია. თქვენს ცეცხლივით ანთებულ თვალებს, რომელიც მუდამ გუშაგად უდგას ჩვენს სამშობლოს, ძილი არ მოჰკიდებია და არც ერთი მომენტი მის ცხოვრებაში შეუძმნეველი არ დაგრჩენიათ. დღეს ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ჩემს სუსტ ენას არ ძალუძს გამოთქვას ის გრძნობანი და აზრები, რომლებსაც თქვენ ჩაგვაგონებთ. თქვენ საქართველოს ფირუზ ცაზედ შუქურ ვარსკვლავად ხართ აღმოცენებული და ნათელს ჰფენთ და აცისკროვნებთ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას, რომლის შეგნებას თქვენ მკვიდრი საძიკველი ჩაუყარეთ. თქვენ აღამაღლეთ და განამტკიცეთ ჩვენი ენა და ზნეობა. თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ დიდებული სახელი ქართველსაც შეუძლია მოიპოვოს, რის გამოც მტკიცედ გვწამს, რომ ის ერი, რომელიც შემქმნელია ასეთი ზენაკაცისა, არასოდეს არ მოკვდება და თავის არსებობა ოქროს ასოებით შეუძლია ჩაწეროს მსოფლიო ისტორიაში. გაიხარეთ და გამხნევდით, რომ თესლმა, თქვენი კუთხეული მარჯვე-

ნით ნათესმა, ნაყოფი მოუტანა შენს საყვარელ სამშობლოს, რომელიც შენთვის ხატია და მის წინ მზადა ხარ დაიწვა, ვითა სანთელი. სამაგიეროდ ქართველმა ერმა თვით თქვენ ჩაგისახათ გულში ხატად და მის წინ მუდამ ჟამს აღანთებენ ამ დიდებულ იდეალებს ძმობისას და სიყვარულისას, რომლებსაც თქვენ ჩაგვძახობდით.

აწ ვიღებ ხელში წმინდა ჯვარს და გლოცავ მით. ვევედრები მასზე ტანჯულ სიმართლისა და ჭეშმარიტების მღალაღებელ ქვეყნის მაცხოვარს, რათა სიმართლით განაგრძოს თქვენი ძვირფასი სიცოცხლე ჩვენდა სასიხარულოდ“.

ეკლესიიდან მგოსანი მიიყვანეს ბაღში, სადაც საზოგადოებამ შეუნელებელი ინტერესით მოისმინა შემდგომ დამსახურებული პედაგოგის ნიკო გიორგობიანის სიტყვა.

„ილიას სიკვდილის შემდეგ. — თქვა ნ. გიორგობიანმა, — თქვენ შეიქენით ერთადერთი იმედი და დიდება საქართველოსი, თქვენ მიიპყრეთ მთელი ერის ყურადღება.

არასოდეს რაჰკველებს თქვენ ისე არ ჰყვარებიხართ, როგორც დღეს. მათ არასოდეს თავიანთი თავი იმდენად არ ჰყვარებიან და არ დაუფასებიათ, რამდენადაც დღეს. რაჰკველი დღეს ამაყობს და თავს ბედნიერად თვლის.

მამოიხედეთ, დიდებულო სტუმარო! აი, ესოდენი ხალხი თქვენ მოგელოდათ. მის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა აქვს, ოდეს თქვენი ხილვის ღირსი გამხდარა. მერე რომ იცოდეთ, ზოგიერთი რა სიშორიდანაა აქ მოსული! შინ დარჩენილან მხოლოდ მოხუცი და აკვნის ბავშვები. დღეს ისინიც თქვენს ხსენებასა და ქებაში არიან.

გლეხის ღარიბ ქოხში მშობელი დედა აკვანს მისჯდომია. მას თითქმის სრულიად დავიწყებია ყოველდღიური ოჯახური საქმიანობა და რაღაცა ციური იმედებით სახეგაბრწყინებელი თავის პატარა საყვარელ შვილს თქვენს ტბილ ნანას უმღერის და თქვენი სახელით ეალერსება. დიახ, დაბეჩავებულს, უგზოუკვლობით შეწუხებულს, კულტურულ ცენტრს მოწყვეტილ რაჭას დიდი ხანია არ ღირსებია ამისთანა მხიარული დღე.

ან კი საიდან, როდესაც ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას სასიხარულო დღე სანატრელად გადაქცევია. თითქმის სრუ-

ლიად მოსპობილან საქართველოში ეროვნული სამსიარულო თავყრილობანი და მათი ადგილი სამგლოვიარო დღეებს დაუჭერიათ.

1896 წლის სუსხიან ზამთარში შეიკრიბნენ აურაცხელნი ქართველნი ქ. ქუთაისში, რათა სამუდამოდ გამოსთხოვებოდნენ ყოვლად სამღვდლო გაბრიელს, რომლის პადალუნებობრივი პიროვნება ასე აშუქებს და აბრწყინვალუებს ჩვენს ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას.

1907 წელს წიწამურის გზაზე მტარვალის ხელიდან ვასროლილმა ტყვიამ ხომ სულ ერთიანად აატირა მთელი საქართველო. ქართველ ერს მზე დაუბნელდა. სამშობლოს მოღალატემ ილიანს ტყვიით გული განუგმირა. დაობლებულ ქართველებს კიდევ მიეცათ საბედისწერო შემთხვევა შეკრებილიყვნენ ერთად, რომ დედაქალაქ თბილისის ქუჩები და მამადავითის მთა ცხარე ცრემლებით მოერწყოთ.

ან გაიხედეთ დიდუბისაკენ. გლოვის ზარია. მოზღვავებღული გულწათუთქული ქართველი ერი შავ მიწას აბარებს საუკეთესო მამულიშვილს, დიდ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს და ეს ზარის სმა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ჯერ ჩვენს თვალზე სდუღარე ცრემლი არ გამშრალა. აი, ამ ეროვნულ მოთქმავოდების დღეს თქვენი აქ მობრძანება ქეშმარიტად იგვეა, რაც მესიის ქვეყნად გამოცხადება. დიდი მადლობის ღირსია ყველა ის, ვისაც თქვენი აქ მობრძანებისათვის ხელი შეუწყვია.

განა ჰყოლია საქართველოს თქვენისთანა ჰირისუფალი? ან ეის შეეძლო თქვენებრ სისწორით გაეთვალისწინებინა ის უკუღმართი გზა, რაზეც მონობამ ჩვენი სამშობლო შეაყენა.

ვის უტირებია, ვის უტლერებია მკვნესარე ჩანგი სამშობლოს დიდებისათვის ისე, როგორც თქვენ? ვინ იცის, რამდენი ძილი გაატეხიათ და რამდენი ცხარე ცრემლი თქვენ ისე დაგიღვრიათ, რომ ჩვენ არც კი გავვიგია.

მრავალგზის ბარბაროსი მტრებისაგან შეიწრებული ჩვენი სამშობლო სიკვდილის კარამდე ვერ მიიყვანეს. როგორ შეიძლება მოსპობა იმ ერისა, რომელმაც წარმოშვა ისეთი მსოფლიო მნათობნი, როგორიც არიან: დავით აღმაშენებელი, თამარი, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე და თქვენ, ძვირფა-

სო აკაკი! თქვენ მიერ სამარადისოდ უკვდავყოფილია ქართველი ერი, მისი ენა, აზროვნება და მწერლობა. გადაგვარებას უკუღმართ გზას ბოლო მოეღება. სანატრელი გაზაფხულის დილის ცისკარმა კარგა ხანია გამოანათა!..“

ონის ნოტარიუსის დავით გოცირიძის სახლში ვაშლილი იყო სუფრა სტუმრებისათვის. თამადამ თავადმა კონკატანტინე წულუკიძემ ადღეგრძელა აკაკი, მისი მწლებლები და დამსწრე საზოგადოება. ძმებმა ჯაფარიძეებმა იმღერეს. საკუთარი ლექსები სტვირზე შეასრულეს ფარაჩეთელმა ზაქარია ერაძემ და ლუკა ტოგონიძემ.

იმავე დღეს, 27 ივლისს, ონში მოეწყო აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც პოეტი და დამსწრენი ძლიერ გააკვირვა ახალგაზრდა ქალიშვილის მარიამ წერეთლის წარმტაცმა სიტყვამ, მისმა ორატორულმა ნიჭმა.

მარიამ წერეთლის სიტყვა ასეთი იყო:

„იშვიათო მოხუცო! ფრიაღსასიამოვნო, მაგრამ მეტად ძნელი ხვედრი მარგუნა ბედმა: მოგესალმო და ქებათა ქება გიძღვნა ჩემი უმწუო ენით, შენ, ივერიის მშვენიერას. ბედნიერი ვარ მით, რომ დიდი მგოსანი, ერის გუშავი, რომლის სევდიანი ჰანგები თავს დასტირიან წამებული ივერიის ბედობას, დღეს პირველად ეწვია ბედკრული საქართველოს ერთ მშვენიერ კუთხეს, ჩემს საყვარელ სამშობლო რაჭას.

მოვსულვარ შენ საქებ-სადიდებლად და თანაც მთის შიკრიკის — ცელქი სიოს და მთა-გორების დანაბარები საღამო თავისუფალი მუხის ამაყი მთებიდან თან მომიძღვნია.

მოელვარე მთის პაწია ჩანჩქერნიც საამურად ეკონებიან ნეტარი დღით დამთვრალ და აზვირთებულ ფაზისს და ტალღათა სრბოლაში, ამ სტიქიონურ ძმურ ხვევნა-კოცნით, გამოთქვამენ და მბარებენ სალამს შენდამი, დიდებულო შვილო ტანჯული ერისავ!

ბუნება ხარობს, გიგალობს და ჩვენც უფრო გვმართებს მხიარულება, კიდევ შემოვკრებით და შეერთებით ხმაშეწყობილად ვუგალობთ წმინდა საგალობელს ჩვენს ღვთაებას, წმიდათა წმიდას, ხელოვნების ქურუმს.

დღეს ჩვენც. რაპველები. ვდღესასწაულობთ იმ გმირთა გმირის დღეს, რომელსაც ხმლის ნაცელად, ცრემლში ნალეს, ნალველში ამონაწები კალამი ხელთ ეპყრა და ორმოცდაათი წლის განმავლობაში დაუღალავად დარაჯობდა ქართველ ერს. სიმართლის კერას. ბოროტებას ებრძოდა და უგერიებდა ბედკრულ ივერიას ბუზებივით მოზუზუნე მტერს. თუმცა ის მოსაზრება, რომ სატრფოს ძველებური მოსისხლე მტრები აღარ აწუხებდნენ, შენ ცოტათი გულს გამშვიდებდა, მაგრამ ის მდგომარეობა, რომ შენი სატრფო, ვითომდა მფარველ ფრთისქვეშ მყოფი, ფეხშიშველია და თავზე ლეჩაქასდილი და ცრუგაუტანელი მამულიშვილებისაგან ერთი ორად შევიწებულია, გულს გიგმირავდა. ნალვლიანად აუღერებდი შენს ჩანგს, დასტიროდი სატრფოს ვარამს, ვით მწყემსი ობლის საფლავს და ჩვენც გვატირებდი. მაგრამ ამ ქვითინში სასოწარკვეთილის გოდება როდი ისმოდა. ღრმად ვეწამს, რომ ივერიის ბედ-იღბალი არ მომკვდარა, გაღვივდება დარჩენილი ნაპერწკალი და ღვთიურ ცეცხლად აღიგზნება.

არ მოკვდება ის სატრფო, რომელსაც შენებრ მოტრფივალე გვერდით უზის, არ მოკვდება ის ერი, რომელსაც შენებრ მებრძოლი ჰყავს. დიახ, ბატონებო, აკაკი მებრძოლია — გმირთა გმირი. ჩვენს ღრმში ხმალი იმდენს ვერას იზამს, რასაც პატარა კალმის წვერი და მით უფრო ისეთი კალმის წვერი და სიმთა ჟღერა, რაც დაჩაგრულს თვალს ცრემლებს უშრობს და მჩაგვრელს კი გულში ისარივით ესობა.

აბა, ბატონებო, ახლა გადავხედოთ სიმართლისათვის თავდადებულ მეომართა ძვლებით დაფარულ ბრძოლის ველს. აქ სანუგეშოს თითქოს ვერას ვხედავთ, მაგრამ ნუ შეკრთებით! აგერ ძვლებისაგან აგებული კიბის მწვერვალზე შარავანდდით მოცული მოხუცი დგას. თუმცა მძიმე ხვედრი ღრმად აღბეჭდია მის სპეტაკ შუბლზე, მაგრამ იგი შეუპოვრად დგას. თითოეული საფეხური კვნესით, გოდებით განვლენ შენ, მგოსანო, მრავალი თანამომე ჩამოგშორდა, ზოგნი უღმობელი სიკვდილით უღროოდ მოტაცებულნი, ზოგნი ბოროტების მსხვერპლად ქცეულნი, მაგრამ შენ შეუპოვრად განაგრძობდი წინსვლას, საიდუმლო ლამპარით ინათებდი ნარეკლიან გზას და მიგყავდა სევდიანი ჩანგის ჟღერით მი-

ტოვებული მხარე. და დღეს კი დგახარ იმ მწვერვალზე, რომელსაც მხოლოდ შენებრ რჩეულნი თუ მიაგნებენ და მორთავენ სავედრებელ ტაძარს ბზის ტოტებით. მაშ, აჟღერე, მგოსანო, ეს ჩანგი შენი! მხოლოდ შენლა დაგვრჩენიხარ. შენა ხარ ჩვენი დედა, მამა, გამხარებელ-დამტირებელი და ერის საქებ-სადიდებლად ნუ დაგვაიწყებ იმ ტკბილ ენას, რითაც თამარ მეფე ბრძანებას სცემდა“.

შაბათს, 28 ივლისს, დილით ითათბირეს მთარაქაში წასვლის შესახებ. მგოსანი სოფელ სხიერში მიიწვია ს. ჯაფარიძემ („სხიერობა“ 29 ივლისს იმართებოდა). შემდეგ (30 ივლისს) კი — უწერა, გლოლა, ლებ-ჭიორისაკენ ფიქრობდნენ გამგზავრებას. აკაკის აინტერესებდა რიონის სათავეში მცხოვრებ რაჭველთა ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების გაცნობა და ეროვნული სიმღერების მოსმენა. ონელთა ოცნობით, ცუდი გზების გამო მგოსანს ამ სოფლებში შესვლა მეტად გაუჭირდებოდა. ამიტომ განზრახვა ვერ შესრულდა.

ნაშუადღევს ონის ბაღში გაიმართა უჩვეულო ღზინი. ფანჩატურს სამანზე მეტი კაცი უსხდა. დანარჩენთათვის გაიშალა სუფრა იქვე მწვანეზე. „ყველა იქ მყოფი, — წერს ლადო ბზვანელი, — აუწერელ აღტაცებასა და სიამოვნებას გრძნობდა. ბუნებაც ხარობდა. მშვენიერი ამინდი იდგა. გრილი საღამო იყო. მთა „შოდა“, ლურჯი ნისლით დაფარული; ამაყად დაგვყურებდა, გულისამატოკებელი ზურნის ხმებს და ონელების ფერხულზე სიმღერას მდინარე რიონიც თავისი დუდუნით ხმას აძლევდა. ნელი სიოც არ გვბაკლებდა პატივისცემას“ (გვ. 137).

თამადობა მიულოცეს რაქის მაზრის წინამძღოლს ექიძ დავით ჯაფარიძეს. მან, ყანწით ხელში, ადღეგრძელა მგოსანი და უსურვა კეთილდღეობა; მგოსანთან გაჩნდა მოხუცი მესტივირე და უმღერა — შეამკო ქებით.

ონის ებრაელთა დეპუტაციამ მგოსანს ხონჩით მოართვა ტორტი, რაზეც გამონატული იყო ჩანგი, სამელნე და კალამი. ამასთანავე მათი წარმომადგენელი ახალგაზრდა ებრაელი ფილხაზ შიმშილაშვილი აკაკის მიესალმა ამ სიტყვით:

„სასიქადულო მამულიშვილო, ბატონო აკაკი მე გეახელით, რათა ქართველი ებრაელების მონდობილობით მოგახსე-

ნათ ორიოდ სიტყვა. მე ვარ თქვენი ნაწერებით აღზრდი-
ლი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი. ამასთანავე გავუ-
წყოთ, რომ ჩვენ დიდი ალტაცებით მივეგებებით ჩვენში
თქვენს მობრძანებას და ბედნიერ დღეობას. ჩვენ — ებრაე-
ლებსა და ქართველებს — ცხოვრებაში ისეთი შეთვისება
გვაქვს, რომ არ განვირჩევით ერთმანეთისაგან, როგორც ერ-
თი სისხლი და ხორცი. ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენს
თავს ქართველ ძმებსა და მეზობლებთან ერთად მონაწილე-
ობა მივიღოთ ამ ზეიმში. ნიშნად პატივისცემისა, ებრაელე-
ბისაგან გთხოვთ მიიღოთ ეს მცირედი ძღვენი. მუდამ სახე-
ში იქონიეთ, რომ ჩვენ (ებრაელებსა და ქართველებს) შო-
რის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არ იქნება, გარდა
სარწმუნოებისა“.

მგოსანმაც შესაფერი სიტყვა უთხრა ებრაელებს. გადა-
კოცნა ახალგაზრდა წარმომადგენელი. ხალხმა დასძახა: „ვა-
შა“ და „აკაკის გაუმარჯოს“. მეზურნეებმა იმღერეს.

თავადმა ივანე წულუკიძემ თქვა: „სასიქადულო მამუ-
ლიშვილო! წარმოიდგინეთ ბნელი ჯურღმული, სადაც უნას-
ნი დაუსრულებლივ სისინებენ, სადაც ტანჯვა-წუხილი და
გულშემზარავი კენესაა; არსაიდან ხსნა, არსაიდან სინათლე,
ყველგან საშინელი წყვილია. მოულოდნელად წერაქვი
კაესა სცემს, ქვა ნაპერწკლებს ჰყრის და მათი ალით წყვი-
ადი ჰქრება, ნათელს თან მოსდევს საერთო ხსნა და ნეტა-
რება. აი, ამგვარად, ჩვენი სამშობლო სულსა დაფავდა
წყვილიდის ქვეშე, ქვემძრომნი და სხვა უნასნი ზეიმს მარ-
თავდნენ მის სივრცეზე. ამ დროს წერაქვად თქვენ მოველი-
ნეთ, კაეს მაგრად დაჰკარით და ნაპერწკალმა ანაზღვეულად
წყვილადი გაჰფანტდა... აწ კი ყველას იმედი გვეკონდეს, რომ
ვერ გაუძლებს ჯაჭვი ამირანს და ტარიელ-ავთანდილ-ფრილო-
ნი გამოიხსნიან ნესტან-დარეჯანს.

აი, ამიტომ

ნეტარ ხარ შენა შენ არ გვირია
ჩვენგან დიდება ალტაცებული,
არც არა ძეგლი მოკლედროითი
და დროებითვე განათებული.

შენ გასულდგომლებს სულ სხვა რამ მაღლი,
შენ ვკვდავად გქმნის ზენაართ ძალი,
ქანდაკს გიმზადებს აწმყო უმჩნევლად
და გაციკროვნებს თვით მომავალი“.

ამბროსი გამყრელიძის სიტყვის ბოლო ნაწილი ასეთია: „ეს კუთხე, სადაც თქვენ იმყოფებით, დასახლებულია მშრომელი ხალხით. შრომა კი აპატიოსნებს ადამიანს. პატიოსნება გამოიხატება სიყვარულსა და სათნოებაში. ეს გრძნობა ჩაგვიწერა თქვენმა შემოქმედებამ. ნახევარი საუკუნე უწევდით მედგარ სამსახურს ჩვენს სამშობლოს.“

რაჭველი, მიუხედავად ადგილის სივიწროვისა და მკაცრი ბუნებისა, ვერ შეთვისებია იმ აზრს, რომ მიატოვოს სამშობლო და წავიდეს სხვაგან უკეთეს ადგილას საცხოვრებლად. სხვაგან სიცოცხლეს აქ სიკვდილს ამჯობინებს, სხვაგან სიმდიდრეს და სიმხიარულეს — აქ სიღარიბეს და ტანჯვას. ის სულითა და ხორციით არ შორდება ამ სალ კლდეებს. ბატონო აკაკი, ღვთისაგან ხართ დალოცვილი და ნაკურთხი. გისურვებთ დღეგრძელობასა და ბედნიერებას“.

ამ ნადიმზე გენიოსმა პოეტმა ჩინებულად განსჯერბიტა საქართველოს მომავალი. მან კაცობრიობის მხსნელი გმირთა გმირის მოსვლა იწინასწარმეტყველა. მადლიერი შთამომავლობა ამ სიტყვას მუდამ კრძალვით მიიღებს და გულში საიუთად შეინახავს.

აკაკი წერეთელმა წარმოთქვა შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვა: „ბატონებო! თქვენი მხიარულება მეც გადმომედვა. როგორც თქვენ, მე კიდევ უფრო ვარ აღტაცებული. იმიტომ კი არა, ეს ლიტანიობა, რომელსაც მე აქ ვხედავ, ჩემგანაა გამოწვეული, არა, სულ სხვა მიზეზით.“

მე ვხედავ, რომ თქვენ უკვე გამოღვიძებული ხართ, არა ხართ კმაყოფილი აწმყოთი და მიისწრაფვით მომავლისაკენ. თქვენ ეძებთ სწორ გზას, გინდათ, რომ გყავდეთ წინამძღოლი, რომ მოგველინოთ მესია და, ნაშეტანი სურვილით გატაცებულნი, აჩქარებულხართ და მე გგონივართ ის წინამძღვარი. მე მისი აჩრდილიც არა ვარ, მე უბრალო წინამორბედი ვარ.

ის გმირი, რომელმაც უნდა გასწყვიტოს ჯაჭვი და აუშვას ამირანი, სხვა არის, ის მოგვევლინებათ ახალი მოდგმისაგან. როდესაც იონე ნათლავდა ხალხს იორდანეში, ებრელებს ის ეგონათ მესია. მას ჰკითხეს — შენ ხარ მესიო? — არა, მესია ის არის, რომელიც ახლა ჩვენსკენ ნელ-ნელა ეშვებაო. მე ნათელს გცემთ თქვენ წყლით, ის კი — სულიწმიდით. მე ღირსი არა ვარ ამ შედარებისა და მხოლოდ მაგალითად მომყავს ამ აღფრთოვანების დროს. აღსრულდა იონე ნათლისმცემლის სიტყვა — მოვევლინა ქვეყანას მაცხოვარი. სწორედ ასევე მოვევლინება საქართველოს მისი შესაფერი გმირი, რომელსაც ღირსი არა ვარ ხამლი გავხადო ფეხთა მისთა. და თუ მე, მცირე მახარობელს, უბრალო მომკვდავს ასეთი აღტაცებით მეგებებით, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგვევლინებათ!.. თქვენ მაშინ უფრო აღტაცებული იქნებით და მეტი მომზადებული შეხვედრებით იმ გმირთა გმირს.

მე მხოლოდ დამრჩენია ერთი: ჩავიკრა გულში თქვენ მოლოდინი, სიყვარული, პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოვთქვა: „აწ განმიტევეთ მე მონა თქვენი!“

დეკანოზმა მათე გორდეზიანმა აკაკის უთხრა საპასუხად სიტყვა:

„ძვირფასო მგოსანო! თქვენმა უკანასკნელმა სიტყვებმა ცოტა ნაღველი გადასხა ჩვენს მხიარულებას. სვიმონ მოხუცებულს ღვთისაგან ჰქონდა ნაბრძანები არ მომკდარიყო მანამ, სანამ არ იხილავდა მესიას, მხსნელს ქვეყნისას. და ეს ასეც მოხდა, თქვენ კი გვპირდებით მის მოსვლას თქვენ შემდეგ. არა, დიდებულო მგოსანო, თქვენც თვით ზეციდან ხართ მოვლენილი ჩვენი სამშობლოსათვის, რომელსაც მთელი არსებით ეკუთვნით და ამიტომ არ გაქვთ უფლება თქვათ: განმიტევეთო. უნდა იცოცხლოთ მანამ, სანამდე თქვენ თქვენს მკლავებზე არ მიირქმევთ იმ მესიას!..“

მსგავსი წინასწარმეტყველური სიტყვით აკაკიმ შიშართა კახელებს 1911 წლის 21 ივლისს, ილიაობის ძეორე ღღეს, თელავში:

„ის ხალხი, რომელსაც ჰყავს ვახტანგ გორგასალი, დავიო“

აღმაშენებელი, თამარი, დიდი მოურავი, რუსთაველი, პეტრიწი და სხვები — მსოფლიო გმირები, კიდევ წარმოშობს ისეთ გმირს, რომელიც მას ესაჭიროება და სიხარულით მოელის“.

მგოსანი ბინამდის გააცილეს და მოასვენეს. ბაღში ღზინი დილაშდის გაგრძელდა. მთელი ონი განათებულ-გაჩირაღდნებული იყო.

ონში აკაკიმ ღამე გაათია დავით გოცირიძის სახლში. ამქამადაც დაცული არის კედელზე მგოსნის მინაწერი:

სტუმართმოყვარეობა
რაბველთა განთქმულია,
მაგრამ სტუმრის გულშიაც
მათი სიყვარულია.

1912 წ. 29 ივლისი. აკაკი.

აკაკი და მისი თანამგზავრები დაბრუნდნენ ლეჩხუმში. გამართნენ ლაილაშისაკენ.

რაბინ დავით ბაზოვის სტატია. აკაკი წერეთელთან შეხვედრაში აქტიურად მონაწილეობდა რაჭის სამაზრო ცენტრის დაბა ონის ებრაელობა რაბინის დავით ბაზოვის (მწერალ გერცელ ბაზოვის მამის) მეთაურობით.

ცხობილია დავით ბაზოვის გამოსვლა 1913 წელს ქალაქ ფრანკფურტში საერთაშორისო კონგრესზე. მან აღნიშნა: მსოფლიოში საქართველო არღს ერთადერთი ქვეყანა. საღაც ებრაელებს არ სდევნიან, აქ არასოდეს ყოფილა ებრაელთა დარბევა, არ არსებობს ანტისემიტიზმიო. ფრანგმა გენერალმა ლიფმონმა წარმოთქვა სიტყვა ქართველი ერის საღიდებლად (იხ. გაზ. „სამშობლო“. 1915. № 126).

დავით ბაზოვმა ქართულ პრესაში გამოაქვეყნა სტატია. მასში ავტორი მოგვითხრობს ქართველებისა და ქართველ ებრაელთა შორის მეგობრულ ურთიერთობაზე. აქ ერთგან ასე წერია: „პოლანდიის ქალაქ გააგაში პუბლიცისტ ნაჰუმ სოკოლოვთან საუბარში უცებ თავზე წამომადგა ძვირფასი მოღვაწე შალომ ყალეხემ რაბინოვიჩი და აღტაცებით მკითხა: თქვენ განს საქართველოდან ხართ? — დიახ. — ვუპასუხე. —

იცნობთ ქართველ მწერლებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს?

როცა დადებითად ვუპასუხე, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა და ამნაირად დაუხასიათა იქ დაქსწრე ვამოჩენილ პირებს უკვდავი კლასიკოსები: „მე გავიცანი აკაკი წერეთელი პარიზში, ილია ჭავჭავაძე კი — პეტერბურგში. აი, ნამდვილი იდეალების მსახურნი, რომელი იდეალიც უქადის კაცობრიობას ბედნიერ გზასაო, რასაც დაამოწმებს ფიქლოლოგიურად ქართველი ერისა და ებრაელების დაახლოება“. დიდი აღელვებით გაისმა შეძახილი: „გაუმარჯოს იმ ქართველ ერს, რომელსაც ასეთი ძლიერი და სუფთა თვასება ჰქონია“.

ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს პირადად მე შევხვედრივარ თბილისში. აკაკი ბოლოს ხომ უფრო დავეცხლოვდა — ესტუმრა რაჭა-ლეჩხუმს. მისი საიუბილეო თარიღი ონისა და ლაილაშის ებრაელობამაც ღირსეულად აღწინა. შობათ დღეს ონში მობრძანებულ აკაკი წერეთელს ჩემი მრევლი შეეგება ლოცვითა და გალობით. აკაკის მოგზაურობა, როგორც ეროვნული ზეიმი, სამახსოვრო ისტორიულ მოვლენად უპირატესად ქართული კულტურის ისტორიაში (იხ. გაზ. „საქართველო“. 1916. 29 მაისი. № 119).

ჯაფარიძეთა მემუარები. საბჭოთა კავშირის საბალახო მხატვარი უჩა ჯაფარიძე მოგვითხრობს: „ეს იყო 1912 წელს ზაფხულში. მე მაშინ სრული ექვსი წლის ვიყავი. უფროსებისაგან მესმოდა, რომ აკაკი წერეთელი უნდა მოვიდეს რაჭაშიო და ამიტომ დიდი მზადება იყო გაჩაღებული.“

მე დედამ შინდისფერი ხავერდის ქულაჯა შემიკერა, სირმებიც მოავლო სილამაზისათვის და ამნაირად მე გამოწყობილად ჩამთვალეს. მომწონდა თავი და ჩემი ახალი ქულაჯით ბავშვებში გავერიე. ჩემი ამხანაგები იყვნენ — დიმიტრი ჯანელიძე, ამჟამად პროფესორი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გერცელ ბააზოვი, შემდეგში მწერალი, და სხვები.

ერთი სიტყვით, მთელი ონი, მთელი რაჭა ფეხზე იდგა და ელოდა ძვირფასი სტუმრის გამოჩენას. ყველას საყვარელი

პოეტის სახელი ეყერა პირზე. ისე გატაცებული ვიყავით მონაწილე ზეიმის მოლოდინში, რომ მეტი არაფერი გვახსოვდა.

დადგა სტუმრის დახვედრის დღეც. შეიკრიბნენ ონში ცხენოსნები, ყველანი ახალ-ახალ ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილნი, ერთმანეთზე უკეთესი ახალგაზრდები. მათს შეხედვას არაფერი სჯობდა, ცხენებზე რომ ისხდნენ ყველანი ერთად და აგუგუნებდნენ რაჭულ სიმღერებს.

ივლისის მიწურულს სოფლად წარმოებდა საზაფხულო მუშაობა, მაგრამ აკაკის მოსვლით გახარებული გლეხები მაინც მიეშურებოდნენ ქუთაისის გზისაკენ, რათა შორიდან მაინც დაენახათ პოეტი და მას მისალმებოდნენ. ყველამ კარგად იცოდა, თუ ვინ იყო აკაკი წერეთელი. ყველანი სიმღერითა და ცხენების თქარათქურით სორში წავიდნენ პოეტის შესახვედრად. მე და ჩემი პატარა ამხანაგები ონელ ქალებსა და ქალიშვილებთან ერთად ვიდექით რიონის ხიდთან. აქვე იყო სპეციალურად აგებული ფერად-ფერადი ქსოვილებით და გრძელი ტილოთი მორთული ფარდული, რაზედაც ეწერა მისალმების სიტყვები.

კარგად მახსოვს, პარასკევს, ონში იმდენი ხალხი მოვიდა სოფლებიდან, რომ გაიჭედა მოედანიც და ქუჩებიც („პარასკეობა“ აქ ბაზრობისა და ვაჭრობის დღე იყო). მას მიემატა კიდევ პოეტის მოსვლით დაინტერესებული სოფლელები და ეს უთვალავი ხალხი სანატრელ სტუმარს ონში დიდი ზეიმით დახვდა.

საში დღე დაყო აკაკიმ ონში. სულ ხალხთან საუბრებით იყო ვართული და ტყებობდა ახალგაზრდობის სიხარულით, ფერხულით, ცეკვა-თამაშით, სიმღერებით.

ონის ბაღში ნადიმზე მგოსანს მხურვალე სიტყვებით მიმართავდნენ, მას ეროვნულ გმირად, ერის წინამძღოლად, ერის ბელადად რაცხდნენ. მახსოვს, ამაზე აკაკიმ უპასუხა, რომ მე გმირი არა ვარ, მე მხოლოდ წინამორბედი ვარ იმისა, ვინც ჩემს შემდეგ გამოგეცხადებათ და ნამდვილ ბელადობას გაგიწევთ.

უხაროდა მოხუცს, რომ ხალხი ასე გათვითცნობიერებულა, გაზრდილა კულტურულად და სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის იღვწოდა.

ის გრანდიოზული, არაჩვეულებრივი დღეები არასოდეს დამავიწყდება. აკაკის ის მოგზაურობა მარტო რაჭა-ლეჩხუმის ზეიმი კი არ იყო, ეს იყო დიდი ტრიუმფი მთელი საქართველოსი...“ (იხ. დოკუმენტური ისტორიული კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი. 1979. გვ. 18).

პრესაში ორჯერ გამოქვეყნდა ზეიმის მონაწილის ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძის (1886—1981) მემუარი „ღაუვიწყარი სტუმარი“.

„1912 წლის ზაფხულზე აკაკი წერეთელმა სულ ორ კვირას დაყო რაჭა-ლეჩხუმში. აქედან ონში მხოლოდ სამ დღეს. ივლისის შესანიშნავი მზიანი დღეები იყო. ცხელოდა კიდეც, ყველას შეგვეძლო საზაფხულო თეთრი ტანისამოსი ჩაგვეცვა და უფრო გრილად ვყოფილიყავით, მაგრამ დიდი ეროვნული დღესასწაულის გამო, რადაც საყვარელი მგოსნის სტუმრობას სთვლიდნენ რაჭაში, მთელი ის დღეები ჩონახალუხში გამოწყობილი ვიყავით და „იარალში ჩამჭდარიც“, როგორც იმ დროს იყო მიღებული.

აკაკის ჩვეულებრივი მუქი „საშემოდგომო“ კოსტიუმში ეცვა.

მახსოვს, რა დიდ კმაყოფილებას განიცდიდა პოეტი რაჭის საზოგადოებრიობის მხრივ მისდამი დაუცხრომელი ყურადღების გამო — თვალეში უსახლგრო სიამოვნების სხივები უკრთოდა.

პოეტი ხედავდა, რა დიდი ინტერესითა და აღტაცებით მოისწრაფოდა ყველა დავით გოციორიძის სახლისაკენ, სადაც ის ბინად იყო.

ყველაზე მეტად მოსწონდა ბავშვების სიმრავლე.

— ეჰ, ამათს სიმრავლეშია, ბატონებო, ჩვენი ერთადერთი ხსნა, — თქვა ამოოხებით.

დაისვამდა ბავშვებს მუხლებზე და ეტიკტიკებოდა. ჩემი ძმა უჩა, ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, რომელიც იმ დროს ხუთი წლის იყო, არა ერთხელ ყოფილა ბედნიერი სხვა მის ტოლებთან ერთად მჭდარიყო დიდი მგოსნის მუხლზე, მაგრამ მაშინ იმ ბედნიერებას ვერ გრძნობდა. მამაჩემსაც მიმართა ერთხელ ხუმრობით: ბატონო მალაქია, ექვსი ვაჟიშვილი გარტყია ირგვლივ. რა ბედ-

ნიერები ვიქნებით, თქვენს კარგ მაგალითს რომ ბევრი მშობელი მიბაძავდეს საქართველოში.

აკვირვებდა ჩემი და ჩემი ძმის გრიგოლის მსგავსება.

აკაკის ონში მოსვლის დღეს, პარასკევს, როდესაც მოედანზე ტევა არ იყო, ნელ-ნელა მოდიოდა იშვიათი ფერების ყვავილებით მორთული ეტლი, სადაც იჯდა პოეტი და გვერდში უსხდნენ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი „მუზები“ — რაჟის ლამაზი ასულები.

ახალგაზრდობაში ბუზები მაწუხებდნენ და, მადლობა ღმერთს, სიბერეში მაინც მეღირსა „მუზებით“.

ძალზე მოსწონდა პოეტს რაჭული სიმღერები და სულგანაბული უგდებდა ყურს მათ. უფრო სასიამოვნოდ ისმენდა ძველ ორპირ სიმღერებს — „ეღელეს ჩამოდგა“, „თვალეუ-ეუნა ქალო“, ძველებურ „მრავალყამიერს“.

ვწუხვარ, რომ დიდ პოეტს ავტოგრაფის დატოვება არ ეთხოვეთ და დავკმაყოფილდით იმით, რომ მასპინძლის სახლის კედელზე ფანქრით დაწერა სიყვარულით სავსე ოთხბწყარედი (იხ. ზემოთ).

რაჟას სამართლიანად შეუძლია იამაყოს დიდი სტუმრის გულწრფელი დახვედრით, რომელიც მე არასოდეს დამავიწყდება“ (იხ. გაზ. „თბილისი“. 1960. 3 დეკემბერი; გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1980, 26 დეკემბერი).

პრესაში გამოქვეყნდა ზეიმის მონაწილის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ზინა გიორგობიან-ჯაფარიძის (1893-1972) მოგონება „შეხვედრები აკაკისთან“:

დავიბადე ქვემო რაჟის სოფელ ბუგეულში. დაწყებითი სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განვაგრძე ქუთაისში, გავხდი პედაგოგი, დიდხანს ვცხოვრობდი და გამსახურობდი დაბა ონში მეუღლესთან ერთად. შემდეგ ჩვენი ოჯახი დამკვიდრდა ქუთაისში.

ქართველებისათვის და მეტადრე ახალგაზრდებისათვის აკაკი სამშობლოს სიმბოლო იყო. პირადად მე დიდ სიამოვნებასა და სიამაყეს განვიცდი, რომ მაშინ, ჯერ კიდევ მოსწავლეს, ბედმა მარჯუნა რამდენიმე შეხვედრა მქონოდა ჩვენს სათაყვანებელ მგოსანთან.

მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი სიყვარულითა და მოკრ-

ძალებით ვიყავით გამსჭვალული აკაკისადმი და მეტად გვატკინა გული იმან, რომ განათლების ხელმძღვანელობამ უფლება არ მოგვცა 1908 წელს აკაკის საიუბილეო ზეიმში ორგანიზებული მონაწილეობა მიგველო.

ქუთაისში ჩამოსვლისას აკაკი თითქმის ყოველთვის ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის დების სახლში, პოსპიტლის ქუჩაზე, რიონის პირას ცხოვრობდა. იმავე ბინაში ცხოვრობდა ჩემი თანაკლასელი ჯანაშია თავისი ძმებით, რომლებმაც ეზოში ორძელი და სხვა სპორტული იარაღები მოაწყვეს.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ხშირად ამხანაგებთან ვიწყებდით ორძელზე ვარჯიშს. იმ დროს (1912—13 წლები) სპორტი ვაყებისთვისაც ახალი ამბავი იყო, ქალებს კი დაგვიცინოდნენ შეზობლები და ზოგიერთი „მომეშჩანო“ ამხანაგი.

ეროვნულ ასეთი ვარჯიშის დროს ეზოში აკაკი გამოვიდა. ჩვენ შეგვკრით. მივატოვეთ ორძელი და მივესალმეთ. მე ვერ მოვიტყინე. მოკრძალებით მივუახლოვდი, შევეკითხე, თუ რა აზრის იყო ტანვარჯიშის შესახებ და თან შევჩვილე, რომ დაგვეცინიან.

აკაკიმ თავისი მომაჯადოებელი ღიმილით ზევიდან გადმოგვხედა, მოგვაგონა ნათქვამი — „სალ სხეულში სალი სულიაო“ და დაუმატა: „ეს მარტო ვაყებს არ ეხება. სხვის ქორებს ნუ აპყვებით, განაგრძეთ ვარჯიში, რადგან ჩვენს სამშობლოს როგორც ვაყები, ისე ქალებიც ჯანმრთელი ესაჭიროებაო“.

ასეთი გამხნევების შემდეგ ყურადღების ღირსად აღარ ვთვლიდით ობივატელურ შეხედულებას ტანვარჯიშზე და ვამაყობდით აკაკის სიტყვებით, მისი მხარდაჭერით.

ერთხელ ვემზადებოდით საღმრთო სკულის გამოცდებისათვის. მართალია, ჩვენ უკვე ათვისებულად ვიყავით განწყობილი, მაგრამ შეტი რა ძალა გვქონდა, უნდა გვესწავლა.

ამ დროს მოგვიახლოვდა აკაკი და „წმინდანებზე“ შეკითხვის დროს გვითხრა: „აი, დავით და კონსტანტინე, ქეთე-გან წამებული და მათი მსგავსი წმინდანები მართლაც და საღიდებელიაო“.

საერთოდ, ყოველი შეხვედრის დროს აკაკი ისეთ რამეს გვეტყოდა, რომ აღვიძებდა ჩვენში სამშობლოს სიყვარულს, ამას კი იმ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთხელ გავიგეთ, რომ აკაკის ლექცია უნდა წაეკითხა ხონში შოთა რუსთაველზე (1913 წ.). რამდენიმე ამხანაგი წავედით და დავესწარიტ მას. ლექციამ გულწრფელი ოვაციები გამოიწვია დამსწრეთა შორის.

1912 წელს გავიგეთ, რომ რაჭველი მუშის ი. ისაკაძისა და სხვათა ინიციატივით აკაკი მიიწვიეს რაჭა-ლეჩხუმში. იმ დროს სოფელ ბუგეულში არდადეგებზე ვიმყოფებოდი. მღელვარებით ველოდი აკაკის.

ხალხი პურ-მარილით, ყვავილებით და მხურვალე სიტყვებით ეგებებოდა მგოსანს. სოფელ ბუგეულში მას ამბროლაურის რაიონის მოსახლეობა დახვდა. მოჩუქურთმებული ქართული ხონჩით მიართვეს პურ-მარილი, ხოლო ყვავილებისა და პურის თავთავების თაიგული მიართვა ცნობილი პედაგოგის პლატონ წულუკიძის ვაჟმა პატარა აკაკიმ „დიდ აკაკის“.

აქედან უმრავლესობა — ზოგი ცხენით, ზოგი ეტლით — შეეუერთდით კრებულოდან წამოსულ ხალხს და გავყევით აკაკის ბარაკონამდე.

სადმელის ქალაზე ჩვენს საზეიმო სვლას შეხვდნენ უკრაინელი ტურისტები. ერთი ტურისტი შეგვეკითხა: „რა ზეიმი არისო?“ მე და მამაჩემმა ვუპასუხეთ:

— ჩვენ ვზეიმობთ ჩვენი ერის უდიდესი და უსაყვარლესი მგოსნის იუბილეს.

— მართლაც დიდი და საყვარელი მგოსანი ყოფილა, თუ ასეთი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მთელ ხალხშიო, — თქვა ტურისტმა.

შემდეგ ტურისტების ხელმძღვანელი მივიდა ეტლთან, მცესალმა და სიტყვით მიმართა აკაკის.

საპასუხო სიტყვაში აკაკიმ ერთმანეთს შეადარა საქართველოსა და უკრაინის ხალხთა ბრძოლა სამშობლოსათვის, რამაც ჩვენი და ტურისტების ოვაცია გამოიწვია.

ბარაკონზე, ერისთავის სასახლეში, აკაკის დახვდნენ მთელი ქვემო და ზემო რაჭის მცხოვრებლები. იმ დამეს და

მეორე დღეს გაიმართა ზეიმი. აკაკის უჩვენეს რაჭული ფერხული, რომელშიც მკაფიოდ გამოიჩინოდა სიბერისაგან წელში მოხრილი ქალის ხმა. აკაკიმ განსაკუთრებული მადლობა უთხრა მოხუც მომღერლებს. შემდეგ მეორე ფერხული კხალგაზრდებმა მოვაწყვეთ მგოსნის ლექსების სიმღერით. შუაში მყოფ აკაკის გარშემო ვუვლიდით. მოხდებილი ლექსი უძღვნა აკაკის ა. კიკოშვილმა. ყოველივე ეს გადაიღო პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ამა-შუეკელმა.

აკაკიმ დაათვალიერა ბარაკონის ეკლესია. შემდეგ გაემგზავრა ნიკორწმინდისაკენ. ჩვენ წავედით დაბა ონში და შევეუდექით მზადებას აკაკის შესახებდრად.

ონში მიმავალ მგოსანს სამასამდე ცხენოსანი შევაგებეთ სოფელ სორში. ამ შემთხვევისათვის ვინა გასწვრივ ღობე მოხსნეს. გამოჩნდა თუ არა აკაკის ეტლი, გაისმა „ვაშას“ ძახილი, ხალხი აკაკის სიმღერით მიჰყვებოდა. ონის ხილთან მგოსანს შეეგება დანარჩენი საზოგადოება. გირლიანდებითა და ყვავილებით შემკულ კამარას ამშვენებდა აკაკის სიტყვები — „გმირებს ეძახის, უყივის ჩემი დაფი და ნალარა“.

დაბა ონი რაჭის სამაზრო ცენტრი იყო. აქ შეხვედრებში, სალიტერატურო საღამოსა და ბადში გამართულ ნადიმზე, წარმოითქვა პატრიოტული სიტყვები. აკაკის მოეწონა ფერხული და სიმღერები — „ქელეს ჩამოდგა“, „რაეო, ჩემო დედაო“, „ქალსა ვინმეს“, „დალიე“ და სხვა-ნი.

ქუთაისში აღმოჩენისთანავე (1952 წელს) პირველად დავათვალიერე მხატვარ კოტე ქავთარაძის ნაშრომი — აკაკის ფოტოსურათების ალბომი. ბარაკონსა და ონში რაჭველ მონაწილეთა უმეტესობა მე გამოვიცანი და მათი სია შეემატა „ფოტოალბომის აღწერილობას“ (იხ. გაზ. „სტალინელი“. 1960. № 232).

1960 წელს ქუთაისის თეატრში დავესწარი აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოს. მოხსენებასა და სიტყვების შემდეგ უჩვენეს ამაშუეკელისეული კინოფილმი, რაც მე პირველად ვიხილე. დიდი სიხარული განვიცადე. ნაცნობი

და მახლობელი ადამიანები გაცოცხლდნენ. შესამჩნევია, როგორ გამოცვლილა და გაშენებულა დაბა-სოფლები ნახევარი საუკუნის განმავლობაში: ონისა და კრებლოს ტერიტორიაზე ახლა მჭიდრო დასახლებაა. ფილმის მიხედვით კი საცხოვრებელი შენობები აქა-იქ დგას სიმინდიან ყანებში; საირმის „უდაბნოს“ ყველაზე უმაღლესი კლდის სვეტი ომამდე ზამთარში წაიქცა, მაგრამ ფილმში კი აღმართულია; ერისთავის სასახლე ბარაკონში აღარ დგას, მაგრამ ფილმში ჩანს და მისი აღდგენა შეიძლება; ხალხური სანახაობა — ფერხული — კი შემონახულია. ამ ცეკვას სიმღერასთან ერთად ასრულებენ და ახლაც უყვართ ზემო რაჭაში. ფერხულის მონაწილე მოხუცთაგან დამამახსოვრდნენ (საუკეთესოდ ცეკვავდნენ და კარგი ხმა ჰქონდათ) სორელი მელანო ბერაშვილი (90 წ.), წესელი მარიკა გოგობერიშვილი (80 წ.), წესელი ერმალო მაისაშვილი (55 წ.)...

უძვირფასესია ჩემთვის ფოტოალბომისა და კინოფილმის კადრები: 1. ერისთავის სასახლის აივანზე ახალგაზრდათა ჯგუფი გადაიღო კოტე ქავთარაძემ. ამ ფოტოსურათში მეც ვარ გამოსახული; 2. ბარაკონის ეზოში სრულდება ცეკვა-სიმღერა: მოსწავლეთა წრე მოძრაობს, პოეტის ლექსებს მღერიან (აკაკი შუაში დგას და ხელებს შლის) და კინოფილმის ამ ფერხულში მეც ვმონაწილეობ (იხ. გაზ. „სტალინელი“. 1960. № 238).

დაბა ონიდან დაბა ლაილაშამდე. ერთი ღამე მათ დაჰყვეს ბარაკონში; აკაკიმ მონათლა შამადავლე ერისთავის შვილიშვილი, ხვანჭკარაში ნახეს თავადი დიმიტრი ყიფიანი, რომლის განთქმულ ღვინის მარანში პოეტს დაემშვიდობნენ.

გ. ლორთქიფანიძემ წარმოთქვა გამოსათხოვარი სიტყვა: „თქვენგან გამოწვეულ სიხარულს თქვენი მოშორებით თანდათან აკლდება ძალა ისე, როგორც დღევანდელ დღეს სინათლის სიტხოველე ქვეყნის მანათობელი მზის ჩასვლით. მხოლოდ ის იმედი გვასუღღმულებს, რომ, როგორც ხვალ, ეს მზე ამოაშუქებს, ისე თქვენი გენია კვლავ აკტივობს გულს განახლებული ძალით და არასოდეს მოგვშორდება.“

გაგვიძეხ წინ, დიდებულო. მგოსანო, რომ არ დავლაჩრდეთ, არ დავკარგოთ ქართული ელფერი, ზნე-ჩვეულებანი და განვამტკიცოთ ურთიერთშორის ძმობა, ერთობა და სიყვარული.

მომავალნი შვილნი საქარველოსი იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც თქვენ დაიდგით, გვერდით ააგებენ ხელთუქმნილ ძეგლს და მასზე ოქროს ასოებით თქვენს სახელს მიაწერენ“.

იროდიონ სურგულაძემ (შემდგომ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა. გარდაიცვალა 1944 წ.) აქაი ასე აღწერდა:

„...როგორც უნიჭიერესმა პოეტმა, თქვენ დიდად გაუსწარით წინ თანამედროვე ცხოვრებასა და აზროვნებას. ამისათვის თქვენი ღირსეული დაფასება მომავლის ხელშია, მხოლოდ მას შეუძლია შესაფერი გუნდრუკი უკმის თქვენს პოეზიას.

ჩვენ — თანამედროვე ხალხი — ვგრძნობთ თქვენს მნიშვნელობას, მაგრამ თქვენი დაფასებისათვის ღონე არ შეგვწევს. ჩვენ შეგვიძლია დავტკებთ პირველი სხივების ელვარებით, შეგვიძლია ვუმზიროთ ამომავალ მზეს, მაგრამ მისი შუადღის სიბრწყინვალისათვის ძლიერ სუსტია ჩვენი თვალები.

მწარე და მოშინამულ დროს, სევდით მოცულ ერში, აუღერდა თქვენი ჩანგი და მას აპყვბ მთელი საქართველო და, როგორც ოღესღაც დაჩაგრულ ბეოტიის გლებებს ევლინებოდნენ მუზები და მათს ცხოვრებაში შეჭკონდათ ბედნიერების სხივი, ისე მთელი ტანჯული საქართველო ფართოდ დაეწაფა თქვენი პოეზიის ნაკადულს და მასში ჰპოვა იმედი და სიხარული.

მგოსანს, რომელმაც სამშობლო ხატად აღიარა და მთელი ქვეყანა სახატედ, რომელიც ტარიელივით თავგანწირულად დაეძებდა თავის სატრფოს — საქართველოს ბედს — ეთაყვანებოდა და ეთაყვანება მთელი საქართველო...

ქართველი ქალი, აკვანთან დამჯდარი, ყურში ჩამღერის თქვენს ლექსებს პაწაწინა ყვავილს და მის თვალებს, შორს, მომავლისაკენ მიპყრობილს, წინ ეხატება საუცხოო ვაჟ-

კაცის სახე, რომელმაც საქართველოს ბედი, ილია ჭავჭავაძის აზრით, ბაზალეთის ტბის ძირში ჩამარხული უნდა ჰქონდეს.

ყოველვე ამისათვის ქართველი ერი, კერძოდ, კი რაჭა, ღღეს თქვენ გაჯილდოებთ ღრმა და გულწრფელი სიყვარულით, ბუნება კი — უქცდავებით. საუკუნეები გაჰყვებიან საუკუნეებს, თქვენ კი ყოველ თაობაში ახლად და ახლად აღმოცენდებით. თქვენ მედგრად უცხადებთ ბრძოლას დრო-ჟამს და მანაც ძალაუნებლიედ თავი უნდა დახაროს თქვენ წინ, მისი შემმუსვრელი ცელი გვერდზე უნდა გადასდოს“.

გლესი ამირან ლომთაძე შეეხო აკაკის პოეზიის ზემოქმედებას მათი შეგნების ამალგებაზე.

ლექსები წაიკითხეს ი. ისაკაძემ და ა. კოკოშვილმა.

ქრებალოში, საუზმის დროს, ქაიხოსრო გელოვანმა აკაკის საჩუქრად მიართვა ძველებური ვერცხლის აზარფეშა, წონით ოთხი გირვანქა, და ეს ლექსი:

ნიჭით მდიდარო, მიიღე,
ნიჭით ღარიბის ძღვენია,
შენ გააღვიძე საერთოდ
შენი ივერის ძენია.
იცოცხლე კიდეც მრავალ წელს,
იუავ ჯან-ღონით მრთელია,
რუსთველის ღირსო მემკვიდრევე,
დიღხანს გვინათე ბნელია!..

სტუმრებმა გვერდით გამოუარეს საირმის „უდაბნოს“. აჭარის ხილთან (ალპანაში) მორკოთულ კამარაზე, ეწერა: „სალამი მგოსანს, სალამი კაკოს, სალამი ძვირფასს, ჩვენს საამაყოს!“

ალპანელებმა თოფ-დამბაჩები დაატალეს. მდ. ლაჯანურში ნაღმები ააფეთქეს. ასე აცნეს გარემოს სტუმრის მობრძანება.

აქ შეკრებილიყვნენ საირმის, ზოგიშის, ალპანისა და აჭარის მცხოვრებლები.

ან. კეკელმაძე მიესალმა პოეტს და მიართვა ჰიჭა ვერცხლის ჩასადგამით; სიტყვა თქვა მოსწავლე შალვა ახვლედიანმა.

მასწავლებელმა სამსონ ფრუიძემ ლექსი ასე დაამთავრა:

გაბრწყინდეს ჩვენი სამშობლო,
აუვადღეს ჩვენი ერია,
ვისთვისაცა ხარ მელგარი
მნათობი მშვენიერია.

მგოსანს ლექსით მიმართა ერმილე გაბიანმა.

შემდეგ აკაკიმ ცოტახანს დაისვენა მდ. ლაჯანურზე გადამდგარი მალხაზ ალავიძის დუქნის დერეფანში. გაცილების ღროს აკაკის თანხმობით ნაღმები ისევ ააფეთქეს და თოფ-დამბაჩები დასცალეს.

ალპანასთან რიონს ერთვოდა ანკარა მდინარე ლაჯანური. მეტად ვიწრო და ულამაზესი ხეობა, რომელსაც ლაჯანურჰესის აგებამდის გიქმაყი ლაჯანური ამშვენებდა, ალპანასა და ჭილეშს შორის იმყოფება და ოთხი კილომეტრი სიგრძე აქვს. თვალუწვდენელი სალი კლდეების ძირში გზატკეცილი მიიკლავება. ბობოქარი და არაგვიანი ლაჯანური ძალუმად ეხეთქებოდა ვიწრო ნაპირებს. მის ხმას საკვირველი კლდეები ეხოდ გადმოსცემდნენ. შუა ხევში, ბებურიშვილის წყაროს პირდაპირ, მაღლა, შიშისმომგვრელ კლდეში, ცხადად ჩანს ქვაბული, სადაც საუკუნის წინ ერთი მწირი ცხოვრობდა.

ამ ხევს „ორპირს“ უწოდებენ.

ალპანიდან ორპირის გზით გასწიეს ლაილაშისაკენ. აკაკი მოხიბლა მდ. ლაჯანურის ხეობამ. ამქამად ცხენისწყალნარევი ლაჯანური გვირაბით რიონს უერთდება.

ჭილეშში გადაუხვიეს და ლაილაშში მიმავალ აღმართს შეუდგნენ.

შეხვედრა ლაილაშში. ლაილაში უმშვენიერესი დაბაა. იგი მდებარეობს ლეჩხუმის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ლაჯანურის მარცხენა ნაპირიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით. აქ ცხოვრობენ ქართველები, ებრაელები და სომხები.

ლაილაში გაშენებულია მაღალი მთის კალთებზე და გადაწყურებს მეზობელ სოფლებს. აქედან იშვიათი სანახაობა

გვიპყრობს, წარმტაცია ლეჩხუმის ხედი: შორს, დასავლეთისაკენ, მოჩანს ზეამლი, თვალი სწვდება სვანეთისა და რაჭის მწვერვალებს, ახლოს ვხედავთ ძულურის, ლეხერის, გველისთავისა და სურმუშ-საირმის მთებს, ორბელის ციხეს, მცხეთის, გუდულაშისა და შხუდალას სალოცავებს. თვალწინ გადაშლილია მდინარე ლაჩანურის ხეობის გასწვრივ გაშენებული სოფლები: სურმუში, თაბორი, ნაკურალეში, ცხუკუშერი, ღვირიში, უსახელო, უცხერი, ხოჯი, სპათაგორი, ლაცორია, მცხეთა, ლესინდი, ლეშყედა. წილამიერი, ორბელი, ღუ, ლაჯანა და გაგულეჩი.

ლაილაშში თავი მოეყარა მახლობელი სოფლებიდან მოსულ მრავალრიცხოვან ხალხს. სტუმარს შეხვდნენ ოქრონიშის წყაროსთან.

ლადო ბზვანელი მოგვითხრობს: „ნაშუადღევს მივედი ლაილაშს. ღუქნები და მალაზიები დაეკეტათ. სახლები მოერთოთ ყვავილებითა და ფარნებით. ლაილაშის ბაზრის ქუჩა, ერთი ვერსის სიგრძეზე, ორივე მხრივ გაჭედული იყო ჩამწკრივებული ხალხით. აქ ნახავდით დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, ყველა სადღესასწაულო ტანსაცმელში მორთულიყო და აუწერელ აღტაცებას წაიკითხავდით მათს სახეზე. გახდა თოფ-დამბაჩების გრიალი, „ვაშას“ ძახილი, ვარდ-ყვავილების გზაზე მოფენა და სიმღერა. მგოსნის ეტლს წინ მიუძღოდნენ მოსწავლე ქალები და ვაჟები, ირგვლივ იდგა ზღვა ხალხი და მათ უკან — ცხენოსნები, მგოსნის ეტლს გარშემო ერტყნენ საპატიო დარაჯები განსხვავებულ ფორმაში ჩაცმულნი. მისავალში მორთულ კამარაზე წავიკითხეთ შემდეგი წარწერა: „მშვიდობა შენს მობრძანებას!“ (გვ. 162).

აქ მგოსანს მიართვეს მანდილოსნებმა აბრეშუმისაგან შეკერილი გული, შემკობილი პურის თავთავების გვირგვინით. ზედ იყო წარწერა: „დედათა აღმზრდელ აკაკის მის მიერ აღზრდილი დედებისაგან. ლაილაში. ჩშიბ წ. ლა ივლისი“.

დაბის სასწავლებლის ეზოში (ბაღში) სიტყვები და ლექსები წარმოთქვეს.

მგოსანს პირველად მიმართა თავადმა ლევან დადემშქელი-
ანმა ამ სიტყვით:

„დიდო მგოსანო, ძვირფასო მოხუცო, საყვარელო აკა-
კი! მაშინ, როდესაც დიდი ნიჭის, უკვდავი პოეზიის და სა-
ერო ჭარ-ვარამის მოგანგაშის სალაროსათვის ცრუ სოფლის
კაცთა შტერს თავისი თვალსაჩინო ტვიფრი დაუსვამს და
მაშინ, როდესაც შენი ქვეყნის ერთ მივარდნილ კუთხეს —
ლეჩხუმს ჩაგვრისა და მწარე სიბნელის ჯანღ-ბურჯისი გა-
დაპკვრია, აი, ამ დროს მოინახულე ლეჩხუმში. ამ სადღე-
სასწაულო და ლეჩხუმის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელო-
ვან მოვლენას რომ შენებრ გულისცემის სიღრმეში შთამხე-
დაცმა მხატვარმა გონების მახვილი თვალი გადაავლოს და
ხალსის ღღევანდელ აღტაცებას, სისარულსა და თანაც შენი
განვლილი მწარე ჩანგის ყდერა, შენი ნამდვილი სურათი
დაუპირისპიროს, შიგ სრულ მთლიანობას დაინახავს; შენი
ერი და შენ! შენ და შენი ერი! აი, უტყუარი სურათი, რო-
მელიც შენი უკვდავი ჩანგის კვნესამ თითოეული ქართველის
გულში მწარედ აღბეჭდა. შენ ხარ დიდი მგოსანი, ხარ ბუკი,
დაფი და ნალარა გამამხნევებელი, გამღვიძებელი და თავისი
„მეს“ შემანარჩუნებელი საუკუნო მსვლელობით დაქანცუ-
ლი ერისა, რომლის საერთოვო დროშასაც დიდიხანია ფლეთ-
დნენ და სწეწავდნენ, ვითარცა გემრიელ ლუქმას, სხვადას-
ხვა დროის მძლავრ სახელმწიფოთა შავნი ყვავ-ყორანნი...
მაგრამ გული და შინაარსი ამ საერთოვო დროშისა შენს ერს
მრავალტანჯული გულმკერდით, აჰა, მგოსანო, ღღემდე მო-
უტანია. და ღღეს ამ შინაარსიან ნაფლეთებზე, თანამედრო-
ვე ცხოვრების აუცილებლობის ზეგავლენით ვითარდება
შენი ერი და ამ ერში ვითარდებიან ჩვეულები და მოაზრე-
ნი სამშობლოს საკეთილდღეოდ. გიხაროდეს, დიდო მგოსა-
ნო, რომ შენი წინასწარმეტყველება — „არ მომკვდარა, მხო-
ლოდ სძინავსო“ — განხორციელებას ეწია და თამამად შე-
გიძლიათ თქვათ: „გაიღვიძა!“ შენი ამაყი ლეჩხუმში, განურ-
ჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მუხლ-
მოყრილი თაყვანსა გცემს და გეუბნება: „გაუმარჯოს აკა-
კის!“

მღვდელმა დავით ლეშკაშელმა პოეტს უთხრა ეს სიტყ-

ვა: „როდესაც მარჯვე ბეჭითი გლები თავის საყვარელ ყანაში მუშაობს, იგი სრულიად არ შეუშინდება არც გულისმტყაწუხებელ პაპანაქებს, არც წვიმა-ქუხილ-ელვას და გულდადებით განაგრძობს დილიდან საღამომდე ოფლით შრომას. დაასრულებს რა მიწაში თესლის მიზარებას, დროდადრო მოინახულებს ნაჭირნახულებს და, ოდეს ნახავს ნაშრომს აღორძინებულს, უხარია, ავიწყდება უსიამოვნება, რაც განიცადა მუშაობის დროს.

მის მსგავსადვე, თქვენ მოღვაწეობთ საქართველოში. აღაფრთოვანეთ ქართველი ერი, დააყენეთ წინსვლის გზაზე და, ვითარცა ნათლის სვეტი, წინ უძღვით მას.

თქვენი ოფლი არ დაღვრილა უნაყოფო ალაგას, თქვენი მადლიანი ხელით ამოძრავებული კალამი არ შესტეხია ცივ კლდეს. მას უბოვნია ნოყიერი ნიადაგი ქართველი ერის გულში და თქვენი შრომა ერთი ათასად ნაყოფიერი ქმნილა. გადმოხედეთ თქვენი მობრძანებით აღფრთოვანებულ ჩვენს მხარეს. დარწმუნდით და გიხაროდეთ რომ თქვენი შრომა აღორძინებულია და ქართველი ერი კიდევ მოელის თქვენგან გამოფხიზლებასა და გმირთა ძებნას“.

მელქო კაჭკაჭაშვილმა აკაკის მიუძღვნა თექვსმეტმარცვლიანი შაირით დაწერილი აკროსტინი, რომელშიც მან გამონატა იშვიათი სტუმრის ხილვით გამოწვეული საერთო აღტაცება.

აკაკი გულითადი მადლობით და კოცნით მიეგება ამ ზოტბის ავტორს.

ხალხის წინ ებრაელთა წარმომადგენელი ბიჭია მეგრულიშვილი წარსდგა. მან თქვა:

„მხცოვანო მგოსანო! ყოველ დაჩაგრულთათვის დიდი იმედის მიმწოდებელო, შეგლადებთ ლაილაშის დამიწამტვერებული ებრაელები, რათა ჩვენც შეგვავედროთ იმ ზენაარს, რომელმაც თქვენ ზეციური ნიჭით და სანეტარო ჰანგით აღგავსოთ, რომ თქვენს მამულში ჩვენც დაგვადებოდეს თქვენისთანა ნიჭიერი აღამიანი, რომელსაც განემარტოს ჩვენთვის თქვენი შარავანდედით გაბრწყინებული კალმის ნაშრომი და მოედვნას დავითის ქნარით თქვენი შესაფერი ქებათა ქება, გაღვიძებულიყოს საღათას ძილისაგან

მიძინებული და დაეწყებული სიონი და აღბეჭდილიყოს ჩვენს ისტორიაში ჩვენივე ეროვნული ანბანით თქვენი უკვდავი სახელი!..“

ბაღში ხაშუადღევს გაჩაღდა უჩვეულო ნადიმი. ითქვა მრავალი სიტყვა, ლექსი, სიმღერა, დასცალეს თოფ-დამბაჩები. მგოსნის საამებლად ცეკვა-თამაში გაიმართა.

თამადამ ერმალო გელოვანმა, რომელსაც ცალ ხელში ვერცხლის ჯოხი ეჭირა და მეორეში კი ყანწი, პოეტს ასე მიმართა:

„ბატონო აკაკი თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ წინათ გვეყავდნენ დიდებული მწერლები და მათში მხოლოდ ერთი, რუსთაველი, იყო ცნობილი და არის. მას იცნობენ როგორც მწიგნობარნი, ისე არამცოდნენი მწიგნობრობისა. ყველანი ერთნაირად ღალადებენ მასზე. იშვიათად მოხდება, რომ ქართველმა მხიარულობის ან მწუხარების დროს არ იხმაროს მისი სიტყვები. მწუხარების დროს გასამხიარულებლად და გასამაგრებლად, ხოლო მხიარულობის დროს თავისი მდგომარეობის უფრო ძლიერ დასახატავად.

ჩვენს დროშიც გვეყვანან საამაყო მწერლები, მაგრამ ამათში თანასწორი დიდებული რუსთაველისა თქვენ ბრძანდებით. ყველანი თქვენზე ღალადებენ და თქვენს სიტყვას მიმართავენ. მე თვით არანერთხელ მითქვამს თქვენი სიტყვები: „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა“ და სხვანი. ამასთანავე, უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი მცირე საჩუქრის მორთმევას ვერ გავებედავდით, მაგრამ ვლებულობთ რა სახეში თქვენს წლოვანებას, ვბედავთ მოგართვათ ეს ჯოხი, რადგან „კეთილის გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“.

ე. გელოვანის სიტყვა ტაშის გრიალმა დაფარა. აკაკიმ საჩუქარი მიიღო და ხალხს მადლობა მიუძღვნა. შემდეგ იმღერეს.

აკაკი წამოდგა, ალექსანდრეული ღვინით სავსე ყანწი ხელში აიღო და დაიწყო:

„ბატონებო! მე მყავდა ამხანაგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩემსავით, უყვარდათ ხალხი და ემსახურებოდნენ მას, მაგრამ ბედმა მათ არ არგუნა ასეთი მხიარულება

ხალხთან, როგორც მე. ერთი იყო ილია ჭავჭავაძე, მეორე იაკობ გოგებაშვილი და ახლა კიდევ მივიღეთ სამწუხარო ცნობა, რომ გარდაიცვალა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათს ხსოვნას და დავლიოთ შესანდობარი!..“

მთელი სეფა ფეხზე ადგა.

ხალხს ძლიერ უყვარდა აკაკი. იმდენად პატივსა სცემდნენ მას, რომ უაღრესად დამწუხრებულნიც პირად ვაებას ივიწყებდნენ და პოეტის სანახავად მიდიოდნენ. ორბელელმა გლებმა პავლე გიორგობიანიმ ასეთი სიტყვით მიმართა აკაკის:

„შარშან ჩემი საუკეთესო შვილი წაიყვანეს ჯარისკაცად და რუსეთის პავის მიზეზით მკვდარ-ცოცხალი დაბრუნდა შინ. ორი კვირაა, რაც ის მივაბარე მიწას და, ამის გამო, როგორც მხედავთ, ძაძებში ვარ. მაგრამ გავიგე რა თქვენი მიბრძანება, დამავიწყდა ყოველივე ჩემი უბედურება და გეახელით, რათა მეც მენახა თქვენი დიდებული სახე, ღმერთსა ვსთხოვ თქვენს დღეგრძელობას“.

მგოსანს მიესალმა სოფელ თაბორის მკვიდრი გლები მ. ქარსელაძე.

ქრებალოს აფთიაქის მფლობელმა, ფარმაცევტმა აკაკი ლოღელიანმა წარმოთქვა ასეთი სიტყვა: „ბატონებო! წარმოიდგინეთ — კერძო ოჯახს მამა ნიადაგ პატრონობდეს და ვკითხოთ, რამდენი ჭირ-ვარამი გადაუტანია მას, რომ წოდებულიყო პატიოსან მზრუნველად. სულმნათო მგოსანო, სწორედ თქვენ მიიჩნიეთ სამშობლო თქვენს საკუთარ ოჯახად. ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავს ევლებოდით მას და მის ერს. ვერ შეგაშინა უსამართლობამ. ბედნიერი ხარ, დიდო მოღვაწევ, რომ უკვდავყავ სახელი შენი. დიდება ჩვენს პატარა საქართველოს, ვინც შობა აკაკი, დიდება შენ, ჩვენო მესიტყვევ, რომელმაც ღირსეულად აასრულე შენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე“.

იმავე დღეს გაიმართა სალიტერატურო საღამო. აკაკიმ ისაუბრა არქეოლოგიური ნაშთების შესახებ, შეეხო ზეპირსიტყვაობას და მისი შეკრების აუცილებლობას.

გამომშვიდობების დროს მგოსანს მიაართვეს ორი მოხარატებული ხის ხონჩა, მათზე დაწყობილი შემწვარი კალმახებით.

გზაზე თავდაღმართში (ორი კილომეტრის სიმაღლეზე) სიძნელით დაეშვნენ — ოქრონიშის წყაროდან „ჩხეტიანის კარით“ მდინარე ხელიშურამდე (სადგურ ჭილეშამდე). ლადო ბზვანელი წერს: „მხლებლები ფეხით მოვდიოდით, აკაკი კეტლში მარტო იჯდა. გარშემო გამცილებლები შემოერთუნენ და ცხენები ხელმოკიდებული მოჰყავდათ“ (გვ. 177).

ლაილაშიდან დაბრუნება ქუთაისში. შემწვარი კალმახების დაკარგვისა და სადგურ ნამახვანში საღილზე გამოწვეული უსიამოვნების ამბავი ლადო ბზვანელს შთამბეჭდავად დაუწერია (გვ. 178). მისივე ზეპირგადმოცემით მე მახსოვს მაშინ გამწყრალი აკაკის მიერ წარმოთქმული უცნობი ექსპრომტი მხლებლებისადმი:

კალმახები დამიკარგეთ,
შემაკამეთ ლობიო,
ყვილას თავზე გადავასხო
ნებსე თითო გობიო.

მოგზაურობის ქანრის ნაშრომს ლადო ბზვანელი ასე ამთავრებს: „ორ აგვისტოს მგოსნის მხლებელნი შევიკრიბეთ, წავიყვანეთ აკაკი ქუთაისის ბაღში, გადავიღეთ სურათები, გამოვეთხოვეთ და გავისტუმრეთ.“

ხარჯი მოგზაურობისა იკისრეს რაჰველობამ და ლაილაშის კომისიამ. ისინი უგზავნიდნენ ფულს ამ მოგზაურობისათვის შემდგარ კომისიებს. მადლობის ღირსნი არიან თბილისის, ქუთაისის, წესის, ონისა და ლაილაშის კომისიები მოგზაურობის კარგად მოწყობისათვის. აგრეთვე კარგი ბინისა და მოსვენებისათვის წესში თავადი შამადავლე ერისთავი, ონში — დავით გოცირიძე, ნიკორწმინდაში — დავით კანდელაკი და ალექსანდრე სამოკვასოვი, სორში — ბიჭია გოცირიძე, ტოლაში — თავადი დიმიტრი ყიფიანი, ჭრებალოში — რუბენ ყიფიანი და აკაკი ღოდელიანი. ლაილაშში თავადი ლევან დადეშქელიანი ამხანაგებითურთ და საკუთარი

ხარჯით გამასპინძლებისათვის ამბროლაურში — მინა გიორგობიანი და ზოტევეში — ქვრივი ტერეზია ჭიჭინაძისა და ივანე ჭიჭინაძე.

ამგვარად, მოგზაურობა დამთავრდა და მიმდინარეობდა თორმეტი დღის განმავლობაში. საზოგადოდ ამ ზეიმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველგან და დიდებულადაც ჩაიარა: ამოდრავა და გაამხიარულა ხალხი, აღადგინა მათში ეროვნული გრძნობები, დააახლოვა და შეაკავშირა ყველა, განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ასაკისა. ყველა ხარობდა“ (გვ. 178—179).

აკაკი წერეთელი უდიდესი კმაყოფილებით დაბრუნდა.

აკაკის ჩასვლა თბილისში და ინტერვიუ. 1912 წლის 25 ივლისს ქალაქ სამარის კუმისის კურორტზე გარდაიცვალა აკაკის მეგობარი, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი (ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, ცხოვრობდა და ლექციებს კითხულობდა მოსკოვში). იგი დაკრძალეს 5 აგვისტოს დიდუბის მოღვაწეთა პანთეონში. აკაკი საგანგებოდ ჩავიდა რაჭა-ლეჩხუმიდან და სიტყვა წარმოთქვა მის საფლავთან.

აკაკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა შემდეგი: „რაჭა-ლეჩხუმიში ეროვნული აღფრთოვანების დროს, როცა ქართველთა ჩვეულებისამებრ, ნეტარხსენებული იაკობ გოგებაშვილის შესანდობარსა სვამდნენ თვალცრემლიანები, დეპეშამ გადმოგვცა არანაკლებ სამწუხარო ამბავი, რომ ბატონი ალექსანდრე ხახანაშვილი გარდაიცვალა უცხოეთშიო. ამ ცნობამ ყველა დაგვამწუხრა და ლხინი ჭირად გადაგვიქცია. და მეც მოვაშურე აქეთკენ, რომ დაკრძალვას დავსწრებოდი და ერთხელ კიდევ ჩამებეჭდა უკანასკნელად გულში სახე დიდი ქართველისა“ (იხ. აკაკის თხზულებანი. ტ. XIV. გვ. 484).

1912 წლის 7 აგვისტოს აკაკი წერეთელი თბილისში იყო „სახალხო გაზეთში“ (№ 669) გამოქვეყნდა მისი საუბარი. მგოსანმა კორესპონდენტს უპასუხა საინტერესო კითხვებზე. გავეცნოთ ამ მოკლე ინტერვიუს.

კითხვა — როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ მოგზაურობიდან საერთოდ?

პასუხი — განა შეიძლება აღწერა ჩემი ალტაცებისა და ყველა იმისა, რაც ვნახე ისეთი აღფრთოვანება იყო ყველგან, რომ სიზმარში მეგონა თავი.

კითხვა — მზე როგორ მოგვიდებიათ?

პასუხი — ყველანი მეუბნებიან, გაშავებულხარო. რატომ არ გავშავდებოდი, როდესაც ქუთაისს გავშორდი, ონამდე ორსავე მხარეს ჩამწკრივებული იყო ხალხი. „ვაშას“ და „აკაკის გაუმარჯოს“ ძახილით მეგებებოდნენ. მეც სრულიად დამავიწყდა ყველაფერი და ქუდი აღარც კი გამხსენებია, არ დამიხურავს.

კითხვა — ქალებიც მონაწილეობდნენ?

პასუხი — ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ზეიმში უმეტეს წილად გლეხობა მონაწილეობდა. ქალიც და კაციც აუარებელი იყო.

კითხვა — თან გახლდათ ვინმე აქედან წაყოლელთა გარდა?

პასუხი — რასა ბრძანებთ? საოცარი ის იყო, რომ მუდამ თანა მსდევდა ასი-ორასი ცხენოსანი. ონში რომ ჩავედით, მგონი, ხუთასამდე კაცი ჩავყვავა. მიკვირდა სწორედ, რად შეიკრიბა ამდენი ხალხი ამ სამუშაო დღეებში, ვინ შეატყობინა?

კითხვა — რას ბრძანებთ, ბატონო, როგორ თუ რა უნდოდათ? აკაკის ნახვას ხომ ელირსნენ?

პასუხი — მე პირადად მრცხვენია მაგ ფიქრის. მე რომ არ ვყოფილიყავი და სხვა ვინმე მეხილა ჩემს ადგილას, ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ექნებოდა, მაგრამ მე რომ ვიყავი, მერიდებოდა, მრცხვენოდა.

კითხვა — რასსაკვირველია, თქვენ არ ამბობთ ამას. ყოველ ქართველს სწამს, რომ თქვენი ღვაწლის დაფასება შეუძლებელია. ეს აღფრთოვანება ხალხისა მგონი დამსახურებულია თქვენგან.

პასუხი — არა, მე მგონია. ამის ღირსი არა ვარ. ეს გადაჭარბებულია. კიდევ უკეთესი: მე მგონია, რომ ის გამოღვიძება, რომელიც იქ იყო, მე კი არ მეკუთვნის, ის სხვას ელის.

კითხვა — როგორი მთაბეჭდილება მიიღეთ რაჭველებისაგან?

პასუხი — ჩემს ვანცვიფრებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ბევრი გლეხკაცის სიტყვა საბერძნეთის ორატორებსაც კი შეშურდებოდათ. მაგალითად, ერთი მოხუცი ასიოდე წლისა იყო, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან თქვა, ლევან დადიანს ვემსახურებოდიო. და მას აქეთ სწორედ ასი წელიწადია. ამ გლეხმა მითხრა სიტყვა: „ეს სახლი, სადაც თქვენ ბრძანდებით, გრიგოლ წერეთელს ეკუთვნოდა, შემდეგ კი გოცირიძეს დარჩა. გრიგოლ წერეთელი იმდენად მკაცრი იყო, აი, გზას რომ ჰხედავთ, აქ არც ერთ თავად-აზნაურს არ შეეძლო უშიშრად გავლა, ყველა ხელზედაც კი ჰკოცნიდაო. სამჯერ შემოიყვანა ჯარი და ააწიოკა აქაურობა. ღმერთმა მომასწრო, რომ ახლა ამავე სახლში ვხედავ მეორე წერეთელს, მაგრამ არა ცეცხლითა და მახვილით მომავალს, არამედ ხალხის სიყვარულითა და ნდობით აღჭურვილს. ქართველი ერის მოჭირნახულეს და მესვეურს“.

იმ ხანებში აკაკიმ დაწერა მოზრდილი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“, რომლის შესაეალი დაიბეჭდა 1912 წელს გაზეთ „თემში“.

ეს ნაწარმოები მთლიანად სამჯერ გამოქვეყნდა.

ლადო ბჰუანელმა აკაკის სოფელ სხვიტორში პოემა ხელით გადაწერა და 1934 წელს ქუთაისის ლიტერატურულ გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ (№ 7) მოათავსა.

პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის რედაქციით გამოცემული აკაკის სრული ნაწერების მესამე ტომში (1941 წ.) პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“ დასტამბულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ავტოგრაფის მიხედვით. ეს ტექსტი შემდეგაც დაიბეჭდა (1947 წ.).

პოემის პირველ ნაწილში ავტორი აგვიწერს ამ კუთხის წარმტაც ბუნებას და დადებითად ახასიათებს მის მცხოვრებთ. შთამბეჭდავია აკაკის მხატვრული შედარება — რაჭის მკვიდრის (რაჭველის) შრომა მან შეადარა ფუტკრის მოქმედებას: როგორც ფუტკარი საზრდოს დაეძებს შორს „და უბრუნდება ბოყვს“, ამას ჰგავსო რაჭველის „წასვლა საშოვარზე“; პოემის მეორე ნაწილი ისტორიული ხასიათისაა, შეეხება საქართველოს წარსულს.

აკაკი ესაუბრება რიონს, რომელიც მას მოუთხრობს ქართლის თავგადასავალს.

პოეტი დარწმუნებულია, რომ შავბნელი დრო სანეტარო მომავლით შეიცვლება.

მოგზაურობამ აღაფრთოვანა აკაკი. მან აქ იხილა გამოფხაზლებული ხალხი, რომელიც ერთი აზრითა და გრძნობით გამსკვალულიყო. მწარე სინამდვილით უკმაყოფილო, მომავალს იმედის თვალთა რომ შეჰყურებდა, ხვალისდღელ თავისუფალ დღეს რომ ესალმებოდა. მგოსანმა იგრძნო მისი პოეზიის ძლიერი შთამაგონებელი ძალაც.

აკაკისთან შეხვედრამ გამოავლინა ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება, ჩაუმქრალი და გაღვივებული ეროვნული თვითშეგნება, რომ ჭირნახული საქართველო ახალი, ბედნიერი და ილევამოსილი ეპოქის წინ იდგა.

შევსება-დამატებანი

(გამოკვლევაში)

ხელის გულზე ატარებდნენ ხატივით. ეს ფრაზა მატქმევიანა ვასილ ამაშუკელისეულ კინოფილმში სამ აღგილზე აღბეჭდილმა ფაქტმა.

რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის საიუბილეო ზეიმიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მომენტები: დაბა-სოფლების შესავალში სატრიუმფო თაღებზე პურის თავთავეებით ეწერა: „ფიანდაზად გაგეგებით“, „რაჭა ფიანდაზად გეშლება...“ აკაკის იღებდნენ ხალიჩებითა და ვარდყვავილებით მორთულ მოედნებზე; მგოსანს ხელით დაატარებდნენ ქუჩებსა და ეზოებში; ანგელოზებად მორთული ქალიშვილები მას ძილისპირულ „ნანას“ უგალობდნენ.

სიტოცხლეში ნაჭირნახულევის ამგვარი დაფასება წილად ხვდა მხოლოდ საქართველოს უგვირგვინო მეფეს — აკაკი წერეთელს.

არსებობს აღამიანისადმი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოპყრობის აღმნიშვნელი ხატოვანი გამოთქმა „ხელის გულზე ტარება“ ანუ „ხელით ტარება“. მაგალითად, პოლი-

კარპე კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინებაში“, რაც ხალხური მახვილსიტყვაობის ნიმუშებით მდიდარია, ვკითხულობთ: „ხალხი ღვირისტინეს ხელის გულზე ატარებს“. არისტო ქუმბაძეც წერს: „გელა პატარაობიდანვე ძიძასავით მივლიდა, ხელის გულზე მატარებდა“.

„ხელის გულზე ტარება“ ახლა ადამიანზე ითქმის, თავდაპირველად კი იტყოდნენ ხატის მიმართ. ცნობილია რომ საკულტო დღესასწაულზე ხატს ხელით დაატარებდნენ და ევედრებოდნენ.

მოხუცი აკაკი ხშირად ხელში აყვანილი დაჰყავდათ. პოეტს მიაჩნებოდათ სავარძელს, შიგ ჩასვამდნენ და დაატარებდნენ.

მაყურებლის მეხსიერებიდან არ ამოიშლება კინოფილმის შემდეგი შესანიშნავი კადრები: 1. ჭრებალოს გზაზე საზოგადოებრიობა მიაცილებს სავარძლით ჰაერში ატაცებულ მგოსანს მოედნამდე, სადაც აკაკი ტრიბუნაზე ადის და ლექციას კითხულობს; 2. ბარაკონში, შამადავლე ერისთავისას, აკაკი სავარძელში ზის, ხელიდან ხელში გადადის და ეზოში მოზღვავებულ ხალხს ათვალიერებს; 3. ლაილაშის მთავარ საბაზრო გზაზე ეტლს სავარძელი ცვლის, აღფრთოვანებული მასპინძლები და პოეტი სკოლის ბალისაკენ მიემართებიან.

ეს ფაქტი აღბეჭდილია მხატვარ კოტე ქავთარაძისეულ ფოტოალბომშიც.

ამას წინათ მივაკვლიე ერთ-ერთ სავარძელს, რომელიც მექვენაში აკაკისთან დაუვიწყარი შეხვედრის დროს გამოიყენეს, როგორც ცნობილია, პოეტი აქაც სავარძლით მიიღეს და გაისტუმრეს.

მთელი კლდედამართის (ქვემო ლეჩხუმის) მცხოვრებლებმა იციან, რომ დერჩელ აგრონომს მელქისედექ პეტრეს ძე ასათიანს (გარდაიცვალა 1977 წელს) ჰქონდა აკაკისეული სავარძელი. ამ სავარძელს ოჯახში განსაკუთრებული სიყვარულით უვლიდნენ და ინახავდნენ. კვლავაც იშვიათ და საპატიო სტუმარს დაუდგამდნენ.

სელის სავარძელი ვენიდან ჩამოტანილი ძვირფასი ნივთია. იგი თავდაპირველად ეკუთვნოდა პოეტ სიმონ გუგუნიას („თამარიანის“ ავტორს), რომელიც მომრიგებელ მოსა-

მართლედ მსასურობდა ცაგერში. სიმონ გუგუნავასეული სავარძელი 1888 წელს შეუძენია პეტრე ასათიანს.

მოგზაურობის პერიოდში მგოსანს გადასცეს საჩუქრები. ამ ნივთებთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ და სათანადოდ დავაფასოთ აგრეთვე ახლად აღმოჩენილი სელის სავარძელიც, რომელიც, როგორც გამოირკვა, სულმნათი აკაკის უკვდავ სახელს უკავშირდება.

ასე მიიღო და დააფასა „ედემის შესადარმა“ კუთხემ უკვდავი აკაკი.

იუბილარმა გიორგი ლეონიძემ 1963 წელს, ქუთაისში, პირველ ქართველ კინომოდელაწე ვასილ ამაშუკელს ოფიციალურ ბანკეტზე ასე მიმართა: „ვოცნებობ ფეხით გავიარო რაჭა-ლეჩხუმის ხეობებში და მთაგრეხილებზე. იქ უშენოდ არ წავალ. აკაკის ნაკვალევს მიწაზე ვერ ვიპოვი: მგოსანს ხომ ხელის გულზე (მალლა-მალლა) ატარებდნენ ხატივით. შენ წინ მიუძღოდი აკაკის და შეხვედრებს იღებდი. დღეს მხოლოდ შენთვის არის ნაცნობი ის გზა. აკაკის მხლებელთგან ცოცხალი მართო შენ დარჩი. ერთადერთი მესაიღუმლე ხარ, მეც მეგზურად მეყოლები“.

გავეცნოთ აკაკის ნაკვალევს რუკას.

ორი მაზრისაგან სამი რაიონი გვაქვს. რაჭის მაზრა ორ (ონისა და ამბროლაურის) რაიონად გაიყო. ზემო რაჭა ონის რაიონში მთლად ვერ მოთავსდა, ქვემო რაჭა და ზემო რაჭის ნაწილი კი ამბროლაურის რაიონში გაერთიანდა. ლეჩხუმის მაზრა ერთ (ცაგერის) რაიონად დარჩა, მაგრამ მისი განაპირა სოფლები კი იმერეთისა (წყალტუბოს) და რაჭის (ამბროლაურის) რაიონებს შეუერთდა. რაჭა-ლეჩხუმის მიჯნად ასკისა და შარეულას ხეობები უნდა მივიჩნიოთ.

ყოველი მტკაველი მიწისათვის ქართველ კაცს შესაფერი სიტყვა შეუერთდება. ქართული ენის სიმდიდრეზე მეტყველებენ ყანების, ვენახების, მთა-ტყე-გორაკთა, მდინარე-წყარო-ღელეთა სახელწოდებანი.

ტოპონიმიკურ მასალას ფასდაუღებელი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიის, გეოგრაფიისა და ენათმეცნიერებისათვის.

ტოპონიმების შესასწავლად ახლახან გაჩაღდა ფართო მუშაობა. მომავალში დამზადდება ქართული ენის ტოპონიმიკური ლექსიკონიც.

საყურადღებოა ტერმინები, რომლებსაც აკაკის ნაკვალევზე მოლაშქრე ყოველი მოგზაური უნდა იცნობდეს: მომავალ თაობას ეს ადგილები კიდევ უფრო მიიზიდავს.

ზოგიერთი ტერმინის შინაარსი (ეტიმოლოგიის მხრივ) ნათელია, ზოგიერთისა კი—ძნელი გამოსარკვევი.

ყველა ადგილზე, სადაც აკაკის ფეხი დაუდგამს ან მის ეტლს გაუვლია, ამ მგოსნის ნაკვალევია. აკაკის ნაკვალევს უკავშირდება შემდეგი ტოპონიმიკური სახელწოდებანი: ქუთაისი, რიონი, ფერმა, ჭომა, ქვატაფა, ჯიმასტარო, ასათიანის ქალა, ქვედა გუმათი, მორევა, შოშნარა, სკანჭალა, რიდუესღელე, მაჩილოური, ოფურჩხეთი, ზარათის ბორანი, ეონეთი, მამაწმინდის ბორანი, ნამახვანი, ბოსელეს ღელე, საზღვარა, წიფლარი, ონკეიშის ბორანი, ონტოფი, ლეხიდარი, მოლკეულა, წვენათი, საკაპწია, მექვენა, დერჩის ბორანი, ხვამლი, ხვამლულა, ვანისქალა, ქორენიშის ღელე, ტვიში, ორხვის ხიდი, ხაბარე, ხაბარული, ვერძისთავა, ნიკორიძერი, ლედემტო, ტაშტის წყალი, ღვირიშის ღელე, ზოგიშის ხიდი, ალპანა, ლაჯანური, აკარის ხიდი, ჯინჭროული, საირმის „უდაბნო“, ნახორები, ზესხევიში, წყალთაყანა, საკოწიალო, კაბონიძის ქალა, ჭალისთავი, საოთხო, ლებენა, მგლისაპოტხია, ჩელტისაბწნავა, ყვილერჩი, სახელო, ცხრამუჭოული, მრგვალყანა, ბუოლიყანა, მოროხა, დაკეცილები (გზა), ღვარდიის ბორანი, შარეულა, გვერდება, ფორაშქალა, ხარხალა, ნაველაში, წესიგორა, კრებალო, ასკი, პირველი ტოლა, გომიშური, ხვანჭკარა, ჩორჯო, ბუგეულის ხიდი, გუნდაური, ბოსტანა, საჯვარე, ბინულა, რიცეული, სადმელისა და ძირაგეულის ქალები, კეაცხუთი, ხიდიკარი, წესი, ბარაკონი, ლუხუნნი, მინდაციხე, ხიმში, ამბროლაური, კრიხულა, სოტევი, ქელიაღელე, ნიკორწმინდა, შაორი, ხერგა, ხარისთვალა, ძროხისთვალა, ქელიშის უდაბნო, სკოდორის ხიდი, სანატრულა, სორი, ფარახეთის ხიდი, ნიგვზნარა, ონი, ორპირი (ლაჯანურის ხეობა), ბებურიშვილის წყალი, ლებალიაში, ჭილეში, სურამუში, ჩხეტიანის კარი, ქვედა და ზედა ლაილაში, ოქრონიში, ქუთაისის „ბულგარდი“ (ცენტრალური ბაღი).

აქ მოტანილი არასრული მასალაც ხალხური ლექსიკის სიუხვის დამადასტურებელია.

აკაკის ნაკვალევს რუკა აისანა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.

რაჭა-ლეჩხუმის თემას აკაკი წერეთელმა მიუძღვნა ცნობილი პოემა.

ისტორიულ ქრონიკას სოლომონ პირველისა და როსტომ ერისთავის შესახებ გავლილი აქვს აკაკის ლიტერატურული რედაქცია, მას ადგას აკაკის დიდი ტალანტის შუქი, მხატვრული პროზის ამ ნამდვილი შედეგის ერთგვარ ავტორად აკაკი თვლიდა არა ჩამწერს სიკო კანდელაკს, არამედ მომთხრობელს, მგალობელ სვიმონ კანდელაკს (სიკო კანდელაკის პაპას — როსტომ ერისთავის თანამედროვეს). პაულე ინგოროყვამ ეს ნაწარმოები სამართლიანად შეიტანა აკაკის თხზულებათა IV ტომში (1948 წელს).

ამავე ისტორიულ სინამდვილეს ასახავს პიესები „იმერთის ღამეები“ (სანდრო შანშიაშვილისა) და „სისხლიანი ცრემლები“ (აკაკი გეჭაძისა).

აკაკისავე ეკუთვნის ძველებური ამბები („რაჭის ერისთავი როსტომი“, „დათუნა გოცირიძე“) და ლექსი „იოზა ისაკაძე“.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში განსაკუთრებით გამოირჩევა კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექსი „რიონის აპოლოგია“ და სონეტი „ბარაკონი“. შეუდარებელი სახოტბო ქმნილებაა გალაკტიონ ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

აკაკის ნაკვალევს შეეხება ირაკლი აბაშიძის ლექსები „ჭომა“, „ხვამლი“, „მე ალპანაში არ გელოდები“, კარლო კალაძის „რაჭის მთებში“, „ალპანა, საირმე“, რევაზ მარგიანის „ოჯალეში“. ხუტა ბერულავას „წესი ყოფილა ლაილაშური“, ოთარ ჭელიძის „რაჭველები“. დავით კვიციანიძის „ბარაკონი“, ჯანსუღ ჩარკვიანის „სურმუში“, გიორგი სამხარაძის „რაჭის დედოფალი“, ოთარ მამფორიას „აპა. ამბროლაურიც...“

ლეჩხუმის 1918 წლის აჯანყებას გვაცნობს ელიზბაო ზედგინიძის მოთხრობა „მზის ამოსვლამდე“.

ბანოვანის (დესპინე გელოვანის) ისტორიულ რომანში „შორეული ლანდები“ ლაჯანურის ხეობა ნათელი მხატვრული ფერებით არის ასახული.

ალპანასა და ლაილაშში მოსულმა სტუმარმა შეუძლებელია არ გაიხსენოს სამშობლოს მამაცი დამცველი და მგზნებარე მესობზე სევერიან ისიანი. მისი სოფელ ზოგიშიდან თვალწარმტაცი სანახაობა იშლება: პირისპირაა აქარ-ალპანა „კონჩხის“ კლდოვანი კედლით, „შხუდალას“ სალოცავთან გაჭრილი გვირავით, სადაც ამჟამად უდიდესი ელსადგური მუშაობს და ცხენისწყალნარევი ლაჯანური რიონს უერთდება. პოეტს „მთებში ჩადგმული“ ზოგიშიდან შეეძლო ეთქვა: „უცან გავხედავ, ნაღვლიანი ისევ ხეამლია, თავშეხვეული, დახეული ლურჯი ღრუბლებით“ (ლექსი „რიონი“).

სევერიან ისიანს აღწერილი აქვს აქარის ხიდიდან თავის სოფელში მისასვლელი მიდამოები. რაჭისაკენ მიმავალი გზატკეცილის თავზე აქ ზამთარში „კლდეს ეგრიხება ნაძვი შრი-ალით და შეყინული სწყდება ცრემლები“. რიონ-ლაჯანურის პირას, „გინჭროულის“ ველზე, პოეტი მიმართავს მოვარდნილ ქარს — „მე ქუთაისის მკვიდრა მეგონე, ყოფილხარ, თურმე, მოხეტიალე“ („შეხვედრა ქართან“).

ზოგიშელებიც აქარის ხიდთან პატივისცემით შეხვდნენ აკაკი წერეთელს; პოეტი აქ მალხაზ ალავიძის ოდის აივნიდან გადასცქეროდა ლაჯანურს, რომელსაც დინამიკით აფეთქებდნენ კალმახების დასაპყრად. ხიდი და გზა სავსე იყო ხალხით. სევერიან ისიანს ეკუთვნის დაუბეჭდავი ლექსი „აკაკი ლაჯანურის პირას“.

ლექსით „გარბენის გმირს“ ლაჯანურის ხეობა ქართულ პოეზიაში პირველად ასახა სევერიან ისიანმა.

სევერიან ისიანმა 1929 წელს დაასრულა ლაილაშის შვიდწლიანი სკოლა. ამ უძველეს სკოლას ბევრი თვალსაჩინო კურსდამთავრებული ჰყავს და ის სულმნათი აკაკის სტუმრობით ამაყოფს.

კულინარის ხელოვანი და მისეული უცნობი მართული მარძი. აკაკი წერეთელს 1712 წელს მექვენაში გამართულ ნადიპზე (დასასრულს) მიართვეს საგანგებოდ გამზადებული უძვლოდ შემწვარი ქათმები. დიდ ბონჩაზე დაალაგეს რვა ქათამი, რომლებსაც სუფრასთან მიტანისთანავე სპირტი გადაასხეს და ცეცხლი წაუციდეს. ცოტა ხნის

შემდეგ ალი დაქრა და ორიგინალური შექამანდი გამოჩნდა.

პოეტი დაინტერესდა უცხო ნახელავით და დიასახლისის მისი დამზადების წესი გამოკითხა.

მეჭვენაში ხელმძღვანელ დიასახლისებად გამოყოფილი იყვნენ გამოცდილი მეოჯახე ქალები — ნინო ბერიძის ასული ასათიანისა და კონია ერისთავის ასული ასათიანისა. მათ სამასი კაცისათვის გათვალისწინებული სუფრის მოწყობა და სამსახური ჰქონდათ დავალებული.

უძვლოდ შემწვარი ქათმები დამზადებული იყო ნინო ბერიძე-ასათიანის მიერ (გარდაიცვალა 1938 წ.). ახლანან სოფ. დერჩში ცხოვრობდა მისი ქალიშვილი ოლღა პეტრეს ასული ასათიანი, ვინც დიასახლისობას დედისებრ დაუფლებოდა და იცოდა უძვლოდ შემწვარი ქათმის დამზადებაც.

ის პირადად მე გამიმასპინძლდა ამ კერძით. მისგან ვისწავლე და ვიცი, რომ ეს თავისებური კერძი მზადდება ამგვარად:

ძნელია და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ქათმის კანის გაცლა — „გატყავება“. საამისოდ შერჩეულ უნდა იქნეს მსუქანი და ხნიერი ქათამი (არანაკლებ ერთი წლისა), რომელსაც სქელი და მავარი კანი აქვს. დაკლული ქათამი სწრაფად უნდა ამოვავლოთ მღუღარე წყალში და სწრაფადვე უნდა გავპუტოთ, რათა მისი კანი არ დაზიანდეს.

გაპუტული ქათმის კისერსა და მკერდის დასაწყისს სიგრძეზე გადავსერავთ დანის წვერით და აქ ვიწყებთ გამოშიგნას. კანიდან ძვალსა და რბილს ცალ-ცალკე ამოვიღებთ. კანს ვაჰყვება ძვლიანი ნაწილებიც — კურტუმი, ფრთათა ბოლოები და მუხლისთავეები. თავსა და ფეხებს არ გამოვიყენებთ.

ხორცს დასაკეპ მანქანაში გავატარებთ და საკაზმს შევურევთ შემდეგი რაოდენობით: ხახვის ორი ბოლქვი, ნიჯის ერთი ბოლქვი (ხახვსა და ნიორს ხორცთან ერთად გავატარებთ მანქანაში), დარიჩინი, მარილი, ორი თოხლო კვერცხი, ორი შავი წიწაკა. ზომიერი სიმაგრის მისაცემად საჭიროა ნამცხვარი პურის მცირე გული და ერთი ღვინისჭიქა მოხარშული ბრინჯი.

დაკვიპილ ხორცსა და საკმაზს მოვზელთ ერთმანეთში და მას ჩავტენით კანში ისე, რომ ყველა ორგანომ თავისი ფორმა შეინარჩუნოს. გასერილ ადგილს ამოვკერავთ. ქათამს სწრაფად ამოვავლებთ მდულარე წყალში და შევწვავთ ღუმელში („ფეჩში“). ბოლოს მას ნაკერავი მხრით მოვათავსებთ თეფშზე (ნაკერავი დაიფარება) — ქათამი „ჩაჯდება“ თეფშში.

უძვლოდ შემწვარი ქათამი ჭამის წინ უნდა დაიჭრას ასო-ასოდ: ბარკალმა ბარკლის სახე უნდა მიიღოს, კურტუმმა — კურტუმისა, ფრთამ — ფრთისა, ზურგმა — ზურგისა, მკერდმა — მკერდისა.

კერძი გემრიელია და მასთან სასმელად მიღებულია შამპანური ღვინო.

ეს შესანიშნავი შექამანდი დიასახლისმა თავდაპირველად მოამზადა აკაკის საპატივცემულოდ. იგი ნამდვილად შეეფერებოდა ძვირფას მოხუც სტუმარს, რომელსაც კბილები აკლდა.

ამრიგად, უძვლოდ შემწვარი ქათამი ქათმის ხორცის საკაზმიან კატლეტს წარმოადგენს და სტუმრისათვის საუკეთესო ულუფად ჩაითვლება.

პაროსტიხი „ბაბაქის“. აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ერთ-ერთი აკროსტიხი, რაც იშვიათი პოპულარობით სარგებლობს ლექსებში. იგი ხალხს ზეპირად უსწავლია. ვისაც გაუგონია აკაკის მისვლა ლაილაშში, იგი იტყვის ამ ლექსსაც.

ამ ნაწარმოების ავტორი იყო სახალხო მთქმელი მელქო კაჭკაჭაშვილი. მან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე დაბა ლაილაშში ვაატარა. მელქო კაჭკაჭაშვილი აკაკის მიესალმა ლაილაშის ბაღში. აკაკი გულითადი მადლობითა და კოცნით მიეგება ნიჭიერ მებობებს.

მოხუც მელქო კაჭკაჭაშვილს მე შევხვდი 1940 წელს ცაგერში. მაშინ მას თავისი ხელნაწერები დაკარგული ჰქონდა და არც ერთი საკუთარი ლექსი ზეპირად აღარ ახსოვდა.

მელქო კაჭკაჭაშვილის აკროსტიხი დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი შაირით და ექვსი სტრიქონისაგან შედგება. ყველა სტრიქონის პირველი ასოების შეერთებით ვღებულობთ

ზიცემით ბრუნვაში დაყენებულ საკუთარ სახელს — „აკაკის“.

მელქო კაქკაჭაშვილის ლექსი რამდენჯერმე გამოქვეყნდა. პირველად იგი დაიბეჭდა 1912 წელს „სახალხო გაზეთსა“ (№ 708) და ლადო ბზვანელის კრებულში (გვ. 167). მელქო კაქკაჭაშვილის ნაწარმოები მოათავსა მიხეილ ზონენაშვილმა თავის წერილში (ყურნალი „ჩვენი თაობა“. 1940. № 6. გვ. 54).

ზემოაღნიშნულ გამოცემებში ლექსი რვა მარცვლოვანი სტრიქონებით და მთავრული ასოების გარეშე დაუბეჭდავთ და არავინ წერს. რომ იგი აკროსტიხია.

აღფრთოვანდა, აგუგუნდა თქვენი მოსვლით ლაილაში,
ძიღით კიღემდე გაისმის მხიარული ხალხის ტაში,
აღიღებენ თქვენსა ნაშრომს და გაფრენენ მალლა ცაში,
ძალაში რომ დაგიფასონ, ყველა არის ამის ცდაში.
ივერიის დიდება ხარ, სათაყვანო ყოველ გვარში,
საუნჯე ხარ მამულისა, ბარად იყო, თუნდა მთაში.

ამ წერილის მიზანია მკითხველს გააცნოს ვინაობა მელქო კაქკაჭაშვილისა, ყურადღება მიექცეს მის ლექსს ფორმის მხრივაც — მიგვაჩინდეს ის შესანიშნავ აკროსტიხად.

სად და როდის დაიწერა აღმართ-აღმართი? (მოსაუბრემ — რაჭველმა პედაგოგმა — აკაკის მისცა შეკითხვა ყურნალ „ფასკუნჯში“ 1908 წელს დაბეჭდილ მემუართან დაკავშირებით. მგოსანი შეეხო ლექსის „აღმართ-აღმართ“ შექმნის მომენტს და ორიგინალურად დაადასტურა ფაქტი; აკაკის უცნობი მახვილი გამონათქვამი გამოყენებულ იქნა და ამ თემაზე სხვა სადავო საკითხიც გადაწყდა).

1971 წლის 6 აგვისტოს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 32) დაიბეჭდა გიორგი პაპუაშვილის მოგონება. იგი გვამცნობს გიორგი ლეონიძის ყოფნას ლენინგრის რაიონში (ქსნის ხეობაში) და მის გამოუქვეყნებელ ექსპრომტსაც. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიისათვის.

მოგონება ასე იწყება: როცა ავტომანქანიდან გადმოვედით და ერისთავის სასახლის ციხე-სიმაგრეს მივუახლოვედით,

გიორგი ლეონიძე დაწინაურდა, სერბე შედგა. მარჯვენა ხელი ასწია და წარმოთქვა პირველი სტრიქონი ლექსიდან „აღმართ-აღმართ“.

მასპინძლებმა და პოეტის თანამგზავრებმა ცოტა არ იყოს, გავიკვირვეთ, გიორგი ლეონიძემ აქ აკაკის ლექსი რომ გაიხსენა, მან ეს შეგვატყუო და ღიმილით გვითხრა:

„აღმართ-აღმართ“ აკაკიმ აქ, მაშინდელ ახალგორში, დაწერა 1871 წელს, ერისთავებთან სტუმრად ყოფნის დროს. ორიგინალური, მაგრამ დასამტკიცებელი მოსაზრებაა.

გიორგი ლეონიძე შესანიშნავი მკვლევარი იყო და, ცხადია, კარგად იცნობდა აკაკი წერეთლის პოეზიასაც. პოეტი-აკადემიკოსი უსაბუთოდ და ხელაღებით არ გამოიტანდა ასეთ დასკვნას, გოგლა რომელიღაც წერილობითს ცნობაზე მიენდო.

გ. პაპუაშვილისეულ ზეპირგადმოცემაში ყალბია ლექსის დაწერის თარიღი (1871 წ.). სოფელი ახალგორი ლექსის დაწერის ადგილადაც შეცდომით არის მიჩნეული, მაგრამ ის აკაკი წერეთლის სახელს ერთგვარად მაინც უკავშირდება.

შევამოწმეთ გაგონილი, ჩავიხედოთ ლიტერატურულ წყაროებში.

„აღმართ-აღმართ“ პირველად დაიბეჭდა 1876 წელს (გაზეთი „დროება“, № 2). აკაკის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (ტ. I. 1950 წ. გ. აბზიანიძის რედაქციით) ლექსს ქვეშ მიწერილი აქვს: 1876 წ. 1 იანვარი. ს. ახალგორი (რედაქტორის „შენიშვნებს“ ქვემოთ შევხები).

აკაკის რჩეულ ლექსთა სხვა გამოცემებში (1948 წ. რედაქტორი გ. ქიქოძე; 1960 წ., რედაქტორი სიმ. ჩიქოვანი) კი აღნიშნულია: 1875 წლის 7 სექტემბერი, ქუთაისი.

რომელი ჩვენება არის სწორი?

ლექსი უთუოდ დაიწერა ქუთაისში 1875 წლის 7 სექტემბერს, 1876 წელს კი დაიბეჭდა. გამოქვეყნებამდე, ალბათ, ის სოფელ ახალგორში გადაუწერია ავტორს.

ეს ფაქტი სხვანაირად ვერ აიხსნება. არსებობს სანდო დოკუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა „აღმართ-აღმართ“.

1908 წელს ეურნალ „ფასკუნჯში“ (№ 5) დაისტამბა პე-

დაგოგისა და საზოგადო მოღვაწის არისტო ქუთათელაძის „მოგონება აკაკის შესახებ“.

ეს იყო 1875 წელს. აკაკი ქუთაისში ცხოვრობდა სასტუმრო „კოლხიდაში“. ერთხელ მას ესტუმრა რუსეთიდან დაბრუნებული არისტო ქუთათელაძე. აკაკიმ იგი თავისთან დააბინა ცალკე ოთახში.

7 სექტემბერს, დილით ადრე, რაღაც უჩვეულო ხმამ გამომაღვიძაო, — წერს არისტო, — თვალები გავახილე, დავინახე: აკაკი საცვლების ამარა ოთახის კუთხიდან კუთხეში დადის, რაღაცას ჩურჩულებს, ვიღაცას ედავება, იბრძვის, ბორგავს, არ ეთანხმება, სახე ემანკება. გადავწყვიტე, მუხას რომ ეძახიან, ალბათ, ის ეწვია-მეთქი და თავი მოვიმძინარე. საბანწამოხურული კუჭრუტანიდან გაფაციცებით თვალყურს ვადევნებდი. პოეტი კვლავ განაგრძობდა სიარულს, შფოთავდა, დელავდა. აი, თანდათან უკლო ნაბიჯს, სახეზედაც უფრო სიმშვიდე დაეტყო. უკანასკნელი თავისი ბრძოლა-საუბარი დაასრულა და გადმომძახა: არისტო, არისტო, ადექ მალე და დაწერეო. მეც სწრაფად წამოვიტყერი, მოვიმარჯვე ქაღალდი და კალამი. და აკაკი ყოვლად უცვლელად და გაუსწორებლად მიკარნახებდა. და მეც გულის ფანცქალით აჩქარებულად ვწერდი ძვირფას ლექსს „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“.

არისტო ქუთათელაძის მემუარს იმოწმებენ სპეციალისტები (იხ. ვუკოლ ბერიძე. „შოთას პოეტიკისათვის:“ რუსთველოლოგიური ეტიუდები. 1961. გვ. 114; ლევან ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. 1953. გვ. 278—279).

1912 წელს, რაჭაში (ბარაკონში) ყოფნის დროს, აკაკის ჰკითხეს: „ფასკუნჯიდან“ შევიტყვეთ, რომ „აღმართ-აღმართ“ სულ ცოტა ხანში დაგიწერიათ, ნუთუ მართალიაო ეს?

აკაკის პასუხი ასეთი იყო: დედა შვილს რამდენიმე წუთში შობს, მაგრამ ცხრა თვე მუცლით ატარებსო (მოგვითხრო პედაგოგმა ლონგინოზ კიკვიძემ. იხ. გაზ. „ქუთაისი“, 1966. 16 თებერვალი).

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის რედაქტორი გ. აბზიანიძე თავის „შენიშვნებში“ (ტ. I. 1950 წ.) აღნუსხავს ავტოგრაფული და ნაბეჭდი ტექსტის ვა-
6. მ. ალავიძე

რიანტულ სხვაობებს, მაგრამ არ. ქუთათელაძის შემუშარსა და მის მიხედვით ცნობილ დათარიღებას კი არ ეხება. ეტყობა, გიორგი ლეონიძე დაჰყარებია მხოლოდ ამ გამოცემას, რომელშიც ლექსის დაწერის ადგილად სოფელი ახალგორი ითვლება.

გამორკვა, რომ გიორგი პაპუაშვილის საყურადღებო მონება დაუზუსტებელ ცნობებსაც შეიცავს: „აღმართ-აღმართ“ არ შექმნილა არც 1871 წელს და არც სოფელ ახალგორში. აკაკი სტუმრად ყოფილა ახალგორში, სადაც ლექსი დაბეჭდვის წინ გადაუწერია მხოლოდ. სადავო არაა, რომ კლასიკური ელევია „აღმართ-აღმართ“ აკაკი წერეთელმა დაწერა ქუთაისში 1875 წლის 7 სექტემბერს.

სამახსოვრო ნაპმსი. ბარაკონში აკაკიმ შთამბეჭდავად უპასუხა რაჭველ პედაგოგს კითხვაზე ქართული ზმნის ჰ- და ს- პრეფიქსთა შესახებ.

(აკაკი ზმნის ჰ- და ს- თავსართთა მართლწერას იცავდა. ამბობდა: პრეფიქსს ზოგჯერ გრამატიკული ფუნქცია აქვს, ზოგჯერ პოეტური სამკაულია, რითმას ავსებს, ზმნის უღერადობას ხელს უწყობს. თავსართიანი ზმნის მქონე ფრაზის გამომსახველობითი ძალა საგრძნობია: მოჰკლეს პოეტი! ალალმა დაჰქროლა, „დაჯდა და წიგნი დასწერა“, „ამირანმა დევი დასცა“... ჰ- და ს- პრეფიქსის ჩამოცლით ზოგჯერ იცვლება ზმნის მნიშვნელობა: შენ იფურჩქნები და ჰყვავიხარ, გიორგის ტვინი ჰქონია... აკაკი მოითხოვდა: ზმნის ჰ- და ს- აფიქსებს ნუ დაეკარგავთო; კერძოდ, პოემაში „რაჭა-ლეჩხუმი“ გამოყენებულია ასეთი ზმნები: შეჰლაღადებდა, ჰქონიათ, გაჰყიდა, ჰნიშნავდენ, ჰნახავ; სცხოვრობს, სთქვა, სცდილობს, ასტირდა, სთხოვდა, სძარცვავენ... ლიტერატორ ლონგინოზ კიკვიძის ნაამბობი. აქტუალურ საკითხზე მართლწერის ეს აკაკისეული თვალსაზრისი აქ დასაბუთებულია ერთი კონკრეტული ზმნის ანალიზით).

ეს სტატია მიზნად ისახავს გაარკვიოს და შეაფასოს ხალხური ნაკვესი, რაც აკაკი წერეთელს მიეწერება. აღნიშნული ნაკვესი მიიჩნევა შთამბეჭდავ დოკუმენტად და განამტკ-

ცებს ერთიან წესს ქართული სალიტერატურო ენის მარილ-წერაში.

ჯერ ენობრივ პრობლემურ საკითხს შევეხები. ზმნის პირის 3- და ს- თავსართთა გამოყენების წესი ამჟამად დაკანონებულია. ფართო საზოგადოებრიობისათვის სწავლადებულია სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება. სპეციალურად ამ საკითხის შესწავლისათვის უმთავრეს წყაროებად ითვლება: აკაკი შანიძის მონოგრაფია „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“. I. 1973), ვარლამ თოფურიას ბროშურა „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“. 1965. გვ. 87—92) და ივანე გიგინეიშვილის მოხსენება (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. პირველი კრებული. 1970. გვ. 191—202). წესდებას ეი შეიცავს ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1968).

უურნალისტმა მიხეილ მამულაშვილმა გამოაქვეყნა სასარგებლო სტატია — „სწორად ვიხმართ პრეფიქსები“ (გაზ. „თბილისი“. 1980. № 84).

ერთიანი წესი არცთუ მარტივია და მკითხველისაგან მოითხოვს ზმნის მორფოლოგიური აღნაგობისა და ფონეტიკურ ცვლილებათა საფუძვლიან ცოდნას. ქართული პრეფიქსი და ვაჰომცემლობები გრამატიკულ წესს ყოველთვის ვერ იცავენ. თანამედროვე მწერლობაში პრეფიქსი ბევრჯერ მხატვრულ სამკაულად გაიგება და გრამატიკული ფუნქციის გამოხატვა არ ეკისრება. მოკლედ: კანონი ირღვევა. ხშირად იბეჭდება არასწორი ფორმის ზმნები: ჰყვირი, სტირი; გავს, ყავს, ქონდა, დაკარგავა, შეძლებია, აფარებია, აყვება, ჰირდება, ჩაწვდა, ბაძავს, პარავს, მიგვარა, კითხა, დაპირდა, მოგლიჯა, მიყიდა, შეჩივლა, მოცილდა, თხოვს; გაჰყიდა, ჰპოვა, შეჰკრიბა, დაჰფარა, დაჰკარგა, მოჰკლა, გაჰკვეთა, გამოჰყო, შესცვალა, დასწერა, სთქვა, დასდო, შესძლო, გასტეხა, გადასწყვიტა; ჰქუხს, ჰყვავის, ჰქრის, ჰყრია. სწერია, სჰკნება, სჩანს, სდგას, სცხოვრობს, სწარმოებს... ამ სადავო (უმართებულო) ფორმას მკითხველი აშკარად ამჩნევს.

აქ სპეციალურად შევეხები „ჰქონია“ ზმნას. იგი ორპირი-ანია, გარდაუვალი, სტატიკური, თურმეობითი ფორმა „აქვს“ ზმნისა. მასში 3- თავსართი მართებულია, რადგან ის ინვერსიულ წყობისას სუბიექტურ პირს აღნიშნავს.

3- თავსართის ხმარებასთან დაკავშირებით სასარგებლოა გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ნაკვესი.

1965 წელს გაზეთ „ქუთაისში“ (№ 251) გამოქვეყნდა მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანის წერილი „აკაკის დაუბეჭდავი ნაკვესები“. მასში მოთავსებულია ოთხი ნათქვამი.

წემოწმებით გამოირკვა, რომ სამი ნაკვესი, რომელნიც აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემებში არ მოიპოვება, ცნობილია მემკვიდრული ლიტერატურიდან.

პეტრე ჭაბუკიანი წერს, რომ მას ორი ნაკვესი მოუსმენია პოეტ დომენტი თომაშვილისაგან, ვინც ქართულ პოეზიაში აკაკის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად ითვლება.

ქუთაისის მოქალაქე გრიგოლ გველესიანის ფულად ვალთან დაკავშირებულ ამბავს დომენტი თომაშვილი მოგონების სახით მოუთხრობდა აუდიტორიას აკაკის საიუბილეო საღამოებზე 1935 და 1940 წლებში. ეს ეპიზოდი დატულია ხელნაწერად და პოეტის გამოსაცემ მემუართა კრებულში შედის; აკაკი წერეთლისა და გრიგოლ არწრუნის საუბრის ფაქტს კი იაკობ მანსვეტაშვილი გვამცნობს (მოგონებანი. 1936. გვ. 17).

საინტერესოა მესამე ნაკვესი „ჰქონია“ ზმნის ფორმის დასაცავად. პეტრე ჭაბუკიანი ინფორმატორად ასახელებს გამოჩენილ მოღვაწეს ტრიფონ ჯაფარიძეს, ვინც აკაკის პირადად იცნობდა.

ნაკვესი ნამდვილად აკაკის მიეწერება. ადრეც წამიკითხავს, მაგრამ ვერ გავიხსენე. ვძებნე და ვერ ვიპოვე, უთუოდ ვინმეს მემუარში აღმოჩნდება. ფხიზელმა მკითხველმა იქნებ მიმითითოს წყაროზე. კამათის თემა მახსოვს და მოკამათეც არ მეეჭვება. პეტრე ჭაბუკიანისეული ვარიანტიც აღსატურებს, რომ ადრესატი გიორგი წერეთელი ყოფილა.

გამოჩენილი პუბლიცისტი და მეცნიერი (ეკონომისტი) ფილიპე გოგიჩაიშვილი მოგვითხრობს: ვიცოდი, რომ მეცხ-

რამეტე საუკუნის მიწურულში პეტრე უმიკაშვილს უსიამოვნება მოუვიდა ცოლ-ქმართან (გიორგი წერეთელსა და ანასტასია თუმანიშვილთან) „კვალის“ მართლწერის გამო. მას ხშირად ულაპარაკნია ჩემთან და სხვებთანაც იმ თემაზე, რომ „კვალმა“ განდევნა ჰ- და ს- ქართული ზმნებიდან. „კვალის“ მართლწერას ვერ ურიგდებოდა. მის ხელნაწერში მოიპოვება მაშინდელი ასეთი შენიშვნა: რად გინდათ, რომ შემოგაქვთ სქოლასტიკური მართლწერა — კრა „ჰკრას“ მაგიერ, მიცა „მისცას“ მაგიერ, დაწვდა „დასწვდას“ მაგიერ და სხვა (პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. 1937. წინასიტყვაობა. გვ. 11).

ნაკვესის შინაარსი უფრო ზუსტად და მოკლედ ასე აღდგება: აკაკი წერეთელი საერთოდ იცავდა ჰ-თავსართიანი ზმნის ფორმას, გიორგი წერეთელს კი ჰ-ბგერა ზედმეტად მიაჩნდა და უთქვამს: წინათ მეც ვიყენებდი, მაგრამ ახლა უკვე საჭირო აღარ არისო... ცალკეულ ნიმუშებზე მსჯელობა არ ყოფილა.

საუბრის დასასრულს, რაკი ვერ შეთანხმდნენ, აკაკიმ თითქოს დაუდასტურა მეგობარს. გიორგი წერეთელთან კამათში საკუთარი აზრის ვასამტკიცებლად „ჰქონია“ ზმნა დასჭირდა და იხუმრა:

კარგი, კარგი, გავიგე, ამიერიდან მეცოლინება, რომ გიორგის ტვინი ქონიაო.

ნაკვესის ძალა მის ორაზროვნებაშია: ტვინთან (აზრთან) დაკავშირებით გამოიხატება. ერთი მხრივ, „ქონება“ (აქვს) და მეორე მხრივ, „ქონი“ (ნივთიერება). ოსტატურად დაჭერილია იშვიათი გრამატიკული ნიუანსი, საამისოდ გამოყენებულია მხოლოდ ადამიანის ხმოვანფუძიანი სახელი.

„გიორგის (მწერალს) ტვინი ჰქონია“ — ამ წინადადებაში „გიორგის“ ქვემდებარეა (რეალური სუბიექტი) და მიცემით ბრუნვაში დგას, „ტვინი“ დამატებაა (რეალური ობიექტი), მაგრამ ჰ-თავსართის ამოღებით მთლიანად იცვლება წინადადების (შემასმენლის) შინაარსი: „გიორგის (მწერლის) ტვინი ქონია“, აქ „გიორგის“ ვაწსაზღვრებაა და ნათესაობით ბრუნვაში დგას, „ტვინი“ ქვემდებარეა.

ადამიანის თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელისაგან

ნაკვესი არ გამოვა: წინადადებაში „სილოვანს ტვინი ჰქონია“ 3-თავსართის დაკლებით („სილოვანს ტვინი ჰქონია“) შაინც იგივე მნიშვნელობა რჩება, რადგან ორივე შემთხვევაში „სილოვანს“ ქვემდებარეა მიცემით ბრუნვაში და „ტვინი“ ისევ დამატება.

აკაკისეულ კონტექსტში ზმნის 3-თავსართის ფუნქცია მკვეთრად გამოჩნდა.

სულმნათი აკაკის შთამბეჭდავი ნაკვესი ცხადყოფს, რომ სალიტერატურო ენაში უნდა დამკვიდრებულიყო კონკრეტული ზმნის თავსართიანი ფორმა „ჰქონია“.

ეს გონებამახვილური ნათქვამი აკაკის ნაკვესების კრებულში აუცილებლად უნდა შევიდეს.

საკუთარი თუ ხალხური მისპრომტი? ზეპირმეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ერთი ექსპრომტი ხალხური შარით არის შესრულებული და მას ზოგიერთ ქართველ კლასიკოსსაც მიაწერენ. სხვადასხვა მოსაზრება რესპუბლიკურ პრესაში ახლახან გამოითქვა. სადავო საკითხის გადასაწყვეტად მოვიპოვე შედარებით უტყუარი წერილობითი საბუთი.

რაქა-ლენსუმში მოგზაურობისას, 1912 წელს, სხვადასხვა დროს აკაკი წერეთელს მიბრთვეს საჩუქრები: ოქროს კალაში, ვერცხლის სურა, აზარფეშა და ჯოხი, მოხარატებული ხის ხონჩები, ხელნაწერი წიგნები...

1921 წელს უცხოეთში გატანილი და 1945 წელს უცხოეთიდან დაბრუნებული ქართული საუნჯის სიაში იკითხება: 1. აკაკი წერეთლის ჯოხი, წარწერებით, შემკული ვერცხლითა და ოქროთი. საჩუქარი დაბა ლაილაშისაგან; 2. ოქროცურვებული ვერცხლის საფერფლე, მრგვალი, ქართული წარწერით, აკაკი წერეთლის საჩუქარი ლენსუმისაგან (იხ. შალვა ამირანაშვილი. საქართველოდან საზღვარგარეთ სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება. 1968. გვ. 51, 54).

ამ ფაქტთან დაკავშირებით 1960 წელს ჩავიწერე ზეპირგადმოცემა (ჩემი ინფორმატორი იყო ლაილაშელი ბუნებისმეტყველი — დოცენტი დავით იასონის ძე ხეცურიანი): ლა-

ილაშელმა მდიდარმა ვაჭარმა (ებრაელმა თუ სომეხმა) ბაღში გამართულ ნადიმზე აკაკის საჩუქრად გადასცა მოვერცხლილ-მოოქროვილი სათუთუნე (საფერფლე) და ძვირფასი პაპიროსით სავსე კოლოფი.

აკაკიმ, რადგან თამბაქოს არ ეწეოდა, გაიკვირვა საჩუქარი და მას მოსწრებულად უპასუხა. მაგრამ ეს იყო არა საკუთარი სახუმრო ლექსი, არამედ ხალხური შაირი (ერთი სტროფი). ამ ცნობილი ექსპრომტის (იხ. ქვემოთ) უცნობი ავტორის ვინაობა აკაკის არ გაუმეღავენებია. შემდგომ შეცდომით გავრცელდა ის აზრიც, რომ თითქოს ეს ლექსი აკაკის მაშინ შეექმნას (იხ. გაზ. „ქუთაისი“. 1961. № 51).

1979 წლის 2 თებერვალსა და 1 აპრილს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილები ადამიანის ჯანმრთელობაზე თამბაქოს მავნე გავლენის შესახებ. გაზეთის ორივე ნომერში მესამე გვერდზე ანშლანგად დაიბეჭდა ორი სტრიქონი (ციტატა ლექსიდან) ავტორის დასახელებით. სახელდობრ, ასე: „მე ჩიბუხისა წევითა ვერ გადავივლი მთასაო“. ვაჟა-ფშაველას.

ეს ცნობა არასწორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟას კაბინეტმა გამოსაცემად მოამზადა კაპიტალური კოლექტიური ნაშრომი „ვაჟა-ფშაველას სიმფონია-ლექსიკონი“. მასში აღნუსხულია ვაჟასეული ყველა სიტყვა და ფორმა. ამ ფონდში შემოწმდა და გაირკვა, რომ ვერ დავასახელებთ ვაჟას რომელიმე ლექსს, სადაც ეს ნათქვამი გვხვდებოდეს. ისე კი გასაკვირი არაა, რომ ეს სტრიქონები ვაჟასაც დაეწერა — ეს ხომ მისეული ფორმაა (ხალხური შაირი). შესაძლებელია, რომ, როგორც აკაკიმ თქვა, ასევე ვაჟასაც საღმე საუბარში გამოეყენებინა ხალხური შაირით შესრულებული ეს ბრწყინვალე ნიმუში.

გავეცნოთ სანდო პირველწყაროს.

საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ბექდვიტის ორგანოში („ლიტერატურის მატინე“. № 1-2. 1940) მოთავსებულია სოლომონ ცაიშვილის ნაშრომი „მასალები ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის“. აქ ვკითხულობთ, რომ იონა მეუნარგიას ჩანაწერებში („სამახსოვრო წიგნებში“) დაცულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი:

მე ჩიბუხისა წვეითა
ვერ გადავიღი მთასაო,
ბოლი რომ ასე მიყვარდეს,
ბუხარში შევეოფ თავსაო.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ასე გამოუხატავს თამბაქოს ზიანი ადამიანისადმი.

ეს ექსპრომტი იონა მეუნარგიას გაუგონია გრიგოლ დადიანისაგან. მასვე შემოუნახავს აგრეთვე გრიგოლ დადიანისაგან მიწოდებული ალექსანდრე ჭავჭავაძის სხვა უცნობი სამი პატარა ლექსი და ერთი ზმა.

ეს მოვლენა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში არ უნდა გვეუცხოოს, რადგან ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ხომ აქვს „მდაბიურად დაწერილი“ ერთი ლექსი „მადლი შენს გამჩენს...“

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური ნაწერები აკადემიური სახით 1940 წელს გამოსცა იოსებ გრიშაშვილმა. ამ ტომში ეს ექსპრომტი არ მოიპოვება, მაგრამ იოსებ გრიშაშვილი კი შენიშნავს: წიგნში სადავო ლექსები არ მოვათავსეო. „სადავო ლექსებში“ შეიძლება იგულისხმებოდეს ეს უცნობი სტროფი, რომელიც შემდეგ (იმავე 1940 წელს) პირველად გამოაქვეყნა სოლომონ ცაიშვილმა.

გამოჩენილ ენათმეცნიერს, ვაჟა-ფშაველასა და ქართული ხალხური პოეზიის უებრო სპეციალისტს ალექსი ჭინჭარაულს ვკითხე: ამ სტროფის წარმომავლობის შესახებ რა იცი, თვითონ შენ რას ფიქრობ-მეთქი. მან მიპასუხა: ასეთი ტექსტი არსად შემხვედრია, მაგრამ მახსოვს მხოლოდ ის, რომ ჩემი სტუდენტობის პერიოდში ლექციაზე აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ თქვა: ეს ლექსი ხალხურიაო. ჩანს, შაირი სამეგრელოშიც სცოდნიათ და ეს მარგალიტი იონა მეუნარგიას ჩაუწერია. ეს ახალი ცნობა შეაქვს და გაამაგრებს შენს ჩანაფიქრსო.

არნოლდ ჩიქობავას გარდაცვალების 1985 წელს თავის სტატიაში ალექსი ჭინჭარაულმა გაიხსენა ეს ფაქტიც: მე და ერთი ჩრდილოკავკასიელი მეგობარი კიბის თავზე პაპაროსს ვაბოლებდით. შეგვაცბუნა ბატონი არნოლდის მოულოდნელმა გამოჩენამ და პაპიროსები დავმალეთ. გვერდზე რომ

აგვიარა, ჩაილაპარაკა: „პაპიროზაის წვევითა ვერ გადავივლი მთასაო...“ (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1985. № 46).

ამ ცნობით დასაშვებია ვარაუდი: ინფორმატორს გრიგოლ დადიანს უფიქრია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან მოსმენილი სტროფი მისივე საკუთარი ექსპრომტიაო.

ამრიგად, სარწმუნოა და დადგენილად ჩაითვლება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ნათქვამი. პოპულარული სტროფი ხალხური ექსპრომტია და ის რომელიმე ქართველ კლასიკოს პოეტს (ალექსანდრე ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას) არ ეკუთვნის. მოკლედ: საზრუნავია დავიხსოვოთ, რომ ამიერიდან ამ ხალხურ ექსპრომტს რომელიმე ქართველ კლასიკოს პოეტს ნუ მივაწერთ.

იუზილარი აკაკი და ჭავჭავი კოეტი კონსტანტინე გამსახურდია. მკითხველთა ფართო მასისათვის უცნობი იყო და ახლახან გაირკვა, რომ კონსტანტინე გამსახურდია აქტიურად გამოეხმაურა აკაკი წერეთლის იუბილეს 1908 წლის შედგომ და მონაწილეობდა ამ ზეიმში. ამ აზრს ცხადყოფს აკაკისადმი მიძღვნილი მისი ლექსები „აბაშისპირელის“ ფსევდონიმით. პირველი ორსტროფიანი ლექსი „აკაკის“ დაისტამბა 1909 წელს ჟურნალში „ერთობა“ (№ 1). ეს ლექსი დაწერა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლემ. აღსანიშნავია, რომ აკაკი ამ პერიოდში გიმნაზიის ხშირი სტუდარი ყოფილა. არაერთხელ დასწრებია სილოვან ხუნდაძეს ქართული ენის გაკვეთილებზე და მოხიბლულა მოსწავლეთა პასუხებით (შ. თაბუკაშვილის მოგონება. ჟურნ. „პიონერი“. 1940. № 6. გვ. 13); კონსტანტინე გამსახურდიას მეორე ლექსი აკაკისადმი გამოქვეყნდა 1912 წელს. ეს ლექსები მწერლის რეატომეულში არ შესულა და 1982 წლის 31 ივლისს გადმობეჭდა გაზეთმა „ქუთაისმა“ (№ 148) მკვლევარი იროდიონ ერემეიშვილის პუბლიკაციით.

1912 წლის 28 ივლისს გაზეთ „კოლხიდაში“ (№ 109) მოთავსებულ კ. აბაშისპირელის ლექსს „არწვეთა მაღალ მთისათა“ (აკაკისადმი) ქვეშ აღნიშნული აქვს დაწერის ადგილი „ქრებალო“; კონსტანტინე გამსახურდია აკაკის მოგზაურობა

ბის ნამდვილი მონაწილე რომ ყოფილა, ამას ამტკიცებს მეორე დოკუმენტიც: 1912 წლის 29 ივლისს „სახალხო გაზეთში (№ 662) გამოქვეყნდა კ. აბაშისპირელის რვასტროფიანი ლექსი „შავი სიზმარი“, რასაც ქვემოთ აწერია „რაქა“.

1. გავეცნოთ საუკეთესო ადგილს (დასასრულს) ლექსიდან აკაკისადმი: „მთის შიკრიკს მოაქვს ამბავი: ამირან ზეზე დგებაო, ილესავს თავის ფრანგულსა. საომრად ემზადებაო... მაშ, ისევ ჩვენო ჭავარო, მომართე შენი ებანი, ამირან — ეცესლის მომტანის — გმართებს ქებათა ქებანი“.

2. ასეთია ორი სტროფი (დასაწყისი და დასასრული) ლექსიდან „შავი სიზმარი“: „მესიზმრა, ვითომც ცრემლით დანამულს ვეთხოვებოდი ჩემს ტურფა მამულს; ტალღა ქმულოდა, შორს იხტებოდა, გემისა ანძა იზნიქებოდა... გამომეღვიძა. გული მტკიოდა. მზე არ შვენოდა სამშობლოს ცაზე, ჩემს ტურფა მამულს ცრემლი სდიოდა, პირქვე დავემხე მშობელ მიწაზე“.

კონსტანტინე გამსახურდია მუდამ ღირსეულად აფასებდა ლიდ აკაკი წერეთელს. საყოველთაოდ გავრცელდა მისი გამონათქვამები: „ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იყვნენ საქართველოს უგვირგვინო მეფენი“, „აკაკი ჩვენი ქართული პოეზიის ტკბილხმოვანი ორფეოსია“, „ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური სიღარბაისლე, ხოლო აკაკიმ — იმერული სიღბო“.

რაქა-ლეჩხუმის საამაყო სტუმრის საიუბილეო მოგზაურობა 1912 წელს ქუთაისიდან დაიწყო 21 ივლისს და გაგრძელდა 1 აგვისტომდე (ძველი სტილით). სადგური ჭრებალო მდებარეობს რაქა-ლეჩხუმის საზღვარზე, სადაც 22 ივლისს, კვირას, დიდი შეხვედრა გაიმართა და მოედანზე აკაკიმ ჩაატარა ერთსაათიანი ლექცია არქეოლოგიური ნაშთებისა და ზეპირსიტყვაობის შესწავლის შესახებ.

საჭიროა აიხსნას ეს ფაქტი — გიმნაზიის კურსდამთავრებულ კონსტანტინე გამსახურდიას ყოფნა „ჭრებალოსა“ და „რაქაში“. მივმართოთ პირველწყაროებს:

1. აკაკის მუდმივი მსლებლის, მემპტიანე ჟურნალისტ ლადო ბზვანელის (ნაცვლიშვილის) კრებულიდან (1912 წ.)

ცნობილია, რომ აკაკის თანამგზავრთა ამაღლაში შედიოდნენ ქუთათური გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორი მიხეილ ჯაფარიძე და ამავე გაზეთის კორესპონდენტი პედაგოგი სამსონ დათეშიძე (გვ. 15), ნადიმზე ბარაკონში (რაქის ერისთავთა სასახლის ეზოში) პოეტს სიტყვით მიესალმა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ვალერიან ჯაფარიძე (გვ. 73).

2. აკაკის მუდმივ მსლებელთა ცნობილი ფოტოსურათი მხატვარმა კოტე ქავთარაძემ გადაიღო მოგზაურობის დასასრულს დაბა ლაილაშს. მასში გამოსახული არიან ლადო ბზვანელიცა და სამსონ დათეშიძეც. მაგრამ არ ჩანს მიხეილ ჯაფარიძე. ვასილ ამაშუკელმა მითხრა, რომ მიხეილ ჯაფარიძე მეორე „ლინეიკაში“ (ეტლში) იჯდა. ყველგან იყო, მხოლოდ დაბა ლაილაშს არ აგვეყოლიაო. მისი სახე აკაკისთან ერთად ცოცხლად დაუცავს ბარაკონში გადაღებულ კინოკადრს.

უნდა ვიფიქროთ, რომ გიმნაზიაში სწავლისას კონსტანტინე გამსახურდიასა და ვალერიან ჯაფარიძეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. აგრეთვე იგი თავის ნაწერებს (ლექსებსა და ეტიუდებს) უმეტესად აქვეყნებდა გაზეთ „კოლხიდაში“, რომლის რედაქტორი იყო მიხეილ ჯაფარიძე. უთუოდ ამ გარემოებამ (ჯაფარიძეებთან სიახლოვემ) განაპირობა კონსტანტინე გამსახურდიას სურვილი (ამის შესახებ ფაქტობრივი მასალა იხ. ქვემოთ). 19 წლის კონსტანტინე გამსახურდიამ 1912 წლის გაზაფხულზე დაასრულა ქუთაისის ქართული გიმნაზია. ერთი თვის შემდეგ (ივლისში) აკაკი წერეთელი გაემგზავრა რაჭა-ლეჩხუმისაკენ და კონსტანტინე გამსახურდიაც გაჰყოლია მას.

მხატვარ კოტე ქავთარაძისეული უნიკალური ფოტოალბომი გვაცნობს სარედაქციო საბჭოს შემადგენლობას. აქ ერთ კადრში ოსტატურად დაჭერილია და შთამბეჭდავად ნაჩვენებია პრესისა და ხელოვნების მუშაკთა საქმიანობა: ოთახში გრძელ საწერ მაგიდასთან მიმსხდარან და დასაბეჭდად ფაქტობრივ (საინფორმაციო) მასალას ამზადებენ ქართული პრესის წარმომადგენელნი — ს. მერკვილაძე, გ. დიასამიძე, ლ. ბზვანელი, ქუთათური გაზეთის თანამშრომელი ს. დათეშიძე. ფეხზე დგას კინოოპერატორი ვ. ამაშუკელი. არ ჩანს, მაგრამ ამ ჯგუფში ჩაითვლება ფოტოალბომის ავტორი

კ. ქავთარაძე. ქართული პრესა („სახალხო გაზეთი“, „თემი“, „კოლხიდა“) მოგზაურობის პროცესშივე აშუქებდა ზეიმს. კერძოდ, ქუთაისის გაზეთის რედაქციას ადგილებიდან დასაბეჭდ მასალას ფოსტით აწვდიდა სპეციალური კორესპონდენტი სამსონ დათეშიძე და ამიტომ მოხდა, რომ კრებალს 22 ივლისის ზეიმით შთაგონებული კ. აბაშისპირელის ლექსი აკაკისადმი 28 ივლისს დროულად გამოქვეყნდა გაზეთ „კოლხიდაში“; ასევე ნამდვილი იყო, რომ მოგზაურობის პროცესში სხვა თემაზე დაწერილი (ბარაკონის 28 ივლისის ზეიმით შთაგონებული) და 29 ივლისს დასტამბული ლექსი „შავი სიზმარი“ „სახალხო გაზეთის“ რედაქციას ფოსტით მიაწოდა საკუთარმა კორესპონდენტმა ლადო ბზვანელმა თავის საინფორმაციო მასალასთან ერთად.

რაჭა-ლეჩხუმში ჭაბუკ კონსტანტინე გამსახურდიას სტუმრობის დასამტკიცებლად და ზემოთ დამოწმებულ ლადა ბზვანელისეულ უტყუარ ფაქტთან დაკავშირებით მე შევისწავლე ვინაობა ორი ვალერიან ჭაფარიძისა (რათა მომავალში მკვლევარი არ შეცდეს და რადგან „ჭაფარიძე“ გავრცელებული გვარსახელია). ამ საკითხს ნათელს ჰტენს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარ უჩა მალაქიას ძე ჭაფარიძის ოჯახის წევრთა მონაწილეობა ზეიმში.

რაჭის სამაზრო ცენტრში შესვლამდის 1912 წლის 27 ივლისს, პარასკევს. გზაზე, აკაკი წერეთელს შეეგებნენ ცხენოსნები და სიტყვით მიმართა პედაგოგმა მალაქია ჭაფარიძემ. საზოგადოება მგოსანს დახვდა დაბა ონში რიონის პირას, ხიდს ზემოთ, სატრიუმფო თალთან. შეხვედრას ესწრებოდნენ — ექვსი წლის ბავშვი უჩა ჭაფარიძე (დედამის ფატმანთან ერთად) და მისი უფროსი ძმები (ვლადიმერი, გრიგოლი ვალერიანი, ალექსანდრე და დავითი); მეორე დღეს მალაქია ჭაფარიძის ვაჟიშვილთაგან სამ ძმას აკაკისთან ერთად ფოტოსურათები გადაუღიათ.

აკაკის მოგზაურობის მონაწილემ, დამსახურებულმა პედაგოგმა ზინა გიორგობიან-ჭაფარიძემ ერთხელ იხილა მხატვარ კოტე ქავთარაძისეული სრული ფოტოალბომი, რომელიც კრებალთაგან აკრონომს იოსებ ცხვედიანს მზითვედ გაუტანებია ნადეჟდა იოსების ასულ ცხვედიან-ჩხობაძისათ-

ვის (მცხ. ქუთაისში წულუკიძის ქ. № 147). ის დამეხმარა აკაკის ფოტოსურათების ალბომის აღწერილობის შედგენისას (იხ. გაზ. „ქუთაისი“. 1960. 25 ნოემბერი). ერთად აღვრიცხეთ და ხელთ მაქვს ფოტოკადრებში გამოსახულ რაჭველთა ვრცელი სია. ზინა ჯაფარიძემ ასე ამოიციწო შემადგენლობა ონში გადაღებული საინტერესო ორი ფოტოსურათისა:

1. „ფერხული ონში“: ვლადიმერ, ვალერიან, გრიგოლ ჯაფარიძეები (უჩას ძმები), ნიკოლოზ ჯაფარიძე, დომენტი მეტრეველი, ვლადიმერ ჩხეიძე;

2. „აკაკისთან რაჭველები ეროვნულ ტანსაცმელში“ — ორ რიგად ჩამწკრივებულან მანდილოსნები (8): ევნიკია გიორგობიანი, ანა ერისთავი, ნატო გოცირიძე, ლუცია გორდენიანი, მაგდან ჯანუაშვილი, აგრაფინა მეტრეველი, ბაბილინა ფოფხაძე, ანიჩკა კიკვიძე და მამაკაცები (8): ვალერიან ჯაფარიძე, დავით გოცირიძე, ნიკოლოზ ჯაფარიძე, ქიშვარდ ჯაფარიძე, სანდრო ჩიკვაძე, გრიგოლ, ვლადიმერ, ვალერიან ჯაფარიძეები (უჩას ძმები).

1972 წელს თბილისში პირველი ქართველი კინომოდელაწის ვასილ ამაშუკელის იუბილეზე მისი დოკუმენტური მუნჯი ფილმის მიმდინარეობის დროს უჩა ჯაფარიძის გვერდით მოეხვედო და ვსაუბრობდით. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში. უჩა უსაზღვრო აღფრთოვანებას გამოთქვამდა. „აკაკის მოგზაურობის“ ყოველი კადრი აღელვებდა. თვითონ იხსენებდა ნაცნობ ადგილებს და მონაწილე პირებს. მანიშნებდა მხატვრისათვის შთამაგონებელ საინტერესო ტიპებსა და ეპიზოდებს, რომ ონში მას თეთრი ქულაჯა ეცვა და ხილთან იდგა თავის მშობლებსა და ხუთ ძმასთან ერთად. მხატვარი კოტე ჭავთარაძეც გამოიციწო და მისი დამსახურებაც დააფასა.

მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ ჩემს შეკითხვაზე 1983 წლის 4 მარტს წერილობით ასე მიპასუხა:

„კონსტანტინე გამსახურდიას მონაწილეობა დიდი აკაკის მოგზაურობაში ჩემთვის უცნობია და პირველად თქვენი ბარათიდან გავიგე, რისთვისაც გმადლობთ.

რაც შეეხება მოსწავლე ვალერიან ჯაფარიძის ვინაობას,

იგი ჩემი უფროსი ძმა არ უნდა იყოს; ჯერ ერთი, მან დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და, მეორეც, იგი ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო (დაიბადა 1890 წელს). ჩემი ძმა ვალერიანი მასზე სამი წლით უმცროს კონსტანტინე გამსახურდიას მაშინ, ალბათ, ვერ იცნობდა. ფაქტის დასადგენად თქვენი ვარაუდი სარწმუნოა; მეორე ვალერიანი (ქართულ გიმნაზიიდან) შეიძლებოდა ყოფილიყო ჰაბუკ კონსტანტინე გამსახურდიას მეგობარი და მასპინძელი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ძმა ვალერიანი, ისე როგორც ყველა ჩემი ხუთი ძმა, მამაჩემის მეთაურობით, მსურვალე მონაწილეობას იღებდა რაჭაში აკაკი წერეთლის მობრძანებისას“.

გამოირკვა, რომ ისტორიულ სახალხო ზეიმში აქტიურად მონაწილეობდა ორი ვალერიან ჯაფარიძე. ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ვალერიან ჯაფარიძე (კონსტანტინე გამსახურდიას პირადი ნაცნობი) მხატვარ უჩა ჯაფარიძის უფროსი ძმა არ ყოფილა და სხვა პიროვნებაა; საარქივო დოკუმენტის მიხედვით ვალერიან ერმალოს ძე ჯაფარიძე (დაიბადა 1893 წელს) ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში კონსტანტინე გამსახურდიას მომდევნო კლასში ირიცხებოდა; საინტერესოა, რომ ქავთარაძისეულ ერთ უნიკალურ ფოტოსურათში გამოსახულია ორივე პიროვნება (სეხნია-სახლიკაცები): ვალერიან მალაქიას ძე ჯაფარიძე და ვალერიან ერმალოზის ძე ჯაფარიძე. ვალერიან ერმალოზის ძე ჯაფარიძემ გიმნაზიელი ამხანაგი კონსტანტინე გამსახურდია უთუოდ მიიპატიჟა მშობლიურ მოზეიმე კუთხეში და ერთად ახლდნენ მცოსანს.

რადგან 1912 წელს დაბეჭდილ კ. აბაშისპირელის ლექსებს ქვეშ აწერია „ჭრებალო“ (გაზეთ „კოლხიდაში“) და „რაჭა“ („სახალხო გაზეთში“), რადგან რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთელთან იყვნენ ჰაბუკ კონსტანტინე გამსახურდიას მახლობელი (ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ვალერიან ჯაფარიძე, გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორი მიხეილ ჯაფარიძე და კორესპონდენტი სამსონ დათეშიძე, „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენტი ლადო ბზვანელი), ყოველივე

ეს ამტკიცებს მოსახრებას, რომ გიმნაზიის კურსდამთავრებული 19 წლის კონსტანტინე გამსახურდია აკაკის მოგზაურობაში მონაწილეობდა და რომ ამაშუკელისეულ კინოფილმსა და ქავთარაძისეულ ფოტოალბომში (ქრებალოს, ბარაკონისა და ონის კადრებში მაინც) ნამდვილად აღიბეჭდა მისი სახე, რაც მისაკვლევი და ამოსაცნობია.

აკაკი წერეთელთან კონსტანტინე გამსახურდიას სიახლოვეზე მეტყველებს ჯგუფური ფოტოდოკუმენტი (1914 წელს გამართული ქუთათური ლიტერატურული საღამოს მონაწილეთა სურათი); მწერლის პუბლიცისტურ ნაშრომებში არ მოიპოვება მემუარული მასალა არათუ აკაკის მოგზაურობასთან დაკავშირებით, არამედ ის უდავო ფაქტობრივი ცნობაც კი, რომ ჭაბუკმა პოეტმა გამოაქვეყნა აკაკისადმი მიძღვნილი ორი ლექსი; კონსტანტინე გამსახურდიას რომ რაჭალეჩხუმში უნახავს, ეს მისი ნათქვამითაც სარწმუნოა. იგი 1945 წელს აღნიშნავდა: ხალხური მეტყველების შესასწავლად „უკანაკნელი ორი ათეული წლის მანძილზე პერმანენტულად ვმოგზაურობდი მთელს საქართველოში... რაჭული დიალექტიდან ვისესხე სიტყვები: კუბოკრული, რილო-ჰრილო, შრამელი“.... (თხზულებანი VIII. 1967, გვ. 218—220).

მწერალმა რევან ჯაფარიძემ ქალაქ ონთან მდებარე სოფელ ბოლთაში 1970 წელს ააგო სააგარაკო სახლი. ამ ფაქტის აღსანიშნავად თბილისიდან ცხინვალზე გავლით ზემო რაჭას ესტუმრა მსცოვანი კონსტანტინე გამსახურდია.

აკაკი წერეთლის მოგზაურობათა შესწავლისას (მთელი ოთხი ათეული წლის მანძილზე) ეს ფაქტი მე ყურადღებიდან გამომრჩა. მწერლის სიცოცხლეში რომ შემენიშნა, გამოვიკითხავდი და შთამომავლობას კონსტანტინე გამსახურდია ძვირფას მემუარს დაუტოვებდა. მოგზაურობის მომსწრენიც მასზე სხვა ახალ ცნობებსაც გაიხსენებდნენ. კონსტანტინე გამსახურდიას არქივში მოსამძებნია და შეიძლება გამოვლინდეს მისი ჩანაწერები რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის შესახებ.

რაჭა-ლეჩხუმში ჭაბუკ კონსტანტინე გამსახურდიას ყოფნა და იქ დაწერილი მისი ორი ლექსი ამიერიდან დამამშვენებელ ფაქტად შეემატება და გაამდიდრებს აკაკი წერეთლის მოგზაურობათა ისტორიას.

მუშა მოღვაწე — აკაკის მემოზბარი. მთელი მოგზაურობის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელი იყო მეთორნე მუშა (ხაბაზი) იობა ისაკაძე. „მან იკისრა მთელი პასუხისმგებლობა. მხნედ და გაბედულად მოქმედებდა“ (ნოე გოშაძე). იობა თბილისიდან გაჰყვა მგოსანს და არ მოშორებია დედაქალაქში დაბრუნებამდე; მოგზაურობის მომწყობ კომისიას ადგილებზე ხალხში გასაფრცელებლად მიჰქონდა იობა ისაკაძის ინიციატივით გამოცემული აკაკის ლექსთა კრებული და პოეტის პორტრეტი.

26 ივლისს, საღამოს, დაბა ონისაყენ მიმავალ აკაკი წერეთელს იობა ისაკაძის მშობლიური სოფლის მოსახლეობამ „გადაუღობა“ გზა და ახალი სანახაობით აუძგერა გული.

მუხლისა და მისი მოსაზღვრე სოფლების (ბარის, მრავალძლის, სამთისის) მცხოვრებლებმა მგოსნისადმი პატივისცემა რიონზე გადებულ სკოდორის ხილთან გამოსხატეს. ხიდის ლამაზად მორთულ კამარას ფერადი სუროყვაილებისაგან საგულდაგულოდ მოწნული წარწერა ამშვენებდა — „ბარის საზოგადოება გულწრფელი სიყვარულით ეგებება სულმნათ აკაკის“.

იობა ისაკაძის თანასოფლელმა მანდილოსნებმა დიდ პოეტს მიაართვეს მხატვრულად შესრულებული წარწერა პატრიოტული აღთქმით: „საქართველოს მნათობო, დიდებულო მგოსანო აკაკი თქვენგან ნაკენესი ტკბილი ნანათი ჩვენ აღვზრდით ნამდვილ ქართველ შვილებს და მით უკვდავყოფთ თქვენს ძვირფას სახელს. სოფელ მუხლის ქალთაგან“.

მოსწავლეებმა წარმოთქვეს ლექსები.

იობა ისაკაძე მოლექსეც იყო. ლაღო ბზვანელმა გამოაქვეყნა სოფელ ხვანჭკარაში წარმოთქმული მისი ოთხსტროფიანი ლექსიც აკაკისადმი (იხ. კრებული. 1912. გვ. 152). ლექსის დასაწყისი ასეთია:

მეცხრამეტე საუკუნის
მოვლენილო რუსთაველო,
სიტყვით და საქმით ძლიერო,
ქებულო ივერიელო!
თქვენმა ლექსებმა გაუხსნა

ბეჩაე ერს აზრი, გონება,
თქვენი სახეური უკვდავი
მარალტამს მოიგონება...

სკოლორის ხიდთან, როცა აკაკის ეტლმა დაძრა დაპირა
ონის მიმართულებით, იობა ისაკაძე მაღალ ქვაზე შეღვა და
საკლოთარი ექსპრომტით მგოსანი ასე შეამკო:

საქართველოს შუქის მფენო,
ღრმა წუვდიადში სინათლეო
სიმრუდის გზას ქვა ესროლე,
შეგვაკვარე სიმართლეო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეტლში შებმული ბედაურება
პოეტს ონისაკენ მიაქროლებდნენ.

აკაკი წერეთლისა და იობა ისაკაძის მეგობრობა კიდევ
უფრო განმტკიცდა მოგზაურობის შემდეგ. იობამ ყოველგ-
ვარი საქმე გვერდზე გაუდო და მოგზაურობის მდიდარ
შთაბეჭდილებათა დეტალურ აღნუსხევას შეუდგა.

მოკლე დროში მან გაიხსენა ნახულ-განცდილი. „იგი
მომეტებულის მხნეობით განაგრძობდა შრომას, რომ გაე-
შუქებინა აკაკის მოგზაურობა, ნათლად აესახა ზეიმი. მისი
წიგნი მალე გამოიცემა აკაკის პოემითურთ“ (იხ. გაზ. „თემი“.
1913. № 127).

1913 წელს დაიბეჭდა აკაკის ლექსი — ეპიტაფია იობა
ისაკაძის გარდაცვალების გამო. იქვე შენიშვნაში იკითხება:
რედაქციამ მიიღო ბატონ აკაკის წერილიც. დიდმა მგოსანმა
ისურვა, რომ მან იობა ისაკაძის საფლავს სოფელ მუხლში
ქვა დააბღვას და ზედ ეს ლექსი დაეწეროს (იხ. გაზ. „თემი“.
1913. № 127).

ნათქვამი სურვილად დარჩა. ორი წლის შემდეგ თვით
აკაკიმ დაიკრიფა გულზე ხელები.

იობა ისაკაძის საქმიანობის შესასწავლად ჟურნალისტმა
ივანე ჭავჭავაძის შვილმა იმოგზაურა რაჭაში და გაეცნო თბი-
ლისურ საარქივო მასალასაც. 1990 წლის 22 იანვარს გაზეთ
„თბილისში“ დაიბეჭდა მისი სტატია, რომელიც შეიცავს
აკაკის ნაწერებს — ნარკვევსა და ლექსს (იხ. თხზულებანი.

ტ. XIV. გვ. 562; გაზ. „თემი“. 1913. № 127). წერილს ერთ-ვის ცნობილი ფოტოსურათიც.

მაქვს ფაქტობრივი შენიშვნები.

1. სტატიის ავტორი და მისი ზემორაპყველი ინფორმატორი ქიშვარდ ისაკაძე არ იცნობენ არდასავიწყებელ ორ პირველწყაროს. გასამკლავნებელია მათი ყურმოკრული ნათქვამი: „აკაკიმ ონში ერთი (?) დაუეწყარი ღამე გაათია. ხალხში გავრცელებული ლეგენდით (?), ლოგინი ქალებმა გაუშალეს და მას, ძილისპირულის ნარნარა სიმღერით დამტკბარს, ჩაეძინა. დილით მანდილოსნები მის გაღვიძებას მოერიდნენ და ეს მისია მამაკაცებმა იცისრეს. გამოფხიზლებულ პოეტს უხუმრია — „წუხელ ანგელოზებმა დამაძინეს და ამ დილას კი ტარტაროზებმა გამაღვიძესო“. ეს ყურმოკრული ნათქვამი ჟურნალისტმა გაიმეორა სხვა სტატიაშიც (იხ. გაზ. „სახალხო განათლება“. 1990. № 25).

აქ „ზეპირგადმოცემის“ აღსანიშნავად ზედმეტია სიტყვა „ლეგენდა“.

ა) მოგზაურობის ისტორიიდან ამ ფაქტის შესახებ გავიხსენებ 1955 წელს ჩემ მიერ ჩაწერილ კინომოღვაწე ვასილ ამაშუკელის მემუარს (იხ. ქვემოთ; ჟურ. „რიონი“. 1958. გვ. 123); ბ) მხატვარ კოტე ქავთარაძის ალბომში დაცულია ორი სხვადასხვა ჯგუფური ფოტოსურათი — აკაკი „ანგელოზებთან“ ერთად ნიკორწმინდელი დავით კანდელაკის სახლში (იხ. ქვემოთ — „ფოტოალბომის აღწერილობა“; გაზ. „ქუთაისი“. 1960. № 232).

დაბა ონში აკაკი სამ დღეს დარჩა და ორი ღამე გაათია (27 აგვისტოს ნაშუადღევს მივიდა და 29 აგვისტოს ნაშუადღევს წამოვიდა). ონში არ ჰქონდათ რაიმე ღონისძიება, რისთვისაც პოეტი დილით ადრე ამდგარიყო. სოფელ ნიკორწმინდაში კი აკაკი გააღვიძეს იმ მიზეზით, რათა დილით მას დაეთვალეირებინა მდ. შაორის ჰალა და გამდინარე ტბა „ხარისთვალასთან“ ესაუზმა.

მოკლედ — ორიგინალური ფაქტი მოხდა და აკაკიმ მახვილი ნაკვესი თქვა არა ონში, არამედ ნიკორწმინდაში;

2. დაბა ონის ნოტარიუსის დავით გოცირიძის სახლის კედელზე არსებული წარწერა (აკაკის ექსპრომტი) რაკველ-

თა სტუმართმოყვარეობის შესახებ პირველად დასტამბა ჟურნალისტმა ლადო ბზვანელმა (იხ. მისი კრებული. 1912. გვ. 142);

3. ასევე აღნიშნული არაა, რომ მხატვარ კოტე ქავთარაძის მიერ გადაღებული ფოტოსურათი (იოზა ისაკაძე და მისი შვილიშვილი) პირველად გამოქვეყნდა 1984 წელს (იხ. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“. № 4. გვ. 40);

4. გამოყენებული და დამოწმებული არაა სპეციალური ლიტერატურა იოზა ისაკაძის შესახებ—ჟურნალისტ ლადო ბზვანელის მასალა (იხ. მისი კრებული. 1912. გვერდები 2, 3, 4, 152), ფილოლოგ სიმონ სხირტლაძის ნარკვევი „დიდი პოეტის მეგობარი“ (იხ. მისი წიგნი „წერილები“. 1977. გვ. 291—300) და მხატვარ კოტე ქავთარაძის ფოტოალბომი (1912. აქ იოზა ისაკაძე აღბეჭდილია რამდენიმე ჭგუფურ სურათში).

ამრიგად, სტატია დასაზუსტებელ ცნობილ და ნაკლებ-მნიშვნელოვან უცნობ მასალას შეიცავს და არასრულია.

საბაზი მუშა იოზა ისაკაძე რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის მოგზაურობის მომწყობ კომიტეტს თავმჯდომარეობდა. მაგრამ ის რომ სახალხო მოღვაწე იყო, ეს კი ჯერ არავის შეუნიშნავს.

მე ვიცნობ მხოლოდ დაბეჭდილ ორ პატარა ლექსს (იხ. ზემოთ) და საგაზეთო ქრონიკას (მას მოგზაურობის აღწერაც ჰქონია) და ვფიქრობ, რომ იოზა ისაკაძის განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული აკაკისადმი მისივე მწერლური თვისებით (პოეტური ბუნებით) აიხსნება.

მაინც ყველაზე კარგად და გარკვევით იოზა ისაკაძე დაახსიათა თვით აკაკიმ თავის ნარკვევსა და ლექსში და ამიტომ მეც გაბედულად ვამბობ:

მეთორნე მუშა მოღვაწე იოზა ისაკაძის პატრიოტულ საქმეს სულმნათ აკაკი წერეთლის პოეზიის შუქი დაჰნათის.

აკაკი და რაჭის ტოპონიმები „ნიკორწმინდა“ და „მრავალძალი“. „ნიკორწმინდა“ და „მრავალძალი“ ზემო და ქვემო რაჭის სამხრეთ მთიანეთში მეზობლადმდებარე ისტორიული სოფლებია თავიანთი ძვირფასი ტაძრებითურთ.

აკაკი წერეთელი „მრავალძალს“ (სალოცავს) სიჭაბუკეში შეავედრეს, ნიკორწმინდაში კი მოხუცებულობის უამს ავილა.

საკითხავია, მგოსანი თუ ყოფილა რაჭაში მოგზაურობამდე (1912 წლამდე)? ეს უცნობი კონკრეტული საკითხი ახლახან იქნა შესწავლილი.

ლიტერატორი სიმონ სხირტლაძე წერს: ამ ფაქტზე მითითებას ვერ ვხვდებით ვერსად — ვერც მგოსნის ავტობიოგრაფიულ ნაწერებში და ვერც სხვათა მემუარებსა და ლევან ასათიანის მონოგრაფიაში აკაკის ცხოვრების შესახებ.

მაგრამ შევნიშნავ, რომ ასეთი ცნობა პირველად გამოქვეყნდა 1912 წელს გაზეთ „თემში“ (№ 82), საიდანაც სტატია გადაუბეჭდავს ლადო ბზვანელს (იხ. მისი კრებული. 1912. გვ. 8—12).

ამ ძვირფას პირველწყაროში ვკითხულობთ: „აკაკი, თუ არ ჩავთვლით მის ყოფნას აქ ბავშვობისას, ახლა პირველად მოგზაურობს ამ კუთხეში“ (გვ. 10). სიმონ სხირტლაძე სარგებლობს ლადო ბზვანელის კრებულით, მაგრამ ეს ცნობა ყურადღებიდან გაჰპარვია.

აკაკიმ 1904 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა სტატია, სადაც წერია, რომ ის ბავშვობაში წაუყვანიათ ზემო რაჭაში. მრავალძალის ეკლესიაზე.

მრავალძალი მთელ იმერეთში განთქმული და დიდად პოპულარული სალოცავი ყოფილა. იქ საუკუნეთა განმავლობაში იხახებოდა ღირსშესანიშნავი ნივთები და სხვა ფასეულობანი.

ეს შედარებით შორეული მგზავრობა უთუოდ მოხდა უშუალოდ მშობლების წინასწარი აღთქმით ანდა პატარა აკაკის სახელზე შეპირებულ შეწირულებასთან დაკავშირებით. აკაკი აღნიშნულ ადგილას გიმნაზიაში შესვლამდე უნდა იყოს მიყვანილი, ანდა სასკოლო პერიოდში, როცა ის 13—14 წლის ყმაწვილი იქნებოდა.

თავის შემოქმედებაში აკაკიმ არაერთხელ გააცოცხლა და განაღიდა ტაძარი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ფელეტონი „სამძიმარი“, დრამა „სცენა საპატრიარქოში“ და პოემა „რაჭა-

ლეჩხუმი“ (იხ. სიმონ სხირტლაძე. წერილები. 1977. გვ. 256—266).

„მრავალძალი“ მართლაც მთისკალთაა და მდებარეობს ზემო იმერეთისა და ზემო რაჭის საზღვარზე. იქ წინათაც უთუოდ არსებობდა ზემო იმერეთიდან (კერძოდ, სოფელ კვერეთიდან) მისასვლელი ვიწრო გზა.

თუმცა 13—14 წლის ჭაბუკი აკაკი წაიყვანეს მეზობელა კუთხის რაჭის სამხრეთ განაპირა სოფლის მონასტერში, მაგრამ მას რიონის, ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობებში გაშენებული რაჭა-ლეჩხუმი არ უნახავს. და, მაშასადამე, მაინც სწორია მოგზაურობის დროს პოეტის ნათქვამი — საქართველოს ყველა კუთხე მოვიარე და რაჭა-ლეჩხუმის წახევა ბოლოს გადავდეო.

აქ წარმოვადგენ რაჭის ტოპონიმთა („ნიკორწმინდა“, „მრავალძალი“) გრამატიკულ ანალიზს.

„ნიკორწმინდა“ „ნიკოლოზწმინდას“ გულისხმობს. ტაძრის სახელწოდება ტოპონიმად გადაიქცა. რელიგიური ტოპონიმი „ნიკორწმინდა“ „სინათლედ“ შეიცვალა 1930 წელს და აღდგენილ იქნა 1960 წელს.

„ნიკორწმინდა“ არის ბაგრატის ტაძარი რაჭაში. გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ მესამემ ააგო ტაძარი წმინდა ნიკოლოზის სახელზე. მისი პირვანდელი ფორმა „ნიკოლაწმიდა“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

„ნიკორწმინდა“ მიღებულია ლ-რ ბგერათა სუბსტიტუციით. ასეთივე ფონეტიკური მოვლენა გვაქვს რაჭის ტოპონიმში (სოფლის უბანია) „მიქარწმინდა“ (მიქაელწმიდა).

ნიკო მარის თვალსაზრისით, ადგილის აღმნიშვნელი „ნიკორწმინდა“ წარმოიქმნა ტერმინისაგან „ნიკორა“. მისი ვარაუდი ასე გაიშიფრება: დიდი ხნის წინათ (წარმართობისას) იყო ხარის („ნიკორას“) კულტის სჯლოცავი ადგილი. ქრისტიანულ ხანაში ტოპონიმ „ნიკორს“ დაერთო ეპითეტი „წმინდა“. სოფელ ნიკორწმინდაში შემდეგ ააშენეს ტაძარი „წმინდა“ ნიკოლოზის სახელზე. ნიკო მარი არ შეხებია საკითხს: კომპოზიტის პირველი კომპონენტი „ნიკორ“ ადგილობრივ ძეგლებში როგორ შეიცვალა „ლიკორ“ ფორმად. მას ყურადღებიდან გამორჩა გავრცელებული და ცნობილი დია-

ლექტიზმი (იხ. ა. ქუთათელაძის სტატია — სოფელი „ლიკორწმინდა“. 1894. ურ. „მოამბე“. № VII).

რაჭულ-ლეჩხუმური „ლიკორწმინდა“, აი, როგორ აბრკოლებს (ელობება) ნიკო მარის ვარაუდს:

„ლიკორწმინდა“ პირვანდელი ფორმაა, თუ მეორეული? ჩემი დაკვირვებით, ის მეორეული ჩანს: 1. კომპონენტი „წმიდა“ მაინც მხოლოდ ქრისტიანულ ხანაზე მიუთითებს და კომპოზიტი ახალია. ამიტომ ტერმინის ეტაპური ცვლილებები ასეთია: ნიკორწმიდა — ნიკორწმინდა — ლიკორწმინდა; 2. რაჭის ეს უდიდესი სოფელი ქრისტიანობის შემოსვლამდეც უთუოდ იყო. „ნიკორი“ სოფლის სახელწოდებად რომ შეერჩიათ, მისგან „ლიკორ“ ფორმას ვერ მივიღებდით, რადგან რაჭულ-ლეჩხუმურ მეტყველებაშიც ფონეტიკური ცვლილება არ წარმოებს — აქაც ნიშა ხარს „ნიკორა“ ჰქვია და ხვამლის ერთ გორას — „ნიკორიმთა“; შეიძლება „ლიკორი“ სხვა უცნობი სიტყვაა. მოკლედ: ტაძრის აშენებამდე (მეთერთმეტე საუკუნემდე) არსებობდა სოფელი და მისი სახელწოდება ჯერჯერობით უცნობია.

თუკი გაირკვევა და დამტკიცდება, რომ რაჭულ-ლეჩხუმური „ლიკორწმინდა“ არქაული ანუ პირვანდელი ფორმა იყო, მაშინ კი სალიტერატურო ენაში მისგან მიღებული „ნიკორწმინდა“ ლ-ნ ბგერათა სუბსტიტუციად უნდა აიხსნას (მდრ. წელი — „წენი“).

ნიკო მარის საინტერესო ეტიმოლოგიური ჰიპოთეზა ნიშნავს აღძრავს ინტერესს, რომ მოპოვებულ იქნეს წერილობითი დოკუმენტი მეთერთმეტე საუკუნემდე სოფლის არსებობის შესახებ.

ამ წინააღმდეგობისა და ფაქტობრივ ცნობათა უკმარისობის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია გაკეთდეს უტყუარი დასკვნა: ქართულ სალიტერატურო ენაში გავრცელებული „ნიკორწმინდა“ ანუ ძველებური „ნიკოლწმიდა“ (ნიკოლოზწმიდა) იყო ტაძრის პირვანდელი სახელწოდება, რაც შემდეგ სოფელს დაერქვა.

აღნაგობით „მრავალძალი“ რსეთივე კომპოზიტია, როგორც „მრავალთავი“. ამავე ტიპისაა რთული სახელწოდებები: მრავალწლობა, მრავალყანიერი, მრავალმხრივი...

კომპოზიტის პირველი კომპონენტი „ბრავალი“ ფონეტიკურად იცვლება ქართული ენის დასაჯღურ დიალექტებში. მასში ადგილი აქვს მ-ბ ბგერათა სუბსტიტუციას და მივიღეთ — „ბრავალი“ და აქედან შეითხზა — ბრავალდა(ლი), ბრავანწ(ლ)ობა, ბრავალჯამიერი, ბრავალმხრივი...

ასეთივე მ-ბ ბგერათა სუბსტიტუცია გვაქვს დიალექტიზმებში — ბრუნდი (მრუდი) და ბრუტიანი (მრუდიანი), ბეავე (მეავე), ბლაშე (მლაშე), ბტვერი (მტვერი), ქალაბანი (ქალამანი), ბლილი (მლილი), ბეკეკი (მეკეკი), ბზეთუნახავი (მზეთუნახავი)...

რაჭაში გავრცელებულია სოფლის სახელწოდება „ბრავალდა“. პოემა „რაჭა-ლეჩხუმის“ დედანშიც ასე უწერია აკაკის: (რიონი) „ლიკორწმინდის“ და „ბრავალდის“ შეკლადლებდა ტაძრებსა“.

ამრიგად, აკაკი წერეთელმა გამოიყენა დიალექტური ტოპონიმები: „ლიკორწმინდა“ (ნიკორწმინდა) და „ბრავალდა“ (მრავალდალი).

საწმი მესტვირა — აბაკის მახობიანი. აკაკის თანამგზავრი ქურნალისტი ლადო ბზვანელი წერს: დაბა ონის ნადიშზე, „სანამ თამადა სადღეგრძელოს იტყოდა, აკაკისთან გაჩნდა ზემორაქველი ერთი მოხუცი მესტვირე და შეამკობებით. თამადამ დაასაჩუქრა მესტვირე“ (იხ. მისი კრებული. 1912. გვ. 130).

აკაკიმ გაიხარა, როცა შეიტყო, რომ ზემო რაჭის სოფელ ფარახეთში მხოლოდ მესტვირეები ცხოვრობენ. მესტვირე არის ავტორ-მთქმელი და გულდა-სტვირზე დამკვრელი მუსიკოსი. პროფესორ აპოლონ ცანავას წიგნს დაერთვის ზემორაქველ მესტვირეთა სია, სადაც აღნუსხული და დახასიათებულია ფარახეთელი 63 და თითო-თითო მესტვირე სხვა სოფლებიდან (სევა, ცხმორი, ბაჯისხევი, კვირიკეწმინდა, ქორთა, ბარი, უწერა). (იხ. „ქართული მესტვირული პოეზია“. 1953. გვ. 192—195).

მემატთანე ქურნალისტთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ლადო ბზვანელი, ვინც გულმოდგინედ აღწერს მოკზაურობის მთელ პროცესს. ის მადლობისა და ქებოს ღირსია.

ასეთია მისი თვალთ, ყურითა და გონებით დაქერძილი დეტალები: გვაცნობს — ყოველი შეხვედრა თუ ნადიმი რახანს გაგრძელდა და რამდენი ადამიანი დაესწრო, რომელ საათზე რა მოხდა, ღამე ვის ბინაში გაათიეს, წვიმიან დღეს სოფელ ხოტევეში აკაკი ჯორჯე როგორ შესვეს (გვ. 93); ბარაკონში რომ გადასცეს ძველებური ხელნაწერი ლექსიკონი და პირადად გააცნეს „მუხლელი გლეხი 103 წლის ანდრია აგლაძე, ვისაც ზედა კბილები ახლა ამოსვლია მესამედ. შვილები და შვილიშვილები ოცდაათამდე ჰყოლია. კოტე ქავთარაძემ გადაიღო მისი სურათი“ (გვ. 78); მხატვარ უჩა მალაქიას ძე ჯაფარიძის ძმებს ასე ახასიათებს: ონში „სიმღერებით გაამხიარულეს სუფრა მალაქია ჯაფარიძის შვილებმა — თბხმა ძმამ. მათ შორის ორი სტუდენტი (ტყუპები ვლადიმერი და გრიგოლი) ისე წააგავს ერთმანეთს, რომ გარჩევა შეუძლებელია“ (გვ. 123); შთამბეჭდავია ფრაზა „ხარისთვალაზე ვიგრილეთ გული ცივი წყლით“ (გვ. 89). უზმნისწინო ფორმა „ვიგრილეთ“ დიალექტიზმია (ხალხურია) და იგივეა, რაც სრული ასპექტის მქონე ზმნა „გავიგრილეთ“; ლადო ბზვანელის მშობლიურ ქვემო იმერეთში გავრცელებულია ასეთივე უპრევერბო ზმნა „კვლით“. უფრო ბრძანებითს კილოს იყენებენ წყევლისას: „კვლით და კვლით!“ (მოკვლით და მოკვლით!)...

ზმნის თავისებური ფორმის ნიმუშები „ვიგრილეთ“ და „კვლით“ სალიტერატურო ენის შენაძენია და მხატვრული სტილის ხალხურობაზე მეტყველებენ.

რაჭველი მესტიერის გამოცხადება ონის ნადიმზე სომ ნამდვილი მოვლენა იყო და ლადო ბზვანელს ასეთი ფაქტი როგორ გამორჩებოდა! თუმცა უნდა გავამყლავნო, რომ მას მესტიერის ვინაობის გამოკითხვა და აღნიშვნა დავიწყებია.

მოხუცმა ვასილ ამაშუკელმა მითხრა: ჩემი კინოფილმის კადრი „ნადიმი ონში“ ვერ გადაარჩა მის სხვა ნაწილთან ერთად; გარკვევით მახსოვს, რომ მხატვარმა კოტე ქავთარაძემაც ფოტოფირზე გადაიღო იშვიათი მომენტი: აკაკისთან მღვკონი მესტიერე სტვირით ხელში.

ამ ნათქვამს ლადო ბზვანელიც ადასტურებს: „ონის ნადიმი გადაიღო მხატვარმა კოტე ქავთარაძემ“ (გვ. 137), მაგრამ ფოტოსურათი კი ჯერ არსად ჩანს.

1938 წლის შემოდგომაზე მე ავედი სოფელ ფარახეთში, სადაც ცხოვრობდა ორი ცნობილი მესტირე — მოსუცნი ზაქარია ერაძე და ლუკა ტოგონიძე. ზაქარია ერაძე სოფლად არ იყო. პირადად გავიცანი ლუკა ტოგონიძე. კოლმეურნეთა ბრიგადა სათიბებში მუშაობდა. იქ ლუკა ცელით ბალახს თიბავდა. შესვენების დროს მითხრა: ხალხურ ლექსს სტვირი შეგნის და აქ არ მაქვს, შინ დავამღერებ და მოისმინეო. კოლმეურნეთაგან ჩავიწერე სოფელ ფარახეთის ტოპონიმი და ლუკა ტოგონიძის რეპერტუარიდან კი — ანტორის მიერ სტვირზე დამღერებული რამდენიმე ლექსი; გამოირკვა, რომ მესტირე ზაქარია ერაძე და ლუკა ტოგონიძე 1912 წელს დაესწრნენ რაჭველთა ზეიმს და შეხვდნენ აკაკის.

ლუკა ბეროს ძე ტოგონიძე დაიბადა 1862 წელს ფარახეთში და გარდაიცვალა 1947 წელს. მისი პორტრეტი სტვირითურთ 1940 წელს დახატა უჩა ჭაფარიძემ (იხ. უჩას „კატალოგი“. 1962. № 12).

ზაქარია კიკოს ძე ერაძე დაიბადა 1867 წელს ფარახეთში. ფოლკლორისტი აპოლონ ცანავა 1953 წელს წერდა: „ამჟამად ზაქარია ერაძე 85 წლისაა და კვლავაც ენერგიულად შრომობს“. მას 1948 წელს სოფელ ფარახეთში დღიურის სახით ჩაუწერია საუკეთესო მეხსიერების მქონე და ჰემმარიტი შემოქმედის 81 წლის ზაქარია ერაძის ზეპირნაამბობი იშვიათი ექსპრომტიურთ.

„მწილობზე მდებარე სოფელ ფარახეთში მე და ლუკა ტოგონიძემ შევიტყვეთ, რომ სახალხო პოეტი აკაკი წერეთელი დაბა ონს ეწვევა და ზეიმი გაიმართებო. მოვეშხადეთ. მართლაც მობრძანდა. ჩვენ იქ დავხვდით. საღამოზე წვეულებაზე დავით გოცირიძის სახლში მე და ლუკა მივედით ჩვენი გუდა-სტვირით. დაუეკართ და ვიმღერეთ. აკაკი მე გამესაუბრა. ფულის ჩუქება უნდოდა, მაგრამ მასპინძელმა არ დაანება და უთხრა: ჩვენ უკვე მივეციეთო. ბოლოს შემეკითხა: რამდენი კლასი გაქვს დამთავრებული, რომ ამდენხანს ლაპარაკობ და ლექსი არ შემოგლევიაო. მე ვუპასუხე: სკოლა შორიდან დამინახავს, თორემ შიგ არ ვყოფილვარ, ბატონო. თავი გააქნია და მოიწყინა. მე უცბათ გამოვუთქვი ლექსი და სტვირზე დავამღერე:

ახლა აკაკის დაელოცავ —
 ადევს ანგელოზისფერი:
 დიდი მგოსანი ბრძანდები
 და შეგხარის შენი ერი —
 ამაყი და ღონიერი.
 დედ: შენს შენი გაზრდისთვის
 ღმერთმა მოჰფინოს ნათელი,
 ამხანაგები გიცოცხლოს —
 შენი კეთილის მდომელი,
 რაც გუნებითა ინატრო,
 მან შეგისრულოს ყოველი..“

(იხ. „ქართული მესტვირული პოეზია“, 1953. გვ. 207).

შემოწმდა და დაზუსტდა ლადო ბზვანელის არასრული ცნობა. ახალმიკვლევულ ამ სანდო წერილობითს დოკუმენტში (მემუარში) წერია შემდეგი: შეხვედრაზე გამოსასვლელად მოემზადა და სოფელ ფარახეთიდან წავიდა მხოლოდ ორი მესტვირე — 45 წლის ზაქარია ერაძე და 50 წლის ლუკა ტოგონიძე, რომლებიც 1912 წლის 27 ივლისს დავით გოცირიძის სახლში ერთად მიესალმნენ აკაკის; სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ ლადო ბზვანელის მიერ შენიშნული „ზემორაკველი ერთი მოხუცი მესტვირე“, ვინც მეორე დღეს, 28 ივლისს, დაბა ონის ბაღში გამართულ ნადიმზე აკაკი წერეთელს უძღერა და „შეამკო ქებით“, ზემო რაჭის სხვა სოფლიდან ყოფილა და მისი გვარსახელი და ვინაობა უცნობია (ეპითეტი „მოხუცი“ ფარახეთელ რომელიმე მესტვირეზე არ ითქმის).

ახლახან რაჭული სტვირი აღადგინა და გააუმჯობესა ხელოვანმა შალვა ჯაფარიძემ (ცხოვრობს ქალაქ ონში).

პოეტ ლადო ასათიანს უფიქრიზ თემაზე — რომელ კუთხეს რომელი გენიოსი ჰყავს? მას სწამდა ვალაკტიონ ტაბიძის თვალსაზრისით დადგენილი ქართული პოეზიის შვიდეული და ზეპირად იცოდა სამახსოვრო მისი ნაკლებპოპულარული და ძნელად შესასწავლი პირვანდელი სტროფი (დედა მაკრინე ადვიშვილი ამხნევებს მოწყენილ ვალაკტიონს):

მადლით დაგცქერის ექვსი მგოსნის უყვლავი ქნარი —
 რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას,
 წერეთელს, ჭავჭავაძეს სურთ დაგიჭირონ მხარი
 და მერე დედაშენის დოცვა არ გიცავს მანა?!

ამ შეიდეულით ამაყობენ კუთხეები: მესხეთ-ჯავახეთი, ქართლ-ჯახეთი, ფშავ-ხევსურეთი, იმერეთი.

მხოლოდ ადამიანის საკუთარი სახელებით კი შემდგომ შეიქმნა პოპულარული გახალხურებული სტრიქონები — „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“.

იმის გამო, რომ რაჭამ დიდი მგოსანი ვერ წარმოშვა და ჩემ მიერ მიწოდებული ცნობის (მესტვირულ პოეზიაზე) მხედვით ჩემს მეგობარს ლადო ასათიანს თავის დღიურში ჩაუწერია შემდეგი:

თუმცა რაჭველიც მოლექსეა — გულიანად ემღერება და იმღერის, მაგრამ იგი, ბუნებით მგოსნად გაჩენილი, პოეზიაში უსახელო მესტვირედ დარჩენილა; ყველა ხევსური ვაჟაა (პოეტია), ყველა ფშაველი ვაჟაა (პოეტია), ყველა ფარახეთელი რაჭველი ვაჟაა (პოეტია). ფარახეთი იყო ფშავეთი რაჭაში (იხ. ჟურ. „რიონი“. 1961. გვ. 97).

ტოპონიმ „ფარახეთის“ პირვანდელი ფორმაა „ფარეხეთი“ და მისი გრამატიკული ანალიზი ასეთია: ეს არსებითი სახელი „ფარეხ“ ფუძესა და კრებითობის -ეთ სუფიქსს შეიცავს. „ფარეხეთში“ ცხვრის საზამთრო სადგომები იგულისხმება.

სოფელი ფარახეთი მდებარეობს მთის კალთაზე, სადაც საძოვრებია და ახლაც მესაქონლეობას მისდევენ. ამ სოფლის მცხოვრებნი გუდა-სტვირს ფარეხის პირუტყვის (ცხვრის) ტყავისაგან ამზადებდნენ.

ამრიგად, შემოწმდა ჟურნალისტ ლადო ბზვანელის არასრული, მაგრამ ძვირფასი ცნობა. სახალხო მოლექსისა და მუსიკოსის 81 წლის ზაქარია ერაძის შემუშარის (1948 წ.) მიხედვით ვერ გამოირკვა ლადო ბზვანელის მიერ შენიშნული „ზემორაჭველი ერთი მოხუცი მესტვირის“ გვარსახელი და ვინაობა, მაგრამ დამტკიცდა, რომ აკაკი წერეთლის საპატივცემულოდ 1912 წელს გამართულ დაბა ონის ზეიმში აქტიურად მონაწილეობდნენ ზემო რაჭის სოფელ ფარახეთის მკვიდრნი, ნიჭიერი მეხოტბენი — ზაქარია ერაძე და ლუკა ტოგონიძე.

„ზღაპრული ზეიმის“ ამსახველნი

ლადო ბზვანელის არღავიწჳება

„ლადო ბზვანელი“ ვლადიმერ ნაცვლიშვილის ლიტერატურული ფსევდონიშია. მისი შემოქმედება მკიდროდ არის დაკავშირებული აკაკი წერეთლის სახელთან. ლადო ბზვანელი აკაკის პირადად იცნობდა. იგი მეგობარს თან დაჰყვებოდა მოგზაურობებში და მნიშვნელოვანი ნაწერები დატოვა.

ლადო ბზვანელი (1871 --- 1953) მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. 1907 წლიდან განუწყვეტლივ ქუთაისში ცხოვრობდა. ლადო ბზვანელი იყო საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული პედაგოგი. ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი. ძველი ქართული პრესის მუდმივ თანამშრომელს ჰქონდა ფართული ფსევდონიმებიც: ლასნარიძე, ლასბანელი, ჭიტესაძე და მარინეშვილი.

ვაჟა-ფშაველამ შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა მასწავლებელ ლადო ბზვანელს, ხოლო აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ კი სათანადოდ შეაფასა ლადო ბზვანელის მრავალმხრივი ლიტერატურული და პედაგოგიური საქმიანობა.

აქ მთლიანად წარმოვადგენ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის წერილს („საყვარელი პედაგოგი“), რაც გამოქვეყნდა 1946 წელს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (№ 19).

კორნელი კეკელიძე ლადო ბზვანელის ნაჭირნახულებს ასე აფასებს:

„ვისაც ჩვენი პრესისათვის თვალ-ყური უდევნებია, მისთვის უცხო არ იქნება სახელი ლადო ბზვანელისა (ვლადიმერ ნაცვლიშვილისა). რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი პუბლიცისტური წერილებით, შენიშვნებით, კორესპონდენციებით და მხატვრული სიტყვით მზურვალედ ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. მის ხანგრძლივ ცხოვრებაში (მას 75 წელი შეუსრულდა) უფრო საყურადღებოა მეორე მხარე: 55 წლის მანძილზე იგი დაუღალავად ემსახურება სახალხო განათლების, ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. არა ერთი კუთხე

და ქალაქია ჩვენს ქვეყანაში მოწმე მისი ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობისა, განსაკუთრებით კი იმერეთი, რაჭა, ქუთაისი, თბილისი. მარტო ტობანიერში, ამ სტრიქონების ავტორის 'სოფელში', ათი წლის განმავლობაში მის მაღლიერ ხელში ორ ათასზე მეტ ბავშვს გაუვლია.

დღეს, როდესაც სახალხო მასწავლებელი პარტიისა და ხელისუფლების საგანგებო მზრუნველობის ცენტრშია მოქცეული, ბევრმა არ იცის, როგორი იყო მისი მდგომარეობა ცარიზმის დროს, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში.

მატერიალურად და ზნეობრივად დაჩაგრული, მუდამ შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი, ის, თუ მას პროტესტანტული სული შესწევდა, უსასტიკესი დევნა-შევიწროების ობიექტიც იყო რუსიფიკაციის მესვეურთა მხრივ. ასეთი პროტესტანტული სულის მატარებელი იყო ლადო ბზვანელიც, ვინც 30 წლის განმავლობაში დაუნდობლად ებრძოდა ჩვენში ნორჩი თაობის არა „განჰანათლებელს“, არამედ „დამაბნელებელ“ პედაგოგიურ მახინჯ მეთოდებს. ბევრი სიმწარეც აგემეს მას ამისათვის.

მაღლიერმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაუფასა მას ხანგრძლივი მუშაობა და ამ რამდენიმე წლის წინათ დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდებით შესაფერი პენსიით მსცოვან მოღვაწეს დასვენების უფლება მისცა.

გუსურვით ძვირფას პედაგოგს კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე. მართალია, დღეს ის სკოლაში არ მასწავლებლობს, მაგრამ მისი უნარი, ცოდნა და გამოცდილება ნაყოფიერად შეუძლიათ გამოიყენონ სახალხო განათლების ორგანოებმა. ალბათ, ბევრი არ მოიპოვება დღეს ჩვენში ისეთი მდიდარი გამოცდილებით აღჭურვილი ადამიანი, როგორცაა ლადო ბზვანელი. ის, ამასთან ერთად, ცოცხალი მატრიანეა საქართველოში სწავლა-განათლების საქმისა უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში“.

აკაკის თანამგზავრ ჟურნალისტთაგან ყველაზე დიდი დამსახურება ლ. ბზვანელს მიუძღვის. მან 1912 წელს ქუთაისში დაბეჭდა მოზრდილი კრებული „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომლის გამომცემელი იყო მესტამბე დ. შა-

რაშენიძე. წიგნი გამოქვეყნდა სამი ათასი ტირაჟი და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

შესავალში ავტორი შენიშნავს: „მართლწერა უმეტეს ნაწილად დაცულია „სახალხო გაზეთისა“, რადგანაც ეს წერილები გადმობეჭდილია ამ გაზეთიდანვე“.

წიგნს წამძღვარებული აქვს მგოსნის ცნობილი პორტრეტი და შიგ მოთავსებულია კოტე ქავთარაძისეული ორი ფოტოეტიუდი: „საუზმე კომაში“ (აკაკი მხლებლებითურთ) და „შეხვედრა ნამახვანში“.

ლადო ბზვანელის წიგნის ძირითადი ნაწილი წარმოთქმულ სიტყვებს უჭირავს. ორატორებმა ეს სიტყვები პოეტს ზეპირად უთხრეს. ნაწილი სიტყვებისა სადღეგრძელოებია. სარედაქციო საბჭოს წევრებმა შეაგროვეს აღნიშნული მასალა: ორატორებმა (სწავლულმა პირებმა) თავიანთი სიტყვები დაწერეს და პრესის მუშაკებს გადასცეს. ამნაირად იქნა თავმოყრილი დასტამბული სიტყვები. მაშასადამე, პრესის მუშაკებს სიტყვები წარმოთქმის დროს არ ჩაუწერიათ. ისინი ამ მასალის შემკრებ-გამომცემელნი იყვნენ და არა ჩამწერნი.

კრებულში შედის 57 ნათქვამი (სიტყვა და ლექსი). მასში აღნიშნულია 34 ორატორი, რომელთა სიტყვებს არ ვიცნობთ. ზოგიერთი ორატორი პრესისა და ლ. ბზვანელის დღიურებში გამორჩენილია. მაგალითად, ონში გამართული დიდი სალიტერატურო საღამოს მონაწილეთაგან მხოლოდ მარიამ წერეთელი შეგვიძლია დავასახელოთ.

ლადო ბზვანელის წიგნი მოგზაურული ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, დაწერილია მხატვრული ენით და შეუზნელებელი ინტერესით იკითხება. მოგზაურობის აღწერილობა აქ შედარებით უფრო სრულია, ვიდრე ეს პრესიდან იყო ცნობილი. ავტორი ნათლად ასახავს რაქა-ლენჩხუმის გზებსა და დაბა-სოფლებში გამართულ შეხვედრებს, თვალწინ წარმოგვიდგება ამ კუთხის წარმტაცი ბუნება რიონის, შაორისა და ლაჯანურის ხეობებით. ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი ისტორიული ადგილები და ხალხური სანახაობანი, გადმოღებულია ბარაკონისა და ნიკორწმინდის ტაძართა წარწერები. დეტალურად აღწერილია ნიკორ-

წმინდის ტაძარში დაცული საეკლესიო წიგნები და სხვა ნივთები. ეს ძეგლები 1918 წელს მეცნიერულად შეისწავლა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა.

ლადო ბზვანელისავე ინიციატივით ქუთაისის კომისიამ კინო „რადიუმიდან“ (მეპატრონეები ტიხონ ასათიანი და პავლე მეფისაშვილი) მიიწვია ვასილ ამაშუკელი ფილმის შესაქმნელად.

მომავალში აუცილებელია, რომ პირველი დოკუმენტური კინოფილმი გადამუშავდეს და გახშირდეს. ამ საქმისათვის კი ლადო ბზვანელისეულ ტაქსტს ფასდაუღებელი მნიშვნელობა ენიჭება.

1913 წლის სექტემბერში აკაკი ეწვია ქვემო იმერეთის სოფლებს — ქვიტირსა და მუხიანს. პოეტს ახლდნენ: დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვარლამ რუხაძე, კოტე აბდუშელიშვილი, ანეტა იურკევიჩი, პავლე მეფისაშვილი, სერგი გერსამია, გუცა ფარქოსაძე, ლადო ბზვანელი, ვასილ ამაშუკელი, გრიგოლ ლალიძე, ბ. ჯაიანი, მ. დოლაბერიძე, ს. ჭინჭველაშვილი, დ. მდივანი, კ. სალარაძე... ეს მოგზაურობაც ლადო ბზვანელმა გააშუქა „სახალხო გაზეთში“. ამ საკითხზე უცნობი მასალები, მოგზაურობის მონაწილეთა საინტერესო მოგონებები ჩაწერა და გამოაქვეყნა ჟურნალისტმა შალვა ჯავახიძემ (იხ. გაზ. „სტალინელი“, 1960, № 239).

ლიტერატურულ მუხეუმში იხანება აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავზე (1940) დასრულებული ლადო ბზვანელის ხელნაწერი წიგნი, რომელიც უმთავრესად მოგზაურობათა ვრცელი აღწერაა და აგრეთვე ავტორის დაუბეჭდავ მოგონებებსაც შეიცავს.

როდესაც აკაკი წერეთლის მოგზაურობათა ისტორიიდან რაიმე საკითხს ვარკვევთ, ლადო ბზვანელის ნაწერებს გვერდს ვერ ავუვლით, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ისინი. ეს გარემოება კი ლადო ბზვანელის ნაჭირნახულების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

კინოისტორიკოსი კარლო გოგოძე მოგვითხრობს: „აღსანიშნავია, რომ, ქ. თბილისში 1912 წელს ფილმის დემონსტრაციასთან დაკავშირებით, ტიხონ ასათიანისა და პავლე მეფისაშვილის დავალებით, ლადო ბზვანელმა ამავე წელს“

დაწერა კინოლიბრეტო „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაკა-
ლეჩხუმში“.

ლიბრეტო დაწერილია ქართულ და რუსულ ენებზე. მის
შესავალ ნაწილში მოცემულია აკაკი წერეთლის ბიოგრაფიუ-
ლი ცნობები, განმარტებულია მოთხოვნა, რამაც გამოიწვია
ზეიმი, შემდეგ აღწერილია თვით მოგზაურობა ქუთაისიდან
კვლავ ქუთაისში დაბრუნებამდის.

მაღალი პროფესიული კულტურითა და შინაარსიანად
შედგენილი კინოლიბრეტო საშუალებას აძლევდა მაყურებ-
ელს, მისი წაკითხვისა და გაანალიზების შემდეგ, კიდევ უფ-
რო ღრმად აღეჭვა ფილმში ასახული მოვლენების აზრი და
სოციალური მნიშვნელობა, ხელს უწყობდა ფილმის კიდევ
უფრო მეტ პოპულარობას ფართო მასებში.

ამრიგად, პირველმა ქართულმა სრულმეტრაჟიანმა მხატვ-
რულმა კინონარკვევმა „აკაკის მოგზაურობამ“ განსაზღვრა
პირველი ქართული კინოლიბრეტოს შექმნაც, საფუძველი
ჩაუყარა ამ სახეობის კინოლიტერატურის არსებობას ქართუ-
ლი კინოხელოვნების ისტორიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ
იგი დაიბეჭდა და გამოიცა ქუთაისში — ქალაქში, სადაც ქარ-
თული კინოს აკვანი დაირწა“ (იხ. დოკუმენტურ-ისტორიული
კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი. 1979. გვ. 9).

ლადო ბზვანელს ეკუთვნის სტატია — „რადიუმის“ და-
არსება ქუთაისში. ავტორი მოგვითხრობს, რომ 1907 —
1908 წლებში ქუთაისში პირველი კინო გახსნა პავოლინმა,
შეიძინა და გააფართოვა ტიხონ ასათიანმა და მექანიკოსად
მიიწვია ვასილ ამაშუკელი (იხ. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“.
1939. № 12. გვ. 57 — 58).

ლადო ბზვანელს კრებულში გაჰპარვია ზოგიერთი ფაქ-
ტობრივი შეცდომა. ამ კრებულის ნაკლოვანებათა კრიტი-
კული მიმოხილვა იხ. აქვე — „შესწორებანი დოკუმენტურ
პირველწყაროებში“.

ლადო ბზვანელის სახე ცოცხლად შემოგვინახეს კინო-
ფილმმა და ფოტოსურათებმა. აქ შავ კოსტიუმში გამოწყო-
ბილ ლადოს რამდენიმე ადგილზე გვერდს აკაკი უმშვენებს.

ვაჟა-ფშაველა ქუთაისის ორჯერ (1910 და 1913 წლებში)
ესტუმრა. ვაჟასთან შეხვედრებს აღწერენ: გ. ახალციხელი,
ლ. ბზვანელი, დ. კლდიაშვილი, დ. თომაშვილი.

ლადო ბზვანელი მოგვითხრობს: „20 თებერვალს ქალაქის თეატრში გაიმართა სალიტერატურო საღამო ვაჟა-ფშაველას მონაწილეობით. აიხადა ფარდა და პირველად გამოჩნდნენ სცენაზე ქუთათური მწერლები, რომელთაც წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებნი. იმდერა სოლისტმა აკოფაშვილმაც სცენაზე გამოვიდა თუ არა ვაჟა ჩვეულებრივი ჩონახალუხით, ატყდა დაუსრულებელი ტაშისცემა. როდესაც დაწყნარდა საზოგადოება, მგოსანმა წაიკითხა რამდენიმე თავისი ნაწარმოები. ლექსები ისეთი დეკლამაციითა და გრძნობით იყო წარმოთქმული, რომ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. ქანდარიდან მღსწავლე ახალგაზრდობამ მოაძახა „დაჭრილი არწივი“, რომელიც მგოსანმა წაიკითხა მეტად მოხდენილად და მგრძნობიარედ. დასასრულ წარმოთქვა იქვე დაწერილი ახალი ლექსი „იმეფეთს“ (იხ: „სახალხო გაზეთი“ № 836. 1913).

ლადო ბზვანელმა 1915 წელს უქურნალ „განათლების“ აპრილის ნომერში (4) მათავსა მოზრდილი ლექსი „საღამი ვაჟა-ფშაველას“ (ყოფილ სახალხო მასწავლებელს). ნაწარმოები დაიწერა ვაჟას ავადმყოფობის გამო. ავტორი გამოხატავს ერის წუხილს და აღფერქვლებს უკვდავ მამულიშვილს.

უქურნალ „განათლების“ მაის-ივნისის ნომერში (5 — 6) დაიბეჭდა ვაჟას მიერ პედაგოგ ლადო ბზვანელისადმი მიძღვნილი ლექსი:

პასუხს თხოულობს საღამი: --
 (საკაცობრიო წესია):
 მადლობას გიძღენი, მუშაკო, !
 ამის გამო ვთქვი ლექსაა.
 მასწავლებლისა ბედზედა
 მრავალქერ დამიკვნესია,
 ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,
 თესლი კეთილი სთესია!
 თანამოძმენიც გიცოცხლოს,
 ვინაც გიდგანან კვერდშაა!
 რა ვუყოთ, მასწავლებელი
 დღეს არა ფასობს ჩვენშია,
 თუმცა ხსნა ჩვენის ერისა
 მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია.
 სული გასუქდეს, ბევრით სჭობს,
 ვიდრე გასუქდეს ლეშია!

„ლადო ბზვანელს“ იყო უკანასკნელი ლექსი, ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში გამოქვეყნებული.

ლადო ბზვანელი აკაკი წერეთლის მრავალფეროვანი ცხოვრების ერთ-ერთი ცოცხალი მემკვიდრე იყო.

ლადო ბზვანელმა გააცოცხლა კინომოდერნიზმის ამა-შუკელისა და მხატვარ კოტე ქავთარაძის მუშაობა, ღირსეულად დააფასა კინოფილმიც და ფოტოალბომიც.

ამჟამად სრულმეტრაჟიანი კინოფილმიდან მხოლოდ ნახევარი შემოგვრჩა (600 მეტრი პოზიტივი). საზრუნავია და შეიძლება მოპოვებულ იქნეს სრულმეტრაჟიანი ფილმი (მთელი 1.200 მეტრი ნეგატივი). ასეთ პირობებში უძვირფასესია ლადო ბზვანელის ცნობები — კინოფილმის აღწერილობა (კადრების რაოდენობა) და კინოფილმის წარმატებით ჩვენება 1912 წელსვე. ამ საკითხზე აი, რას მეტყველებს ლადო ბზვანელის წიგნის დასასრული:

„მოგზაურობის დროს ელექტროთეატრის „რადიუმის“ მონებელმ გადაიღო შემდეგი სურათები:

1. ქართველი მგოსანი აკაკი.
- 2-3. აკაკი და მისი თანამგზავრნი.
4. ქუთაისიდან წასვლა 21 თიბათვეს, დილის 7 საათზე.
5. საუზმე ჭომაში სპირდონ წერეთლის ეზოში.
6. მოგზაურნი სოფელ გუმათთან.
7. დერჩის საზოგადოების წარმომადგენელნი..
8. სოფელ მექვენინიდან გამგზავრება.
9. საირმის მთა — ბუნების საკვირველება.
10. ჭყვიშის საზოგადოების წარმომადგენელნი.
11. სოფელ ჭრებალოს მისვლა.
12. აკაკი ტრიბუნაზე აღის (სოფელ ჭრებალოში 22 ივლისს) ლექციის წასაკითხავად.
13. შეხვედრა რაჭის საზღვარზე. ლონგინოზ კიკვიძის სიტყვა.
14. ფერხული ბარაკონში, გამართული როსტომ ერისთავის მემკვიდრის (შამადავლე ერისთავის) ეზოში 23 ივლისს.
15. ნადიმი ბარაკონში.
16. ხიდიკარი — როსტომ ერისთავის ციხის ნანგრევები.
17. სოფელ ხოტევის ეკლესია და ციხის ნანგრევები.
18. ნიკორწმინდის ტაძარი მეთერთმეტე საუკუნისა.

19-20. მდინარე შაორი, რომელიც სოფელ ნიკორწმინდის „სასულეში“ ანუ „წყვარამში“ (უფსკრულში) იკარგება და ხუთი კილომეტრის შემდეგ ქელიშის მონასტერთან კლდის ძირას გადმოქუხს.

21. დიდი წყარო ქელიშის მონასტერთან.

22. ტბა „ხარისთვალდან“ დაბრუნება შაორის მინდორზე.

23. დაბა ონში მისვლა 27 თიბათვეს.

24 ნადიმი დაბა ონში 28 თიბათვეს. ებრაელების წარმომადგენელი.

25. აკაკის გასვირება დაბა ონში.

26. ქართველ ქალ-ვაჟთა ტიპები.

27. ლაჯანურის ხეობაში 31 თიბათვეს.

28. დაბა ლაილაში მისვლა 31 თიბათვეს.

სექტემბრის 20 რიცხვიდან ქუთაისში ელექტროთეატრმა დაიწყო რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის სურათების ჩვენება. თეატრის პატრონებმა წინაღობით დეპეშით აცნობეს საჩხერეში მყოფ მგოსანს და აგრეთვე მოგზაურობის კომიტეტის წევრებს.

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, საღამოს მატარებლით ჩამობრძანდა აკაკი ქუთაისში კოტე აბდუშელიშვილის თანხლებით. სადგურზე შეხვდნენ მგოსანს თეატრის პატრონები, ტიზონ ასათიანი და პავლე ზეფისაშვილი და აგრეთვე ქუთაისის კომიტეტის წევრი სამსონ დათეშიძე. თეატრს აღრიანად მოაწყდა აუარებელი ხალხი. ბილეთების აღებას ერთმანეთს ასწრებდნენ. თეატრის შესავალი, აგრეთვე ფართო სავარძელი ლოჯაში, სადაც უნდა დაბრძანებულიყო მგოსანი, მორთეს ცოცხალი ყვავილებით. სენსები დაიწყო ექვსი საათიდან. რვის ნახევარზე თეატრთან გაჩერდა მგოსნის ეტლი. პოეტის დანახვისთანავე ქუჩაში თეატრის წინ შეკრებილმა ხალხმა თეატრის შესავალში შესძახა „ვაშა“. მუსიკამ მაღლიდან დაუკრა შესახვედრი „მარში“ და „სულიკო“. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. იქნებოდა დაახლოებით ხუთასზე მეტი სული, სენსი შეაჩერეს. საზოგადოება მგოსნის დარბაზში შესვლისას ფეხზე წამოდგა, შემობრუნდა მისკენ და შესძახა — „ვაშა“, „აკაკის გაუპარჯოს!“ თან მოჰყვა ხანგრძლივი ტაში. აკაკი დაბრძანდა ლოჯაში.

გავრძელდა სეანები, რომლის დროს უკრავდა „რადიუმის“ საკუთარი სიმებიანი ორკესტრი აფანასიევის „პოპურის“ ქართული მოტივებიდან, ავტორის ლობჯინაძის ორკესტრის დროს უკრავდა მუსიკა (სერგო ქუთათელაძის ორკესტრი „კოლხეთი). ორი ორკესტრი საინტერესო ხმებს გვასმენდა. თორმეტ საათამდის ჩატარდა ოთხი სეანაი, რასაც დაესწრო საშუალო რიცხვით ორიათასი მაყურებელი. როცა კადრში გამოჩნდებოდა აკაკი, საზოგადოება ტაშს უკრავდა. მგოსანი თეატრში დარჩა თერთმეტ საათამდის. შემდეგ წაბრძანდა მოსასვენებლად.

სურათების ჩვენება გავრძელდა ერთ კვირას. ყოველდღე ოთხი საათიდან თორმეტამდე აუარებელი ხალხი იკრიბებოდა თეატრთან.

თეატრის მეპატრონეებმა მალეს წერილები. კავკასიის სხვადასხვა ქალაქიდან, აგრეთვე პეტროგრადიდან, მოსკოვიდან, ხარბინიდან და სტამბოლიდან სთხოვეს მათ მოეწყოთ იქაც სურათების ჩვენება, რაც შესრულებულ იქნა“ (გვ. 181—186).

ლადო ბზვანელი საინტერესოდ აშთავრებს თავის ნაშრომს. ასე შთამბეჭდავად ამკობს სულმნათ აკაკი წერეთელს: „აგისრულდა თითქმის ის, რასაც ნატრობდი ნახევარი საუკუნის განმავლობაში და, როგორც სიმონ მოხუცებულს, შენც მოგეფინა დღეს ნუგეში. შენმა სიმღერამ გამოაღვიძა მიძინებული ქართველი ერი, გამოაფხიზლა და აცნო მტერი და მოყვარე. შენი თვალით დაინახე, რომ დაპურებულა შენი ყანა, რომლის ნაყოფიც კიდევაც იგემე. ამიტომ, ძვირფასო მგოსანო, ნუღარ დაღონდები, გამხნევდი მით, რომ დღეს მადლობას გიძღვნის შენი ქვეყანა. იცოცხლე დიდხანს და ნუ მოგვაკლებ შენს ტკბილ ლექსებს“ (გვ. 187).

აკაკი ლოპუხინაძე კინოფილმებში და მათი ავტორი

ვასილ ამაშუკელი

განვიხილავ ვასილ ამაშუკელის მიერ შექმნილ პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან „მუნჯ“ კინონარკვევს, მისივე ორ უცნობ კინოქრონიკას და ახლახან რეჟისორ ალექსანდრე მა-

მულაშვილის მიერ გადაღებულ ორ პოპულარულ სმოკან ნაწარმოებს.

ვასილ ამაშუკელი ეკუთვნოდა იმ ბედნიერ მამულიშვილთა რიცხვს, რომელნიც სიცოცხლეში მოესწრნენ თავიანთი ამაგის დაფასებას. ვასილ ამაშუკელის შემოქმედებაში მთავარ ნაწარმოებად ითვლება კინოფილმი აკაკი წერეთლის შესახებ და ავტორის სახელის პოპულარობაც ამით აისსნება.

ვასილ ამაშუკელი ითვლებოდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის საპატიო წევრად, მას მიენიჭა ჯერ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და შემდეგ რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდებები.

ქუთაისი ვასილ ამაშუკელის მშობლიური ქალაქია. იგი აქ დაიბადა და გარდაიცვალა (1886 — 1977). დაკრძალულია მწვანეყვავილას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ვასილ ამაშუკელის მოღვაწეობაში გამოიყოფა სამი პერიოდი — მოსკოვის, ბაქოსა და ქუთაისისა.

მოსკოვში ყოფნისას, 1903 — 1905 წლებში, ახალგაზრდა ვასილს ფრანგული ფირმა „გომონის“ ატელიეში კინოტექნიკა შეასწავლა რუსმა მექანიკოსმა დიმიტრი ვოლკოვმა.

1908 წელს ვასილ ამაშუკელი სამუშაოდ გადავიდა და 1911 წლამდე დარჩა ბაქოში, სადაც კოტე მესხი ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს. ვასილი აქ ქმნიდა დოკუმენტურ კინოქრონიკებს. ამ წლიდან დაიწყო ქართული კინოს ისტორიაც.

1911 წლიდან ვასილ ამაშუკელი განუწყვეტლივ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქალაქ ქუთაისში. ტიხონ ასათიანმა და თავლე შეფისაშვილმა ის მიიწვიეს კინო „რადიუმში“, სადაც 1921 წლამდე იმყოფებოდა. იღებდა და უშვებდა საკუთარ ფილმებს.

„აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ არის პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოფილმი. უფრო ადრეც (1910 წელს) საქართველოში სხვათა მიერ გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი ფილმებიც.

მაგრამ კინომოღვაწეთა შორის პირველ ადგილს ვასილ ამაშუკელს აკუთვნებს მისი მუშაობის ბაქოს პერიოდი. არსებობს რუსული წერილობითი დოკუმენტი, რაც ამტკიცებს,

რომ ვასილ ამაშუკელი ბაქოში 1908 წლის 15 მაისამდე აწარმოებდა კინოსურათების გადაღებას.

ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის ფუძემდებლად ზოგჯერ სხვა თვალსაჩინო მოღვაწეს (ალექსანდრე დიღმელოვს) ასახელებდნენ. ამ ხაღავო საკითხის გადასაწყვეტად 1971 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№ 270) გამოქვეყნდა რევაზ ჩხეიძის სტატია „სიმართლე სხვას ლაპარაკობს“.

ამ სტატიაში რევაზ ჩხეიძემ მართებულად ამხილა შეცდომები. რაც დაშვებულია 1966 წელს მოსკოვში გამომცემლობა „საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიერ დასტამბული ლექსიკონის პირველ ტომსა და 1971 წელს თბილისში გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ დაბეჭდილ წიგნში „ქართული საბჭოთა კინო“. ორივე ნაშრომში კინომცოდნე კორა წერეთელი 1910 წლიდან იწყებს ქართული კინოს ისტორიას და არ ეხება ვასილ ამაშუკელის მოღვაწეობის ბაქოს პერიოდს.

რევაზ ჩხეიძის თვალსაზრისით, ქართული კინემატოგრაფიის ისტორია სწორედ ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული ფილმებიდან (1908 წლიდან) უნდა დავიწყოთ და არა 1910 წლიდან. რევაზ ჩხეიძის დასკვნით, ჩვენს ეროვნულ კინოს ჰყავს ორი მამამთავარი — ვასილ ამაშუკელი (დოკუმენტური კინემატოგრაფიისა) და ალექსანდრე წუწუნავა (მხატვრული კინემატოგრაფიისა).

გაიკვია ქართული კინოს სათავეთა საკითხი. 1972 წლის 2 ივნისს თბილისში გაიმართა ვასილის იუბილე. მაშინ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზეც ერთსულოვანი თვალსაზრისი დაიკვეს და ეროვნული კინოს განვითარებაში ვასილ ამაშუკელს ღირსეული ადგილი მიუჩინეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა რევაზ ჩხეიძემ, სიკო დოლიძემ, გიორგი ასათიანმა, აკაკი ვასაძემ, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჭაფარიძემ და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ოთარ ეგაძემ.

ამ დღეს გამოჩნდა სინამდვილე, იზეიმა სიმართლემ, წაღმა დაბრუნდა ბედის ჩარხი. ვასილ ამაშუკელი მოესწრო მისი ღვაწლის საყოველთაო აღიარებას.

„პირველი ქართველი კინოოპერატორი“ ვასილ ამაშუკელს

პირველად მე ვუწოდე 1947 წელს“ (იხ. ჩემი წიგნი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. 1947. გვ. 71).

ეპითეტი „პირველი“ მე დავწერე ყოველგვარი მტკიცების გარეშე. ამ თემაზე მაშინ და შემდეგაც მე ღრმად არ დავფიქრებულვარ, რადგან ამ კონკრეტულ საკითხს 1954 წლიდან იკვლევდა კინოისტორიკოსი კარლო გოგოძე და მის დასკვნას მეც ვემყარებოდი.

ეპითეტი „ოპერატორი“ ვასილ ამაშუკელზე ფართო გაგებით დიდხანს იწერებოდა. გამოთქმა „პირველი ქართველი ოპერატორი“ შემდეგ შეცვალა გამოთქმამ „პირველი ქართველი კინემატოგრაფისტი“, რაც, ვფიქრობ, პირობითია, ჯერჯერობით შეცდომა არ არის, მაგრამ მაინც დაზუსტება სჭირდება.

ფართო გაგებით გავრცელებულ გამოთქმაში „პირველი ქართველი კინოოპერატორი“ იგულისხმება ერთადერთი შემოქმედი ანუ კინოფილმის ავტორი. უდავოა, რომ ვასილ ამაშუკელზე მართო „გადამღები“ არ ითქმის. პროფესიულად დამხმარე ოსტატი არ ჰყავდა და ის იყო ნაწარმოების ყოველმხრივ შემქმნელი — სცენარისტიც, დამდგმელ-რეჟისორიც და ოპერატორიც. ამ თვალსაზრისით შეირჩა მასზე ეპითეტი „კინემატოგრაფისტი“ ანუ „კინომოღვაწე“.

მე სპეციალურად არ მიძებნია, მაგრამ მოულოდნელად წავაწყდი იშვიათ ცნობას — 1899 წლის გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულია ქრონიკა: ქალაქის ბაღში ნაჩვენები იქნება „ცხოველი სურათები“ — თამარი ლერმონტოვიდან, თამარ მეფე და შოთა რუსთაველი.

„მოძრავი ცხოველი სურათები“ ჩვენში „კინოს“ ეწოდებოდა“. საკითხავია, ვინ გადაიღო ეს კინოსურათი? — უთუოდ ქართველმა ავტორმა, რომლის ვინაობა უცნობია.

ეს ქრონიკაც მოგვიწოდებს, რომ უნდა გაჩაღდეს ძიება, ახალი საინტერესო მასალა გამოვლინდება და საკითხიც საბოლოოდ გადაწყდება.

რევაზ ჩხეიძე წერს: „უცხოელი კინოფირმები რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე უპირველესად ეგზოტიკურ სიუჟეტებს ეძებდნენ და მათი ინტერესი ჩვენი სამყაროსადმი, რა თქმა უნდა, წმინდა ტურისტული იყო და თავიანთ თუ

ადგილობრივ დაქირავებულ ოპერატორებს სწორედ აქეთკენ უბიძგებდნენ“ (იხ. „სიმართლე სხვას ლაპარაკობს“: გაზ. „კომუნისტი“ 1971⁵ № 270).

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი სექციისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების თაოსნობით 1958 წლის 20 იანვარს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ვასილ ამაშუკელის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. იუბილარს გულთბილი სიტყვით მიესალმა ლიტერატურათმცოდნე აკაკი ბაქრაძე;

ოცდაათი წლის შემდეგ აკაკი ბაქრაძე ეხება ვასილ ამაშუკელისა და ალექსანდრე დილმელოვის შემოქმედებითს მუშაობას, მათს ადგილს ქართული კინოს ისტორიაში და მსჯელობს აქტუალურ საკითხზე. მისი აზრით, ჩვენ ჯერ დანამდვილებით და საბოლოოდ არ ვიცით, ვინ იყო პირველი ქართველი კინემატოგრაფისტი. ეს საკითხი შესასწავლი და დასადგენია.

მეც ვიზიარებ აკაკი ბაქრაძის მახვილ ნაზრევს: „ცნობილია, რომ საქართველოში კინო ფრანგებმა შემოიტანეს. ფრანგი კინომრეწველის პატეს წარმომადგენლები საქართველოში იღებდნენ დოკუმენტურ სურათებს. გადაღებულია დიდძალი მასალა. ყველაფერი ეს არის პარიზში. არ ვიცით, ვინ იღებდა ამ სურათებს: მხოლოდ ფრანგები, თუ მათ შორის ქართველი კაციც არა? იქნებ პატეს არქივში დაცულ ზღვა მასალაში მიძალულია ქართველი კინემატოგრაფისტების გვარები და ღვაწლი? ამას ყველაფერს გარკვევა უნდა და გამოძიებება: საქართველოში მუშაობდნენ იტალიური კინოფირმების „ამპროზიოსა“ და „ჩინესის“ წარმომადგენლებიც. ამ კინოფირმების არქივებშიც უამრავი მასალაა. არც ეს შეუსწავლიათ ქართველ კინოისტორიკოსებს. მათ არც ამ მასალაზე მიუწვდებათ ხელი. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ჩვენ არც იმდროინდელი (მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლებს) ქართულ და რუსულ პრესას გავცნობივართ სრულად და ამომწურავად. იქნებ აქაც უამრავი ცნობა იმალება, რასაც საკითხის გაშუქებისათვის არსებითი მნიშვნელობა ექნება. ყველა ამ მასალის სრული შესწავლის შემდეგ შეგვიძ-

ლება დავადგინოთ, ვინ არის ქართული კინემატოგრაფიის ფუძის ჩამყრელი. ცხადია, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ თარიღზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია, როდის, ვინ შეხვდა კინემატოგრაფს ქართული ეროვნული კულტურის თვალსაზრისით. თორემ ფრანგები და იტალიელები ვასილ ამაშუკელსა და ალექსანდრე დილმელოვზე ადრე იღებდნენ ფილმებს საქართველოში. საქმე რომ მხოლოდ თარიღს ესებოდეს, მაშინ ისინი უნდა მიგვეჩნია ქართული კინოს მოთავეებად. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტენდენციის გარკვევას. ამ ტენდენციის ექვემდებარებული სისრულითა და სიზუსტით გარკვევა კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ყველა მასალა შეისწავლება საბოლოოდ" (იხ. „კინო, თეატრი“ 1989. გვ. 110).

ამრიგად, ვასილ ამაშუკელზე გამოთქმა „პირველი ქართველი კინემატოგრაფისტი“ პირობით დამკვიდრდა, გერჯერობით. შეცდომა არ არის და გამართლებულია, მაგრამ მაინც დაბნელებას მოითხოვს. კითხვაზე საბოლოოდ პასუხს მომავალი იტყვის.

ვასილ ამაშუკელმა შექმნა პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაქა-ლეჩხუმში 1912 წელს“. მანამდე (1910 წლამდე) საქართველოში ალექსანდრე დილმელოვის მიერ და (1908 წლამდე) ბაქოში ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული იქნა დოკუმენტური კინოქრონიკებიც. ვასილ ამაშუკელი არის ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის მამამთავარი. მის მოაზრებას უსწრებს სულმანთი აკაკი წერეთლის ნათესაობა.

ვასილ ამაშუკელს ეკუთვნის სხვა ცნობილი და უცნობი მოკლემეტრაჟიანი ფილმებიც (კინოქრონიკები) აკაკი წერეთლის შესახებ:

1. 1913 წლის შემოდგომაზე ქვემო იმერეთის სოფლებში (ქვიტირსა და მუხიანში) მოგზაურობის დროს აკაკის ახლდნენ დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვარლამ რუხაბე, მოლვაწეთა ჯგუფი. ვასილ ამაშუკელის ფილმი 70 მეტრს არ აღემატებოდა. მას იმავე წელს „არადიუმში“ უჩ-

ვენებდნენ სწვა სურათების წინ, — წერს ზეიმის მონაწილე და ფილმის თვითმხილველი თეატრმცოდნე სერგი გერასამია;

2. ვასილ ამაშუკელი მემუარში ჩამოთვლის „რადიუმში“ ყოფნისას გადაღებულ საკუთარ მოკლემეტრაჟიან ფილმებს. სულმნათი მგოსნის შესახებ სიაში წერია ორი ნაწარმოები — „აკაკის მოგზაურობა ქვემო იმერეთში“ (1913 წ.) და „აკაკის გამოსვენება და დაკრძალვა“ (1915 წ.). (იხ. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1973, № 5).

1915 წელს გაზეთ „კავკაზის“ 8 და 11 თებერვლის ნომრებში დაბეჭდილი ორი რეკლამა-განცხადებაც მოწმობს, რომ ვასილ ამაშუკელმა კინოლენტზე გადაიღო აკაკის გარდაცვალებისა და გადასვენება-დაკრძალვის პროცესი.

როგორც ჩანს, ცნობილი იყო უცნობი კინოოპრონიკის თემა „აკაკის დაკრძალვა“, მაგრამ ორივე ამ ერთნაირ ცნობას ესაჭიროება დაზუსტება. შესაცვლელია კინოოპრონიკის თემის სათაური. ვასილ ამაშუკელმა მართლაც გადაიღო ფილმი. ამის შესახებ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა რეკლამა-განცხადება.

ელექტროთეატრი „რადიუმი“ იუწყებოდა: დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დასტირის დიდებულ მამულიშვილს აკაკის. მისი ცხედრის გამოსვენებას დაესწრო დიდძალი ხალხი. ეს დიადი სანახაობა ჩვენ გადავიღეთ, რომ შთამომავლობამ იცოდეს, რა პატივით მოეპყრო აკაკის მისი თანამედროვე საზოგადოება. მობრძანდით და იხილეთ ეს ძვირფასი სურათი:

1. აკაკის სასახლე და ბინა, სამუშაო ოთახი, კარ-მიდამო; 2. აკაკის გამოსვენება საჩხერიდან; 3. როგორ შეეგება ქართველობა აკაკის ნეშტს რკინიგზის სადგურებზე — საჩხერიდან შორაპნამდე. სენსები დაიწყება ოთხშაბათს — 9 თებერვლიდან. (იხ. გაზ. „სამშობლო“. 1915. № 6. 7 თებერვალი).

ამრიგად, აკაკი გარდაიცვალა 1915 წელს სოფელ სხვიტორში, საიდანაც წაასვენეს თბილისში და დაკრძალეს მთაწმინდაზე. აკაკის დაკრძალვა თბილისში ვასილ ამაშუკელს არ გადაუღია. მან ფირზე აღბეჭდა მხოლოდ გლოვის დღეები ზემო იმერეთში (აკაკის გამოსვენება, აკაკისთან გამოთხოვება).

ეს ფაქტი (ცნობები) „რადიუმმა“ პრესაში გამოაქვეყნა. აი,

ძვირფასი ბექდური მასალა, რაზეც შეიძლება დამყარება უტყუარი დასკვნისათვის. ახლა შევადაროთ გაზეთ „სამშობლოს“ ასეთ ნათელ ინფორმაციას გაზეთ „იმერეთის“ სადავო და ბუნდოვანი ჩვენება.

მკვლევარი იროდიონ ერემეიშვილი ემყარება ორივე ინფორმაციას, რომელთაგან სამაგალითო პირველწყაროდ ჩათვლება მხოლოდ 1915 წლის გაზეთ „სამშობლოს“ 7 თებერვლის ნომერი (ციტირება იხ. ზემოთ). მისი მიგნება ფილოლოგიური აღმოჩენაა, რისთვისაც ავტორი მადლობისა და ქების ღირსია.

1989 წლის 5 აგვისტოს გაზეთ „ქუთაისში“ (№ 151) დაიბეჭდა მკვლევარ იროდიონ ერემეიშვილის კრიტიკული შენიშვნა (კომენტარი) — „საჭიროდ მიგვაჩნია დაზუსტება“. მასშიც შესამჩნევია ფაქტობრივი შეცდომები და, მაშასადამე, დასაზუსტებელია ადგილები და ამიტომ კომენტარმა კომენტარი მოითხოვა.

წინასწარ გავამკლავებ ერთ უსაბუთო ნათქვამს. ცნობილია, რომ ჟურნალისტები გ. დიასამიძე, ს. დათეშიძე და „რადიუმის“ მეპატრონენი პ. მეფთაშვილი და ტ. ასათიანი შეთანხმდნენ — მოგზაურობა ეკრანზე გადაღებულიყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით იროდიონ ერემეიშვილი შეცდომით ფიქრობს, რომ „რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობაზე კინოფილმის სცენარის შექმნა დაკავშირებულია ამ მოღვაწეთა სახელებთან“.

ეს კურიოზული ცნობა პირველად დაიბეჭდა. თურმე ფილმის სცენარს ოთხი ავტორი ჰყოლია! ამ რიცხვის „გაზრდაც“ შეიძლება. ამ საინიციატივო ჯგუფში (ანუ ქუთაისის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში) გამორჩენილია ორი პედაგოგი — ვ. პეტრიაშვილი და ლ. ბზვანელი.

აღსანიშნავი იყო არა კერძოდ ფილმის სცენარის შექმნა, არამედ ამ საინიციატივო ჯგუფის საქმიანობა და დამსახურება, რაზეც შთამბეჭდავად განაცხადა თავის სიტყვაში ვასილ ამაშუკელის მიმართ საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსმა გიორგი ლვონიძემ: „ჩემი თვალსაზრისით, ღირსეულად უნდა დავაფასოთ შენი მეთაურნი და ხელისშემწყობნი,

რომლებმაც დროზე მოიფიქრეს აესახათ მოგზაურობა, თორემ ეს ზღაპრული ზეიმი ხომ წაიშლებოდა!“.

შვენიშნავ, რომ ფილმის სცენარი არ დაწერილა. ვასილ ამაშუკელს ჩვენ მარტო „გადამლებს“ ვერ დავარქმევთ. ის იყო ფილმის ავტორი — სცენარისტიც, დამდგმელ-რეჟისორიც და ოპერატორიც; კინოფილმის შექმნისთანავე ლადო ბზვანელმა დაწერა და 1912 წელს ქუთაისში გამოსცა კინოლიბრეტო „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ამ კინოლიბრეტოს დანიშნულება ის იყო, რომ „მისი წაკითხვისა და გაანალიზების შემდეგ მაყურებელს უფრო ღრმად აღექვა ფილმში ასახული მოვლენების აზრი და სოციალური მნიშვნელობა. ხელს შეუწყობდა ფილმის კიდევ უფრო მეტ პოპულარობას ფართო მასებში“ (კარლო გოგოძე).

განვიხილოთ მთავარი ფაქტობრივი შეცდომა. 1914 წლის 26 ივლისს გაზეთ „იმერეთში“ (№ 115) მოთავსებული ცნობა აქ ამოხსნილია არასწორად:

3. აკაკი კინოსურათში თუ ფოტოსურათში?

იხროდიონ ერემეიშვილი წერს: ვასილ ამაშუკელს შეუქმნიდა კინოსურათი „აკაკი ქართველ მწერალთა გუნდში“, რომლის შესახებ 1914 წლის გაზეთი „იმერეთი“ იუწყებოდა: „26 და 27 ივლისს „მონპლეზირის“ საზაფხულო შენობაში ნაჩვენები იქნება ჩვენი მსოფიანი მგოსნის აკაკის სურათი ერთად ქართველ მწერალთა გუნდში“.

ჩემი ვარაუდით, ფილმი გადაღებულია 1914 წლის ივლისში, როცა აკაკის მონაწილეობით ქუთაისში გაიპარა ლიტერატურული საღამო იხროდიონ ევდოშვილის საპატივცემულოდ. ამას აღსატურებებს აგრეთვე ნ. საღარაძის ფოტოსურათი (აკაკი 18 მწერალთან ერთად), რაც დაიბეჭდა 1957 წლის 16 ნოემბერს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

დავაკვირდეთ ტექსტს. საგაზეთო ქრონიკაში წერია — „ნაჩვენებში იქნება აკაკის სურათი ქართველ მწერლებთან ერთად“. მასში აღნიშნული არაა „კინოსურათი“ და არც მისი ავტორი ვასილ ამაშუკელი; მწკვირველია ავტორი რად არ დააფიქრან ჩვეთლოზ საღარაძის ფოტოსურათმა, რისთვისაც მორგებულა გამოთქმა „აკაკი მწერალთა ჯგუფში“; სწინებილო ლიტერატურული საღამო ფილმის ვადრად შეიძლება აღსახოს,

მაგრამ ფილმად ძველ დროში არავის გადაუღია! რატომ გვეკონია, რომ, რადგან სანახაობას „მონპლეზირის“ საზაფხულო შენობაში უჩვენებდნენ, ამ კონტექსტში „სურათი“ მაინცდამაინც „კინოსურათს“ უნდა ნიშნავდეს. ბოლოს და ბოლოს უნდა ვერწმუნოთ თვით ვასილ ამაშუკელს და გვასსოვდეს, რომ მემუარში (საკუთარ ფილმთა სიაში) ამგვარი კონოქრონიკა მას არ უწერია. არსებულ საერთო სიას შეიძლება სისრულე აკლდეს, მაგრამ უდავოა, რომ მასში ვასილ ამაშუკელს კერძოდ აკაკიზე შექმნილი ქრონიკის დასახელება არ გამოჩენია. კონკრეტულად ამ თემაზე მას აქვს მხოლოდ სამი ცნობილი დოკუმენტური ნაწარმოები — ერთი კინოფილმი და ორი კინოქრონიკა (იხ. ზემოთ).

1914 წლის 7 ივნისს ქუთაისის თეატრში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო. ნიკოლოზ სალარაძისეულ ფოტოდოკუმენტში გამოსახული არიან ამ საღამოს მონაწილენი. მწიგნობარმა ისიდორე კვიციანიძემ ეს ჯგუფური ფოტოსურათი პირველად გამოაქვეყნა 1935 წელს გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ (№ 12) და გამოაცხადა მისი სრული შემადგენლობა (20 მოღვაწე):

პირველ რიგში სხედან: ტიციან ტაბიძე, აკაკი პაპავა, იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ლადო დარჩიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ისიდორე კვიციანიძე; მეორე რიგში დგანან: გალაკტიონ ტაბიძე, აკაკი სვანი, ა. გელაზანია, ილია ბაბტაძე, ია ეკალაძე, მიხეილ ნემო (ჯანოევი), თეოფილე ხუსკივაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ჯაჭუ ჯორჯია, დ. მებუკე, შ. ჯაფარიძე.

ნიკოლოზ სალარაძისეული ფოტოსურათი მოთავსებულია იოსებ ლორთქიფანიძის წიგნშიც „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“ (1968. გვ. 61); ამ სურათის შესახებ მემუარი დაწერა გალაკტიონ ტაბიძემ (იხ. თხზულებანი. XII. 1975. გვ. 455 — 458).

შველევარ იროდიონ ერემეიშვილის ჩანაფიქრი მიუღებელია (იხ. „ქურ. „განთიადი“, 1990. № 5. გვ. 142-143). სარწმუნოა, რომ გაზეთ „იმერეთის“ ინფორმაცია შეეხება ნიკოლოზ სალარაძისეულ ფოტოსურათს.

დასკვნა. 1. ქვემო იმერეთის სოფლებს (ქვიტირსა და მუ-

ხიანს) აკაკი წერეთელი ესტუმრა 1913 წელს. ეს ზეიმი ფირზე გადაიღო ვასილ ამაშუკელმა და მემუარული ლიტერატურაც მოწმობს, რომ მის კინოქრონიკას „რადიუმში“ იმავე წელსვე უჩვენებდნენ;

2. დაზუსტდა და დასაბუთდა არსებული ცნობა კინოქრონიკის შესახებ აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მიკვლეულ იქნა უცნობ პირველწყაროს: 1915 წლის გაზეთ „სამშობლოს“ 7 თებერვლის ნომერში მოთავსებული ვრცელი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ „რადიუმმა“ გადაიღო კინოქრონიკა და აქ ჩამოთვლილია მისი კადრებიც: აკაკის სასახლე და კარ-მიდამო სხვიტორში, მგოსნის გამოსვენება საჩხერიდან, შეხვედრები რკინიგზის სადგურებზე საჩხერიდან შორაპნამდე; გამოიკვია, რომ აკაკის დაკრძალვა თბილისში ვასილ ამაშუკელს არ გადაუღია. მან ფირზე აღბეჭდა მხოლოდ გლოვის დღეები ზემო იმერეთში (აკაკის გამოსვენება, აკაკისთან გამოთხოვება);

3. აკაკი კინოსურათში თუ ფოტოსურათში? 1914 წლის საგაზეთო წარწერაში (გაზეთ „იმერეთის“ ქრონიკაში) — „ნაჩვენები იქნება აკაკის სურათი ქართველ მწერლებთან ერთად“ — იგულისხმება არა ვასილ ამაშუკელისეული კინოსურათი ანუ მოკლემეტრაჟიანი ფილმი (კინოქრონიკა), არამედ დიდი ჯგუფური ფოტოსურათი, რაც ნიკოლოზ საღარაძეს ეკუთვნის, ამჟამადაც არსებობს და ფართოდ გავრცელებულია.

მოკლედ: ვასილ ამაშუკელმა შექმნა სამი დოკუმენტური ნაწარმოები: ერთი კინოფილმი („აკაკის მოგზაურობა რაჭალეჩნუმში 1912 წელს“) და ორი კინოქრონიკა („აკაკის მოგზაურობა ქვემო იმერეთში 1913 წელს“, აკაკის გარდაცვალება და გლოვის დღეები ზემო იმერეთში 1915 წელს).

როგორ შეიქმნა მთავარი „მუნჯი“ კინოფილმი? ამ საკითხზე ვასილ ამაშუკელმა დაწერა მოგონება. ამოვკრეფ საჭირო ცნობებს ამ მემუარადან.

ვასილ ამაშუკელი მოგვითხრობს: „ჩემი უპირველესი ამოცანა იყო ამესახა სახალხო ზეიმი და დიდი აკაკის სახე ცოცხლად შემომენახა შთამომავლობისათვის...

გადაღების დროს დამხმარე არ მყოლია. მე ვიყავი ოპერატორიც, ასისტენტიც, მუშაც და გადაღების ხელმძღვანე-

ლიც. ვეზიდებოდი 40 კილოგრამიან აპარატს. ძნელ- იყო მოზღვავებულ ხალხში მუშაობა. ხან ობიექტებს ეფარებოდნენ, ხან აპარატში იცქირებოდნენ, გზას მიღობავდნენ. არაერთხელ გადავურჩი ცხენითა და ეტლით გადათელვას, ფერდობზე წაქცევას, ხევში გადაჩეხვას...

დაიხარჯა „პლიონკა“ 1.500 მეტრამდე. ტექნიკური მიზეზების გამო ქუთაისში მისი გამოპყლავება არ მოხერხდა. ჩვენს პატარა ლაბორატორიაში იმოდენა ფილმის გავლება და დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. მე კინოთეატრ „რადიუმის“ მაშინდელ გამგე ი. მანუჩაროვთან ერთად სურათის დაბეჭდვასთან დაკავშირებით თბილისში მიმავლინეს. მოველაპარაკე იმ დროს კერძო თეატრისა და ლაბორატორიის მფლობელს სოფიო ივანიცკაიას. მან მითხრა: შევასრულებთ თქვენს დავალებას. აქ მუშაობს კინომექანიკოსი ალექსანდრე დილმელოვი და მაქვს დასაბეჭდი აპარატი. მოვურიგდი ფასზე. გადავუგზავნე დანომრილი ნეგატივი. ივანიცკაიამ მაცნობა — „აკაკის მოგზაურობა“... მზად არისო. წამოვიღე სურათი და მონტაჟი ქუთაისში გავუკეთე. წარწერებიც ქუთაისში ცნობილ ფოტოგრაფ სამსონ გეგეჭკორთან ერთად ჩვენს პატარა ლაბორატორიაში დავბეჭდე. სურათი (ფილმი) დარჩა 1.200 მეტრი...

ფილმის ნეგატივი 1924 წელს თბილისის აღმასკონის განათლების განყოფილების წარმომადგენელს ჩავაბარე „რადიუმის“ სხვა ინვენტართან ერთად. მას შემდეგ ვეძებ მას, მაგრამ ვერ მიპოვნია. ჩემი აზრით, იგი დაკარგული უნდა იყოს...“ (იხ. ისტორიულ-დოკუმენტური კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი 1979. გვ. 9, 14).

ფილმის დედნის შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის კარლო გოგოძე: „რამდენიმე წლის შემდეგ კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა...“ „რადიუმის“ მფლობელებმა ტიხონ ასათიანმა და პავლე მეფისაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცეს უსასყიდლოდ. მისი ნეგატივი კი 1921 წლამდე „რადიუმში“ ინახებოდა. ამ წელს ქუთაისის განათლების განყოფილების სპეციალური განკარგულებით იგი გადაეცა „რადიუმის“ ახალ გამგეს, რის შედეგადაც ნეგატივი გაქრა და დღემდე მი-

უკვლეველია. იგი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს“ (იხ. კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი: 1979. გვ. 10).

კინოფილმს „რადიოში“ 1912 წელსვე აკაცროს აკაკი. გამოთქვა კმაყოფილება და უწინასწარმეტყველა მის ავტორს: შენს ნაშრომს მომავალი თაობა დააფასებსო.

ვასილი ამბობდა შეხვედრებზე: აღსრულდა დიდი აკაკის ნათქვამი: ჩემი ნაშრომი დაფასდა, რითაც უღრმეს კმაყოფილებას განვიცდიო.

ისტორიულ-დოკუმენტური კინოფილმის „აკაკის მოგზაურობა რაქა-ლეჩხუმში 1912 წელს“ დედანი არ დაკარგულა. მხოლოდ ის იყო, რომ დიდხანს დაივიწყეს, არ ახსოვდათ.

1946 წელს მე გამიჩნდა აზრი კინოფილმის მოძებნის შესახებ და ვესაუბრე ვასილ ამაშუკელს.

მან მითხრა: დედანი (პოზიტინი) საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში მეგულებათ. მაგრამ ამისათვის ჩვენ თავს ნუ შევიწუხებთ. სულერთია, რომ მოვნახოთ, ფილმს ეკრანზე ახლა მაინც არავინ გაუშვებსო. იმიტომ, რომ ჩემს ფილმში გადაღებულია და მოჩანს ნიკორწმინდისა და ბარაკონის ტაძრები და მონაწილეობენ მღვდლები. დიდი ხანია ეკლესიისა და მღვდლის სურათებს გაზეთში არ აქვეყნებენ და ამ „წესს“ კინოც იცავსო.

ვასილ ამაშუკელმა გულისტკივილით თქვა სიმართლე, მიზეზი და დაბრკოლება — საკვირველი და საშფუხარო.

ვასილის მაგალითმა გამაახსენა და მისივე ნააზრევის დასასაბუთებლად (კერძოდ, ნიკორწმინდის ტაძრის შესახებ) აქ მოვიყვან საკირო ცნობებს:

ვახუშტი ბაგრატიონს უწერია „ნიკოლაწმიდა“. ტოპონიმი „ნიკორწმინდა“ „ნიკოლოზწმინდას“ აღნიშნავს. ასეთი რელიგიური ტოპონიმები ახლახან ჩვენ შევცვალეთ. მაგალითად, გურიის ცნობილ მდიდარ სოფელ „შრომას“ წინათ „მიქელ-გაბრიელი“ ეწოდებოდა. ასე მოხდა რაჭაშიც, სოფელ „ნიკორწმინდას“ 1930 წელს დაერქვა „სინათლე“, რაც 1960 წელს გადაერქვა გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ზეგავლენით, რადგან გალაკტიონმა 1947 წელსაც კი არ შეუცვალა სოფელს სახელი. ტოპონიმი „ნიკორწმინდა“ პოეზიის ძალამ აღადგინა. ახლებური საერთო წესი კი არ შეცვლილა. კერ-

ძოდ. რაქის სხვა სოფლებს ამკამალაც აქვთ ხელოვნური სა-
ხელწოდებები — „შრომა“ (ყოფილი „ჯვარისა“), „კორტა“
ანუ კორტოხი (ყოფილი „კვირიკეწმინდა), „პთისკალთა“ (ყო-
ფილი „მრავალძალი“).

გალაქტიონი 1947 წელს კურორტ შოვიდან სპეციალურად
წავიდა სოფელ ნიკორწმინდაში. მან აქ ტაძარი გარედან და-
ათვალიერა და შიგ კი არ შესულა, რადგან შენობა გამოყე-
ნებული იყო კოლმეურნეობის საწყობად.

ძომავალ თაობას გაუჭირდება დაიჯეროს და ახლაც კი
წარმოუდგენელია ფიქრი იმაზე, რომ ჩვენში რამდენიმე ათ-
წლეულს არსებობდა და უკვე განველეთ ასეთი ბნელი ანტირე-
ლიგიური პერიოდი.

მაშინ (1946 წელს) ვასილ ამაშუკელის რჩევა მე არ მივი-
ღე და ჩემი სურვილი ასე ჩამოვაყალიბე — ვუთხარი: გასაგე-
ბია, რომ დღეს ამ ძველ ფილმს მაყურებელი რა მიზეზით
ვერ იხილავს, ჩვენ მაინც გავაკეთოთ სასარგებლო საქმე:
წერილა დავებქდოთ გაზეთში, მას ვინმე კინომცოდნე გამო-
ეხმაურება, გაარკვევს — ფილმი თუ არსებობს სადმე, ან მო-
ძებნის და უპატრონებს (დაიცავს)-მეთქი; ბოლოს და ბოლოს
კადრებს ამ ფილმიდან კინოსტუდია გამოიყენებს სხვა ახა-
ლი დოკუმენტური ნაწარმოებისათვის.

ვასილ ამაშუკელის დატურით 1947 წელს პრესაში მე
აღმძარი საკითხი კინოფილმის აღდგენის შესახებ (იხ. გაზ.
„ინდუსტრიული ქუთაისი“. 1947. № 53; ჩემი წიგნი „აკაკი
წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. 1947. გვ. 7!).

ამ საკითხით დაინტერესდა კინოსტორიკოსი კარლო ვო-
გოძე და შეუდგა ვასილ ამაშუკელის ცხოვრებისა და მოღვაწე-
ობის შესწავლას. მან 1953 წელს საქართველოს ლიტერატუ-
რულ მუზეუმში მოძებნა ფილმის ძირითადი ნაწილი. 1.200
მეტრი ფირიდან შემორჩა 600 მეტრი ფირი და ისიც დაილუ-
პებოდა, დროზე რომ არ გვეზარუნა და არ მიგვესწრო (დედა-
ნი ძალზე დაზიანებულა, არ იყო სათანადოდ შენახული და
მოვლილი).

აღდგენილ ისტორიულ „მუნჯ“ ფილმს 1955 წლიდან უჩ-
ვენებენ რესპუბლიკაში აკაკი წერეთლის საიუბილეო თარი-
ღებთან დაკავშირებით.

გადარჩენილ და აქამდე მოღწეულ ფილმში სახალხო ზეი-
მი მაინც ცხადად იგრძნობა. ცოცხალი აკაკის სახე მაყურებ-
ელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ღარბაზს უსაზღვრო სიხარული მოიცავს, როცა ეკრანზე
რამდენჯერმე გამოჩნდება სავარძელში ჩამჯდარი აკაკი, რო-
მელსაც პატივისცემის ნიშნად ხელით ატარებენ. აკაკიც ფერ-
ხულში ებმება და ბავშვებს ეალერსება.

მაყურებელი ეცნობა რაჭა-ლეჩხუმის ახლო წარსულს: ძვე-
ლებურ დაბებსა და სოფლებს, გარდასულ ყოფა-ცხოვრებასა
და ზნე-ჩვეულებებს.

ფილმში ძირითადად ხალხი მოქმედებს: საზოგადოება მე-
ქენიდან მიაცილებს მგოსანს, დიდძალი ხალხი მიემართება
ქრებალოს მოედნისაკენ, სადაც აკაკი ტრიბუნაზე აღის და
ლექციას კითხულობს. რაჭველები ზეიმობენ ბარაკონში. უთ-
ვალავი ცხენოსნები მიჯირითობენ ნიკორწმინდისაკენ; ონსა
და ლაილაშში მგოსნის შესვლა მშვენიერ სანახაობას წარმო-
ადგენს.

გადაღებული იყო, მაგრამ ფილმში აღარ მოიპოვება ყველა
ნადიმი, რომლებზედაც აკაკიმ და რაჭველ-ლეჩხუმელებმა წარ-
მოთქვეს შესანიშნავი სიტყვები სადღეგრძელოებად. აგრეთ-
ვე არ ჩანს რუს ტურისტებთან შეხვედრა ამბროლაურის მახ-
ლობლად, სადაც აკაკი წერეთელმა და სერგი ანისიმოვმა სი-
ტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ფილმში ყურადღებას იპყრობს რაჭა-ლეჩხუმის წარმტა-
ცი ბუნება. ნათლად ასახულია რიონის, შაორისა და ლაჯანუ-
რის ხეობები.

მგოსანს აინტერესებდა ფილმში ასახულიყო სახალხო ზე-
იმი. ისტორიული ძეგლები და ხალხური სანახაობანი ვასილ
ამაშუკელმა აკაკის მითითებით გადაიღო. ამ მიზნით ფილმში
ნაჩვენებია რაჭული ფერხული, საირმის „უდაბნო“, ხოტე-
ვის ციხე, ერისთავთა „მინდაციხე“, ნიკორწმინდისა და ბა-
რაკონის ტაძრები.

ბარაკონში ერისთავის სასახლის ეზოში გამართული ფერ-
ხულის შესახებ აკაკის უთქვამს ვასილ ამაშუკელისათვის: ეს
მომენტი კარგად გადაიღე, ყმაწვილო, ძველებური ხალხუ-
რი ცეკვაა და მომავალს დარჩება.

ახლაგაზრდა ოპერატორი ნიჭიერ შემოქმედად გვევლინება. მას ბევრი მომენტი ოსტატურად აქვს დაჭერილი და გამოყენებული. მხატვრის მანვილი თვალი და ფაქიზი გემოვნება ყველა კადრში იგრძნობა. ვასილ ამაშუკელის ნაწარმოები ქართული კინოხელოვნების შემდგომ სწრაფ აღმავლობასაც აღსატურებს.

კინოფილმის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს — ვაზეთ „თემის“ რედაქტორმა გ. დიასამიძემ. საიუბილეო ზენიმის ქუთაისის კომისიის წევრებმა ვ. პეტრიაშვილმა, ს. დათეშიძემ, ლ. ბზვანელმა და კინო „რადიუმის“ მეპატრონეებმა ტ. ასათიანმა და პ. მეფისაშვილმა.

შესაძლებელია, რომ ფილმი მაყურებელმა ნახოს დედნის სახითაც და გადამუშავებული ფორმითაც.

ვასილ ამაშუკელისეული „მუნჯი“ ნაწარმოების გადასამუშავებლად უნდა დაიწეროს სცენარი. საჭიროა ფილმი შეივსოს და გამდიდრდეს მხატვარ კოტე ქავთარაძისეულ ფოტოალბომში ასახული უცნობი მომენტებით. ახლად გადაიღება ისტორიული ადგილები და ხალხური სანახაობანი. გახშიანებისათვის ძვირფასი ცნობილი ტექსტები გვაქვს. ამ სანდო წყაროებზე დამყარებული სრულიად ახალი მხატვრული ფილმი მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას ყოველთვის დააკმაყოფილებს.

საკუთრივ ამაშუკელისეულ ფილმს კი რიგიანად აღდგენა ესაჭიროება. დაუშვებელია დედნის იმგვარად ჩვენება, როგორც ამჟამად ხდება. „მუნჯი“ სანახაობის გასაგებად მაყურებელს კონსულტანტი უნდა ჰყავდეს. წარწერები მოკლეა და ცოტა. დამახინჯებულია გეოგრაფიული სახელწოდებებიც. იკითხება „მოგზაურნი სოფელ ძიმასტაროსთან“. ქალაქ ქუთაისის ეკვრის სოფელი „ჯიმასტარო“; იკითხება მდინარე „შაიანი“, უნდა ეწეროს მდინარე „შაორი“; იკითხება დაბა „ლაოლაში“, უნდა ეწეროს დაბა „ლაილაში“... კადრებს შორის ზოგჯერ დარღვეულია თანმიმდევრობაც. მაგალითად, ნიკორწმინდის მიდამოების ჩვენების პროცესში ჩართულია დაბა ონში შესვლის ეპიზოდი.

მაყურებლის პატივისცემის ინტერესი მოითხოვს, რომ აკა-

კის საიუბილეო ზეიმი კინოსტუდიამ ამ დეფექტების გარეშე გამოიტანოს ეკრანზე.

1972 წლის 2 ივნისს თბილისში გამართულ ვასილ ამაშუკელის იუბილეზე მე გამოვედი ვრცელი სიტყვით. რადგან დასასრულ გათვალისწინებული იყო მისი „მუნჯი“ სურათის ჩვენება, გავაშუქე მოგზაურობა: აღვწერე ყველა შეხვედრა და ადგილი (რაც ჩანს), დავასახელე მოქმედი პირნი და ზოგიერთი ორატორის სიტყვაც ზეპირად წარმოვთქვი. აუდიტორია დააინტერესა „მუნჯმა“ სურათმა, მას მოჰყვა ალ. მამულაშვილის ხმოვანი კინოჰრონიკა „ვასილ ამაშუკელი“ და სიზარული აღტაცებაში გადაიზარდა.

ამ იუბილეზე ქართული კულტურის მოღვაწეებმა (რ. ჩხეიძემ, ს. დოლიძემ, გ. ასათიანმა, უ. ჯაფარიძემ, ა. ვასაძემ, თ. ეგაძემ, ვ. ბერიძემ, ი. ნონეშვილმა) განიხილეს ქართულ პრესაში ჩემ მიერ აღძრული საკითხი, იმსჯელეს და შეთანხმდნენ, რომ საჭიროა შეიქმნას სრულმეტრაჟიანი განასლებული ხმოვანი დოკუმენტური კინოფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“ (პროექტი იხ. აქვე ზემოთ).

ვასილ ამაშუკელი რაჭა-ლეჩხუმს სამჯერ ესტუმრა.

პირველად — იგი ახლდა აკაკი წერეთელს 1912 წლის 21 ივლისიდან 1 აგვისტომდე;

მეორედ — ვიმოგზაურეთ აკაკის ნაკვალევზე მან, კარლო გოგოძემ და მე — 1955, წლის სექტემბერში:

ვასილ ამაშუკელმა საღამოზე გაიხსენა შემდეგი უცნობი დეტალი: სოფელ ნიკორწმინდაში ვიყავით. საღამოს, როცა აკაკი ძილს აპირებდა, გაიღო კარი. ოთახში შემოვიდნენ თეთრ ტანსაცმელში მორთული ქალიშვილები, რომლებიც საწოლის ირგვლივ დადგნენ, თმები ჩამოიშალეს და მგოსანს ძველებური ნანინა უგალობეს.

გადაწყვეტილი იყო სტუმარს მეორე დღეს, სიგრილეში, დაეთვალეირებინა მდინარე შაორის მიდამოები. ამის გამო მგოსანი განთიადზე გააღვიძეს ს. მერკვილაძემ და კ. აბდუშელიშვილმა.

ძილი აკაკის დილით უყვარდა. ვ. პეტრიაშვილი მიესალმა და ჰკითხა ჰოეტს, ლამე ხომ კარგად გაატარეთო?!

აკაკიმ იხუმრა: ანგელოზებმა დამაძინეს და ტკბილად ვისვენებდი, მაგრამ ტარტაროზებმა აღარ დამაცალეს და გამომაღვიძესო.

ამბროლაურის რაიონულ გაზეთ „კომუნარში“ (№ 124) ვასილ ამაშუკელმა მოათავსა წერილი. მსცოვანი კინომოდეწე განახლებული რაჭის მოსახლეობას შემდეგ სწერდა: „უტკბილეს მოგონებად დამრჩება ჩემი მეორედ მოგზაურობა იმ კუთხეში. რომელმაც გულში ჩაიკრა ქართველთა სასიქადულო პოეტი. მე ჰაბუკი ვიყავი, როდესაც მოხუცს, ყველასათვის საყვარელ აკაკის ვახლდი ჩემი კინოპარატი ამ 43 წლის წინათ. ძვირფასი იყო ჩემთვის იმ ადგილების ხილვა, სადაც მეგოსანს ფეხი დაუდგამს. ხანდაზმულობა დამავეიწყდა და მეც მთელი არსებით ჩავები თქვენი საერთო მზიარულების ფერხულში. დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ახალმა თაობამ, რაჭის ცვლილებებმა, მისმა ხალხმა. ამ ახალ სუნთქვას მე, მოხუცი, უშუალოდ ვგრძნობ 'იმ ხანიდან ამ ხანაში გადმოტანილი მზერით, ძველი და ახალი შთაბეჭდილებების შედარებით...“

მესამედ — აკაკის ნაკვალევზე იმოგზაურა ქუთათელ მწერალთა და ჟურნალისტთა დელეგაციამ 1965 წლის 20 და 21 ოქტომბერს.

„მუნჯი“ კინოფილმი მეტყველებს. „ხელოვნებმა 1979 წელს გამოსცა ისტორიულ-დოკუმენტური კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“.

შერჩეულია 90 კადრი. წიგნი 92 გვერდს შეიცავს (ტირაჟი — 10.000). კრებულის ავტორ-შემდგენელია კართო გოგოძე.

კრებულს წამძღვარებული აქვს კარლო გოგოძის მიმოხილვა და ვასილ ამაშუკელის მეტყვარი, ერთვის წერილები ვასილ ამაშუკელისა და მისი ფილმის შესახებ (ავტორები — აკაკი წერეთელი, ლადო ბზვანელი, სერგი ანისიმოვი, გიორგი ლეონიძე, ჟორჟ სადული, გიორგი აზვლედიაანი, რევაზ ჩხეიძე, სიკო დოლიძე, უჩა ჭაფარიძე, გოგუცა კუპრაშვილი, მიხეილ ალავეიძე, კორა წერეთელი, ვიორგი სამხარაძე, ვიორგი დოლიძე).

ვაშოხენილი ფრანგი კინოინტორიცოსი უოპე სადული 1966 წელს ესტუმრა მოსკოვსა და თბილისს. ის დაინტერესდა ვასილ ამაშუკელის ნაწარმოებით. იხილა ფილმი და მოეწონა. მან განაცხადა: მთელი მსოფლიოს სინამდვილეში 1912 წლამდე შექმნილს მოცულობით (1.200 მ.) სხვა ასეთ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ კინოფილმს მე არ ვიცნობო.

„მუნჯ“ კინოფილმს ქართული კულტურის მოღვაწენი დიდად იფასებენ.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რევაზ ჩხეიძე წერს: „სავეებით ბუნებრივია, რომ ვასილ ამაშუკელი, რომლის შემოქმედება ფართო სოციალური ხასიათითა და ეროვნულ-დემოკრატიული ტენდენციებით გამოირჩეოდა, გახდა ავტორი იმ დროისათვის ნოვატორული დოკუმენტური ფილმისა „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. დიდა ამ ფილმის მნიშვნელობა ქართული კინოს ისტორიაში. გარდა იმისა, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი მთელ მსოფლიოში, მასში მთელი ძალით გამოვლინდა ვასილ ამაშუკელის პოზიცია კინოხელოვნების მიმართ. ვასილ ამაშუკელი ამ ახალ. დიდ ფილმშიც ერთგული დარჩა იმ მოწინავე პრინციპებისა, რაც ადრე (1908 — 1909 წ.) გადაღებულ მის დოკუმენტურ სიუჟეტებში გამოსჭეიოდა. „მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს...“ მღეროდა აკაკი და ვასილ ამაშუკელიც აკაკისებრ სწორედ სიმართლის მსახურად, წმინდა აზრის განსამტკიცებლად, ერის წყლულთა მოაბანად და სამკურნალოდ უყურებდა ფილმის გადაღების ამოცანას. ვასილ ამაშუკელის შემოქმედება უეჭველად არის შთაგონებული იმ ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის დემოკრატიული იდეებით, რაც საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ილიასა და აკაკის თაობით იწრთობოდა“ (იხ. გაზ. „კომუნისტი“. 1971. № 270);

„პირველ ქართველ კინემატოგრაფისტს, ქართული კინოს პატრიარქს ვასილ ამაშუკელს. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთელი შემოქმედებითი კოლექტივი გილოცავთ დაბადების 90 წლისთავს. თქვენი განუზომლად დიდი ამავის დამფასებლნი და მადლიერნი ვთვლით თავს ბედნიერად, რომ სა-

შეაღება გვაქვს გისურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. რევანზ ჩხეიძე. 1976 წლის 14 მარტი“.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სიკო დოლიძე წერს: „სამოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ვასილ ამაშუკელის ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ეკრანზე გამოვიდა. მას დიდი წარმატება ჰქონდა. დღესაც, როცა ამ ფილმის შემორჩენილ ნაწილებს ვუყურებთ. გვაკვირვებს ოპერატორ-რეჟისორ ვასილ ამაშუკელის მეტად გადაღებული რაჭა-ლეჩხუმის მთიანეთის პეიზაჟები. გვიტაცებს სიუჟეტური განვითარება ფილმისა, რომლის ცენტრში დიდი მგოსნის სახეა.

ვასილ ამაშუკელმა ამ პერიოდში შექმნა პირველი მხატვრული დოკუმენტური ფილმი, რომელიც მაყურებელში დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. ფილმი თავისი თემატიკით, მიზანდასახულობით, გადაღებული კადრების მხატვრული ღირსებით ამ დროისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო. ამ ფილმით ვასილ ამაშუკელი ქართული კინემატოგრაფიის სათავეში დგას და, როდესაც ქართული კინოს ისტორიის განვითარების საკითხებს განვიხილავთ, არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი დამსახურება და ღვაწლი, რაც მას მიუძღვის“ (იხ. გვ. „კომუნისტი“. 1972. № 129);

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე წერს: „ვასილ ამაშუკელმა შექმნა კინონარკვევი, რითაც უდიდესი სამსახური გაუწია თავის მშობლიურ ხალხს — ცოცხლად შემოუნახა საყვარელი პოეტის სახე, მთელი სიღრმით ასახა ეს უაღრესად ეროვნული თავისებურებებით აღსავსე, ღრმა აზრითა და შინაარსით გამსჭვალული სახალხო ზეიმი.

ახლა ფილმს „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ პირველ სრულმეტრაჟიან ქართულ კინონარკვევად თვლიან და მსოფლიო კინემატოგრაფიის განვითარების პირველი წლების უნიკალურ ძეგლად მიიჩნევენ. სიამაყის გრძობა მავსებს, რომ მისი გადაღების მომსწრე და მოწმე მეც ვარ“ (იხ. ისტორიულ-დოკუმენტური ფილმის კადრთა ფოტოალბომი. 1979. გვ. 18).

1977 წლის 27 აპრილს საქართველოს ტელევიზიამ მოამზადა და გადასცა ვასილ ამაშუკელის დაბადების 90 წლისთა-

ვის საიუბილეო საღამო. სიტყვებით გამოვიდნენ — პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და აკადემიკოსი ავლაჲ ზურაბაშვილი;

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე 1960 წელს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში დაესწრო აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოს. მან აქ იხილა ისტორიული კინოფილმი, გამოთქვა დიდი კმაყოფილება და უღრმესი მადლობა მისი ავტორისადმი.

„პირველი ქართველი კინემატოგრაფისტის ვასილ ამაშუკელის სახელი უკვდავად დაუკავშირდა ქართული კულტურის განვითარებას, სახელს დიდი პოეტის აკაკისა, რომლის ცოცხალი სახე სინემას ლენტმა ასე კარგად შემოუნახა შთამომავლობას, — წერს გიორგი ჯიბლაძე (იხ. გაზ. „ქუთაისი“. 1977. № 241).

ვასილ ამაშუკელი 1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვიეს და შეხვდნენ. მოსმენილ იქნა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სიტყვა:

„თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შევხვდი ადამიანს, რომელმაც აკაკი წერეთლის მოგზაურობა გადაიღო. საშუალება მომეცა ახლო გავეცნო ვასილ ამაშუკელი — შემოქმედი, რომლის შესახებ ბევრი მსმენია, ვინც პირადად უცქეროდა დიდ აკაკის, ქართველი ერის ბულბულს, საუბრობდა მასთან, კინოსათვის იღებდა მის მოგზაურობას, რასაც, ჩემი აზრით, დიდი პოლიტიკური აზრი ჰქონდა — ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის.

ეს ისტორიული დოკუმენტური კინოფილმი უდიდესი განძია ქართული კულტურისა, მაჩვენებელი მისი დიდი სულიერი და ფიზიკური ძალისა. ეს ფილმი განსაკუთრებული ქების ღირსია. მისი ავტორი — უსაზღვრო პატივისცემისა, რადგან, რაც მან გააკეთა რეაქციის პერიოდში, შეეძლო მხოლოდ დიდ პატრიოტს, პოეტს შემოქმედებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობის ღრმა მცოდნეს, თავის სპეციალობას კარგად დაუფლებულსა და გაპბედავ მამულოშვილს“ (იხ. ისტორიულ-დოკუმენტური კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი. 1979. გვ. 17).

ფიქრები ამაშუკელისეულ კინოფილმზე. ძვირფასია. საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის სიტყვაც ვასილ ამაშუკელის შესახებ.

1963 წლის 31 მაისს ქუთაისში გაიმართა გიორგი ლეონიძის იუბილე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ვასილ ამაშუკელმა. პოეტი და კინომოღვაწე ერთიანობას პირადად აღწევს იცნობდნენ.

ჩრებტორან „იმერეთში“ გამართულ ოფიციალურ ბანკეტზე გოგლამ სამახსოვრო გულისთქმა გაამჟღავნა:

„ქართული კინოს ყამირის განტეხი — აკაკის სახის ეკრანზე გამცოცხლებელი აქ არის.

მე დღეს ავედი უქიმერიონზე და რამდენიმე საათს დაფრჩი. იქაც გაგისენეთ, როცა მარჯანიშვილისეული ძველებური იქერული ოდა დამანახეს.

შენი ფილმი ათი წლის წინათ აღმოჩნდა ლიტერატურულ მუზეუმში, რომელიც მე დავაარსე. ახლა სწყოველთაოდ ცნობილია ეს ისტორიული დოკუმენტი და მისი ავტორი. „საქმემან შენწან გამოგაჩინა“.

კინოფილმი პირველად ვიხილე 1955 წელს მწერალთა სასახლეში აკაკის საიუბილეოდ. აღტაცებაში მომიყვანა. ბედნიერი ხარ, ხომ ახლდი აკაკის და ემსახურე ერს პატრიოტულად.

შენი მუნჯი სურათი ბევრ რამეზე მეტყველებს. „სხვა საქართველო სად არის“? — სად გაულმერთებიათ მგოსანი ასე! სავარძელს მიართმევდნენ და ხელში აყვანილი დაჰყავდათ. ძილისპირს ანგელოზები ნანას უკალობდნენ. უფრო აღრე ქუთაისში იუბილარის ეტლს ხალხმა ცხენები გამოსხნა და თვითონ შეება.

ბარაკონის ფერხული ზღაპრული სანახაობაა. პოეტა წრეში დგას. ბავშვებიც და მოხუცებით გარშემო ევლებიან (თავს ევლებიან). ფერხული ცეკვაა, რომელსაც სომღერით ასრულებენ. მომხიბლავია ამგვარი ცეკვა და სიმღერა ერთად.

შორეულ წარსულზეც გავყვევი ფიქრს. კახაბერ ერისთავის სასახლეში თვალწინ წარმომიდგა. შოთაც, თამარს რომ უპასუხა ექსპრომტით: „ფილოსოფოსნი შემოკრბეს...“

მხატვარ კოტე ქავთარაძის ნახელავი გაზეთ „თემის“ სურათებიანი დამატებებით მახსოვს. ალბომად შემონახული უცნობი ფოტოდენები მაინტერესებს — უთუოდ ძვირფასია.

ამაშუველ-ქავთარაძის დოკუმენტური მასალა შემოქმედებითი შთაგონების წყაროა ჩვენი მხატვრებისათვის.

ვოცნებობ ფეხით გავიარო რაჭა-ლეჩხუმის ზეობებში და შთავგრეხილებზე. იქ უშენოდ არ წავალ. აკაკის ნაკვალევს მაწაზე ვერ ვიპოვი. მგოსანს რომ ხელის გულზე (მალა-მალა) ატარებდნენ სატივით. შენ წინ მიუძღოდი აკაკის და შეჩვევდრებს იღებდი. დღეს მხოლოდ შენთვის არის ნაცნობი ის გზა. აკაკის მსლებელთაგან ცოცხალი მარტო შენ დარჩი. ერთადერთი ძესაიდუმლე ხარ, მეც მეგზურად მეყოლები.

ჩემს საღამოებში ეს ფილმიც უნდა ვაჩვენოთ. ცოცხალი აკაკი დაგვესწრება და თავის ნათელს მოჰფენს. ფილმის გადამუშავება აუცილებელია და ამაზე შემდეგ ვიმსჯელოთ.

ჩემი თვალსაზრისით, ღირსეულად უნდა დავაფასოთ შენი ნეთაურნი და ხელისშემწყობნი, რომლებმაც დროზე მოიფიქრეს აესახათ მოგზაურობა, თორემ ეს ზღაპრული ზეიმი ხომ წაიშლებოდა!“ (იხ. ისტორიულ-დოკუმენტური კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. 1979. გვ. 16, 17).

რაჭა-ლეჩხუმში სიყვარულით მიელოდნენ გიორგი ლეონიძეს. მაგრამ მას აქ აკაკის ნაკვალევზე გავლა ოცნებად დარჩა.

მხატვარ კოტე ქავთარაძის ნაშრომი —

„აკაკის ფოტოგრაფიების ალბომი“

ვიცნობდით აკაკის ფოტოალბომს (კომენტარის კომენტარი). 1984 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№4) გამოქვეყნდა დავით შულღიაშვილის წერილი „მხატვრის უნიკალური ალბომი“, რაც კონსტანტინე (კოტე) ქავთარაძეს შეეხება. ავტორი განიხილავს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ცნობილ და უცნობ დოკუმენტურ მასალას ამ შემოქმედის სასახელოდ.

კერძოდ კოტე ქავთარაძისეულიმცირე მასალა გამოქვეყნდა 1912 წელსვე გაზეთ „თემის“ სურათებიან დამატებაში;

მისივე ორი სურათი („საუზმე კომაში“, „შესვედრა ნამახვანში“) მოთავსებული იყო 1912 წელს გამოცემულ ლადო ბზვანელის კრებულში; სურათები „აკაკი ქუთაისის ბაღში“ და „აკაკი მხლებლებითურთ“ გამოაქვეყნა 1934 წელს გაზეთმა „სიტყვა და საქმემ“ (№ 7); აკაკისა და დერჩელი გოგონას თამარ წერეთლის სურათი დაიბეჭდა 1960 წელს გაზეთ „თბილისსა“ (№ 40) და ჟურნალ „პიონერში“ (№ 7); 1960 წელს „ლიტერატურულმა გაზეთმა“ (№ 37, 48) დასტამბა სურათები: „აკაკი კომაში“, „აკაკი ონში“, „აკაკი ხვანჭკარაში“; „აკაკი ქუთაისის ბაღში“ 1960 წელს მოათავსეს გაზეთებმა „კომუნისტმა“ (№ 205) და „ზარია ვოსტოკამ“ (№ 277) და ჟურნალმა „პიონერმა“ (№ 9); „პიონერის“ ამავე ნომერში მოიპოვება აგრეთვე „აკაკი ეტლში გამგზავრების წინ“ და „აკაკი და პატარა გოგონა გოგუცა კუპრაშვილი“; 1960 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№ 279) გამოქვეყნდა „აკაკი ალპანაში“; 1960 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№ 12) მოთავსებული იყო ფოტოები: „აკაკი ეტლში გამგზავრების წინ“, „აკაკი და გოგუცა კუპრაშვილი“ და „აკაკი ხვანჭკარაში“.

უძვირფასესი უცნობი ფოტოალბომი კი სპეციალურ ლიტერატურაში ანლახან იქნა შესწავლილი. 1952 წელს აღმოვაჩინე ეს ფოტოალბომი, რომელიც მხატვარ კოტე ქავთარაძის მიერ გადაღებული სურათების კომპლექტს შეიცავს და ეკუთვნის ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ყოფილ მუშას ნადეჟდა იოსების ასულ ცხვედიან-ჩხობაძეს.

კოტე ქავთარაძეს ალბომი დაუმზადებია ქვიშარელი აგრონომის იოსებ ცხვედიანის თხოვნით. იოსებ ცხვედიანს კი თავისი ქალიშვილისათვის მზითევად გაუტანებია. დედამ ასევე მზითევად უსახსოვრა ის თავის ასულს იზოლდა ჩხობაძე-ტყეშელაშვილს (მცხ. ბუკიას. ქ. № 1).

გაპოირკვა, რომ არსებობდა ქავთარაძისეული ფოტოალბომის რამდენამე ეგზემპლარი. ჩანს, კოტე ქავთარაძე დებულობდა შეკვეთებს და ავრცელებდა თავის ნახელავს. წინათ მე აღვნიშნე ისიც, რომ ქავთარაძისეული ალბომის ერთი ეგზემპლარი თბილისში ქართული ლიტერატურის მუზეუმში არის დაცული (იხ. გაზ. „ქუთაისი“. 1981. № 29); ისტორიკოსი აბელ კიკვიძე წერს, რომ მას ალბომი უნახავს

1920 წელს კრებალის ბიბლიოთეკაში; თლუღელმა (რაჭ-ველმა) ბულალტერმა ვ. გოცირიძემ მაცნობა, რომ ალბომი ჰქონდა შამადავლე ერისთავს (სოფ. წესი) და ივანე ჭიჭინაძეს (სოფ. ხიმში); ნადეჟდა ცხვედიანმა მომითხრო: ქუთაისელი ლიზა აფხაზავა წუხდა — ჩვენს ოჯახში იყო ასეთივე ალბომი, მაგრამ გაგვიფუჭდა, ვერ მოვუარეთო; 1971 წელს ქუთაისის იუბილეზე პოეტ-აკადემიკოსს ირაკლი აბაშიძეს ვასილ ამაშუკელი მიესალმა სიტყვით და საჩუქრად (წარწერით) გადასცა მხატვარ კოტე ქავთარაძისეული ფოტოალბომი (რეპროდუქცია) — აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. არსებობს ამ მომენტის ამსახველი მწერალ გონერი ჭეიშვილის მიერ გადაღებული ფოტოსურათი.

ვასილ ამაშუკელმა 1940 წელს მწერალ მიხეილ ზონენაშვილს, რომელმაც დაწერა ნაშრომი აკაკის მოგზაურობაზე (ნაწილი დაიბეჭდა), დროებით ათხოვა და აღარ მიუღია კოტე ქავთარაძისეული ფოტოები და სხვა მასალა; ასეთივე ცალკეული ფოტოები ბოლომდე პრესაში ქვეყნდება და მოგზაურობის მონაწილეთა ოჯახებსაც აქვთ; ფოტოალბომში „აკაკის მოგზაურობა...“ (კინოფილმის კადრთა კრებული), რომელიც 1979 წელს გამოიცა, მოიპოვება ქავთარაძისეული რამდენიმე ფოტოსურათიც; ალბომი შეუძენია კინოსტუდია „ქართულ ფილმს“; კინორეჟისორმა ალექსანდრე მამულაშვილმა ქავთარაძისეული ალბომიდან შეარჩია საუკეთესო ფოტოკადრები კინოჭრონიკისათვის „ვასილ ამაშუკელი“, რაც შეიქმნა 1971 წელს.

ნადეჟდა ცხვედიან-ჩხობაძის ოჯახში შემონახული ალბომი ძვირფასია, სრული და დაუზიანებელი. საზრუნავია, რათა ეს უნაკლო ეგზემპლარი სტამბურად გამოიცეს.

ქავთარაძისეული ფოტოალბომი 64 გვერდსა და 85 სურათს შეიცავს. მ.ს.ში სრულიად უცნობია 50-ზე მეტი სურათი. კინოფილმი და ქართული პრესა ამ მომენტებს არ ასახავს. ალბომი ჩაკეულია კოლენკორის ცისფერ ყდაში, რაზეც სტამბური ასოებით დაბეჭდილია „აკაკის საიუბილეო მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“. ალბომის სიგრძე 26 სანტიმეტრს შეადგენს. სიგანე 18, ხოლო სისქე 6 სანტიმეტრს.

ამ ალბომში სურათების დალაგებას მხრივ თანმიმდევრობა

დარღვეულია. მე აქ ცალკეულ პუნქტთა მიხედვით დავაჯგუფე ფოტოსურათები და მოვასდინე მათი აღწერილობა (იხ. ქვემოთ). მოგზაურობის მონაწილეთა გამოცნობაში კონსულტაციას მიწვევდნენ — პედაგოგები ლონგინოზ კიკვიძე და ზინა ჯაფარიძე, მწიგნობარი ბიძინა გელოვანი, ბულალტერი სოლომონ ჩიხლაძე და კინომოდელაწე ვასილ ამაშუკელი. ეს მოქალაქენი ახლახან გარდაიცვალნენ.

კონკრეტულ საკითხს ამ თემაზე მე ბევრჯერ შევეხე. ჩემი სტატია სათაურით „აკაკი წერეთლის მოგზაურობის უცნობი ფოტოალბომი“ (მიმოსილვა) დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაშიც (იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1952 წლის 15 აგვისტო; გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 1960 წლის 24 ნოემბერი).

დავით შუღლიაშვილის წერილში ახალი ცნობა იხაა, რომ მხატვარ კოტე ქავთარაძეს „თბილისის ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის“ 1915 წლის 7 ივლისს მიუძღვნია თავისი საუკეთესო ალბომი, რაც ამჟამად ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება; მკვლევარ-ფილოლოგს ყურადღებიდან არ უნდა გაჰპარვოდა, აუცილებლად უნდა გამოეყენებინა და აღენიშნა ორი უმთავრესი პირველწყარო — ცნობილი სტატია „აკაკის ფოტოსურათების ალბომი (აღწერილობა)“ (გაზეთი „სტალინელი“. № 232. 1960 წ.) და დოკუმენტური კინოქრონიკა „ვასილ ამაშუკელი“ (1971 წ.). უნდა დამოწმებულიყო ლადო ბზვანელის კრებულიც (1912 წ.), სადაც მემათიანე ჟურნალისტი მოგვითხრობს კოტე ქავთარაძის მუშაობაზეც. ასეთი პუბლიკაცია აკადემიურ სახეს მიიღებდა, თუმცა ერთ-ერთი ალბომი „უნიკალური“ (ერთადერთ) ალბომად ვერ შეფასდებოდა და „ძვირფას“ ეპითეტს დაკარგავდა. გავრცელებული და განხილული ფოტონაშრომის ხელახალი ზოგადი განხილვაც ძალზე საჭირო აღარ იქნებოდა. თუკი ჟურნალის რედაქცია ამ ნაწილს (მიმოსილვას) შეეცლიდა და შეამცირებდა ავტორთან შეთანხმებით ან შეუთანხმებლად, მაშინ სტატიის სათაურიდანაც უნდა ამოვლოთ სიტყვა „უნიკალური“; უნდა ეცნობებინათ, რომ ჯერ კიდევ 1952 წელს მოპოვებულ იქნა ამ ალბომის ქუთათური სრული ეგზემპლარი და ერთხელ მაინც ზუსტად და-

ესახელებინათ ორივე პირველწყარო (მიმოხილვა და აღწერა-რილობა); საერთოდ კი ახლებური (განსხვავებული) თვალსაზრისითა და უცნობი ფაქტობრივი მასალათ ამა თუ იმ დამუშავებული თემის შესწავლა ყოველთვის აქტუალური და საინტერესოა. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ საყოველთაოდ ცნობილი ეს დოკუმენტური მასალა სპეციალისტმა ასე წაშალოს და არ ახსენოს; ფილოლოგიური ძიებისას პირველად ხომ საკითხის შესწავლის ისტორია უნდა გაირკვეს! სამწუხაროდ, ზოგიერთი მკვლევარი ამ წესს შეგნებულად არ იცავს; რაც შეეხება მოგზაურობის მოკლე ისტორიას, საამისოდ მთელი ტექსტი (სტატიის მოზრდილი აბზაცები — გვ. 39 — 41) უცვლელად ამოღებულია მონოგრაფიიდან „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ (იხ. 1953 წლის გამოცემა. გვ. 473—475) და მისი ავტორი ლევან ასათიანი დასახელებული არ არის იმ „მიზეზით“, რომ ყოველივე ამაჲ 1912 წლის ქართული პრესის „კორესპონდენტები გეაუწყებენ“. მოკლედ: გამოვლინდა ლიტერატურული ეთიკის ნორმის დარღვევისა და პირველწყაროს შეგნებულად თუ შეუგნებლად მიჩქმალვის ფაქტიც.

საყურნალო სტატიისათვის საილუსტრაციო მასალად ამოკრეფილია 10 სურათი, რომელთაგან ცხრა ცნობილია (იხ. ალბომი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ — ქავთარაძისეულ ფოტოსურათთა კოლექცია ვასილ ამაშუკელისეული ფილმის კინოკადრებთან ერთად. 1979). ერთი სურათი (იობა ისაკაძე შვილიშვილითურთ) ზედმეტია, რადგან იობა ისაკაძე გამოსახულია აქვე ოთხ ფოტოში. უმჯობესი იყო მხატვარ კოტე ქავთარაძის პორტრეტის გადმოღება და ცალკე გამოყოფა.

გავამჟღავნებ და დავაზუსტებ ტექსტის ზოგიერთ ადგილს. გასწორება-შეცნებას მოითხოვს წარწერები: 1. „რუს მოგზაურთან, პროფესორ ს. ანისიმოვთან შეხვედრა რაჭის გზაზე“ (გვ. 37). ამ ფოტოსურათის ქვეშ ლადო ბზვანელის კრებულში (1912 წ.) იკითხება: „მეჭვენაში შეხვედრა“ (გვ. 16), მაგრამ ვასილ ამაშუკელის ცნობით, კადრი გადაღებულია იმერეთის სოფელ ნამახვანის გზაზე. ჯგუფში აკაკისთან გამოირჩევიან მხლებელნი: „მელინეიკე“ (მეეტლე) ყურაშვილი, კ. აბდუშელიშვილი, ვ. ამაშუკელი, ს. მერკვილაძე, ი. ისაკაძე... აკა-

კი წერეთელი და ტურისტი ს. ანისიმოვი კი ერთმანეთს მიესალმნენ სხვაგან — რაჭის სოფელ ძირაგეულის ქალაზე (ამბროლაურის მახლობლად)

2. იმერეთ-ლეჩხუმის უღელტეხილზე, რომელსაც „საზღვარას“ უწოდებენ (აქ სვეტს ჰქონდა წარწერა „ლეჩხუმი“ — გვ. 37), ჯგუფად გადაღებულია აკაკი და მხლებელნი: კ. აბდუშელიშვილი, ლ. ბზვანელი, ს. მერკვილაძე, ვ. წერეთელი, ი. ისაკაძე, გ. ღიასამიძე, ვ. პეტრიაშვილი, ვ. ამაშუკელი...

3. შეცდომით აღნიშნულია „აკაკი სოფელ ლაილაშში“ (გვ. 37); კრებალოში, შუშაბანდიანი სახლის წინ მდებარე ტრიბუნაზე; აკაკი წერეთელი ლექციას კითხულობს 1912 წლის 22 ივლისს (კვირას). მგოსანი სავარძელში ზის და მის ირგვლივ არიან: ქაიხოსრო, მიხეილ, ერმილე, ალექსი, ირაკლი, ჭიჭიკო გელოვანები, ვლადიმერ ფოფხაძე. კ. აბდუშელიშვილი, ს. მერკვილაძე, აკაკი ღოღელიანი, ლევან დადეშქელიანი, დიხიონ ახვლედიანი...

4. დასაზუსტებელია რაჭის სოფელ წესის კომისიის შემადგენლობა (გვ. 38): აკაკი ზის. ირგვლივ დჯანან: თევდორე სავანელიძე, ივანე ჭიჭინაძე, რუბენ გოცირიძე, შამშე ლეყავა, ბიჭიკო კვიციანი, ლონგინოზ კიკვიძე (სურათი გადაღებულია ბარაკონში ერისთავის სასახლის აივანთან).

5. ქუთათური გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორად 41-ე გვერდზე შეცდომით წერია ამავე გაზეთის კორესპონდენტი პედაგოგი სამსონ დათეშიძე; გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორი მიხეილ ჯაფარიძე რაჭაში აკაკის ყველგან ახლდა, მაგრამ არ ჰყოლია ლეჩხუმის დაბა ლაილაშს, სადაც გადაღებულია „მხლებელთა ჯგუფი“ (გვ. 39) და სიიდან ის ამოსაღებია. სამაგიეროდ ამ სიას აკლია და უნდა დაემატოს ვასილ პეტრიაშვილი და ვასილ წერეთელი.

6. რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე მდინარეს ეწოდება „ასკი“ და არა „არკი“ (გვ. 41); რაჭის მთავარმა როსტომ ერისთავმა ბარაკონის ეკლესიის მშენებლობა დაასრულა არა 1747 წელს (გვ. 41), არამედ 1753 წელს (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. 1963. გვ. 109).

ამ ფაქტობრივ შეცდომებს არა თუ სპეციალისტი, არამედ ფხიზელი მკითხველიც კი შენიშნავს: მიუხედავად ამისა, სტა-

ტია მაინც სასარგებლო და საყურადღებოა. მკვლევარი განიხილავს მხატვარ კოტე ქავთარაძის შემოქმედებითს პროდუქციას (ფერწერულ ტილოებს) და წარმოგვიდგენს მის ბიოგრაფიას, რაც დღემდის უცნობი იყო.

აკაკი წერეთლის მემატთანე მხატვრის ცხოვრებიდან სამახსოვროა შემდეგი მთავარი ცნობები:

კონსტანტინე (კოტე) ზურაბის ძე ქავთარაძე დაიბადა თბილისში 1879 წელს. ბავშვობიდან გატაცებული ყოფილა ფოტოხელოვნებითა და მხატვრობით. თბილისში მას ასწავლიდნენ გამოჩენილი მხატვრები: პენრიხ გრინევსკი, გიგო გაბაშვილი, ოსკარ შმერლინგი. უსწავლია ლონგოს სამხატვრო სკოლაში, ხოლო 1905 წლიდან საცხოვრებლად პეტროგრადს გადასულა. იქ თანამშრომლობდა რუსულ ჟურნალებში („უიკოპისნოე ობოზრენიე“, „ნივა“) და მონაწილეობდა გამოფენებზე. ითვლებოდა საუკეთესო ეთნოგრაფ მხატვრად.

1911 წლის მაისში კოტე ქავთარაძე პეტროგრადიდან თბილისში დაბრუნდა. მწერლისა და ჟურნალისტის ნიკო კურდღელაშვილის მზრუნველობით კოტე ქავთარაძისეული ნახატები და ფოტომასალა იბეჭდებოდა პრესაში („სახალხო გაზეთი“, „თემი“, „საქართველო“). თბილისში მოეწყო მის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. ეს ნაწარმოებები გამოირჩეოდა ადამიანთა სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათებით. ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში მხატვართხოვრაფი კვლავ პეტროგრადში მოღვაწეობდა. მისი მხატვრული შემოქმედების ნიმუშები და პირადი წერილები მეგობარ ნიკო კურდღელაშვილისადმი საქართველოს ხელოვნებისა და ქართული ლიტერატურის მუზეუმებში ინახება.

მხატვარ კოტე ქავთარაძის ცნობილი ფოტოალბომის თბილურ-ქუთათური სრული ეგზემპლარები მომავალში კვლავაც გამოიყენება აკაკი წერეთლის მოგზაურობათა ისტორიის შესასწავლად და განახლებული ქართული დოკუმენტური ხმოვანი კინოფილმის შესავსებად.

ფოტოალბომის აღწერილობა. ალბომი იხსნება ცნობილი სურათით „აკაკი ქუთაისის ბაღში“, რომელიც გადაღებულია მოგზაურობის დამთავრების შემდეგ.

სურათებში აკაკისთან ერთად არიან მისი თანმხლებნი: ვ. დიასამიძე, ს. მერკვილაძე, ვ. წერეთელი, ი. ისაკაძე, კ. აბდუშელიშვილი, გ. პეტრიაშვილი, ს. დათეშიძე, ლ. ბზვანელი, ვ. ამაშუკელი, ი. ვარაზაშვილი, მ. ჯაფარიძე, ა. იურკვეჩი, ვ. აბულაძე.

ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ წინ დგანან აკაკი, მხლებლები და გამცილებლები. აკაკის გვერდითაა ვ. რუხაძე. აქვეა პოეტის ეტილიც.

ჭომაში, სპ. წერეთლის ეზოში, საუზნეს ლებულობენ. გარდა მხლებლებისა, აქ არიან გამცილებლები: მსახიობ კოტე მესხის და ანა (ვ. პეტრიაშვილის მეუღლე), პოეტი ვ. რუხაძე და სხვები.

სტუმრებს ვხედავთ ნამანვანის გზაზე და მის ახლოს „საზღვარასთან“, სადაც ტელეფონის ბოძზე სუროს ფოთლებს ჩარჩოში ჩასმულია წარწერა „ლეჩხუმი“.

მეჩვენაში გადაღებულია საერთო სურათი დერჩის საზოგადოებისა. აქვე ცალკე აივანზე მაგიდასთან სხედან აკაკი და დერჩელი პატარა გოგონა თამარ წერეთელი. მათთან არიან: ვ. პეტრიაშვილი, ვ. წერეთელი, ი. ისაკაძე, კ. აბდუშელიშვილი და ვ. ამაშუკელი.

ალპანაში (აჭარის ხიდზე) აკაკის ხელში აყვანილი ჰყავს პატარა გოგონა შემდგომ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გოგუცა ნიკოლოზის ასული კუპრაშვილი. აქვე იმყოფებიან ნ. კუპრაშვილის მეუღლე ნინო და ვაჟიშვილი გერასიმე, ერმ. გელოვანი, კ. აბდუშელიშვილი, დ. ახვლედიანი, ერმ. გაბიანი...

აკაკი ლაჯანურის პირასაა: პოეტი მალხაზ ალავეიძის ოდის აივნიდან გადასცქერის მდინარეს, რომელსაც დინამიტით აფეთქებენ თევზების დასაჭერად. ხიდი და გზა სავსეა ხალხით.

ნაჩვენებია საირმის „უდაბნო“ და უღელტეხილი. საქართველოს სამხედრო გზატკეცილს აქ „დაკეცილები“ ჰქვია.

ჭრებალოში ჩანს სატრიუმფო თაღი, შუშაბანდიანი სახლის წინ მდებარე ტრიბუნა, სადაც მგოსანი ლექციას იწყებს. აკაკის ირგვლივ არიან: ვ. ფოფხაძე, კ. აბდუშელიშვილი, ს. მერკვილაძე, აკ. ლოღელიანი, ქ., მ., ე., ა., ი. და ქ. გელოვა-
10. მ. ალაიძე

ნები, დ. ახვლედიანი... წარმოდგენილია ლექციის მომენტიც — მინდორში (ახლანდელი ღვინის ქარხნის წინ) თავმოყროლია უთვალავი ხალხი, მზიანი დღეა — ხელში უჭირავთ ქოლგები. ფონზე შორს, ჩრდილო-დასავლეთით, მოჩანს „წესიგორის“ კალთები.

სოფ. ტოლაში ნადიმობენ; პოეტი და მისი მხლებლები დაბრუნებისას ესტუმრნენ ხვანჭკარელი დიმიტრი ყიფიანის ოჯახს (სუფრას მარანში უსხედან). დ. ყიფიანაა და მის მეუღლე პელაგიას რამდენიმე სურათში ვნახულობთ.

გადაღებულია ბარაკონის ტაძარი, როსტომ ერისთავის საფლავის ქვა, რიონსა და ლუხუნს შუა კორტოხზე აღმართული „მინდაციხე“, რაჭული ფერხული.

რაჭის ერისთავთა სასახლის აივანზე დგანან: აკაკი, შამადავლე მეუღლითურთ (საშა), მათი შვილები — მარო, ვალოდია და გუგული, რძალი ანა ვასილევია. აკაკის სელში უჭირავს შამადავლეს შვილიშვილი. ყურადღებას იპყრობს ალბომში დაცული ჩანაწერი, რომელიც გაუქეთებია ქუთაისის სტამბის მუშას მკინძავ გიორგი ვასილევს: „ეს ალბომი მომიტანეს გასაკეთებლად. მასში ვნახე ჩემი ბიძაშვილი, სიძე ვალოდია ერისთავი და მათი პატარა ვაჟი ჯონდო, აკაკის ნათლული. იგი პოეტს ხელში აუყვანია. ჯონდომ დაამთავრა უმაღლესი და გარდაიცვალა. ამ ალბომის დათვალიერებით ძალზე კმაყოფილი დავრჩი“.

მეორე სურათში შამადავლე ერისთავის სასახლის აივანზე აკაკი მრგვალ მაგიდასთან ზის და ყველა (ახალგაზრდობა) ფეხზე დვას. სურათი აღადგენს შენობას, რომელიც ამჟამად აღარაა. პოეტს ხელში უჭირავს პატარა გოგონა, შემდგომ გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მაცია ვლადიმერის ასული ფოფხაძე. აქვე არიან: თ. და ალ. ფოფხაძეები, ვ., მ. და ს. წერეთლები, ზ. ჯაფარიძე, ა. კიკოშვილი, ვ. კანდელაკი, დ. წულუკიძე, დ. ლანდია...

ალბომში ვეცნობით წესის კომისიის წევრთა ჯგუფს. აკაკი ზის, ირგვლივ დგანან: თ. საგანელიძე, ვ. კიკინაძე, რ. გოცირიძე, შ. ლეჟავა, ბ. კვიციანი და ლ. კიკვიძე.

გადაღებულია ხიდიკარი, ხოტევის ციხე და მასთან ნიკორწმინდისაკენ მიმავალი გზა. დ. კანდელაკის ეზოში, ცაცხვის

ხსკევეშ, გამართული ნადიმი; დ. კანდელაკის სახლის აივანზე წებუა აკაკი და მის ირგვლივ ფეხზე დგას თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი თმაჩამოშლილი და ხელაპყრობილი ოთხი ქალიშვილი. ერთი მიაგანი არის ცაცა ჭეიშვილი-ასათიანი, ორი კანდელაკის ასულია (საშა და ელენე). შერთხე კი უცნობია. მეორე სურათშიც ამავე აივანთან, შესასვლელი კიბის თავზე, ზის საზაფხულო შავ პალტოში ჩაცმული აკაკი და მის გარშემო არიან იგივე „ანგელოზები“.

გადაღებულია შორის ქალა, ტბა „ხარიათვალა“, სადაც სტუმრები სხედან საუზმის დროს.

რაკის სამაზრო ცენტრი ონი ნათლად არის წარმოდგენილი. გარკვევით მოჩანს ქუჩები, შორი-შორ აგებული სახლები, სიძინდიანი ყანები და მანლობელი მთები, დიდძალი ხალხი ხიღზე და რიონის პირას. აკაკი აქაც ფერხულში ჩაუბამთ.

ონის კომისიის წევრთა ჯგუფში (შუაში ზის აკაკი) შედიან: კ. წულუკიძე, ა. მეტრეველი, დ. კერესელიძე, დ. გოცირიძე, მ. გორდენიანი, ს. ჩიკვაძე, ა. გამყრელიძე, ვ. ელიავა, ა. ჯანუაშვილი... დ. გოცირიძის სახლის წინ აკაკისთან იმყოფებან: გ. და თ. საგანელიძეები, დ. ყიფიანი, მ. ჯაფარიძე, გ. მეტრეველი, ს. ჭელიძე, ნ. ბაქრაძე, ა. კიკოშვილი, კ. წულუკიძე, ვ. ერისთავი...

ფირფასი სურათია „აკაკი ნაციონალურ ფორმაში ჩაცმულ რაჭველებთან“. ორ რიგად ჩამწყრივებულან მანდილოსნები: ე. გიორგობიანი, ა. ერისთავი, ნ. გოცირიძე, ლ. გორდენიანი, ბ. ფოფხაძე, ა. კიკვიძე, ა. მეტრეველი, მ. ჯანუაშვილი... და შაძაკაცები: დ. გოცირიძე, ს. ჩიკვაძე, ნ., ქ., გ., ლ. და ვ. ჯაფარიძეები.

გადაღებულია „ორპირი“ (ლაჯანურის ხეობა). სურათშიც წარმტაცია კლდეკარი „ბებურიშვილის წყალთან“, სადაც ამჟამად ლაჯანურქვისის საგუბარია.

ლაილაშის საბაზრო გზა და ახლომანლო სახლოა სახურავები გაქედილია ხალხით. ლაილაშიდან წამოსულ გამცილებლებს სურათი გადაუღიათ ალპანაშიც. მგოსნის გარშემო არიან ლ. და ს. ჰეავენაძეები, დ. და ვ. გერსამიები, გ. კუპრაშვილი, ს. ჩიხლაძე, გ. ჩაჩხიანი, დ. ყუბანეიშვილი.

საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს სარე-

დაქციო საბჭოს წევრთა სურათი. მასში არიან აკაკის მოგზაურობის მემატიანენი. საწერ მაგიდასთან ზის და მუშაობს ოთხი ავტორი: ს. მერკვილაძე, გ. დიასამიძე, ლ. ბზვანელი და ს. დათეშიძე. ფეხზე დგას ვ. ამაშუკელი და ხელში კინოაპარატი უჭირავს. ამ ჯგუფს აკლია მხატვარი კ. ქავთარაძე, რომელმაც ეს სურათი გადაიღო.

ალბომში თითოეულ სურათს ქვეშ აქვს წარწერა, ზოგიერთი ადგილი (სახელწოდება) შეცდომით აღუნიშნავთ და გასწორებას საჭიროებს. აქ ვკითხულობთ: აკაკი „ფერმაში“ (გვ. 1), აკაკი მექვენაში (გვ. 3), აკაკი წესში ერისთავიანთ სასახლის აივანზე (გვ. 15). მითითებულ გვერდებზე წარწერები ასე უნდა შეიცვალოს: აკაკი ქუთაისის ბაღში, აკაკი ალპანაში, აკაკი მექვენაში.

ფოტოალბომს ფრაღმენტიზებული საზოგადოებრივი ღირებულება აქვს. იგი ნათლად აშუქებს სახელოვანი მგოსნის მოგზაურობის ძირითადს ეპიზოდებს.

უნაკლოდ გადარჩენილი ეს ერთადერთი ალბომი შესაძლებელია გამრავლდეს. მისი სურათებით უნდა შეივსოს და გაძიდდეს მოგზაურობის ამსახველი განახლებული ხმოვანი კინოფილმი.

კრიტიკული შენიშვნები

მოგზაურობის დიდძალი ლიტერატურიდან ამოვკრიფე და კრიტიკულად განვიხილე შემჩნეული უნებლიე ფაქტობრივი შეცდომები და ზოგიერთი ავტორის სადავო ნაზრევნი.

შესწორებანი დოკუმენტურ პირველწყაროებში. რაჭალეჩხუმში აკაკის მოგზაურობით გამოწვეული სახალხო ზეიმი 1912 წელსვე აისახა მგოსნის თანამგზავრთა ნაშრომებში. ესენია: ეურნალისტ ლადო ბზვანელის სტატიათა კრებული, კინომოდერაწე ვასილ ამაშუკელის დოკუმენტური ფილმი და მხატვარ კოტე ქავთარაძისეული ფოტოალბომი. მოგზაურობის ამ ლიტერატურულ წყაროთა დადებითი შეფასება მე მოცემული მაქვს (იხ. ზემოთ).

სამივე უნიკალური ნაშრომი შეიცავს ზოგიერთ ფაქტობრივ შეცდომას, რომელთა გამჟღავნება აუცილებელია.

ლადო ბზვანელის წიგნში „აკაკის მოგზაურობა რაქა-
ლჩხსუში“ გაპარულია შემდეგი შეცდომები:

მოგზაურობის პერიოდში, სხვადასხვა დროს, აკაკის გადა-
სცეს საჩუქრები: ოქროს კალამი, ვერცხლის სურა, აზარფეშა
და ჯობი. მოვერცხლილ-მოოქროვილი სათუთუნე, მოხარატებუ-
ლი ხის ხონხები, ხელნაწერი წიგნები... ლ. ბზვანელს აკა-
კის საჩუქრებში კი შეცდომით აღნიშნული აქვს „ოქროს
სურა“ (გვ. 32). ამ დეტალს ქვემოთაც შევეხები.

ლ. ბზვანელის წიგნის 42 — 49 გვერდებზე დარღვეულია
თანმიმდევრობა. ავტორი აღწერს შეხვედრებს მდ. რიცეუ-
ლისა და სოფელ ჩორჯოს მიდამოებში. მისი ჩვენებით, აკაკი
ჯერ შიილო სადმელის საზოგადოებამ, შემდეგ კი — ბუგეუ-
ლისამ (ტოლიდან სადმელში მივედით და სადმელიდან ჩორ-
ჯოს დუქნებთან). სინამდვილეში რაქაში მიმავალი მგზავრი
ტოლა-ხვახკარის ზემოთ ჯერ ჩორჯოსა და ბოსტანას გაივ-
ლის, შემდეგ კი — სადმელის კალას.

ლ. ბზვანელის წიგნი შეიცავს მნიშვნელოვან მასალას რა-
ქის ისტორიიდან. ავტორი გვაცნობს ღირსშესანიშნავ ნაშ-
თებს (ციხე-სიმაგრეებს. მონასტრებს), ხალხურ სანახაობებს
(მაგალითად, რაჭულ ფერხულს), რაქის მთავართა (ერისთავ-
თა) და მათ შთამომავალთა ცხოვრების ეპიზოდებს, ბარაკო-
ნისა და ნიკორწმინდის ტაძრებში დაცულ წარწერებსა და
ბეირფას ნივთებს.

ბარაკონისა და ნიკორწმინდის საეკლესიო ნივთები (ხატები,
ჯვრები, ხელნაწერები და ნაბეჭდი თხზულებანი) დღემდე სრუ-
ლად არ არის შემონახული და ამის გამო ლ. ბზვანელის წიგნს
ფასდაუდებელი მნიშვნელობა მიენიჭებოდა, რომ იგი ერთად-
ერთი წყარო იყოს.

მომდევნო ხანებში (1919 — 1920 წლებში) რაქაში ექსპე-
დიცია მოაწყო უდიდესმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა:
მან შეისწავლა ქვემო, ზემო და მთარაქის უმთავრესი ისტო-
რიული ადგილები და ძეგლები.

ლ. ბზვანელთან არ გვხვდება რაიმე ისეთი ფაქტი, რასაც
ექვთ. თაყაიშვილი არ იცნობდეს და უფრო ზუსტად არ აღ-
ნუსხავდეს.

ამ კუთხის სიძველეთა შესახებ და, კერძოდ, აკაკის მოგ-

ზაურობისათვის უპირველესად უნდა გამოვიყენოთ ექვთ. თაყაიშვილის კაპიტალური ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“ (1963 წ.).

ექვთ. თაყაიშვილის მიერ გადმოღებული ასომთავრული სრული წარწერა (ქარაგმების გახსნით), რაც ნიკორწმინდის ტაძარს დასავლეთის კარიბჭის თაღზე აქვს, შემდეგია: „ქრისტე; ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე, ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა შინა შენსა მეოხებითა წმინდისა მღვდელთ მოძღურისა ნიკოლოზისათა“.

როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ტაძარი აგებულია მეათე-მეთერთმეტე საუკუნეთა მიჯნაზე, ბაგრატ მესამის დროს.

ლ. ბზვანელი ნიკორწმინდის ტაძარს ბაგრატ მესამის ხანას აკუთვნებს, მაგრამ 84-ე გვერდზე მის მიერ მითითებული წლები 1027 — 1072 კი ბაგრატ მეოთხის მეფობის პერიოდს ნიშნავს და ამის გამო ავტორი ძეგლს სწორად ვერ ათარღლებს. მას უნდა ეჩვენებინა ბაგრატ მესამის ეპოქის გამომხატველი წლები 975 — 1014 (იხ. ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“, I. გვ. 337. 1948).

ქუთაისში „ორ აგვისტოს, — წერს ლ. ბზვანელი, — მგონის მსლებლები შევიკრიბეთ, წავიყვანეთ მგოსანი „ფერმის“ ბაღში, გადავიღეთ სურათები, გამოვეთხოვეთ და გავისტუმრეთ“ (გვ. 179). მოგზაურობის დამთავრების შემდეგ კინოთეატორმა და მხატვარმა აკაკისა და მის თანაზღაურებს სურათები გადაუღეს არა „ფერმაში“, არამედ ქუთაისის ბაღში. კადრი წარმოდგენილია კინოფილმის დასასრულს. კინოფილმი და ფოტოალბომი კი იხსნება სურათდღე — აკაკი ქალაქ ქუთაისის ბაღში.

მოგზაურობის დროს აკაკის თან ახლდა ერთადერთი ქალი ანუტა იურკევიჩი (წერდა „რუს-იმერლის“ ფსევდონიმით), ვინც ლ. ბზვანელს დასახელებული არა ჰყავს.

წიგნში ლაპარაკი არაა რუს ტურისტებზე და არც მათი ხელმძღვანელი ს. ანისიმოვი იხსენიება. როგორც ცნობილია. „უტროდან“ გადმობეჭდილი ს. ანისიმოვის სტატია მოთავსებული იყო 1912 წელს „სახალხო გაზეთში“ (№ 754).

წიგნში მოთავსებულია აკაკის რამდენიმე სიტყვა, როგორც ჭვირფასი მასალა. ავტორი ეზება აკაკის ლექციას კრებალში, მაგრამ კრებულში და მაშინდელ პრესაში ამ ლექციის ტექსტი და აგრეთვე ამბროლაურის მახლობლად რუს ტურისტებთან შეხვედრის დროს პოეტის მიერ წარმოთქმული სიტყვაც არ დაბეჭდილა: აკაკის უცნობი ლექცია და სიტყვა ჩემ მიერ აღდგენილია პედაგოგ ლონგინოზ კიკვიძის გადმოცემის მიხედვით.

ვასილ ამაშუკელის ფილმის წარწერები მოკლეა და ცოტა. აქ დამახინჯებულია გეოგრაფიული სახელებიც. იკითხება სოფელი „ძიქასტარო“ (ჯიმასტარო). მდ. „შაიანი“ (შაორი), დაბა „ლაოლაში“ (ლაილაში); კადრებს შორის ერთგან დარღვეულია თანამიმდევრობაც: ნიკორწმინდის მიდამოების ჩვენების პროცესში ჩართულია ონში შესვლის ეპიზოდი.

მხატვარ კოტე ქავთარაძისეულ ფოტოალბომში თითოეულ სურათს ქვეშ აქვს წარწერა. ზოგიერთი ადგილი (სახელწოდება) შეცდომით აღუნიშნავთ და უნდა გასწორდეს. აქ ვკითხულობთ: „აკაკი „ფერმაში“ (გვ. 1), აკაკი მექვენაში (გვ. 8). აკაკი წესში ერისთავიანთ სასახლის აივანზე (გვ. 15). შითითებულ გვერდებზე წარწერები ასე უნდა შეიცვალოს: აკაკი ქუთაისის ბაღში, აკაკი ალპანაში, აკაკი მექვენაში.

აქ აღნუსხული რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა ცხადყოფს იმ აზრს, რომ აკაკი წერეთლის მოგზაურობის ამსახველ დოკუმენტურ პირველწყაროებს მკვლევარიც და მკითხველიც კრიტიკულად უნდა იყენებდნენ.

მოგზაურობის გახსენება და განხილვა. საქართველოს ისტორიის მკვლევარი პროფესორი აბელ კიკვიძე შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა აკაკის მოგზაურობის საკითხის შესწავლაში. მან დაწერა მოკლე მემუარი და მიმოხილვაც.

1960 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 40) დაისტამბა აბელ კიკვიძის მოგონება „შეხვედრა აკაკისთან რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის დროს“.

ავტორი მხატვრულად აღწერს კრებალში ჩატარებულ ზეიმს და გვაცნობს თავის შთაბეჭდილებებს. საინტერესოდ

არის მდებარეობილი, თუ რა სასიხარულო განცდები გამოიწვია შვიდი წლის ბავშვში აკაკის ნახვამ. ნადიმის დროს იგი აკაკის მოეწონა. ბავშვთა ჯგუფიდან გამოიყვანეს და აკაკის გვერდით დასვეს. აკაკიმ ბავშვს მიუაღერსა და ესაუბრა. ბოლოს ხელი ჩამოართვა და აკოცა. ბავშვი აღფრთოვანებული დაბრუნდა შინ. სოფ. ქვედა შავრაში დიდხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ ეს ამბავი.

წერილში ყურადღებას იპყრობს ლონგინოზ კიკვიძის ნაამბობი, რომელიც ნიკორწმინდაში აკაკის ყოფნას შეეხება მასში მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდია აკაკის სიზმარი.

მოგონებაში გვხვდება არსებითი ხასიათის შეცდომები. ჩანს, ავტორი დაყრდნობია მხოლოდ თავისი ბავშვობის ხსოვნას და ფაქტები წყაროებით არ შეუმოწმებია.

აბ. კიკვიძის გადმოცემით, ჳრებალოში აკაკის ლექციის თემა იყო შოთა რუსთაველი და მისი პოემა. ეს ლექცია ყველამ ვერ მოისმინა, რადგან იგი მოეწყო დაბის ერთ-ერთ შენობაში, რომელიც ლავრენტი ოტიას ძე ბენდუქიძეს ეკუთვნოდა. ცნობა ნამდვილი არაა.

ჳრებალოში ლექცია ჩატარდა კვირას — 22 ივლისს (ძველის სტილთ) და თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. „8-9 საათიდანვე, — წერს აკაკის თანამგზავრი ლადო ბზვანელი, — დიდმა და პატარამ იწყეს მოსვლა ყოველი კუთხიდან. მგოსანი ამ დროს ჩანჩქერთან იჯდა და მუსაიფობდა. 12 საათზე აკაკი ჩასვეს მორთულ სავარძელში და ხელით ჩამოატარეს ქუჩებში. იქით-აქეთ იდგა საზოგადოება, იქნებოდა დაახლოებით ხუთიათასი კაცი და ქალი. აკაკი მიიყვანეს ქუჩის ბოლოში მორთულ კათედრასთან და დასვეს. გარშემო შემოესია ეს ამოდენა ხალხი. მგოსანმა დაიწყო თავისი ლექცია, რომელშიც ჳერ ილაპარაკა საქართველოს არქეოლოგიური ნაშთების, ძველი მონასტრებ-ტაძრებისა და ძველი ნივთების შესახებ, მეორე ნახევარში კი ზეპირსიტყვაობის მნიშვნელობისა და შეკრების შესახებ“ („აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. გვ. 30. 1912).

ლ. ბზვანელის ცნობას იმოწმებს მკვლევარი ლევან ასათიანი და აღნიშნავს: „ჳრებალოში აკაკის ლექცია შეეხებოდა ძველ

ქართულ არქეოლოგიურ ნაშთებს და ზეპირსიტყვაობას“ („ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. გვ. 474. 1953).

კინოფილმიდანაც ჩანს, რომ ჭრებალოს გზაზე ლექციის მოსასმენად მიედინება დიდძალი ხალხი. მზიანი დღეა — ხელში უჭირავთ ქოლგები, მოძრაობენ ადამიანთა ჩრდილებიც; მხატვარ კოტე ქავთარაძეს გადაღებული აქვს შუშაბანდიანი სახლის წინ ნალიჩებით მოკრთული ტრიბუნა, სადაც მგოსანი მის უახლოეს მასპინძლებს შორისაა და ლექციას იწყებს. ტრიბუნაზე აკაკის ირგვლივ არიან ს. მერკვილაძე, კ. აბდუშელიშვილი, ქ. გელოვანი, ვლ. ფოფხაძე, დ. ახვლედიანი, კ. ლოლელიანი და სხვები. აკაკის შავი კოსტიუმში აცვია და სკამზე ზის.

მეორე ფოტოსურათში გადაღებულია ლექციის მომენტი — მინდორში (ახლანდელი ღვინის ქარხნის წინ) თავმოყრილია უთვალავი ხალხი, ფონზე, შორს, ჩრდილო-დასავლეთით, მოჩანს „წესიგორის“ კალთები.

მოგზაურობის დროს, როგორც ცნობილია, აკაკის თანამგზავრმა ყურნალისტებმა შეკრიბეს ადგილებზე აკაკისა და რაჭველ-ლეჩხუმელთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, აღწერეს ყველა შეხვედრა და მთელი ეს ფაქტობრივი მასალა 1912 წელსვე „თემის“, „კოლხიდისა“ და „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნეს. ჭრებალოში წაკითხული ლექციის ტექსტი არ დაბეჭდილა და არც ხელნაწერის სახით დარჩენილა. სამწუხაროდ, ეს ლექცია და რუს ტურისტებთან ამბროლაურის მანლობლად აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა სარედაქციო საბჭოს წევრებს არ ჩაუწერიათ და გამოცემის მიზნით შემდეგაც არ შეუყრებიათ.

პედაგოგი ლონგინოზ კიკვიძე საიუბილეო-საორგანიზაციო კომისიის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა. მგოსანს იგი რაჭაში ყველგან ახლდა. ცნობილია, რომ ლ. კიკვიძემ ჭრებალოსა და ნიკორწმინდაში წარმოთქვა სიტყვები.

ლ. კიკვიძემ ჩემი თხოვნით დაწერა მოგონება ამ ორ უცნობ ფაქტზე. მოგონება დაახლოებით აღადგენს მგოსნის ლექციისა და სიტყვას მოკლე შინაარსს. ეს მასალა აკაკი წერეთლის მოგზაურობის ისტორიას ახალი ცნობებით ამდიდრებს. ლ. კიკვიძის ნაამბობა მე ორჯერ გამოვაქვეყნე (იხ.

1953 წ. გაზ. „სტალინელი“, № 98; 1958 წ. ჟურნ. „რიონი“).

ამრიგად, აკაკიმ ჭრებალოში ლექცია წაიკითხა არა რომელიმე შენობაში და ვიწრო წრეში, არამედ გარეთ (ოია ცისქვეშ) მოედანზე. მისი ლექცია ეხებოდა არა შოთა რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“, არამედ საქართველოს არქეოლოგიურ ნაშთებსა და ზეპირსიტყვიანობას.

ლექციის შემდეგ. მინდორში, ძველი ციხის ნანგრევებთან, ასწლოვანი ცაცხვისქვეშ გაიმართა ნადიმი.

ლ. ბზვანელის აღწერით. ნიკორწმინდაში, დავით კანდელაკის ოჯახში „სალამოს მგოსანს ჩაი მიართვეს და მოასვენეს ამ ღროს იმის ოთახის კარებს მოადგნენ თეთრად ჩაცმული და თეთრი ფრთებით მორთული „ანგელოზი“ ქალიშვილები და უმღერეს ტბილი ხმით „ნანინა“. მეორე დღეს კი, როცა ნიკორწმინდიდან მიემგზავრებოდნენ ონისაკენ, მასპინძლის სახლის დერეფანში აკაკი გარშემო თეთრად მოკაზმული „ანგელოზებით“ (ქალიშვილებით) გადაიღო მხატვარმა კოტე ქავთარაძემ“. პირველი ქართველი კინომოღვაწე ვ. ამაშუკელიც იდასტურებს ამ ფაქტს.

აბ. კიკვიძეს ეს წყაროები არ მოუნახავს, თორემ სხვანაირ ცნობას არ მოიტანდა. მისი გადმოცემით აღნიშნული ფაქტი (ღა სურათის გადაღებაც) კანდელაკისას მომხდარა ნასადილევს სადარბაზო ოთახში, სალამოს კი აკაკი სიზმრადნახულ ამბავს მოჰყოლია.

ერთ-ერთი „ანგელოზი“ ქალიშვილი ცაცა ჭეიშვილი-ასათიანი, რომელიც მაშინ ჩვიდმეტი წლის იყო, ცხოვრობდა ქუთაისში. მას კარგად ახსოვდა ეს შემთხვევა: „ნანა“ სალამოს ოთახში საწოლთან ვუგალობეთ აკაკის, სურათი კი დღისით აივანზე გადავიღეთ. მართალს წერსო ლ. ბზვანელი.

მხატვარ კ. ქავთარაძისეულ ფოტოალბომში მოთავსებული ორი სურათიც ამასვე მეტყველებს: აივანზე წევს აკაკი და მის ირგვლივ ფეხზე დგას თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი თმაჩაპოშლილი და ხელაპყრობილი ოთხი ქალიშვილი (აბ. კიკვიძე შეცდომით აღწერს სურათს: „დიდ დარბაზში აკაკის სინნავს...“): მეორე სურათშიც ამავე აივანთან, შესასულელი კიბის თავზე ზის საზაფხულო, შავ პალტოში ჩაცმული აკაკი და მის გარშემო არიან იგივე „ანგელოზები“.

რამდენიმე ადგილი (ქაიხოსრო გელოვანის ლექსის დასაწყისი, დათა გოცირიძის სახლის კედელზე დაცული წარწერა, აკაკის ნათქვამი: რაქა-ლეჩხუმის ნახვა ბოლოს მოვიტოვეო) ცნობილია და მოგონებას ახალს არაფერს კმატებს.

ეს შენიშვნები ქართულ პრესაში მე გამოვთქვი 1960 წელს (ვახ. „სტალინელი“. № 207). ამ კრიტიკულ წერილს აბ. კიკვიძე განგებ არ გამოხმაურებია, მაგრამ თავისებური საპასუხო ფორმა კი მოუწინავეს: მან თავისი მემუარული ცნობები მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომშიც გაიმეორა და დაიცვა ხაზგასმითაც.

უტყუარ ლიტერატურულ პირველწყაროზე მითითება და დასაბუთება არ შეიძლება ეწოდოს იმგვარ ციტირებას, რასაც ევემოთ მოვიყვან.

1976 წელს მასობრივი ტირაჟით გამოქვეყნდა აბელ კიკვიძის სასარგებლო წიგნი „რაქა“ (მისი რევოლუციური წარსული და აწმყო). აქ 61 — 70 გვერდებზე მოთავსებულია მოკლე განხილვა — „აკაკის მოგზაურობა რაქა-ლეჩხუმში 1912 წელს“. ავტორი მხოლოდ 1912 წლის პრესის (გაზეთ „თემისა“ და „სახალხო გაზეთის“) მასალით სარგებლობს და აღწერს ისტორიულ მოვლენას. მას რატომღაც ბოლომდელი სპეციალური ლიტერატურაც არ გამოუყენებია.

სადავო საკითხზე შევამოწმეთ ციტირება: რას წერს აბ. კიკვიძე და თუ ემთხვევა ის პირველწყაროს ჩვენებს.

შგოსანი დასვეს სავარძელზე და ხელით შემოატარეს კრებალოს ერთადერთი დიდი ქუჩა. ხალხი ორმხრივ ჩამწყრივებულიყო და მხურვალედ უკრავდნენ ტაშს საყვარელ სტუმარს.

„ქუჩის ბოლოს ამართული ტრიბუნიდან აკაკი მიესალმა ხალხს. ამის შემდეგ იქვე, ლ. ბენდუქიძის სახლას დიდ დარბაზში, შედგა მისი ლექცია, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ისტორიულ წარსულს, „ვეფხისტყაოსანს“, ხალხის ბრძოლას თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრებისათვის და მისი ამსახველ ისტორიულ ნაშთებს, ზეპირ თქმულებებს“.

აბელ კიკვიძე აქ სქოლიოში უჩვენებს წყაროს: გაზ. „თემი“. № 83. ახლა გადავშალოთ 1912 წლის გაზეთ „თემის“ ეს ნომერი და წავიკითხოთ:

შიგ, აი, რა წერია:

„მეორე დღეს დილიდანვე დიდი მოძრაობა იყო ქრებალო-ლოში. ყოველი კუთხიდან მოდიოდა ხალხი. არც ერთი სოფელი არ დარჩენილა, რომელსაც არ გამოეგზავნა უჩვეულო ზეიმზე თავიანთი მცხოვრებნი. როდესაც დიდძალი, რამდენიმე ათასი ხალხი შეიკრიბა, პოეტი, რომელიც ამ დროს ჩანჩქერთან იჯდა და ემუხაიფებოდა ნაცნობ პირებს, ჩასვეს მშვენივრად შორთულ სავარძელში და ხელით წამოიყვანეს დიდი ქუჩით იმ ტრიბუნისაკენ, სადაც უნდა წაეკითხა ლექცია.

წესრიგის დამცველებს ხალხი ჩაემწკრივებინათ ქუჩის ორივე მხრით. მგოსანი მიჰყავდათ ქუჩის შუაში. ქალიშვილები ყვავილებს უფენდნენ გზაზე. კინემატოგრაფმა ეს სურათიც გადაიღო.

როდესაც აკაკი შევიდა ტრიბუნაზე, ხალხი გარშემო შემოეხვია. სამწუხაროდ, ფარდულის გაკეთება ვერ მოესწროთ და ამიტომ მზემ ძალიან შეაწუხა ხალხი. აკაკიმ წაიკითხა ლექცია ისტორიული ნაშთებისა და ზეპირსიტყვაობის შეკრების მნიშვნელობაზე და გამოთქვა სურვილი, რომ, რაც შეიძლება მალე დაარსებულყო ზეპირსიტყვაობის შემკრები საზოგადოება. ლექციის შემდეგ პოეტი მიიწვიეს ნაღიმზე რიონის პირას უშველებელი ცაცხვის ხისქვეშ“.

სტატიას ხელს აწერს „მგოსნის მსლებელი“, რომელშიც გაზეთ „თემის“ გამომცემელი გრ. დიასამიძე არ იგულისხმება. ეს ფსევდონიმიც ეკუთვნის გაზეთ „თემისა“ და „სახალხო გაზეთის“ მუდმივ თანამშრომელს ლადო ბზვანელს (იხ. გაზ. „სიტყვა და საქმე“. 1943. № 7).

აკაკის ლექციის შესახებ ამასვე მეტყველებენ სხვა პირველწყაროებიც — კინოფილმი და ფოტოალბომი (იხ. ზემოთ) აბელ კიკვიძე კვლავაც განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის, რაც სარწმუნო არაა.

აბ. კიკვიძე სათანადოდ აფასებს ქურნალისტთა ამავს მოგზაურობის ასახვის საქმეში. იგი სწორად წერს: „გაზეთ „თემში“ დაკულისა, თუმცა ყოველთვის არაზუსტი, მაგრამ მაინც ფრიად საყურადღებო ცნობები“ (გვ. 69).

ჩვენს ისტორიკოსს ერთგან ვერ შეუხინძნავს ფაქტობრივ შეცდომა. უდავო ყალბ ცნობას ის სანდოდ იმოწმებს: 1912 წლის გაზეთ „თემის“ 83-ე ნომერში (და არა აბ. კიკვიძის მიერ

მათიებულ 87-ე ნომერში) ასე იკითხება: ჭყვიშის საზოგადოების წარმომადგენლებმა მგოსანს საჩუქრად მიართვეს ოქროს სურა (გვ. 63).

აბელ კიკვიძეს არ გამოუყენებია 1912 წლის გაზეთი „კოლხიდა“ (№ 106), რაც ფაქტს სწორად გვაცნობს: „რიონის პირას, ასკის შესართავთან, გაშალეს სუფრა, მგოსანს მიართვეს საჩუქრად გამზადებული ვერცხლის სურა“. ამ დეტალს მკვლევარი ლევან ასათიანიც ეხება: „ჭრებალოში, ლექციის შემდეგ, პოეტს დიდი ნადიმი გადაუხადეს და საჩუქრად მიართვეს ვერცხლის სურა“. („ცხოვრება ასაკი წერეთლისა“, გვ. 474. 1953). ლაღო ბზვანელი ისევ შეცდომით წერს „ოქროს სურას“ (ქრებული. 1912. გვ. 32), ეს ვერცხლის სურა, სხვა საჩუქრებთან ერთად, ამჟამად სოფელ სხვიტორში (ასაკის სახლ-მუზეუმში) ინახება.

აბელ კიკვიძე ერთგან ასახელებს თავის მემუარს ისე, რომ კრიტიკა მას თითქოს არ შეხებია. 65-ე გვერდზე აღნიშნავს: „აქ აღარ შევუღვებთ ნიკორწმინდაში გატარებული დღის აღწერას, როგორც ეს დღე, ისე ჭრებალოს ზეიმი აღწერილი მაქვს წერილში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში (1960 წელი. № 40)“.

მემუარის ამ ადგილზე შესახებ ზემოთ ნათქვამს აღარ გავიმეორებ. ასეთია ჩემი ძველი და ახალი ფაქტობრივი შენიშვნები აბელ კიკვიძისეულ მასალაზე.

ერთი საგაზეთო სტატიის რაობა. 1960 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№ 279) გამოქვეყნდა ფილოლოგ სირა ჭიჭინაძის სტატია.

წერილში მოიპოვება შეცდომები და დაუზუსტებელი ადგილები. აქ ვკითხულობთ: ჭრებალოში „სულგანაბული უსმენდა ზღვა ხალხი ასაკის ლექციას „ვეფხისტყაოსანზე“. განსაკუთრებით ყლერდა მგოსნის სიტყვები რუსთველის გმირების დახასიათებისა“. ს. ჭიჭინაძეს მოჰყავს „ციტატებიც“ ლექციიდან და წყაროს არ ასახელებს.

ს. ჭიჭინაძის მიერ მოტანილი პატარა ნაწყვეტი, ალბათ, ამოღებულია ხელნაწერი ლექციიდან, რომელიც ასაკის სადმე სხვაგან წაუკითხავს. კინომოღვაწე ვ. ამაშუკელიც გააკვირ-

ვა ამ ადგილმა. მან თქვა: ნამდვილად მახსოვს, რომ „ვეფხისტყაოსანზე“ აკაკის ლაპარაკი არ ჰქონიაო.

ავტორი ეხება ალპანაში გამართულ ზეიმს და წერს: „რაქალეჩხუმის საზღვარზე, ალპანაში, იქ, სადაც მარჯვნივ რიონის პირას გზა რაქისაყენ მიემართება, მარცხნივ კი ლეჩხუმისაყენ, აკაკის შესახვედრად დიდი მზადება იყო. ქვემო რაქის წარმოქმადგენლობა, ლეჩხუმელი ხალხი და სვანები შეკრებილიყვნენ“.

ავტორი ვერ არჩევს მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებს. გზები ალპანიდან რაქისა და ცაგერისაყენ რიონის მარჯვენა მხარეზეა. თვით ალპანა შუა ლეჩხუმშია და იქიდან ლეჩხუმისაყენ გზა როგორ მიემართება? არა თუ ალპანა, ჭრებლოც კი სამაზრო დაყოფის მიხედვით ლეჩხუმს ეკუთვნოდა.

იშვიათ საზეიმო მომენტს წარმოადგენდა ლეჩხუმელების მიერ აკაკის მიცოლება რაქის საზღვრამდე და რაქველების მიერ მისი მიღება, რომელიც ძლიერი სიმღერით, თოფების ხშირი სროლითა და საერთო სამხიარულო ყიყინით გამოიხატა. „რაქის საზღვართან — ასკის ხილთან“ (გვ. 33), — წერს ლ. ბზვანელი, — აღმართული იყო სატრიუმფო თალი, სადაც პურის თავთავებით ეწერა „რაქა ფიანდაზად გეშლება“. ეს თალი ნაჩვენებია კინოფილმში.

ქაიხოსრო გელოვანმა საკუთარი ლექსით მიმართა აკაკის ჭრებლოში (ლ. ბზვანელის კრებული. გვ. 27-28) და არა ალპანაში, როგორც ამას ს. კიკინაძე აღნიშნავს.

ს. კიკინაძის გადმოცემით სტუმრებმა, როდესაც წესიდან ნიკორწმინდისაყენ გაემართნენ, გაიარეს შაორის ჭალა, ხარისთვალის ტბასთან ეტლები შეაჩერეს, გზა განაგრძეს და დავით კანდელაკის ოჯახს ეწვივნენ“.

ნიკორწმინდაში ასვლა ლ. ბზვანელს განსხვავებულად და ვრცლად აქვს გაშუქებული (გვ. 76-94). სამშაბათს, 24 ივლისს, „ნაშუადღევს სამ საათზე, — წერს ალ. ბზვანელი, მივადექით ნიკორწმინდის ტაძრის გალავანს, გადმოვედით ეტლებიდან, გადავიარეთ ტაძრის ეზო და ჩვედით დავით კანდელაკის ეზოში, სადაც გვიცდიდა საზოგადოება და გაშ-

ლილი იყო ქართული სუფრა ვეებერთელა ცაკების ხისქვეშა (გვ. 81). გაიძარტა ნადიმი. საღამოს მგოსანი „ანგელოზებმა“ დააძინეს. მეორე დღეს დაათვალეერეს ნიკორწმინდის ტაძარი, შაორის ჭალა და ხარიათვალასთან ისაუბმეს.

მგოსნის ონში მიღების ფაქტებიდან ს. ჭიჭინაძის წერილში სარწმუნო არაა ზოგი რამ. ლ. ბზვანელის მიხედვით, ონის შესასვლელთან აკაკის პირველად მიესალმა დ. კერესელიძე (გვ. 108). ს. ჭიჭინაძის გადმოცემით, კი დ. კერესელიძემ სიტყვა წარმოთქვა მეორე დღეს დ. გოცირიძის ოჯახში გამართულ ნადიმზე. ექიმმა ალექსანდრე კერესელიძემ მაცნობა: მამაჩემი აკაკის მიეგება სატრიუმფო თაღთან. ის ონში სხვაგან სიტყვით არ გამოსულა. შეხვედრაში მეც ვმონაწილეობდი: თეთრ ქულაჯებში ჩაცმული ყმაწვილები შესავალში (ხიდის წინ — რიონის მარცხენა ნაპირას) ჩამწკრივებული ვიდექითო.

ს. ჭიჭინაძე ამბობს: პოეტს „მთარაქა განსაკუთრებით იზიდავდა, როგორც ძველი ლითონის საბადოების ადგილი. მოუხმო ონელ სტუდენტობას, მოჰავალ გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს — ჯანელიძეს, თვალჭრელიძეს, წულუკიძეს, ჯაფარიძეს, აგლაძეს, დვალს და ესაუბრა. მადნეულის ძიებაზე გზების შეკეთების აუცილებლობაზე კი პირდაპირ განაცხადა...“

აქ ჩამოთვლილი ჩვენი საამაყო აკადემიკოსები ონიდან არ არიან. ისინი რაჭის სხვადასხვა სოფელში დაბადებულან. ამას გარდა, ზოგიერთები მაშინ მცირეწლოვანი ბავშვები (და არა სტუდენტები) იყვნენ. აკაკი როგორ გამოარჩედა და გამოესაუბრებოდა მათ?

ვ. ამაშუკელმა მითხრა: აკაკის ლექსთა კრებულის ეგზემპლარებს გზაზე არიგებდნენ კ. გაბილაია და ი. ბახტაძე. ისინი ჩვენთან ერთად ისხდნენ „ლინეიკაში“ (გვერდზე საჯლომებიან ეტლში). მე არ ვიცნობ თამარ ჭიჭინაძეს, რომელსაც გაბილაიასა და ბახტაძის ნაცვლად ს. ჭიჭინაძე აცხადებსო.

ნათლად ჩანს, რომ მოყვანილი ცნობები ს. ჭიჭინაძეს მატრიანური ლიტერატურიდან არ აპოუკრეფია.

უცნობი თუ ცნობილი ლექსი და მისი ავტორი? 1961 წელს გაზეთ „ქუთაისში“ (№ 248) პოეტმა დ. ანობაძემ

დაბეჭდა კომენტარი აკაკისადმი რაჭაში მიძღვნილ ერთ-ერთ სამსტროფიან ლექსზე და აღნიშნული ლექსიც.

ლექსი და ცნობები მის შესახებ ავტორისათვის მიუწოდებია ირ. ხანთაძეს.

წერილის ბოლოს დ. ახოზაძე კითხულობს: „იქნება დადგინდეს, ვინ იყო ამ ლექსის ავტორი — ტყისმცველი ჭელიძე?“

წერილის ავტორს აკაკის მოგზაურობის პირველწყაროები არ შეუწოდებია, თორემ ამ ლექსს უცნობად არ გამოაცხადებდა.

ქვემო რაჭაში ტოლელი გლეხი ამირან ლომთაძე მიეგება მგოსანს. მან სიტყვა შვიდსტროფიანი ლექსით დაასრულა.

ამირან ლომთაძის ნათქვამი დაბეჭდილი იყო 1912 წელს გაზეთ „თემშიც“ და ლ. ბზვანელის კრებულშიც (გვ. 39-42).

ამრიგად, გაზეთ „ქუთაისში“ დსტამბული სამი სტროფი ეკუთვნის ამირან ლომთაძეს, მაგრამ მისი ლექსის ეს ნაწილი კი ზუსტად ასეთია:

დიდო მოღვაწე მგოსანო,
სასიქადულო ერისა,
თვალმარგალიტის მთესველო,
რისხვის მიმცემო მტერასა,
არ შეგაშინოს ჭალარამ,
კვლავაც გვითესე ყანაო,
მომკელი ბევრი გეზრდება,
თესლი კი თქვენი კმარაო.
შვილებსაც აკაკის ვარქმევთ,
მუდამ სახსოვრად თქვენისა
და თქვენთვის მრავალუამიერს
დღეს მთელი რაჭა მღერასა.

სორელი პედაგოგის სტ. მინდელის გადმოცემით, ტყისმცველი ჭელიძე მართლაც კარგი ლექსით მისალმებია მგოსანს, მაგრამ მისი ვინაობა და ნათქვამი არ ვიცით.

ვიცნობდეთ აკაკის ფოტოალბომს (ერთნაირი სა-ში კომენტარი). პ ი რ ვ ე ლ ი. ბორის კანდელაკი თავის წერილში („ლიტერატურული გაზეთი“. 1960. № 37) ეხება ფოტო-

სურათებს, როგორც ახლადნაპოვნ დოკუმენტებს. მას არ ახსოვს, რომ მხატვარ კოტე ქავთარაძისეული ფოტოალბომი მე აღმოვაჩინე და მისი აღწერილობაც გამოვაქვეყნე 1952 წელს (იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. № 33).

ქუთაისიდან გამგზავრებისას, — წერს ბ. კანდელაკი, — აკაკის შიართვეს ოთხცხენიანი ეტლი, მას მიჰყვებოდნენ „თორმეტი ეტლით გამცილებლები და მგოსნის პატივისმცემლები“. ლ. ბზვანელის ცნობა უფრო ზუსტია: „წინ მიდიოდა მგოსნის ეტლი, შემდეგ ორი ეტლით მხლებლები და ბოლოს ათი ეტლით გამცილებლები“.

კინოფილმში ვხედავთ და ვ. ამაშუკელსაც ახსოვდა, რომ აკაკის ეტლში შებმული იყო ორი ცხენი (მეეტლე ურეკაძე) და თანმხლებნი კი ორ „ლინეიკაში“ (გვერდხესაჯდომიან ეტლში) ისხდნენ („მელინეიკენი“: ყურაშვილი და გაბიძაშვილი).

წერილთან ერთად გაზეთში მოთავსებულია აკაკის სამი სურათი. პირველი მათგანი (აკაკი საუზმის დროს ჭომაში) მთლიანად ორჯერ გამოქვეყნდა 1912 წელს — გაზეთ „თემის“ სურათებიან დამატებასა და ლ. ბზვანელის კრებულში (კადრი გვხვდება კინოფილმშიც) და ამდენად იგი უცნობ დოკუმენტად არ ჩაითვლება; მეორე სურათი (აკაკი ფეხზე დგას, საზამთრო შავი პალტო აცვია, ქუდი ახურავს და ჯოხი უჭირავს) თუმცა უცნობია, მაგრამ მოგზაურობის პერიოდს არ ეკუთვნის; დასასრულ ბ. კანდელაკი შენიშნავს: „მესამე ფოტო ამოღებულია იმ სურათიდან. რომელიც პოეტმა გადაიღო თავის დასთან ანასთან ერთად ალპანაში“.

აკაკის და ანა რაჭა-ლეჩხუმში არ ყოფილა. იგი მშინ ღრმა მოხუცი (82 წლის) იყო. ლევან ასათიანი წერს: „ანა არასოდეს არ გათხოვილა და სიყრმიდან მოკიდებული მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ოჯახს არ მოშორებია“ (იხ. „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1953. გვ. 47). მოგზაურობის დროს ქალთაგან აკაკის თან ახლდა მხოლოდ ერთი ახალგაზრდა პედაგოგი ანეტა იურკევიჩი. შემონახულია ბარაკონში გადაღებული მისი ფოტოსურათებიც — ჯგუფში (აკაკისთან) და ცალ-ცალკე (გრიგოლ დიასამიძესა და ვასილ წერეთელთან). მხატვარ კ. ქავთარაძეს ონში გადაღებული ჰყავს აკაკი („ლიტერატურულ გაზეთში“ რომ გამოქ-

ვეყნდა), მაგრამ არა რომელიმე ქალის გვერდით, არამედ რამდენიმე მამაკაცთან ერთად.

მეორე. 1964 წელს ჟურ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№10) გამოქვეყნდა ფოტოსურათი და შ. ფურცხვანიძის წერილი „აკაკი ყვავილებში“. ერთგან შ. ფურცხვანიძე შენიშნავს: ახლახან ვიპოვე ეს ფოტოდოკუმენტი.

მარტო ეს სურათი — „აკაკი ეტლში გამგზავრების წინ“ — სხვა დროსაც (1960 წ.) დაბეჭდა ამავე ჟურნალმა (№12). მასზე ადრე კი იგი მოათავსა 1960 წელს ჟურნალმა „პიონერმა“ (№ 9).

წერილში მნიშვნელოვანია თეატრმცოდნე ს. გერსამიას მცირე მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ გააცილა პოეტი ხალხმა სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან“.

წერილში მოთხრობილი არაა, რომ ის სურათი გადაიღო მხატვარმა კოტე ქავთარაძემ. სურათში აკაკის გარდა სხვებიც ჩანან. კოფოზე ზის მეეტლე საშსონ ურეკაძე, აკაკის წინ — კოტე უბდუშელიშვილი, ეტლთან დგას და ხალხში გამოიღრჩევა სოსიკო მერკვილაძე. გამორკვეულია, რომ არსებობდა ქავთარაძისეული ფოტოალბომის რამდენიმე ეგზემპლარი. ეს სურათიც ამ ალბომში შედის (იხ. „აკაკის ფოტოსურათების ალბომი“: გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952. № 33; გაზ. „ქუთაისი“. 1960. № 232).

შ. ფურცხვანიძის წერილი თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ გაამართლებდა, რომ იგი უცნობ ფოტოსურათს ეხებოდეს.

მესამე. 1980 წელს ცაგერის რაიონულ გაზეთ „კომუნისმის სხივში“ (№113) დასტამბული ჯუმბერ საღინაძის წერილი შეეხება აკაკი წერეთელთან საიუბილეო შეხვედრას. ეს არის კომენტარი ორი ფოტოსურათისა, რომლებიც ავტორს „დღემდე უცნობ“ დოკუმენტებად მიაჩნია.

საჭიროა გავამჟღავნოთ, რომ ორივე ფოტოსურათი ცნობილია. ამასთან ერთად წერილში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომებიც.

გადავიდეთ კრიტიკულ შენიშვნებზე — დავაზუსტოთ ჯუმბერ საღინაძის კომენტარის სადავო ცნობები.

პირველად გადაღებული სურათი (აკაკი ბავშვითურთ დგას

ჯგუფში) გამოქვეყნდა ოთხჯერ (1. უფრ. „პიონერი“. 1960. № 9. გვ. 10; 2. გოგუცა კუპრაშვილის წიგნი „კვლავ თქვენზე ვფიქრობ“. 1966. გვ. 32, 3. ფოტოალბომი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაქა-ლეჩხუმში 1912 წელს“. 1979. გვ. 68; 4. გაზ. „სამშობლო“, 1980. № 26).

მეორედ გადაღებული სურათი (აკაკი ზის ჯგუფში) გამოქვეყნდა ორჯერ (იხ. 1. გაზ. „კომუნისტი“. 1960. № 279. 2 დეკემბერი; 2. ამბროლაურის რაიონული გაზეთი „კომუნისმის დროშა“. 1965. № 126. 21 ოქტომბერი).

ყველგან დაბეჭდილია ერთნაირი წარწერა „აკაკი ალბანაში 1912 წელს“, მაგრამ ფოტოგადაძმების გეარსახელი არ აღუნიშნავთ.

ჯ. საღინაძის მოთხრობილში შესამჩნევია შემდეგი ფაქტობრივ-ენობრივი შეცდომები: 1. კომენტარს სათაურად აწერია „აკაკი ლაილაში“, რაც უნდა შეიცვალოს ასე „აკაკი ალბანაში“; 2. წინადადების წყვილში „ქალები ზიან“ ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა „ზიან“ დიალექტიზმია და ამახნიჯებს სამწერლო ენას. ლიტერატურული გამოთქმაა „ქალები სხედან“; 3. „ლადო ბზვანელის ალბომი“ არ არსებობს. ლადო ბზვანელი (ვლადიმერ ნაცელიშვილი) იყო უფრ-ხალისტი (პოეტის თანამგზავრი), რომელმაც 1912 წელსვე პრესაში აღწერა აკაკის მოგზაურობა და კრებულებს გამოსცა; 4. ლაილაშიში აკაკი დაასჩუქრეს ნადიმზე. გადასცეს ვერცხლის ჯონი, მოვერცხლილ-მოქროვილი სათუთუნე (საფერ-ფლე). გამგზავრებისას კი მიაართვეს ორი მოხარატებული ხის ხონჩა ზედ დაწყობილი შემწვარი კალმასებით. ლაილაშიური საგზალი სადგურ ნამახვანში არ აღმოაჩნდათ, რადგან დავიწყებია და უკან გაპყოლია გამცილებელ „მელინეიკეს“ (მეეტლეს), მაგრამ საღამოს კი ქუთაისის სასტუმროში გადაუციათ მგოსნისათვის. ლადო ბზვანელი 1935 წელს წერდა, რომ ლაილაშიური ხონჩები სხვიტორის სახლ-მუზეუმში ინანებაო.

ჯ. საღინაძის კომენტარში კი შესამჩნევია უზუსტობა: „ლაილაშიში მგოსანს ხის ხონჩით ლაჯანურის კალმასები მიაართვეს, ასევე უსახსოვრეს მოოქროვილი სათუთუნე და რამდენიმე სამახსოვრო ნივთი. ერთხანს ყველა ეს ნაჩუქარი ძვირფასე-

ულობანი საფრანგეთში ინახებოდა“. ლაილაშური საჩუქრებიდან უცხოეთში გატანილ იქნა მხოლოდ ვერცხლის ჯოხი და სათუთუნე; 5. „აკაკის მოგზაურობა“ 1912 წელს ეკრანზე გადაიღო ვასილ ამაშუკელმა, მაგრამ ის პირველი დოკუმენტური კინოფილმი არ არის. საქართველოში ჯერ კიდევ 1910 წელს სხვებმა გადაიღეს დოკუმენტური კინოქრონიკები. ჰაბუკი ვასილ ამაშუკელი 1908-1910 წლებში ცხოვრობდა ბაქოში და გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები. ბაქოს პერიოდით ვასილ ამაშუკელს მიეკუთვნა პირველი ქართველი კინომოღვაწის სახელი და აღიარებულია ქართული კინემატოგრაფიის ფუძემდებლად. მთლიანი კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა“ ორ ნაწილად არ იყოფოდა.

გაზეთ „კომუნიზმის სხივში“ მოთავსებული ორი ფოტოსურათისათვის სამახსოვროა ეს განმარტება:

ორივე ჯგუფური ფოტოსურათი გადაღებულია ლეჩხუმში საზეიმოდ სადგურ „აქარის ხილზე“. სოფელი აქარა ალპანის თემში შედის და დაბლობ ადგილზეა, სადაც მდ. რიონს მდ. ლაჩანური უერთდებოდა. დაბა ლაილაში კი მისგან დაშორებულია რვა კილომეტრით და მალლობზე მდებარეობს.

მემატიანე ლადო ბზვანელი თავის კრებულში (1912 წ.) მოგვითხრობს: 21 ივლისს ნაშუადღევს შივადექით სოფელ ალპანას. ლეჩხუმელნი აქ მიესალმნენ აკაკის და სთხოვეს რაჭიდან დაბრუნებისთანავე შებრძანებულყო ცაგერსა და ლაილაში. ხუთი წლის გოგუცა ნიკოს ასულმა კუპრაშვილმა პოეტს წაუკითხა ლექსი „განთიადი“ და ყვავილთა კონა მიართვა. მგოსანმა ბავშვი ხელში აიყვანა და გადაიღო სურათი (გვ. 23), 1 აგვისტოს ლაილაშელნი ჩამოგვეყვენენ ალპანამდის. მგოსანმა გადაიღო სურათი ლაილაშისა და ალპანის წარმომადგენელთა შორის (გვ. 177).

ერთი სურათი არ ჩანს და მოსაძებნია. ლადო ბზვანელის ცნობის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლაილაშ-ალპანის მკვიდრნი (გამცილებელნი) პირველ აგვისტოს გადაღებულ ცალკე სურათში არიან (პოეტი შუაში ზის), მაგრამ ეს აზრი ნაკლებ საარწმუნოა ორი ფაქტობრივი მაჩვენებლით: 1. მატიანური პირველწყაროდან ცნობილია, რომ ბავშვი გოგუცა კუპრაშვილი აკაკის მიესალმა და ჯგუფური მომენტით აღი-

ბეჭდა 21 ივლისს; გრგუტა კუპრაშვილთან დგანან აგრეთვე დედაც და ძმაც. გამოირჩევა გოგუცას ძმა გერასიმე კუპრაშვილი, რომელსაც გიმნაზიელის ფორმა ეცვა და გამოსახულია მეორე კადრშიც; ჯგუფში გერასიმე კუპრაშვილი მარტოა (გოგუცა და დედამისი მასთან არ არიან) და აკაკის წინ მორთხმული ზის. მოკლედ: ალპანური თარიღიანი სურათი სხვა სურათის თარიღის დასადგენი დოკუმენტია; 2. იგივე სურათი (აკაკი ზის ჯგუფში) გამოაქვეყნა ამბროლაურის რაიონულმა გაზეთმა „კომუნისმის დროში“. 1965. № 126 წარწერით: აკაკი ალპანაში. 1912 წ. 21 ივლისი).

მაშასადამე, ორივე ფოტოსურათი კოტე ქავთარაძემ გადაიღო ერთ დღეს (21 ივლისს); ფოტოალბომში მოთავსებულია სადგურ „აქარის ხიდზე“ 21 ივლისს შექმნილი სხვა კადრებიც: 1. ლაჭანურის ხეობის ხედი (მდინარე, ხიდი, დუქანები, „ორპირის“ კალთები); 2. აკაკი წერეთელი დგას მალხაზ როსტომის ძე ალავეძის ქვითკირის დუქნის აივანზე და გასცქერის მდინარეს; 3. დინამიტით აფეთქებენ ლაჭანურს კალმახების დასაქვრად, ხიდი და გზატკეცილი სავსეა ხალხით.

ცალკეული ფოტოები ბოლომდე პრესაში ქვეყნდება და მოგზაურობის მონაწილეთა ოჯახებსაც აქვთ. ქუთათურ ალბომში № 3 სურათს შეცდომით აწერია „აკაკი მექვენაში“, რაც უნდა გასწორდეს ასე — აკაკი ალპანაში (იხ. ქვემოთ).

მხატვარი კოტე ქავთარაძე ნამდვილი ფოტოხელოვანიც ყოფილა. მისი თითოეული ჯგუფური ფოტოსურათიც ნათელია და მონაწილენი შთაგონებით აღუბეჭდავს.

ეკონომისტი სოლომონ ჩიხლაძე ქუთაისში ცხოვრობდა. 1960 წელს, აკაკი წერეთლის იუბილეს მზადებისას, სოლომონ ჩიხლაძე პირადად გამაცნო ჩემმა მეზობელმა ვასილ ამაშუკელმა. მე მათ ვანახე მხატვარ კოტე ქავთარაძისეული ფოტოალბომი, რაც ხელთ მქონდა დროებით და ვეცნობოდი (ვსწავლობდი).

სოლომონ ჩიხლაძემ გაიხსენა ზეიმი ალპანაში (აქარის ხიდზე), სადაც აკაკის შეეგებნენ, ონისაჟენ გაისტუმრეს და ბოლოს ლაილაშვიდან ჩამოაცილეს. სოლ. ჩიხლაძემ ორივე ფოტოსურათში გამოსახული ზეიმის მონაწილენი გამოიცნო და მათს ვინაობაზეც მესაუბრა. 1960 წლის 25 ნოემბერს გაზეთ

„ქუთაისში“ დავსტამბე ქავთარაძისეული ალბომის აღწერილობა.

აქ დავიმოწმებ ცნობილ სათანადო ადგილს და მოვიყვან სრულ ჩანაწერსაც ჩემი არქივიდან:

პირველი ფოტოსურათი: ალპანაში (აჭარის ხიდზე) აკაკის ხელში უჭირავს ბავშვი გოგუცა ნიკოს ასული კუპრაშვილი (შემდგომ რესპუბლიკის სახალხო არტისტი), ირგვლივ დგანან — ნიკო კუპრაშვილის მეუღლე ეკატერინე და ვაჟიშვილი გერასიმე, ერმალო გელოვანი, კოტე აბდუშელიშვილი, ერმილე გაბიანი, დისიონ ახვლედიანი...

მეორე ფოტოსურათი: ლაილაშელ გამცილებლებს სურათი გადაუღიათ ალპანაში (აჭარის ხიდზე). მგოსანი ზის და მის გარშემო არიან — ლავროსი და სევერიან მჟავანაძეები, დოდო და ჭიჭიკო გერსამიები, გერასიმე კუპრაშვილი, გიორგი ჩაჩხიანი, სოლომონ ჩიხლაძე, დიმიტრი ყუბანეიშვილი.

ესა თუ ის ფოტოსურათი გაზეთში შეიძლება გამოქვეყნდეს სხვადასხვა დროს (რამდენჯერმე); მაგრამ პირველწყაროები სიფრთხილით უნდა შემოწმდეს პრეტენზიული ეპითეტი-სათვის „უცნობი“.

ცნობილ ფოტოსურათთა პირველად გამოქვეყნება გაზეთ „კომუნისმის სხივში“ გამართლებულია იმიტაც, რომ კომენტარის ავტორი ცდილობს გაიგოს ზეიმის მონაწილენი (აკაკისთან შეკრებილნი) და მათი ვინაობა. ამ თვალსაზრისით აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთადერთი ცნობა: ექიმ დიმიტრი გოგიძისეულ ფოტოსურათში გამოსახულია მამამისი გიორგი გოგიძე. რედაქცია სთხოვს მკითხველებს გამოენ-მაურონ კომენტარს და ამოხსნან ორივე სურათში აღბეჭდილნი.

გამოირკვა, რომ ბ. კანდელაკი, შ. ფურცხვანიძე და ჯ. სალინაძე არ იცნობენ მხატვარ კოტე ქავთარაძისეულ ფოტომასალას.

კრებული ლაილაშის წარსულზე. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა 1970 წელს გამოსცა ბროშურა, რითაც ლეჩხუმის უმშვენიერესი დაბა ლაილაშის ახლო კულტურული წარსული (აკაკი წერეთელთან საიუბილეო შეხვედრა, საშუალო სკოლის შენობის აგებისა და წყარო „ოქრონიშის“ კეთილ-

მოწყობის ისტორია) მრუდე სარკეში ვინილეთ. კრებული რბი-
ექტური ანალიზით სასარგებლო ნაშრომად და სანდო ლიტე-
რატურულ წყაროდ ვერ შეფასდება.


ფხიზელი (დაინტერესებული) მკითხველი სხვაგან გაეც-
ნობა ამ ბროშურის ვრცელ კრიტიკულ განხილვას (იხ. ჟურ.
„განთიადი“. 1979. № 4. გვ. 127 — 137).

ყველაფერი ეს („კრიტიკული შენიშვნები“) იმ მიზნით და-
იწერა, რომ ნიადაგ გავუფრთხილდეთ აკაკი წერეთლის წმინ-
და სახელს, მისი ცხოვრების ყოველი დეტალიც სისწორით
ადასახოს — თაობიდან თაობას სიმართლე გადაეცეს.

აკაკის ბულისთქმა

(დასკვნითი ნაწილი)


რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა სწო-
რედ საარაკო და საზღაპრო რამ იყო. ვისაც თავისი თვალთ
არ უნახავს და თავისი ყურით არ გაუგონია ის, რაც მოხდა,
მას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილის. განურჩევლად წო-
დებისა, სქესისა და ხნოვანებისა, მთელი ორი მანრა ერთპი-
რად ფეხზე ჯადვა და ეროვნული აღფრთოვანებით ლიტანი-
ობდა მომავალს. თუმცა იმ ლიტანიობის მოზიარე მეც ვი-
ყავი, მაგრამ უნდა გამოვტყდე რომ ის მცირედიც აღმეტებო-
და ჩემს ღვაწლს (იხ. ჟაზ. „თემი“. 1912. № 91).



აკაკი ქუთაისის ბაღში



სურათში: (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან — (პირველ რიგში) ლადო ბჟვანელი, სოსიკო მერკვილაძე, სამსონ დათეშიძე, (მეორე რიგში) გრიგოლ დიასამიძე, აკაკი, ვასილ პეტრიაშვილი, დგანან — ვასილ ამაშუკელი, კობე აბდუშელიშვილი, ვასილ წერეთელი, იობა ისაკაძე, კობე ქავთარაძე.



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან: სოსიკო მერკვეილაძე, გრიგოლ დიასამიძე, ლადო ბზვანელი, სამსონ დათეშიძე, დგას — ვასილ ამაშუკელი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. მოგზაურობის აღწერა	3
2. შევსება-დამატებანი (გამოკვლიება)	.	.	.	71
3. „ზღაპრული ზეიმის“ ამსახველნი	.	.	.	103
4. კრიტიკული შენიშვნები	.	.	.	148
5. ავტორის ბულისთქმა (დანართი)	.	.	.	167

АЛАВИДЗЕ МИХАИЛ НЕСТОРОВИЧ
ПУТЕШЕСТВИЕ АКАКИЯ ЦЕРЕТЕЛИ В
РАЧА-ЛЕЧХУМИ
(На грузинском языке)

Издательство «Сакартвело»
Кутанский филиал
Кутанси, Гришавилли, 6
1990

რედაქტორი ზურაბ კუხიანიძე
მხატვარი ოთარ ქანდარია
მხატვრული რედაქტორი დავით ღუნღუა
ტექნიკური რედაქტორი გოჩა ჩიტაძე
კორექტორები: მზევინარ ყურაშვილი
ქსენია მარგველაშვილი
გამომშვები ალექო გეგია

ს ბ. № 211

გადაეცა წარმოებას 11.04.90.
სელმოწერილია დასაბეჭდად 04.09.90.
საბეჭდი ქაღალდი № 2, 84X108^{1/32}
გარნიტური ჩვეულებრივი
ბეჭდვა მაღალი
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,03
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,18
პირობითი საღებავგატარება 9,34
უე 10756, ტირაჟი 5000, შეკვეთის № 3057
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საქართველო“
ქუთაისის ფილიალი. ქუთაისი, გრიშაშვილის ქ.

საქართველოს სსრ
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутанское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по печати Грузинской ССР
г. Кутанси, пр. И. Чавчавадзе, 33